29

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკი

№ 3-4 მარტი—აპრილი № 3-4

თბილისი

გამომცემლობა „კომუნისტი"
1946



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის ყოველთვიური თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი

გამოცემის XVII წელი

№ 3-4 მარტი-აპრილი 1946

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჟორესის, № 5 ტელეფონი № 3-73-05

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის ინტერვიუ „პრავდის“ კორესპონდენტთან ბ-ნ ჩერჩილის სიტყვის გამო 1

„ასოშიეიტედ პრესის“ კორესპონდენტის ბ-ნ ედი ჰილმორის მიერ ამხანაგ სტალინისათვის მიცემული კითხვები და ამხანაგ სტალინის პასუხი 7

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის პასუხი იუნაიტედ პრესის სააგენტოს პრეზიდენტ ბ-ნ ჰიუ ბეილის დეპეშაზე 8

მოწინავე — ვიმუშაოთ ისე, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი 9

— 0 —

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

ნ. ა. ვოზნესენსკი — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა 1946—1950 წლებისათვის 14

კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ 45

— 0 —

კ. ნ. ჩარკვიანი — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა და თბილისის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები (მოხსენება თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1946 წლის 15 აპრილს) 110

— 0 —

ს. ჭელიძე — ვიბრძოლოთ მეოთხე ხუთწლედის პირველი წლის უხვი მოსავლისათვის . . 133

ამხანაგ ი. ბ. სტალინის ინტერვიუ

„პრავდის“ კორესპონდენტთან ბ-ნ ჩერჩილის სიტყვის გამო

ამ დღეებში „პრავდის“ ერთ-ერთმა კორესპონდენტმა ამხანაგ სტალინს მიმართა თხოვნით განემარტა ბ-ნ ჩერჩილის სიტყვასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. ამხანაგმა სტალინმა მას მისცა სათანადო განმარტებანი, რომლებიც მოყვანილია ქვემოთ კორესპონდენტის კითხვებზე პასუხის სახით.

ს ს რ მეცნიერებათა აკადემია

კითხვა. რა შეფასებას აძლევთ თქვენ ბ-ნ ჩერჩილის უკანასკნელ სიტყვას, რომელიც მან ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოსთქვა?

პასუხი. მე იგი მიმაჩნია საშიშ აქტად, რომელიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა შორის უთანხმოების თესლი დასთესოს და გააძნელოს მათი თანამშრომლობა.

კითხვა. შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ, რომ ბ-ნ ჩერჩილის სიტყვა ზიანს აყენებს მშვიდობისა და უშიშროების საქმეს?

პასუხი. უეჭველად შეიძლება. არსებითად ბ-ნი ჩერჩილი ახლა ომის გამჩაღებელთა პოზიციაზე დგას. და ბ-ნი ჩერჩილი აქ მარტო როდია,—მას მეგობრები ჰყავს არა მარტო ინგლისში, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ნი ჩერჩილი და მისი მეგობრები ამ მხრივ გასაოცრად მოგვაგონებენ ჰიტლერსა და მის მეგობრებს. ჰიტლერმა ომის გაჩაღების საქმე იმით დაიწყო, რომ გამოაცხადა რასობრივი თეორია, გამოაცხადა, რომ მხოლოდ გერმანულ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები წარმოადგენენ სრულფასოვან ერს. ბ-ნი ჩერჩილიც ომის გაჩაღების საქმეს რასობრივი თეორიით იწყებს, ამტკიცებს რა, რომ მხოლოდ ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ერები წარმოადგენენ სრულფასოვან ერებს, რომლებიც მოწოდებული არიან გადასწყვიტონ მთელი მსოფლიოს ბედი. გერმანულმა რასობრივმა თეორიამ ჰიტლერი და მისი მეგობრები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ გერმანელებმა, როგორც ერთადერთმა სრულფასოვანმა ერმა, უნდა იბატონონ სხვა ერებზე. ინგლისურ რასობრივ თეორიას ბ-ნი ჩერჩილი და მისი მეგობრები მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ერებმა, როგორც ერთადერთმა სრულფასოვანმა ერებმა, უნდა იბატონონ მსოფლიოს დანარჩენ ერებზე.

არსებითად ბ-ნი ჩერჩილი და მისი მეგობრები ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ ერებს, რომელნიც ინგლისურ ენაზე არ ლაპარაკობენ, უდგენენ ულტიმატუმის მსგავს რამეს: ნებაყოფლობით აღიარეთ ჩვენი ბატონობა და მაშინ ყველაფერი წესრიგზე იქნება,—წინააღმდეგ შემთხვევაში ომი გარდუვალიაო.

მაგრამ ერები სასტიკი ომის ხუთი წლის განმავლობაში სისხლს ღვრიდნენ თავიანთი ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და არა იმისათვის, რომ ჰიტლერების ბატონობა ჩერჩილების ბატონობით შეეცვალათ. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ერები, რომელნიც ინგლისურ ენაზე არ ლაპარაკობენ და ამასთანავე მსოფლიოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ, არ დათანხმდებიან ახალ მონობას.

ბ-ნ ჩერჩილის ტრაგედია ის არის, რომ მას, როგორც პირწავარდნილ ტორის, არ ესმის ეს უბრალო და აშკარა ჭეშმარიტება.

უეჭველია, რომ ბ-ნ ჩერჩილის გეზი არის გეზი ომისაკენ, მოწოდება სსრ კავშირის წინააღმდეგ ომისაკენ. ისიც ცხადია, რომ ბ-ნ ჩერჩილის ასეთი გეზი შეუთავსებელია ინგლისსა და სსრ კავშირს შორის არსებულ სამოკავშირეო ხელშეკრულებებთან. მართალია ბ-ნი ჩერჩილი იმისათვის, რომ დააბნიოს მკითხველები, გაკვრით აცხადებს საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ვადა სავსებით შეიძლებოდა განგრძობილიყო 50 წლამდეო. მაგრამ როგორ შევუთავსოთ ბ-ნ ჩერჩილის ასეთი განცხადება სსრ კავშირის წინააღმდეგ ომისაკენ მის გეზს,

სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის მის ქადაგებას? ცხადია, რომ ამ ორი რამის შეთავსება არასგზით არ შეიძლება. და თუ ბ-ნ ჩერჩილს, რომელიც მოუწოდებს ომისაკენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამასთანავე შესაძლებლად მიაჩნია ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ვადის განგრძობა 50 წლამდე, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ამ ხელშეკრულებას სთვლის ფარატინა ქაღალდად, რომელიც მას მხოლოდ იმისათვის ესაჭიროება, რომ მით დაფაროს და შენიღბოს თავისი ანტისაბჭოთა გეზი. ამიტომ შეუძლებელია სერიოზულად მოვეკიდოთ ბ-ნ ჩერჩილის ინგლისელი მეგობრების ყალბ განცხადებებს საბჭოთა კავშირ-ინგლისის ხელშეკრულების ვადის 50 და მეტ წლამდე განგრძობის შესახებ. ხელშეკრულების ვადის განგრძობას აზრი არა აქვს, თუ ერთ-ერთი მხარე ხელშეკრულებას არღვევს და მას ფარატინა ქაღალდად აქცევს.

კითხვა. რა შეფასებას აძლევთ თქვენ ბ-ნ ჩერჩილის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც იგი თავს ესხმის ჩვენს მეზობელ ევროპის სახელმწიფოთა დემოკრატიულ წყობილებას და სადაც იგი აკრიტიკებს ამ სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარებულ კეთილმეზობლურ ურთიერთობას?

პასუხი. ბ-ნ ჩერჩილის სიტყვის ეს ნაწილი წარმოადგენს ცილისწამების ელემენტების და უხეშობისა და უტაქტობის ელემენტების ნარევს.

ბ-ნი ჩერჩილი ამტკიცებს, რომ „ვარშავა, ბერლინი, პრაღა, ვენა, ბუდაპეშტი, ბელგრადი, ბუქარესტი, სოფია—ყველა ეს განთქმული ქალაქი და მათი რაიონების მოსახლეობა საბჭოთა სფეროში იმყოფება და ყველანი ამა თუ იმ ფორმით ემორჩილებიან არა მარტო საბჭოთა გავლენას, არამედ მნიშვნელოვანწილად მოსკოვის მზარდ კონტროლსაც“. ბ-ნი ჩერჩილი ყოველივე ამას უწოდებს საბჭოთა კავშირის „ექსპანსიონისტურ ტენდენციებს“, რომელთაც საზღვარი არა აქვთ.

დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს დავამტკიცოთ, რომ აქ ბ-ნი ჩერჩილი უხეშად და მოურიდებლად სწამებს ცილს როგორც მოსკოვს, ისე სსრ კავშირის მეზობელ დასახელებულ სახელმწიფოებს.

ჯერ-ერთი, სრული უაზრობაა ლაპარაკი სსრ კავშირის განსაკუთრებულ კონტროლზე ვენასა და ბერლინში, სადაც იმყოფებიან მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოები ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან და სადაც სსრ კავშირს ხმების მხოლოდ მეოთხედი ნაწილი აქვს. არის ხოლმე, რომ ზოგიერთ ადამიანს არ შეუძლია არ ეწეოდეს ცილისწამებას, მაგრამ ზომა მაინც უნდა იცოდეს.

მეორე, არ შეიძლება დავიწყებულ იქნას შემდეგი გარემოება. გერმანელები სსრ კავშირში შემოიჭრნენ ფინეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და უნგრეთის გზით. გერმანელებს ამ ქვეყნებზე გამოვლით შემოჭრა შეეძლოთ მოეხდინათ იმიტომ, რომ ამ ქვეყნებში მაშინ საბჭოთა კავშირისადმი მტრული მთავრობები არსებობდნენ. გერმანელების შემოჭრის შედეგად საბჭოთა კავშირმა გერმანელებთან ბრძოლებში, აგრეთვე გერმანული ოკუპაციისა და გერმანულ კატორღაში საბჭოთა ადამიანების გარეკვის მეოხებით აუნაზღაურებლად დაჰკარგა ზვიდ მილიონამდე კაცი. სხვანაირად რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირმა ადამიანების სახით დაჰკარგა რამდენჯერმე მეტი, ვიდრე დაჰკარგეს ერთად აღებულმა ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. შესაძლებელია ზოგან სურდეთ დავიწყებას მისცენ საბჭოთა ხალხის ეს კოლოსალური მსხვერპლი, რამაც უზრუნველჰყო ევროპის

განთავისუფლება ჰიტლერული უღლისაგან. მაგრამ საბჭოთა კავშირს არ შეუძლია დაივიწყოს ეს მსხვერპლი. საკითხავია, რა უნდა იყოს გასაკვირველი იმაში, რომ საბჭოთა კავშირი, რომელსაც სურს უშიშარჰყოს თავისი თავი მომავლისათვის, ცდილობს მიაღწიოს იმას, რომ ამ ქვეყნებში არსებობდნენ მთავრობები, რომლებიც ლოიალურად მოეკიდებიან საბჭოთა კავშირს? როგორ შეიძლება, თუ კაცი ჭკუაზე არ შეშლილა, საბჭოთა კავშირის ამ მშვიდობიან მისწრაფებებს უწოდოს ჩვენი სახელმწიფოს ექსპანსიონისტური ტენდენციები?

შემდეგ ბ-ნი ჩერჩილი ამტკიცებს, რომ „პოლონეთის მთავრობას, რომელიც რუსთა ბატონობის ქვეშ იმყოფება, აქეზებდნენ გერმანიისადმი უდიდეს და უსამართლო ხელყოფისაკენ“.

აქ ყოველი სიტყვა ტლანქი და შეურაცხმყოფელი ცილისწამებაა. თანამედროვე დემოკრატიულ პოლონეთს გამოჩენილი ადამიანები ხელმძღვანელობენ, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს, რომ უნარი შესწევთ დაიცვან თავიანთი სამშობლოს ინტერესები და ღირსება, რა უნარიც მათ წინამოადგილეებს არ გააჩნდათ. რა საფუძველი აქვს ბ-ნ ჩერჩილს ამტკიცებდეს, რომ თანამედროვე პოლონეთის ხელმძღვანელებს შეუძლიათ დაუშვან თავიანთ ქვეყანაში რომელიმე უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელთა „ბატონობა“? იმიტომ ხომ არ ეწევა აქ ცილისწამებას ბ-ნი ჩერჩილი „რუსების“ წინააღმდეგ, რომ განზრახვა აქვს უთანხმოების თესლი დასთესოს პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში?...

ბ-ნი ჩერჩილი უკმაყოფილოა, რომ პოლონეთმა თავისი პოლიტიკა მოაბრუნა სსრ კავშირთან მეგობრობისა და მოკავშირეობისაკენ. იყო დრო, როცა პოლონეთისა და სსრ კავშირის ურთიერთობაში სჭარბობდნენ კონფლიქტებისა და წინააღმდეგობათა ელემენტები. ეს გარემოება ბ-ნ ჩერჩილის მსგავს სახელმწიფო მოღვაწეებს შესაძლებლობას აძლევდა გამოეყენებინათ ეს წინააღმდეგობანი, ხელში ჩაეგდოთ პოლონეთი, ვითომდა რუსებისაგან დასაცავად, დაეშინებინათ რუსეთი მასსა და პოლონეთს შორის ომის აჩრდილით და შეენარჩუნებინათ არბიტრის პოზიცია. მაგრამ ეს დრო უკვე წავიდა, რადგან პოლონეთსა და რუსეთს შორის მტრობამ ადგილი დაუთმო მათ შორის მეგობრობას, ხოლო პოლონეთს, თანამედროვე დემოკრატიულ პოლონეთს, აღარ სურს სათამაშო ბურთი იყოს უცხოელთა ხელში. მე მგონია, რომ სწორედ ამ გარემოებით არის გაჯავრებული ბ-ნი ჩერჩილი და ამით არის გამოწვეული მისი უხეში და უტაქტო გალაშქრება პოლონეთის წინააღმდეგ. ხუმრობა ხომ არ არის: მას არ აძლევენ საშუალებას, რომ სხვის ხარჯზე ითამაშოს...

რაც შეეხება ბ-ნ ჩერჩილის თავდასხმებს საბჭოთა კავშირზე, წინათ გერმანელების მიერ დაპყრობილი პოლონური ტერიტორიების ხარჯზე პოლონეთის დასავლეთი საზღვრების გაფართოებასთან დაკავშირებით, აქ, მე ვფიქრობ, იგი აშკარად თაღლითობს. როგორც ცნობილია, გადაწყვეტილება პოლონეთის დასავლეთი საზღვრების შესახებ სამი სახელმწიფოს ბერლინის კონფერენციამ მიიღო პოლონეთის მოთხოვნათა საფუძველზე. საბჭოთა კავშირს არაერთგზის განუცხადებია, რომ მას პოლონეთის მოთხოვნები სწორად და სამართლიანად მიაჩნია. სავსებით შესაძლებელია, რომ ბ-ნი ჩერჩილი უკმაყოფილოა ამ გადაწყვეტილებით. მაგრამ ბ-ნი ჩერჩილი, რომელიც ისრებს არ იშურებს რუსების პოზიციის წინააღმდეგ ამ საკითხში, რატომ

უმალავს მკითხველებს იმ ფაქტს, რომ გადაწყვეტილება ბერლინის კონფერენციამ მიიღო ერთხმად, რომ გადაწყვეტილებას ხმა მისცეს არა მარტო რუსებმა, არამედ აგრეთვე ინგლისელებმა და ამერიკელებმა? რად დასჭირდა ბ-ნ ჩერჩილს ადამიანების შეცდომაში შეყვანა?

შემდეგ ბ-ნი ჩერჩილი ამტკიცებს, რომ „კომუნისტურმა პარტიებმა, რომლებიც ფრიად უმნიშვნელონი იყვნენ ევროპის ყველა ამ აღმოსავლეთ სახელმწიფოში, მიაღწიეს განსაკუთრებულ ძალას, რაც ბევრად აღემატება მათს რიცხვს, და ისწრაფვიან ყველგან დაამყარონ ტოტალიტარული კონტროლი. პოლიციური მთავრობები სჭარბობენ თითქმის ყველა ამ ქვეყანაში და დღემდე, გარდა ჩეხოსლოვაკიისა, იქ არ არსებობს არავითარი ნამდვილი დემოკრატია“.

როგორც ცნობილია, ამჟამად ინგლისში სახელმწიფოს მართავს ერთი პარტია, ლეიბორისტების პარტია, ამასთან ოპოზიციური პარტიები მოკლებული არიან უფლებას მონაწილეობა მიიღონ ინგლისის მთავრობაში. ამას ბ-ნი ჩერჩილი ნამდვილ დემოკრატიზმს უწოდებს. პოლონეთში, რუმინეთში, იუგოსლავიაში, ბულგარეთში, უნგრეთში მართავს რამდენიმე პარტიის — ოთხიდან ექვსამდე პარტიის—ბლოკი. ამასთან ოპოზიციისათვის, თუ იგი ცოტად თუ ბევრად ლოიალურია, უზრუნველყოფილია მთავრობაში მონაწილეობის უფლება. ამას ბ-ნი ჩერჩილი უწოდებს ტოტალიტარიზმს, ტირანიას, პოლიციურობას. რატომ, რა საფუძვლით,—პასუხს ბ-ნ ჩერჩილისაგან ნუ ელით. ბ-ნ ჩერჩილს არ ესმის, რა სასაცილო მდგომარეობაში იყენებს თავს მყვირალა სიტყვებით ტოტალიტარიზმის, ტირანიის, პოლიციურობის შესახებ. ბ-ნ ჩერჩილისათვის სასურველი იქნებოდა, რომ პოლონეთს მართავდნენ სოსნკოვსკები და ანდერსი, იუგოსლავიას—მიხაილოვიჩი და პაველიჩი, რუმინეთს—თავადი შტირბეი და რადესკუ, უნგრეთსა და ავსტრიას—რომელიმე მეფე ჰაბსბურგების სახლიდან და სხვა. ბ-ნ ჩერჩილს სურს დაგვარწმუნოს, რომ ფაშისტური ბანაკის ამ ვაჟბატონებს შეუძლიათ უზრუნველჰყონ „ნამდვილი დემოკრატიზმი“. ასეთია ბ-ნ ჩერჩილის „დემოკრატიზმი“.

ბ-ნი ჩერჩილი სიმართლის ახლოს დაბორიალობს, როცა ლაპარაკობს აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური პარტიების გავლენის ზრდაზე. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ იგი სავსებით ზუსტი როდია. კომუნისტური პარტიების გავლენა გაიზარდა არა მარტო აღმოსავლეთ ევროპაში, არამედ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც წინათ ბატონობდა ფაშიზმი (იტალია, გერმანია, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ფინეთი), ანდა სადაც იყო გერმანული, იტალიური თუ უნგრული ოკუპაცია (საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია, ნორვეგია, დანია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, საბერძნეთი, საბჭოთა კავშირი და სხვ.).

კომუნისტების გავლენის ზრდა არ შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევითობად. იგი სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. კომუნისტების გავლენა გაიზარდა იმიტომ, რომ ევროპაში ფაშიზმის ბატონობის მძიმე წლებში კომუნისტები აღმოჩნდნენ საიმედო, გამბედავი, თავდადებული მებრძოლები ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ, ხალხების თავისუფლებისათვის. ბ-ნი ჩერჩილი ზოგჯერ თავის სიტყვებში იხსენიებს „პატარა სახლების უბრალო ადამიანებს“, ბატონკაცურად დაჰკრავს ხოლმე ხელს მათ მხარზე და თავი მოაქვს მათ მეგობრად. მაგრამ ეს ადამიანები არც თუ ისე უბრალონი არიან, როგორც შეიძლება ეგონოთ ერთი შეხედვით. მათ, „უბრალო ადამიანებს“, აქვთ

თავიანთი შეხედულებანი, თავიანთი პოლიტიკა და მათ იცავენ თავიანთი თავის დაცვა. სწორედ მათ, ამ მილიონობით „უბრალო ადამიანებმა“ გააშავეს ინგლისში ბ-ნი ჩერჩილი და მისი პარტია, როცა ხმა მისცეს ლეიბორისტებს. სწორედ ამ მილიონობით „უბრალო ადამიანებმა“ გარიყეს ევროპაში რეაქციონერები, ფაშიზმთან თანამშრომლობის მომხრენი და უპირატესობა მისცეს მემარცხენე დემოკრატიულ პარტიებს. სწორედ ამ მილიონობით „უბრალო ადამიანებმა“, კომუნისტები გამოსცადეს რა ფაშიზმთან ბრძოლისა და მისდამი წინააღმდეგობის ცეცხლში, გადასწყვიტეს, რომ კომუნისტები სავსებით ღირსნი არიან ხალხის ნდობისა. ასე გაიზარდა კომუნისტების გავლენა ევროპაში. ასეთია ისტორიული განვითარების კანონი.

რა თქმა უნდა, ბ-ნ ჩერჩილს არ მოსწონს მოვლენათა ასეთი განვითარება და იგი განგაშს ატეხს, ძალას მიმართავს. მაგრამ მას არ მოსწონდა აგრეთვე საბჭოთა რეჟიმის გაჩენა რუსეთში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. იგი ასევე ატეხდა განგაშს მაშინ და მოაწყო „14 სახელმწიფოს“ სამხედრო ლაშქრობა რუსეთის წინააღმდეგ, როცა მიზნად დაისახა უკუღმა დაეტრიალებინა ისტორიის ჩარხი. მაგრამ ისტორია ჩერჩილის ინტერვენციაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა და ბ-ნ ჩერჩილის დონკიხოტურმა საქციელმა ის გამოიწვია, რომ იგი მაშინ სავსებით დამარცხდა. მე არ ვიცი, მოახერხებენ თუ არა ბ-ნი ჩერჩილი და მისი მეგობრები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოაწყონ ახალი სამხედრო ლაშქრობა „აღმოსავლეთ ევროპის“ წინააღმდეგ. მაგრამ თუ მათ ეს მოახერხეს,—რაც ნაკლებ დასაჯერებელია, რადგან მილიონობით „უბრალო ადამიანები“ მშვიდობიანობის საქმის სადარაჯოზე დგანან,—დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ისევე დამარცხდებიან, როგორც დამარცხდნენ წარსულში, 26 წლის წინათ.

„ასოშიეიტედ პრესის“ კორესპონდენტის ბ-ნ ედი ჰილმორის მიერ ამხანაგ სტალინისათვის მიცემული კითხვები და ამხანაგ სტალინის პასუხი

„ასოშიეიტედ პრესის“ კორესპონდენტმა ბ-ნმა ჰილმორმა ამხანაგ სტალინს მიმართა საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებული მთელი რიგი კითხვებით. ქვემოთ მოყვანილია ბ-ნ ჰილმორის კითხვები და ამხანაგ სტალინის პასუხი.

კითხვა. რა მნიშვნელობას ანიჭებთ თქვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, როგორც საერთაშორისო მშვიდობიანობის დაცვის საშუალებას?

პასუხი. მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რადგან იგი მშვიდობიანობის დაცვისა და საერთაშორისო უშიშროების სერიოზულ იარაღს წარმოადგენს.

ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ძალა ის არის, რომ იგი ემყარება სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს და არა იმ პრინციპს, რომ ერთი სახელმწიფო ბატონობდეს მეორეზე. თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მოახერხა მომავალშიც დაიცვას თანასწორუფლებიანობის პრინციპი, იგი უთუოდ დიდ დადებითს როლს შეასრულებს საყოველთაო მშვიდობიანობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

კითხვა. თქვენი აზრით, რით არის გამოწვეული ახლანდელი შიში ომისა, რასაც ბევრ ქვეყანაში განიცდის მრავალი ადამიანი?

პასუხი. მე დარწმუნებული ვარ, რომ არც ერები და არც მათი არმიები არ ესწრაფვიან ახალ ომს,—მათ სურთ მშვიდობიანობა და ესწრაფვიან მშვიდობიანობის უზრუნველყოფას. მაშასადამე, „ახლანდელი შიში ომისა“ ამ მხრივ როდია გამოწვეული. მე ვფიქრობ, რომ „ახლანდელი შიში ომისა“ გამოწვეულია ზოგიერთი იმ პოლიტიკური ჯგუფის მოქმედებით, რომლებიც ახალი ომის პროპაგანდას ეწევიან და, ამრიგად, უთანხმოებისა და რწმენის უქონლობის თესლს თესავენ.

კითხვა. რა უნდა გააკეთონ ამჟამად თავისუფლებისმოყვარე ქვეყნების მთავრობებმა მშვიდობიანობისა და სიმშვიდის დასაცავად მთელ მსოფლიოში?

პასუხი. აუცილებელია რომ საზოგადოებრიობამ და სახელმწიფოთა მმართველმა წრეებმა მოაწყონ ფართო კონტრპროპაგანდა ახალი ომის პროპაგანდისტების წინააღმდეგ და მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის, რათა ახალი ომის პროპაგანდისტების ყოველ გამოსვლას ჯეროვანი წინააღმდეგობა გაეწიოს საზოგადოებრიობისა და პრესის მხრივ, რათა, ამრიგად, დროულად იქნან მხილებულნი ომის გამჩაღებელნი და არ მიეცეთ მათ საშუალება სიტყვის თავისუფლება ბოროტად გამოიყენონ მშვიდობიანობის ინტერესების წინააღმდეგ.

1946 წლის 22 მარტი.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის პასუხი იუნაიტედ პრესის სააგენტოს პრეზიდენტ ბ-ნ ჰიუ ბეილის დეპეშაზე

იუნაიტედ პრესის სააგენტოს პრეზიდენტ ბ-ნ ჰიუ ბეილის დეპეშა

მოსკოვი, კრემლი

გენერალისიმუს სტალინს

მე მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმ განცხადებას, რომელიც უინსტონ ჩერჩილმა გაუკეთა იუნაიტედ პრესის სააგენტოს მთელი მსოფლიოს გაზეთებისა და რადიოკომპანიებისათვის გადასაცემად. ამასთან დაკავშირებით მინდა განვაახლო ჩემი წინადადება იმის შესახებ, რომ თქვენ იუნაიტედ პრესის სააგენტოს მისცეთ განცხადება საერთაშორისო მდგომარეობის გამო. თუ თქვენ გსურთ უპასუხოთ ჩერჩილის საბუთს იმის შესახებ, რომ ირანის საკითხში საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სწრაფი მოქმედება, იუნაიტედ პრესის სააგენტო მოხარული იქნება გადასცეს მსოფლიოს თქვენი შეხედულებანი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გაქვთ ირანის ან საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შესახები რაიმე სხვა საკითხები, რომლებზე შეჩერებასაც თქვენ ისურვებდით, გთხოვთ გამოიყენოთ ჩვენი შესაძლებლობანი, რასაც თქვენს განკარგულებაში გადმოვცემთ.

მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურვილები.

ჰიუ ბეილი, იუნაიტედ პრესის სააგენტოს პრეზიდენტი.

ნიუ-იორკი, 1946 წლის 22 მარტი.

პასუხი იუნაიტედ პრესის სააგენტოს პრეზიდენტს ბ-ნ ჰიუ ბეილის

ნიუ-იორკი

იუნაიტედ პრესის სააგენტოს პრეზიდენტს ჰიუ ბეილის

გმადლობთ თქვენი თავაზიანი წინადადებისათვის. ბ-ნ ჩერჩილის საბუთს დამაჯერებლად ვერ ჩავთვლი, რაც შეეხება ირანიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის საკითხს, იგი, როგორც ცნობილია, უკვე გადაიჭრა დადებითად საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ირანის მთავრობას შორის შეთანხმებით.

ი. სტალინი

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

1946 წლის 25 მარტი.

ვიმუშაოთ ისე, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი

პარტიამ და მთავრობამ, დიდმა სტალინმა საბჭოთა ხალხი შეაიარაღეს ახალი მშენებლობის გრანდიოზული პროგრამით. კომუნისტური პარტიის გეგმებმა, რომლებზეც ამხანაგი სტალინი თავის წინასაარჩევნო სიტყვაში ლაპარაკობდა, მკაფიო და სრული გამოხატულება ჰპოვეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებულ კანონში ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

სესიის გადაწყვეტილებებს მთელი საბჭოთა ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. მგზნებარე პატრიოტიზმი, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული ამჟამად მთელ საბჭოთა ხალხს თავგანწირული შემოქმედებითი შრომისათვის აღაფრთოვანებს. სახალხო ინიციატივა ყოველდღე ფართოვდება. ყოველი მხრიდან მოდის ცნობები საბჭოთა ადამიანების ახალ-ახალი შრომითი საგმირო საქმეების შესახებ. ახალი სტალინური ხუთწლედის გეგმა საბჭოთა ხალხმა მიიღო როგორც თავისი ცხოვრებისა და შრომის საბრძოლო პროგრამა, როგორც თავისი სისხლხორცეული საქმე. ეს საყოველთაო-სახალხო აღმავლობა საბჭოთა წყობილების ძალის, საბჭოთა ადამიანების დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგიის ახალი მკაფიო დადასტურებაა.

ხუთწლიანი გეგმის კანონი უზრუნველჰყოფს საბჭოთა საქართველოს მეურნეობისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას. ხუთწლედის მანძილზე კაპიტალური დაბანდებანი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში 4.120 მილიონ მანეთს შეადგენს.

მომდინარე ხუთწლედში საქართველოს ეკონომიური განვითარების დამახასიათებელი თავისებურებაა მძლავრი ზრდა მისი მძიმე ინდუსტრიისა, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის აყვავების საფუძველია. საქართველოს სსრ სამრეწველო პროდუქციის ნომენკლატურაში პირველად ჩნდება შავი ლითონები—თუჯი, ფოლადი, ჩნდება კოქსი, ავტომობილები.

330 ათასი ტონა თუჯის, 135 ათასი ტონა ფოლადის, 450 ათასი ტონა კოქსის, 15 ათასი ცალი ავტომობილის გამოშვება არის გათვალისწინებული 1950 წლის გეგმით. 284 პროცენტით დიდდება ქვანახშირის მოპოვება, 41 პროცენტით — მარგანეცის მადნის მოპოვება. ახალ მძლავრ გაქანებას ღებულობს დაზგათმშენებლობა.

ლითონისა და სათბობის წარმოების გეგმის, მანქანათმშენებლობის განვითარების ამ მაჩვენებლებში ნათლად ჩანს მასშტაბები რესპუბლიკის იმ ახალი მძლავრი აღმავლობისა, რაც ხუთწლიანი გეგმით არის გათვალისწინებული.

მრეწველობასთან ერთად მძლავრად განვითარდება საქართველოს სოფლის მეურნეობა. 7,5 ათასი ჰექტარით დიდდება ჩაის პლანტაციების ფართობი, 11 ათასი ჰექტარით — ციტრუსოვანთა ფართობი. უზრუნველყოფილია მეევნახეობის, მეაბრეშუმეობის, მეთამბაქოობის მნიშვნელოვანი ზრდა. საგრძნობლად ვითარდება მეცხოველეობა.

დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დარგში. ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში უნდა აიგოს 732 ათასი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი.

თვითეული პროპაგანდისტისა და აგიტატორის, თვითეული პარტიული მუშაკის, აქტივისტის მოვალეობაა ფართო მასების შეგნებამდე დაიყვანოს ხუთწლიანი გეგმის კანონი, მოახდინოს მშრომელთა მობილიზაცია თვითეულ ქალაქში, რაიონში, საწარმოში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ხუთწლიანი გეგმის წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

თავის მოხსენებაში თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე ამხანაგმა ჩარკვიანმა დახატა საქართველოში მეოთხე ხუთწლედში მშენებლობის წარმტაცი სურათი. საჭიროა ფართოდ გავაცნოთ მშრომელებს უდიდესი მშენებლობანი, რომლებიც შესცვლიან ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიულ სახეს: შავი მეტალურგიის პირმშო — ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც იქმნება საქართველოს კოქსვადი ქვანახშირისა და აზერბაიჯანის რკინის მადნის ბაზაზე; ჭუთაისის საავტომობილო ქარხანა, აგრეთვე ფართო მშენებლობა ქვანახშირის შახტებისა ტყიბულსა და ტყვარჩელში, მშენებლობა ხრამის ჰიდროელსადგურისა, ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხნისა, თბილისის პლასტიკური მასების ქარხნისა, გორის საფეიქრო კომბინატისა და სხვა.

მიმდინარე ხუთწლედში საინჟინრო სისტემებით მორწყული ფართობი, 1945 წელთან შედარებით, უნდა გავადიდოთ 55 ათასი ჰექტარით მაინც, ე. ი. 60 პროცენტით. დიდმნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ზემო სამგორის სარწყავი სისტემა; ის საშუალებას მოგვცემს აყვავებულ ბაღ-ვენახებად, ბოსტნებად და მაღალმოსავლიან ბამბის პლანტაციებად გადავაქციოთ 37 ათასზე მეტი ჰექტარი ამჟამად გაუდაბურებული მიწა, რომელიც უშუალოდ თბილისს ეკვრის. დიდი წყალსაცავი, რომელიც მლაშე ტბების აუზში შეიქმნება, არა თუ დაამშვენებს ქალაქს, არამედ საშუალებასაც მოგვცემს ტყეები გავაშენოთ ახლო-მახლო ფერდობებზე, ქალაქის ისეთ რაიონებში, როგორიცაა ღრმა-ღელე, ავლაბარი, ნავთლუღი. ამასთან სამგორის სარწყავი სისტემა მოგვცემს არა მხოლოდ სარწყავ წყალს, არამედ ელექტროენერგიასაც.

პარტიულმა ორგანიზაციებმა სისტემატურად უნდა განუმარტონ მშრომელებს, რომ ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება, სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცება და საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება დამოკიდებულია მათი ღონისძიებებისაგან, თვითეული საბჭოთა ადამიანის დაძაბული შრომისაგან თავის უბანზე.

მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში დიდი მნიშვნელობა ექნება ლექციებს, მოხსენებებსა და საუბრებს. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1946 წლის 27 მარტის დადგენილებით დაწესებულ ლექციების თემატიკას უნდა დაემატოს თემები საშეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანებზე ჩვენს რესპუბლიკაში, ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში.

გასაგებია, რომ ლექციებით და მოხსენებებით შეიძლება მხოლოდ მშრომელთა შედარებით მცირე წრე მოვიცვათ. აგიტატორები და პროპაგანდისტები მოწოდებული არიან ყოველდღიურად განუმარტონ მშრომელებს მეოთხე ხუთწლედის ძირითადი მიზნები და ამოცანები. ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი ამოცანა ეკისრება პარტიულ აქტივს. უწინარეს ყოვლისა სწორედ პარტიული აქტივი უნდა ჩაუდგეს სათავეში მუშაობას მასებისათვის ახალი ამოცანების ახსნა-განმარტებისა და ამოცანების გადასაწყვეტად მშრომელთა მობილიზების დარგში.

აქტივი—ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების დასაყრდენი, პარტიულ გადაწყვეტილებათა უშუალო გამტარებელია. ომიანობის წლებში საქართველოს პარტიული აქტივი მნიშვნელოვნად გაიზარდა. საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაება მრავალი ადამიანი, რომლებმაც ომიანობის დროის სიძნელეებთან ბრძოლის სერიოზული სკოლა განვლეს. და ახლა, როცა პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა უნდა გასწიონ ახალი ხუთწლედის ისტორიული ამოცანების შესასრულებლად მასების მობილიზაციისათვის, უნდა უზრუნველვყოთ აქტივის მუშაობისადმი ყოველდღიური კონკრეტული ხელმძღვანელობა, დავეხმაროთ თვითეულ აქტივისტს, რათა მან თავისი ადგილი იპოვნოს მასების ორგანიზატორთა და წინამძღოლთა რიგში, დავეხმაროთ მას უდიდესი ნაყოფიერებით გამოიყენოს თავისი ორგანიზატორული ნიჭი და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება.

თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივმა განიხილა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნის ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის მოხსენება „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმისა და თბილისის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ". ამ განხილვამ გვიჩვენა, თუ რა პასუხისმგებლობით და სერიოზულობით ეკიდებიან პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები მეოთხე სტალინური ხუთწლედიდან გამომდინარე ამოცანებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად თვითეული პირველადი ორგანიზაციის ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცების საკითხებს. საჭიროა უზრუნველვყოთ მთელი **შინაპარტიული მუშაობის** ხარისხის გაუმჯობესება, თვითეული პარტიული ორგანიზაციის იდეური ცხოვრების დონის ამაღლება. საბოლოო ანგარიშით, შინაპარტიული მუშაობის ხარისხის შესახებ უნდა ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდება მეურნეობა, როგორ იზრდებიან ჩვენი ადამიანები, რამდენად მაღალია პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტი, რამდენად ძლიერია მისი გავლენა მასებზე და მისი როლი წარმოების ძირითადი საკითხების გადაწყვეტაში.

შრომის ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის გადიდება — აი ჩვენი საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმნიშვნელოვანესი რეზერვი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დამატებითი შესაძლებლობების წყარო.

ყველა პარტიული ორგანიზაციის ენერგია მიმართულ უნდა იყოს მასების მობილიზაციისაკენ მეოთხე სტალინური ხუთწლედიდან გამომდინარე საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ყოველდღიურად, ყოველთვიურად, ყოველ კვარტალში და ყოველ წელს. ეს მოითხოვს მშრომელთა ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის გააქტიურებას. ახალ საფეხურზე უნდა იქნას აყვანილი სოციალისტური შეჯიბრება. უნდა ავამოქმედოთ და გამოვიყენოთ მასების საზოგადოებრივი აქტივობის ყველა ფორმა.

მუშათა კრებები, საწარმოო თათბირები, სამეურნეო აქტივის კრებები, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღების, ძირეულ მუშაკთა გამოცდილების გამოყენების, შეჯიბრებაში ინიციატივის წაქეზების მოქმედ საშუალებად უნდა იქცეს.

განუწყვეტლივ და მარჯვედ უნდა გავავრცელოთ **სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა გამოცდილება,** წარმოების საუკეთესო ორგანიზაციის გამოცდილება, გაბედულად და მტკიცედ დავნერგოთ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, გამოვიჩინოთ ბოლშევიკური შეურიგებლობა წარმოების ყველა და ყოველგვარი ნაკლოვანებისადმი, არაორგანიზებულობისა და მოშვებულობის სულ მცირეოდენი გამოვლინებისადმი.

მშრომელებს უნდა განვუმარტოთ, რომ ხუთწლიანი გეგმის განხორციელება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ მიმდინარე სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების გზით. უნდა გავაჩაღოთ ბრძოლა იმისათვის, რომ 1946 წლის გეგმებს, კვარტალურ და თვიურ გეგმებს მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს თვითეული საწარმო, თვითეული საამქრო, თვითეული ბრიგადა.

ამჟამად საქართველოს საწარმოებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში ტარდება კრებები, რომლებზეც მშრომელები განიხილავენ ხუთწლიანი გეგმის შესრულების ამოცანებს. პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა სათანადო ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ამ კრებებს, რათა მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კონკრეტულ ხასიათს ატარებდეს და მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას უზრუნველჰყოფდეს. ყოველი მასშტაბის თვითეულ პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელს უნდა ახსოვდეს, რომ საქმის წარმატება დამოკიდებულია არა იმდენად კარგ გადაწყვეტილებებზე, რამდენადაც მათი შესრულების ქმედითს კონტროლზე.

იმისათვის, რომ პარტიულმა აქტივმა, აგიტატორებმა, პროპაგანდისტებმა წარმატებით გაართვან თავი მათს წინაშე დასახულ ამოცანებს, თვითონ მათ ღრმად უნდა შეისწავლონ ხუთწლიანი გეგმის კანონი. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველჰყონ მომხსენებლებისა და აგიტატორების გულდასმით ინსტრუქტირება და განსაკუთრებული ყურადღებით გააცნონ მათ მოცემული ქალაქის, რაიონისა და საწარმოს წინაშე მდგომი ამოცანები. გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ თავისი მუშაობა პარტკაბინეტებმა. პროპაგანდისტსა და აგიტატორს საშუალება უნდა ჰქონდეს პარტკაბინეტში მიიღოს საინტერესო მასალა, ფაქტები და ციფრები თავისი საუბრების საილუსტრაციოდ, აზრიანი კონსულტაცია იმის გარშემო, თუ როგორ ჩაატაროს საუბარი ამა თუ იმ თემაზე ხუთწლედის შესახებ.

„პარტიული ორგანიზაციები, — ამბობდა თავის მოხსენებაში თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი,—სისტემატურ მუშაობას უნდა ეწეოდნენ, რათა განუმარტონ მშრომელთ ხუთწლიანი გეგმის საფუძვლები და დარაზმონ ისინი მორიგი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების შესასრულებლად. თავიანთი მასობრივი და ორგანიზატორული მუშაობით ისინი უნდა უზრუნველჰყოფდნენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის მიმდინარე გეგმების აუცილებლად მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

საქართველოში ყველა პირობა მოგვეპოვება იმისათვის, რომ ღირსეულად, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ ახალი ხუთწლედის დავალებანი. ჩვენმა ხალხმა გაიარა ბრძოლისა და მშენებლობის შესანიშნავი სკოლა სახელოვანი სტალინელის, ბოლშევიკური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** ხელმძღვანელობით“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებით გამოწვეული უდიდესი პატრიოტული აღმავლობა ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ყველა მიმდინარე სამეურნეო-პოლიტიკური და კულტურული ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის. პარტიული ორგანიზაციების, ყველა აგიტატორისა და პროპაგანდისტის წმიდათაწმიდა მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ ამ აღმავლობას, გაუძღვენ მასებს მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმიდან გამომდინარე ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში. საქართველოს პარტიული ორგანიზაციების წმიდათაწმიდა მოვალეობაა განუწყვეტლივ აუმჯობესონ ხელმძღვანელობის მეთოდები, განამტკიცონ პარტიული ორგანიზაციების გავლენა მასებზე, იმუშაონ ისე, როგორც გვასწავლის ამხანაგი **სტალინი.**

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა 1946—1950 წლებისათვის

სსრ კავშირის საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ნ. ა. ვოზნესენსკის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თქვენს განსახილველად შემოაქვს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა 1946-1950 წლებისათვის.

I.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები

მშვიდობიან შრომაზე გადასვლის შესაძლებლობა საბჭოთა კავშირის ხალხებმა მოიპოვეს უდიდესი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების—ჰიტლერული გერმანიის განადგურებისა და იაპონიის იმპერიალიზმის დამარცხების შედეგად. მოპოვებულია სსრ კავშირის სრული სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკური გამარჯვება გერმანიისა და იაპონიის იმპერიალიზმზე. ამიერიდან ჩვენი სამშობლო განთავისუფლებულია გერმანელთა შემოსევის საფრთხისაგან დასავლეთით და იაპონიის შემოსევის საფრთხისაგან აღმოსავლეთით.

სსრ კავშირის გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ გაიმარჯვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ წარმოშობილმა საბჭოთა **საზოგადოებრივმა** წყობილებამ. საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი წყობილება დაფუძნებულია საწარმოო საშუალებათა სოციალისტურ საკუთრებაზე. საბჭოთა სახელმწიფოს ხელში ძირითად საწარმოო საშუალებათა თავმოყრამ უზრუნველჰყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სწრაფი სამხედრო გარდაქმნა. რევოლუციამდელ რუსეთს არ შეეძლო გადაელახა საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონე საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრების ბატონობის დროს, რამაც მას გადაუჭრელი სიძნელეები შეუქმნა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. სსრ კავშირში სამამულო ომის დაწყების დიდი ხნით ადრე ლიკვიდირებულ იქნენ ექსპლოატატორული კლასები: მემამულეთა კლასი უკვე ლიკვიდირებული იყო სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრების შედეგად; სოციალიზმის გამარჯვებასთან ერთად მოისპო კაპიტალისტთა კლასი მრეწველობის დარგში, მოისპო კულაკთა კლასი სოფლის მეურნეობის დარგში, მოისპნენ ვაჭრები და სპეკულანტები საქონელბრუნვის დარგში.

სოციალისტური წყობილების გამარჯვებამ და ჩვენი საზოგადოების

კლასობრივი სტრუქტურის ძირფესვიანად შეცვლამ უზრუნველჰყო სსრ კავშირის ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირი და ურღვევი მეგობრობა ყველა ხალხისა, რომლებიც დიდ საბჭოთა კავშირს ჰქმნიან.

სსრ კავშირის გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ გაიმარჯვა საბჭოთა **სახელმწიფოებრივმა** წყობილებამ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა კვლავ ცხადჰყო საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების ურყევი სიცოცხლისუნარიანობა და ძალა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში 1937 წელს მონაწილეობა მიიღო 91,1 მილიონმა ამომრჩეველმა, ხოლო 1946 წელს — 101,5 მილიონმა ამომრჩეველმა, მათ შორის 100,6 მილიონმა ხმა მისცა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკს. ეს არის უდიდესი სოციალისტური დემოკრატიისა და მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცის გამოვლინება. საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების თავისებურებას წარმოადგენს მისი უნარი — კრიზისულ პერიოდში მობილიზაცია უყოს უდიდეს რეზერვებს და ხალხის გმირული შრომით უზრუნველჰყოს ომის საჭიროებანი ჩვენი ქვეყნის წარმოებით. საბჭოთა ზურგის მშრომელებმა, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა, საბჭოთა გლეხობამ და ინტელიგენციამ, თავდადებულმა ქალებმა და ახალგაზრდობამ გმირობა ჩაიდინეს და ეკონომიური გამარჯვება მოიპოვეს მტერზე. საბჭოთა ხალხისა და მისი სახელმწიფოებრივი წყობილების ხელმძღვანელი ძალაა კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), ლენინ-სტალინის პარტია, რომლის ხელმძღვანელობითაც მთელი მრავალეროვანი საბჭოთა კავშირი ერთიან საბრძოლო ბანაკად დაირაზმა.

საბჭოთა კავშირის გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ გაიმარჯვეს საბჭოთა **შეიარაღებულმა** ძალებმა, გაიმარჯვა წითელმა არმიამ დიდი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).** სამამულო ომში გამოიჭედა სტალინური სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა, რომლებშიც ათვისებულია სუვოროვისა და კუტუზოვის გამოცდილება, თანამედროვე ომების გამოცდილება და გამდიდრდნენ ახალი სამხედრო ტექნიკით. გამარჯვების სტალინურმა მეცნიერებამ, ცეცხლისა და მანევრის შეხამების ახალმა ტაქტიკამ წითელი არმია გაამდიდრა მტრის გასანადგურებლად მიმართული უდიდესი ძალით. გამარჯვების სტალინური მეცნიერება მრავალი და მრავალი თაობისათვის სამუდამოდ დარჩება სიბრძნისა და გმირობის წყაროდ. საბჭოთა კავშირის გამარჯვება ნიშნავს ლენინიზმის გამარჯვებას, სტალინის გენიის უდიდეს გამარჯვებას. საბჭოთა კავშირი დიდ სტალინს უნდა უმადლოდეს რკინისებურ გაძლეობას და შეუდრეკელ ნებისყოფას იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის ხალხების მთელი რესურსები და ძალები წარიმართა ჰიტლერული გერმანიისა და იაპონიის იმპერიალიზმის გასანადგურებლად.

საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების მიღწევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ჩვენი ქვეყნის მთელი მატერიალური შესაძლებლობანი წინასწარ მომზადებული იყო აქტიური თავდაცვისათვის. ჩვენი გამარჯვების მატერიალური შესაძლებლობანი შექმნილი იყო ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების საფუძველზე. სამა-

მთლო ომის პერიოდში ეს მატერიალური შესაძლებლობანი სავსებით გამოიყენეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. სამამულო ომმა მოითხოვა საბჭოთა ეკონომიკის დაუყოვნებლივ გადაყვანა სამხედრო მეურნეობის რელსებზე. ამხანაგ სტალინის მეთაურობით შექმნილმა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, რომლის ხელშიც მოქცეულ იქნა მთელი ძალაუფლება, უზრუნველჰყო სახალხო მეურნეობის მთელი რესურსების მობილიზაცია სამამულო ომის საჭიროებისათვის.

შევადაროთ ზოგიერთი ცნობები პირველი მსოფლიო ომის პერიოდის რუსეთის სამხედრო ეკონომიკის შესახებ და ცნობები მეორე მსოფლიო ომის პერიოდის სსრ კავშირის სამხედრო ეკონომიკის შესახებ, რომლებიდანაც სჩანს, თუ როგორ გამოიყენეს საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ სოციალისტური წყობილების შესაძლებლობანი. რუსეთში მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია (უცვლელ ფასებში) 1915-1917 წლების პერიოდში შეადგენდა 33 მილიარდ მანეთს, ხოლო სსრ კავშირში (ძირითადად ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში) 1942-1944 წლების პერიოდში შეადგენდა 361 მილიარდ მანეთს, ე. ი. თითქმის თერთმეტჯერ გადიდდა; სახალხო მარცვლეულის წარმოება იმავე პერიოდებში გადიდდა 2,5-ჯერ; რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვის საშუალო წლიური დონე სსრ კავშირში 1942-1944 წლების პერიოდში 1915-1917 წლების პერიოდის რუსეთთან შედარებით 3,4-ჯერ გადიდდა.

ტანკებისა და თვითმფრინავების წარმოება რუსეთში პირველი მსოფლიო ომის პერიოდში თითქმის არ ყოფილა; სსრ კავშირში სამამულო ომის უკანასკნელ სამ წელს ყოველწლიური გამოშვება შეადგენდა 30 ათასზე მეტ ტანკსა და თვითმავალს და 40 ათასამდე თვითმფრინავს. ქვემეხების საშუალო წლიური გამოშვება რუსეთში პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელ სამ წელს შეადგენდა 3,9 ათასამდე ცალს; სსრ კავშირში ყოველწლიური გამოშვება სამამულო ომის უკანასკნელ სამ წელს შეადგენდა 120 ათასამდე ქვემეხს, ანუ 30-ჯერ მეტს. ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევებს რუსეთში პირველი მსოფლიო ომის სამ უკანასკნელ წელს ამზადებდნენ დაახლოებით 8,9 ათას ცალს წელიწადში; სსრ კავშირში სამამულო ომის უკანასკნელ სამ წელს ყოველწლიურად მზადდებოდა 450 ათასამდე ტყვიამფრქვევი, ანუ 50-ჯერ მეტი. შაშხანებს რუსეთში პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელ სამ წელს ამზადებდნენ 1.050.000 ცალს წელიწადში; სსრ კავშირში შაშხანები და ავტომატები სამამულო ომის უკანასკნელ სამ წელს ყოველწლიურად მზადდებოდა ხუთი მილიონი ცალი, ანუ ხუთჯერ მეტი. ნაღმსატყორცნები პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელ სამ წელს რუსეთში ყოველწლიურად მზადდებოდა დაახლოებით 6,2 ათასი ცალი; სსრ კავშირში სამამულო ომის უკანასკნელ სამ წელს ყოველწლიურად მზადდებოდა 100 ათასი ცალი, ანუ 16-ჯერ მეტი. ყუმბარები, ბომბები და ნაღმები რუსეთში პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელ სამ წელს მზადდებოდა დაახლოებით 16,3 მილიონი ცალი, სსრ კავშირში 1944 წელს დამზადდა 240 მილიონი ცალი, ანუ 15-ჯერ მეტი. ასეთია ის შედეგები საწარმოო ძალთა განვითარებისა სოციალისტური წარმოების საფუძველზე, რომლებმაც თავი იჩინეს სამამულო ომის პერიოდში, მიუხედავად სსრ კავშირის იმ ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დროებითი ოკუპაციისა, რომელიც მდიდარია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მხრივ.

სსრ კავშირის სამხედრო ეკონომიკის ისტორიაში იყო ისეთი პერიოდი, როდესაც სამხედრო მრეწველობის მეტი ნაწილი მოძრაობაში იყო აღმოსავლეთისაკენ. იქ გადაგვქონდა ათიათასობით დაზგა, ურო, წნეხი, ტურბინა. იქ მიდიოდა ათასობით მუშა, ინჟინერი და ტექნიკოსი. ეს იყო თავისებური პერიოდი სსრ კავშირის საწარმოო ძალთა ადგილგადანაცვლებისა აღმოსავლეთისაკენ. ამ დროს მტერი ჩვენი წმიდათა-წმიდა დედაქალაქის —მოსკოვის კარიბჭესთან იდგა. სსრ კავშირი დროდადრო კრიზისულ მდგომარეობას განიცდიდა. ვერც ერთი სხვა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, ვერც ერთი სხვა არმია ვერ გაუძლებდა ასეთ სამხედრო და ეკონომიურ განსაცდელს. ეს შესძლეს მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფომ, ჩვენმა ხალხმა და კომუნისტურმა პარტიამ დიდი სტალინის მეთაურობით. და აი — ომი დამთავრდა გამარჯვებით, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა ქვეყანამ კვლავ განაახლა თავისი ძლევამოსილი გზა კომუნიზმისაკენ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამ უზრუნველჰყო მშვიდობიან პერიოდზე გადასვლა და საბჭოთა კავშირის ხალხების წინაშე დააყენა ახალი ამოცანა — სამხედრო მეურნეობის გადაყვანა მშვიდობიანი ეკონომიკის რელსებზე. საბჭოთა კავშირი სამეურნეო განვითარების მშვიდობიან პერიოდში შევიდა.

„ამჟამად საბჭოთა ხალხის წინაშე დგას ამოცანა—განამტკიცოს მოპოვებული პოზიციები და გასწიოს წინ ახალი სამეურნეო აღმავლობისაკენ“ (სტალინი).

სამხედრო მეურნეობიდან მშვიდობიანი დროის ეკონომიკაზე გადასვლა კაპიტალისტურ ქვეყნებში სწარმოებს თავისი, კაპიტალიზმისათვის ჩვეული განსაკუთრებული კანონებით. ამერიკის შეერთებულ შტატებში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მაქსიმალური დონე იყო 1943 წლის ოქტომბერში. ამის შემდეგ სამრეწველო წარმოებას ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ დონისათვის არასოდეს აღარ მიუღწევია და 1945 წლის დაბლევისათვის მესამედზე მეტით შემცირდა, რაც უდრის, დაახლოებით, 1941 წლის წარმოების დონეს. წარმოების დონის შემცირებამ ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე გამოიწვია უმუშევრობის ზრდა. ინგლისში, რომელმაც მეორე მსოფლიო ომამდე ხანგრძლივი დეპრესია განიცადა, კვლავ წამოეჭრნენ ძველი პრობლემები. როგორც ცნობილია, ინგლისს არ შეუძლია არსებობა ნედლეულისა და სურსათის უიმპორტოდ. მაგრამ ნედლეულისა და სურსათის შესატანად და მათი ფასის გადასახდელად საჭიროა დიდი ექსპორტი, ვალუტა და აღდგენა მრეწველობის უნარისა — იაფად დაამზადოს საქონელი ექსპორტისათვის. ხოლო საერთაშორისო ბაზარი, მეორე მსოფლიო ომის შედეგად, მოშლილია და მას სულ უფრო და უფრო იპყრობენ ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებსაც გაცილებით უფრო განვითარებული საწარმოო ძალები მოეპოვებათ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი რწმენით მიდის წინ სოციალისტური წყობილების შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების გზით, არ ეშინია ეკონომიური კრიზისებისა, დეპრესიებისა და უმუშევრობისა, თანმიმდევრულად გარდაჰქმნის სახალხო მეურნეობას და აძლიერებს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ტემპებს სახელმწიფო

გეგმების საფუძველზე, რომლებსაც სსრ კავშირში განვითარების ეკონომიური კანონების ძალა აქვთ. სსრ კავშირი კვლავაც განავითარებს ეკონომიურ ურთიერთობას უცხო ქვეყნებთან საბჭოთა მთავრობის იმ ნაცადი ხაზის დაცვით, რომელიც ნავარაუდევია საბჭოთა კავშირის ტექნიკურ-ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის.

სამამულო ომმა აამაღლა და გააძლიერა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მნიშვნელობა. მოპოვებულია უდიდესი გამარჯვება. მაგრამ ვინც ყოყოჩობს და ვისაც თავბრუ ეხმის წარმატებისაგან, ის საბოლოო ანგარიშით აგებს. ამიტომ კომუნისტური პარტია საბჭოთა კავშირის ხალხების წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს, რომლებიც გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის, სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის პირობების შექმნისათვის.

სსრ კავშირის 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანა ის არის, რომ **აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ მნიშვნელოვნად გადავაჭარბოთ ამ დონეს.** ამის შესაბამისად სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა შემდეგ ამოცანებს ითვალისწინებს:

პირველი, ომამდელ დონესთან შედარებით თითქმის ერთნახევარჯერ გავადიდოთ სამრეწველო პროდუქციის წარმოების დონე და უზრუნველვყოთ **პირველ რიგში მძიმე მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენა და განვითარება,** ურომლისოდაც შეუძლებელია სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის სწრაფი და წარმატებითი აღდგენა და განვითარება. მძიმე ინდუსტრიის სწრაფად აღდგენის გარეშე არ შეიძლება განმტკიცდეს ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური დამოუკიდებლობა. ამ საქმეში დაგვიანება იმას ნიშნავს, რომ დავკარგოთ ის მატერიალური წანამძღვარები, რომლებმაც სამამულო ომის პერიოდში უზრუნველჰყვეს ჩვენი სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკური გამარჯვება. საჭიროა 1946 წელს დავამთავროთ სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი გარდაქმნა და სამხედრო მრეწველობის საწარმოო სიმძლავრენი გამოვიყენოთ საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერების შემდგომი გადიდებისათვის.

მეორე, მივაღწიოთ სოფლის მეურნეობისა და მოხმარების საშუალებათა მწარმოებელი მრეწველობის აღმავლობას საბჭოთა კავშირის ხალხთა მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და **ჩვენს ქვეყანაში ფართო მოხმარების ძირითადი საგნების სიუხვის შესაქმნელად.** საჭიროა გადავაჭარბოთ სახალხო შემოსავლის ომამდელ დონეს და სახალხო მოხმარების დონეს, უახლოეს ხანში გავაუქმოთ საბარათო სისტემა და შევცვალოთ იგი გაშლილი, კულტურული საბჭოთა ვაჭრობით, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებას. მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებას საქონლის ფასების თანმიმდევრული დაკლების გზით. ეს ამოცანები, თავის მხრივ, მოითხოვენ ფულის ტრიალისა და საბჭოთა მანეთის განმტკიცებას.

მესამე, უზრუნველვყოთ **შემდგომი ტექნიკური პროგრესი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში,** როგორც წარმოების მძლავრი აღმავლობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების პირობა. ამისათვის საჭიროა არა მარტო დავეწიოთ, არამედ უახლოეს დროში კიდევაც გადავაჭარბოთ

მეცნიერების მიღწევებს სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ. სოციალისტური წარმოების ტემპების დაჩქარება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სულ უფრო და უფრო მეტად იქნება განსაზღვრული ტექნიკური პროგრესით და ხალხის ინტერესებისათვის მისი გამოყენებით. კაპიტალისტურ ქვეყნებში ტექნიკური პროგრესი ეწინააღმდეგება საზოგადოების პოლიტიკურ და ეკონომიურ ორგანიზაციას. ჩვენი ამოცანა ის არის, რომ გამოვიყენოთ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობანი და უზრუნველვყოთ ჩვენს ქვეყანაში ტექნიკური პროგრესის სწრაფი და განუწყვეტელი განვითარება. ჩვენი სამშობლოს ისტორიას ახსოვს მეცნიერებისა და ტექნიკის ბევრი ნოვატორი და რევოლუციონერი, რომლებმაც მოახდინეს მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენები. საკმაოა მოვიხსენიოთ **პოპოვი** — გამოჩენილი ფიზიკოსი, გამომგონებელი რადიოსი, რომელიც დღემდე განაგრძობს გადატრიალებათა მოხდენას მეცნიერებაში და უახლესი რადიოლოკაციური ტექნიკის საფუძველს წარმოადგენს; **მენდელეევი** — მსოფლიოს უდიდესი ქიმიკოსი, რომელმაც აღმოაჩინა პერიოდული კანონი — ქიმიის ძირითადი კანონი, რაც უკანასკნელ დრომდე ეხმარება მეცნიერებს ატომის ენერგიის საიდუმლოს აღმოჩენაში; **უუკოვსკი** — მთელ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, რომელმაც შეჰქმნა თანამედროვე აეროდინამიკისა და ავიაციის თეორიული საფუძვლები; **ციოლკოვსკი** — გამოჩენილი მეცნიერი და გამომგონებელი, რომელმაც შეიმუშავა რეაქტიული მოძრაობის თეორია, რაც საფუძვლად უძევს თანამედროვე რეაქტიულ ტექნიკას, და რომელმაც წინ გაუსწრო ასეთ გამოკვლევებს საზღვარგარეთ. ჩვენს მეცნიერთათვის სათანადო დახმარების გაწევით საბჭოთა მეცნიერება შესძლებს გადააჭარბოს მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებს საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ.

მეოთხე, უზრუნველვყოთ სოციალისტური დაგროვების მაღალი ტემპები, გავითვალისწინოთ ცენტრალიზებულ კაპიტალდაბანდებათა მოცულობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთი წლის განმავლობაში 250 მილიარდი მანეთის ოდენობით და 234 მილიარდი მანეთის ღირებულების აღსადგენ და ახალ საწარმოთა ამოქმედება. დაზარალებულ რაიონებში სახალხო მეურნეობის აღდგენასთან ერთად ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას. ძირითადი ფონდები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში, კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის შესრულების შედეგად არა მარტო აღდგენილ იქნება, არამედ 1950 წელს კიდევაც გადიდდება 1.130 მილიარდ მანეთამდე (სახელმწიფო ფასებში) და 8 პროცენტით გადააჭარბებს სსრ კავშირის მთელი ტერიტორიის ძირითადი ფონდების განვითარების ომამდელ დონეს. კაპიტალური მშენებლობის პროგრამის განსახორციელებლად საჭიროა შევქმნათ მძლავრი სამშენებლო ინდუსტრია და უზრუნველვყოთ კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობის ყოველწლიური მატება დაახლოებით 12 პროცენტით.

მეხუთე, ჩვენი ამოცანაა **სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი გაძლიერება და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების აღჭურვა უახლესი სამხედრო ტექნიკით.** საბჭოთა ხალხს სურს კიდევ უფრო ძლიერსა და მძლავრს ხედავდეს თავის შეიარაღებულ ძალებს, რათა თავისი ქვეყანა უზრუნველჰყოს ყოველგვარი შემთხვევითობისაგან და იდგეს მშვიდობიანო-

ბის საგუშაგოზე. აღმოსავლეთით და დასავლეთით აღდგენილია საბჭოთა კავშირის ისტორიული საზღვრები. ამიერიდან აღმოსავლეთში სამხრეთ სახალინი და კურილის კუნძულები ოკეანისაგან საბჭოთა კავშირის მოწყვეტის საშუალება და ჩვენს შორეულ აღმოსავლეთზე იაპონიის თავდასხმის ბაზა კი აღარ იქნება, არამედ ოკეანესთან საბჭოთა კავშირის პირდაპირი კავშირის საშუალება და იაპონიის აგრესიისაგან ჩვენი ქვეყნის დაცვის ბაზაა. ამიერიდან თავისუფალი და დემოკრატიული პოლონეთის სახელმწიფო არის არა ჩვენს დასავლეთ საზღვრებზე გერმანიის თავდასხმის პლაცდარმი, არამედ ჩვენი მოკავშირეა გერმანიის აგრესიისაგან დაცვაში. მაგრამ ამხანაგი სტალინი გვაფრთხილებს, რომ „მშვიდობისმოყვარე ერებს მომავალში შესაძლოა კვლავ მოუმზადებელს მოუსწროს აგრესიამ, თუ, რა თქმა უნდა, მათ ახლავე არ გამოიმუშავეს სპეციალური ღონისძიებანი, რომლებითაც შესაძლებელი იქნება აგრესიის თავიდან აცილება". არ უნდა დავივიწყოთ, რომ მონოპოლისტურ კაპიტალიზმს სჩვევია ახალი აგრესორების წარმოშობა. ახალი აგრესიის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სავსებით განვაიარაღოთ აგრესიული ერები, დავაწესოთ მათზე სამხედრო და ეკონომიური კონტროლი და გაერთიანებული ერების კავშირის სახით ვიქონიოთ ორგანო, რომელიც საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების საგუშაგოზე იდგომება და რომელსაც უნარი ექნება დაიცვას მშვიდობა და გაუმკლავდეს ახალ აგრესიას. საჭიროა განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები, დაუღალავად ვზრუნავდეთ თანამედროვე უახლესი ტექნიკით მათი აღჭურვისა და საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ხუთწლიანი გეგმა, რომელიც უზრუნველჰყოფს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას, ამავე დროს განაახლებს საბჭოთა საზოგადოების განვითარების იმ გზას, რომელიც დასახული იყო საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ, მაგრამ დროებით შეწყვეტილ იქნა საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმით. ეს გზა ითვალისწინებს უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებას და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლას. იგი ითვალისწინებს სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრას—დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ეკონომიურად ე. ი. ერთ სულ მოსახლეობაზე სამრეწველო წარმოების ოდენობის მხრივ. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმა ამ მხრივ შემდგომ ნაბიჯს სდგამს წინ. ჩვენი დროშაა მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მეცნიერული კომუნიზმი. ამ დროშით ახალ გამარჯვებებს მოვიპოვებთ კომუნიზმის გზაზე. (ხანგრძლივი ტაში).

II.

წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის ზრდის გეგმა

სსრ კავშირის მშვიდობიანი განვითარების ახალი პერიოდის ძირითადი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების შესაბამისად, ხუთწლიანი გეგმა განსაზღვრავს მატერიალური წარმოების ტემპებსა და დონეს 1946-1950 წლებისათვის.

მრეწველობა

სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 1950 წელს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის უკანასკნელ წელს, განსაზღვრულია 205 მილიარდი მანეთის ოდენობით (1926-27 წლების ფასებში), ე. ი. ომამდელი დონის 48 პროცენტის გადაჭარბებით, მათ შორის სამრეწველო პროდუქციის წარმოება ოკუპაციისაგან დაზარალებულ რაიონებში 15 პროცენტით გადააჭარბებს ომამდელ დონეს. წარმოების ესოდენ მნიშვნელოვანი აღმავლობის უზრუნველსაყოფად ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სოციალისტური მრეწველობის განვითარების სწრაფ ტემპს. თუ 1921-1926 წლების აღდგენით პერიოდში პროდუქციის ყოველწლიური მატება 2.049 მილიონ მანეთს შეადგენდა, პირველ ხუთწლედში—5.478 მილიონ მანეთს, მეორე ხუთწლედში—10.438 მილიონ მანეთს, მესამე ხუთწლედის სამ წელიწადში—14.316 მილიონ მანეთს, 1946-1950 წლების ხუთწლედში საჭიროა უზრუნველვყოთ პროდუქციის აბსოლუტური მატება 15.600 მილიონი მანეთის ოდენობით. ამასთან საწარმოო საშუალებათა წარმოების ზრდის ტემპი რამდენჯერმე უსწრებს მოხმარების საგნების წარმოების ზრდის ტემპს.

შავი მეტალურგიის დარგში, რომლის აღმავლობაც განსაზღვრავს სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას, დასახულია თუჯის წარმოების გადიდება 19,5 მილიონ ტონამდე და ფოლადისა 25,4 მილიონ ტონამდე, ე. ი. შავი ლითონის წარმოების ომამდელი დონის გადაჭარბება 35 პროცენტით. შავი მეტალურგიის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის ხუთი წლის განმავლობაში ამოქმედდება 45 ბრძმედი, 180 მარტენის ღუმელი და კონვერტორი, 90 ელექტროღუმელი და 104 საგლინავი დაზგა. ფერადი და იშვიათი ლითონების წარმოება იმ ოდენობამდე გადიდდება, რომ ამან უზრუნველჰყოს სახალხო მეურნეობის საჭიროების სრული დაკმაყოფილება ჩვენი ქვეყნის მრეწველობის ხარჯზე. სპილენძის წარმოება ომამდელ დონესთან შედარებით 1,6-ჯერ დიდდება, ალუმინისა 2-ჯერ, მაგნიუმისა 2,7-ჯერ, ნიკელისა 1.9-ჯერ, ტყვიისა 2,6-ჯერ, თუთიისა 2,5-ჯერ, ვოლფრამის კონცენტრატებისა 4,4-ჯერ, მოლიბდენის კონცენტრატებისა 2,1-ჯერ, კალისა 2.7-ჯერ; ასევე მნიშვნელოვანი და უფრო სწრაფი ტემპითაც კი ვითარდება ახალი იშვიათი ლითონების წარმოება.

სათბობის მრეწველობაში ქვანახშირის მოპოვება 1950 წელს დიდდება 250 მილიონ ტონამდე, ანუ ომამდელ დონესთან შედარებით 51 პროცენტით; ქვანახშირის მრეწველობაში თითქმის ახლად იქმნება წარმოების ახალი დარგი — ქვანახშირის გაუხვება და დაბრიკეტება; მთელი კოქსადი ქვანახშირი, რომლის ნაცრიანობაც 7 პროცენტს აღემატება, და ენერგეტიკული ქვანახშირი, რომლის ნაცრიანობაც 10 პროცენტს აღემატება, მთლიანად გაუხვებულ უნდა იქნას, რაც ამცირებს სათბობის გადაზიდვას და ამაღლებს სათბობის გამოყენების კულტურას; მექანიზმების პარკი ქვანახშირის მრეწველობაში ომამდელ დროსთან შედარებით 3-4-ჯერ დიდდება: ხუთწლედის განმავლობაში ამოქმედდება 183 მილიონი ტონის სიმძლავრის ქვანახშირის შახტები, 184 მილიონი ტონის სიმძლავრის 277 ნახშირგამამუხვებელი ფაბრიკა და წლიურად 10 მილიონი ტონა ბრიკეტის სიმძლავრის 26 ქვანახშირის ბრიკეტის ფაბრიკა. იქმნება და ვითარდება სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობის

ახალი დარგები: სინთეზური თხევადი საწვავის წარმოება წელიწადში 900 ათასი ტონის გამომუშავებით და გაზის მრეწველობა წელიწადში 11,2 მილიარდი კუბმეტრი გაზის მოპოვებით. ნავთის მოპოვება დიდდება 35,4 მილიონ ტონამდე, რაც ნიშნავს ომამდელი დონის 14 პროცენტით გადაჭარბებას. ამასთან სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების ხვედრითი წონა ნავთის საერთო მოპოვებაში 1940 წლის 12 პროცენტიდან დიდდება 36 პროცენტამდე 1950 წელს.

ელექტროფიკაციის დარგში: გათვალისწინებულია ელექტროენერგიის წარმოების გადიდება 82 მილიარდ კილოვატსაათამდე, რაც 70 პროცენტით აღემატება ომამდელ დონეს; ჰიდროელექტროენერგიის ხვედრითი წონა ელექტროენერგიის მთელ გამომუშავებაში დიდდება 1940 წლის 10,5 პროცენტიდან 15,2 პროცენტამდე 1950 წელს; ენერგეტიკულ სისტემებში იქმნება სიმძლავრეთა მუდმივი რეზერვები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ სახალხო მეურნეობის შეუფერხებელ მომარაგებას ელექტროენერგიით და მაღალი ხარისხის ელექტროენერგიის წარმოებას. ამ მიზნით ხუთი წლის განმავლობაში ამოქმედდება 11,7 მილიონი კილოვატის სიმძლავრის ელექტროსადგურები, მათ შორის 3,3 მილიონი კილოვატის სიმძლავრისა იქნება დიდი და მცირე ჰიდროელექტროსადგურები.

მანქანათმშენებლობაში, რომელსაც წამყვანი როლი ეკუთვნის შემდგომი ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფაში, გათვალისწინებულია 1950 წელს მანქანებისა და მოწყობილობის წარმოების ერთიორად გადიდება ომამდელ დონესთან შედარებით, ხოლო მეტალურგიული მოწყობილობის წარმოება დიდდება 3,7-ჯერ, ავტომობილების წარმოება—500 ათასამდე წელიწადში, ანუ 3,4-ჯერ, ორთქლმავლების წარმოება დიდდება 2,4-ჯერ, ტრაქტორებისა 3,6-ჯერ და ელექტრომოწყობილობისა 2,5-ჯერ. წარმოების ტექნოლოგიური პროცესების კონტროლისა და მართვის ავტომატიზაციის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე საცდელ და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა უზრუნველსაყოფად ყოველმხრივ ვითარდება ხელსაწყოთა მშენებლობა, ამასთან ოპტიკურ-მექანიკურ და ელექტროსაზომ ხელსაწყოთა წარმოება 1950 წელს 1940 წელთან შედარებით დიდდება 7-ჯერ.

ქიმიური მრეწველობის დარგში პროდუქციის წარმოება 1950 წელს 1,5-ჯერ დიდდება ომამდელ დონესთან შედარებით; მინერალური სასუქების წარმოება 1950 წელს ომამდელ დონეს გადააჭარბებს ფოსფოროვანი სასუქების დარგში ერთიორად, აზოტოვანი სასუქების დარგში 1,8-ჯერ და კალიუმის სასუქების დარგში 1,3-ჯერ. სინთეზური კაუჩუკის წარმოება დიდდება ერთიორად, ამასთან არასაკვები ნედლეულისაგან დამზადებული კაუჩუკის წილი დიდდება კაუჩუკის მთელი წარმოების 38 პროცენტამდე, ნაცვლად 1940 წლის 1,1 პროცენტისა. ქაღალდის წარმოება დიდდება 1950 წელს 1.340 ათას ტონამდე, ანუ 65 პროცენტით ომამდელ დონესთან შედარებით.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს **ხე-ტყისა** და **სამშენებლო** მასალების მრეწველობის აღდგენისა და განვითარების სწრაფ ტემპს. მერქნის გამოზიდვა დიდდება 280 მილიონ კუბმეტრამდე, რაც უზრუნველჰყოფს საქმიანი მერქნის გამოზიდვის 59 პროცენტით ზრდას ომამდელ დონესთან შედარებით. ცემენტის წარმოება დიდდება 10,5 მილიონ ტონამდე, ანუ 1,8-ჯერ ომამდელ დონესთან შედარებით, და ფანჯრის მინის წარმოება 80 მილიონ

კვადრატულ მეტრამდე, ანუ აგრეთვე 1,8-ჯერ ომამდელ დონესთან შედარებით. იქმნება მრეწველობის ახალი დარგი — საცხოვრებელი სახლების საფაბრიკო წარმოება. ხორციელდება ხე-ტყის დამზადებისა და გამოზიდვის მექანიზაციის პროგრამა, რისთვისაც ფართოდ გამოყენებულ იქნება ელექტროხერხები ხე-ტყის დასამზადებლად, სატრაილო ტრაქტორები ხე-ტყის გამოსატანად; მექანიზებული ავტოტრანსპორტი და ვიწროლიანდაგიანი რკინიგზები დასაცურებელ გზებსა და მაგისტრალურ რკინიგზებზე ხე-ტყის გამოსაზიდავად.

კვების პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საგნების წარმოების დარგში ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს პროდუქციის მატების ყოველწლიურ ტემპს 17 პროცენტით, იმ ანგარიშით, რომ არა მარტო აღვადგინოთ, არამედ კიდევაც გადავაჭარბოთ ომამდელ დონეს. ბამბეულის ქსოვილების წარმოება დიდდება 4.686 მილიონ მეტრამდე, შალეულისა 159 მილიონ მეტრამდე, აბრეშუმის ქსოვილებისა 141 მილიონ მეტრამდე, ტყავის ფეხსაცმლის წარმოება დიდდება 240 მილიონ წყვილამდე და წინდისა 580 მილიონ წყვილამდე, რაც უზრუნველჰყოფს წარმოების ომამდელი დონის არსებითად გადაჭარბებას; იქმნება მსხვილი მრეწველობა ხელოვნური აბრეშუმისა, რომლის წარმოებაც 4,6-ჯერ დიდდება ომამდელ დონესთან შედარებით. ხორცის პროდუქტების წარმოება დიდდება 1.300 ათას ტონამდე, ერბო-კარაქისა 275 ათას ტონამდე და შაქრისა 2.400 ათას ტონამდე, რაც აგრეთვე აღემატება 1940 წლის წარმოების დონეს.

სამრეწველო წარმოების ზრდის გეგმის შესაბამისად **სსრ კავშირის მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა** ხუთწლედისათვის განისაზღვრება 157.5 მილიარდი მანეთით. საჭიროა 1946-1950 წლების პერიოდში აღვადგინოთ, ავაშენოთ და ავამოქმედოთ 5.900-მდე სახელმწიფო საწარმო, მათ შორის 3.200 საწარმო დაზარალებულ რაიონებში. წვრილი საწარმოები რომ არ ჩავთვალოთ.

კაპიტალური მშენებლობის და ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების პროგრამის უზრუნველსაყოფად ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სამშენებლო ინდუსტრიის ყოველმხრივ განმტკიცებასა და განვითარებას და სამშენებლო მანქანების წარმოების გადიდებას.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა ხუთწლედის განმავლობაში შეადგენს 153 მილიარდ მანეთს. მისი განხორციელებისათვის საჭიროა უზრუნველვყოთ სამშენებლო სამუშაოთა ფართო მექანიზაცია, მათ შორის მექანიზებულ უნდა იქნას მიწის სამუშაოები 1950 წლისათვის გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოთა მოცულობის 60 პროცენტამდე. ღორღის მტვრევა 90 პროცენტამდე, ბეტონის დამზადება 95 პროცენტამდე და ხსნარებისა 90 პროცენტამდე, ბეტონის წყობა 60 პროცენტამდე და სამღებრო სამუშაოები 50 პროცენტამდე.

სამამულო ომის პერიოდში ჩვენმა მშენებლებმა ისწავლეს უფრო სწრაფად და მომჭირნედ შენება. მაგრამ ეს ტემპი და სამუშაოთა ღირებულება ამჟამად ჩვენთვის მიუღებელია. საჭიროა ვაშენოთ კიდევ უფრო მომჭირნეთ და უფრო შემჭიდროებულ ვადებში. ამისათვის საჭიროა:

ჯერ-ერთი აღვკვეთოთ „გიგანტომანია“ მშენებლობაში და აღმოვფხვრათ გადამეტებულობა ტექნიკურ პროექტებში:

მეორე — ვაშენოთ ხარჯთაღრიცხვების მიხედვით, რომლებსაც შემ-

კვეთლები და მენარდენი ერთმანეთთან უნდა ამოწმებდნენ და რომლებიც ეკონომიური უნდა იყოს;

მესამე — სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა ჰყავდეთ მუდმივი კადრები, აგრეთვე უნდა ჰქონდეთ საკუთარი დამხმარე საწარმოები სამშენებლო მასალებისა და მექანიზმების წარმოებისათვის.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს შრომატევადი პროცესების **ყოველმხრივ მექანიზაციას,** განსაკუთრებით შავი მეტალურგიის, ხე-ტყისა და სათბობის მრეწველობის დარგში, და მეტი წარმადობის მოწყობილობის დადგმას, იმ ანგარიშით, რომ მივაღწიოთ წარმოების ომამდელ დონეს და გადავაჭარბოთ მას შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერებით. სსრ კავშირის მთელი მრეწველობისათვის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს შრომის მექანიზაცია, უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესების გამოყენება და წარმოების შემდგომი ელექტროფიკაცია და ავტომატიზაცია.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს 1946-1950 წლების პერიოდში **შრომის ნაყოფიერების** გადიდებას მრეწველობაში ომამდელ დონესთან შედარებით 36 პროცენტით, რაც მიღწეულ უნდა იქნას მუშათა ტექნიკური შეიარაღების დაახლოებით ერთნახევარჯერ ზრდის, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ფართო პროგრამის განხორციელებისა და რვასაათიანი სამუშაო დღის სრული გამოყენების გზით. დიდ სახალხო სამეურნეო ამოცანას წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების ომამდელი დონის აღდგენა და შემდგომი ზრდა აღსადგენ საწარმოებში, სადაც ჩვენ ჯერ კიდევ გერ მივაღწიეთ საშუალოდ მთელს მრეწველობაში ერთ მშრომელზე გამომუშავების ომამდელ დონეს. წარმოების მექანიზაციის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების საფუძველზე დაზარალებული რაიონების აღსადგენ საწარმოებში მშრომელთა რაოდენობის არსებობისას უკვე უახლოეს პერიოდში შეიძლება გავზარდოთ წარმოება არა ნაკლებ, ვიდრე 1,5-ჯერ. ეს ჩვენი რეზერვებია და ისინი უნდა გამოვიყენოთ.

სახალხო მეურნეობის განვითარების ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლებისა და შრომის მექანიზაციის საფუძველს წარმოადგენს განვითარებული მანქანათმშენებლობა, აღჭურვილი საკმაო რაოდენობის მაღალნაყოფიერი დაზგებით. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სსრ კავშირში ლითონმჭრელი დაზგების რაოდენობის გადიდებას 1.300 ათასამდე, რაც, დაახლოებით, 30 პროცენტით აღემატება ამერიკის შეერთებული შტატების სადაზგო პარკს 1940 წელს. ამაში არის სსრ კავშირის ტექნიკურ-ეკონომიური დამოუკიდებლობისა და შემდგომი ტექნიკური პროგრესის უდიდესი საფუძველი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

წარმოების ფართო მექანიზაციასა და ელექტროფიკაციასთან ერთად საჭიროა უზრუნველვყოთ სამუშაოები **ტექნიკისა** და წარმოების **ახალი დარგების** განსავითარებლად. ამას ეკუთვნის: მაგარი სათბობის გაზიფიკაცია და ენერგოქიმიური გამოყენება, რაც ცვლის სათბობის უდიდესი რაოდენობით გადაზიდვას გაზის გადაცემით მილებში და ელექტროენერგიისა მავთულებით; ელექტროტექნოლოგიის გამოყენება მსუბუქი და ფერადი ლითონების, ლეგირებული ფოლადის, ქიმიური პროდუქტების წარმოებაში და ლითონდამუშავებაში; სინთეზური პროდუქტების — ხელოვნური თხევადი სათბობის, სინთეზური კაუჩუკისა და პლასტიკური მასების. ხელოვნური ბოჭკოს და

ტყავის და სინთეზური სპირტის წარმოება; მჟავადის დანერგვა წარმოების სხვადასხვა ტექნოლოგიურ პროცესებში, პირველ რიგში მეტალურგიულ და ქიმიურ მრეწველობაში; მაღალი ძაბვის მუდმივი ელექტროდენის გადაცემა დიდ მანძილზე, რომლის დარგშიც განზრახულია სამეცნიერო-ექსპერიმენტულ სამუშაოთა ჩატარება და ამ ამოცანის პრაქტიკული განხორციელების დაწყება; თანამედროვე ხელსაწყოების წარმოება, კერძოდ, რადიოლოკაციის დარგში, და მათი გამოყენება სახალხო მეურნეობაში; სამუშაოები რეაქტიული ტექნიკის განსავითარებლად, ახალი ტიპის ძრავთა გამოყენება, რომლებიც ჰქმნიან ახალ სიჩქარეებს და სიმძლავრეებს; სამუშაოები შიდაატომური ენერგიის საკითხების გამოსაკვლევად მრეწველობისა და ტრანსპორტის ინტერესებისათვის.

შემდგომი ტექნიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად საჭიროა გავაფართოოთ და შევქმნათ ახალი ექსპერიმენტული საწარმოები, საკონსტრუქტორო ბიუროები და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, მატერიალურად ყოველმხრივ წავაქეზოთ მეცნიერთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა მეცნიერული და საგამომგონებლო მუშაობა.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის დარგში ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის აღდგენას და შემდგომი განვითარების უზრუნველყოფას, რათა გადაჭარბებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ომამდელი დონე მთლიანად სსრ კავშირში. სოფლის მეურნეობის სწრაფი აღდგენისა და შემდგომი განვითარების მიზნით უზრუნველყოფილია კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცება და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-საეურნეო განმტკიცება. თუ სოფლის მეურნეობის 1932 წლის (პირველი ხუთწლედი) **საერთო პროდუქციას** 100 პროცენტად მივიღებთ, 1937 წელს (მეორე ხუთწლედი) იგი შეადგენს 153 პროცენტს, 1940 წელს (მესამე ხუთწლედი) — 177 პროცენტს, ხოლო 1950 წელს, ე. ი. ომისშემდგომი ხუთწლედის უკანასკნელ წელს, შეადგენს 225 პროცენტს.

მარცვლეული კულტურების ხაზით ხუთწლედის დამლევს **მარცვლეულის** საერთო **მოსავალი** დიდდება 127 მილიონ ტონამდე, ე. ი. 1940 წლის დონეს გადააჭარბებს 7 პროცენტით, რაც უზრუნველჰყოფს სურსათით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებას და პურის საჭირო რეზერვებს ქვეყანაში. **ტექნიკური კულტურების** ხაზით შაქრის ჭარხლის საერთო მოსავალი დიდდება 26 მილიონ ტონამდე, ანუ 22 პროცენტით აღემატება ომამდელ დონეს, ნედლი ბამბის მოსავალი — 3,1 მილიონ ტონამდე, ანუ 25 პროცენტით აღემატება ომამდელ დონეს, საბოჭკოე სელის — 0,8 მილიონ ტონამდე, ანუ 39 პროცენტით აღემატება 1940 წლის დონეს და მზესუმზირას მოსავალი დიდდება 3,7 მილიონ ტონამდე, ანუ 11 პროცენტით აღემატება ომამდელ დონეს. ხუთწლიანი გეგმა ნათესი ფართობების გადიღებასთან ერთად ითვალისწინებს სწორი თესლბრუნვის აღდგენასა და შემდგომ ათვისებას, თესლბრუნვაში ბალახთესვის გამოყენებას და ნარევბალახეულის, პარკოსანი (განსაკუთრებით სამყურისა და იონჯის) და მარცვლოვანი მრავალწლიანი ბალახების ფართო გამოყენებას. აგრეთვე

ანეულის დროული ხვნისა და კარგი დამუშავების უზრუნველყოფას. მნიშვნელოვნად უმჯობესდება მრავალწლიანი ბალახების დარგში სასელექციო და სამეთესლეო მუშაობა იმ მიზნით, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ შესძლოს უზრუნველჰყოს თავისი მოთხოვნილება თესლისა მიღებული თესლბრუნვის შესაბამისად; მარცვლეულის, მარცვლეულ-პარკოსანი, ზეთოვანი და სხვა კულტურების ნათესები უზრუნველყოფილია მაღალხარისხოვანი სელექციური და გაუმჯობესებული შერჩეული ადგილობრივი ჯიშების თესლით; მარცვლეული კულტურების ხაზით გათვალისწინებულია მბლიან ჯიშთა ნათესებზე გადასვლის დამთავრება ჯიშთა დარაიონების გეგმის შესაბამისად.

მეცხოველეობის დარგში ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მსხვილფეხა რქიანი საქონლის, ცხვრის, თხისა და ღორის ომამდელი სულადობის აღდგენასა და გადაჭარბებას და უზრუნველჰყოფს ხუთი წლის განმავლობაში ცხენის სულადობის 46 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი საქონლისას — 39 პროცენტით, ცხვრისა და თხისას—75 პროცენტით და ღორისას ერთისამად გადიდებას 1945 წელთან შედარებით. კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა მატულობს 25,9 მილიონ სულამდე, ანუ 29 პროცენტით აღემატება 1940 წლის დონეს, ცხვრისა და თხის სულადობა—ნახ.1 მილიონ სულამდე, ანუ 62 პროცენტით აღემატება. და ღორისა — 11,1 მილიონ სულამდე, ანუ 35 პროცენტით აღემატება 1940 წლის დონეს. გათვალისწინებულია პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდება, უწინარეს ყოვლისა, მტკიცე საკვები ბაზის შექმნით თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში და პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესებით, რისთვისაც უნდა მოეწყოს პირუტყვის მეტიზაცია მაღალპროდუქტიული ჯიშიანი მწარმოებლებით. დასახულია აგრეთვე პირუტყვის ჯიშების შემდგომი გაუმჯობესება ყველაზე პროდუქტიული ცხოველების შერჩევის გზით.

სოფლის მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობისათვის **ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მინერალური სასუქის** მიწოდების მნიშვნელოვან გადიდებას. სოფლის მეურნეობისათვის ტრაქტორების მიწოდება (პირობითი 15-ძალიანი ტრაქტორები) ხუთწლედის განმავლობაში შეადგენს 720 ათას ტრაქტორს, ნაცვლად 512 ათასი ტრაქტორისა მეორე ხუთწლედში. სოფლის მეურნეობისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიწოდება ხუთი წლის განმავლობაში შეადგენს (1926-27 წლის უცვლელ ფასებში) 4,5 მილიარდ მანეთს, ნაცვლად 1,9 მილიარდი მანეთისა მეორე ხუთწლედში, რომლის პერიოდშიც მიღწეული იყო სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ტრაქტორების წარმოების ყველაზე მაღალი დონე. ეწყობა გაუმჯობესებული კონსტრუქციების სასოფლო-სამეურნეო მანქანების და ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება, რათა მექანიზებული იქნას ტექნიკური, საკვები, ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის მოყვანის სამუშაოები. ეწყობა აგრეთვე მანქანების წარმოება მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოთა მექანიზაციისათვის.

სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქის (აზოტიანი, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქის) წარმოება და მიწოდება ხუთი წლის განმავლობაში შეადგენს დაახლოებით 17 მილიონ ტონას, ნაცვლად 8,7 მილიონი ტონისა მეორე ხუთწლედში. ხუთწლიანი გეგმა საგებით უზრუნველ-

ჰყოფს ტექნიკური კულტურების მოთხოვნილებას მინერალური სასუქის მხრივ, აგრეთვე სხვა კულტურების, განსაკუთრებით ბოსტნეულისა და კარტოფილის, სასუქის მნიშვნელოვან გადიდებას. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს **სარწყავი ფართობების** ზრდას 656 ათასი ჰექტარით და დასაშრობი ფართობებისას—615 ათასი ჰექტარით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი მექანიზაციის განხორციელებასთან ერთად უფრო ფართო მასშტაბით ვითარდება კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების **ელექტროფიკაციის** საქმე. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სოფლებში 1 მილიონი კილოვატი სიმძლავრის მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას, რაც უზრუნველჰყოფა არა მარტო მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების, არამედ მრავალი ათასი კოლმეურნეობის ელექტროფიკაციას.

სოფლის მეურნეობის სამანქანო პარკის აღდგენა და ზრდა, მინერალური სასუქის მიწოდების გადიდება, აგრეთვე ბალახთესვის ფართო განვითარება, რაც გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით, უზრუნველჰყოფენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების **მოსავლიანობისა** და **საერთო მოსავლის** მნიშვნელოვან **გადიდებას,** რაც სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მომავალ ხუთწლედში.

სოფლის მეურნეობის აღდგენა და შემდგომი სწრაფი განვითარება შეიძლებელია მხოლოდ **სოციალისტური წარმოების** საფუძველზე, რომელმაც დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა როგორც მშვიდობიან პერიოდში, ისე სამამულო ომის წლებში. სოფლის მეურნეობის სწრაფი აღდგენისა და ახალი აღმავლობისათვის საჭიროა:

ჯერ-ერთი, ყოველმხრივ განვამტკიცოთ და გავამრავლოთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი სიმდიდრე, სწრაფად აღვადგინოთ და განვავითაროთ მეცხოველეობის ფერმები და გავადიდოთ საზოგადოებრივი ფონდები;

მეორე, ავამაღლოთ შრომადღის როლი და მნიშვნელობა კოლმეურნეობათა წარმოების მოწყობასა და შემოსავლის განაწილებაში; შრომა-დღე კვლავ ერთეული უნდა იყოს;

მესამე, ფართოდ განვახორციელოთ კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის, პირუტყვის სულადობის გამოზრდისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის;

მეოთხე, შევქმნათ საბჭოთა მეურნეობებში ოჯახიანი მუშების მუდმივი კადრები, რისთვისაც მიეცეთ მათ საკარმიდამო ნაკვეთები და სახელმწიფო დახმარება გაეწიოთ საკუთარი საცხოვრებელი სახლებისა და შინაური პირუტყვის შეძენაში.

ამასთან ერთად საჭიროა საწარმოო დახმარება გაეწიოთ ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდაველთის მოკავშირე რესპუბლიკების და უკრაინისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკების დასავლეთი ოლქების გლეხთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განმტკიცებით, მტს-ების, საქირაო პუნქტების ქსელის გაფართოებით, კრედიტის მიცემით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მინერალური სასუქის შეზიდვისა და შიყიდვის გადიდებით.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

მატერიალური წარმოებისა და მშენებლობის დასახული პროგრამის უზრუნველსაყოფად ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს რკინიგზის, წყალთა და საავტომობილო ტრანსპორტის **ტვირთბრუნვის** გადიდებას 1932 წლის 215 მილიარდი ტონა-კილომეტრიდან, 1937 წლის 430 მილიარდი ტონა-კილომეტრიდან და 1940 წლის 483 მილიარდი ტონა-კილომეტრიდან 657,5 მილიარდ ტონა-კილომეტრამდე 1950 წელს, რაც 36 პროცენტით აღემატება ომამდელ დონეს.

რკინიგზის ტრანსპორტის დარგში ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს საშუალო სადღეღამისო დატვირთვის გადიდებას 115 ათას ვაგონამდე და ტვირთბრუნვის გადიდებას 532 მილიარდ ტონა-კილომეტრამდე, რაც 28 პროცენტით აღემატება ომამდელ დონეს.

ტვირთის მიმოზიდვის მხრივ სახალხო მეურნეობის საჭიროების უზრუნველსაყოფად, უწინარეს ყოვლისა, სამხრეთის, ურალისა და ციმბირის რაიონებში, ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს რკინიგზის ტრანსპორტის კაპიტალურ აღდგენას იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, ახალი სარკინიგზო მაგისტრალების მშენებლობას, გამტარუნარიანობის რეზერვის შექმნას უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე და რკინიგზის ტრანსპორტის ხელახალ ტექნიკურ შეიარაღებას, უწინარეს ყოვლისა ელექტრობისა და თბომავლის წევის დანერგვით მთელ რიგ გზებზე, რაც უზრუნველჰყოფს რკინიგზის ტრანსპორტის მყარ მუშაობას, განსაკუთრებით ზამთრის პირობებში.

ამ ამოცანების შესაბამისად ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს საბჭოთა წარმოების ბაზაზე რკინიგზების ლოკომოტივთა პარკის გადიდებას 6.165 ორთქლმავლით, 555 ელექტრომავლით და 865 თბომავლით, აგრეთვე ვაგონების პარკის გადიდებას 472 ათასი სატვირთო ვაგონით (2-ღერძიანი გამოანგარიშებით). რკინიგზის ტრანსპორტისათვის ლოკომოტივთა წარმოება და მიწოდება დიდდება მეორე ხუთწლედის 5.960 ლოკომოტივიდან 7.585 ლოკომოტივამდე 1946-1950 წლების ხუთწლედში, ხოლო სატვირთო ვაგონების მიწოდება დიდდება მეორე ხუთწლედის 255 ათასი ვაგონიდან ომისშემდგომი ხუთწლედის პერიოდის 472 ათას ვაგონამდე.

დაზარალებულ რაიონებში რკინიგზების ქსელის კაპიტალურ აღდგენასთან ერთად ხუთწლედის განმავლობაში ამოქმედდება რკინიგზის ახალი ხაზები, რომელთა საერთო სიგრძე უდრის 7.230 კილომეტრს, მათ შორის 3.550 კილომეტრი ციმბირში. სწარმოებს აღდგენა და შენდება 12.500 კილომეტრი სიგრძის ახალი მეორე ლიანდაგი. ხდება 5.325 კილომეტრი რკინიგზის ელექტროფიკაცია. მათ შორის კუზბას-ურალის მიმართულებაზე. ამ სამუშაოთა უზრუნველსაყოფად ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს რკინიგზის ტრანსპორტისათვის 4,5 მილიონ ტონა რელსისა და 185 მილიონი შპალის დამზადებასა და მიწოდებას.

რკინიგზის ტრანსპორტზე მიმოზიდვის გადიდების დარგში ხუთწლიანი გეგმის შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობაა ვაგონების ბრუნვის დაჩქარება 1945 წლის 10.9 დღე-ღამიდან 7 დღე-ღამემდე 1950 წელს. სარკინიგზო მიმოზიდვის სიშორის შემცირებით არარაციონალური მიმოზიდვის აღკვეთით და რკინიგზებსა და მრეწველობის მისასვლელ გზებზე მოძრავი

შემადგენლობის ზედმეტი მოცდენის ლიკვიდაციით. ვაგონის ბრუნვის მარტო ერთი დღით დაჩქარება უზრუნველჰყოფს ტვირთვის სადღეღამისო დატვირთვის გადიდების შესაძლებლობას დაახლოებით 6.000 ვაგონით.

რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენისა და განვითარებისათვის ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს კაპიტალურ დაბანდებებს 40,1 მილიარდი მანეთის ოდენობით. ეს პროგრამა აუცილებლად უნდა შესრულდეს სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ყველაზე საარსებო და საჭირო პირობების შესაქმნელად.

წყალთა ტრანსპორტის დარგში 1950 წელს ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სამდინარო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის გადიდება 38 პროცენტით და საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის გადიდება 2,2-ჯერ ომამდელ პერიოდთან შედარებით. გრძელდება მუშაობა იმისათვის, რომ ჩრდილოეთის საზღვაო გზა ნორმალურად მოქმედი სანაოსნო მაგისტრალი გახდეს.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის გემთმშენებლობის სწრაფ განვითარებას. 1950 წელს საზღვაო გემთმშენებლობის პროგრამა გიდდება 2,5-ჯერ, ხოლო სამდინარო გემთმშენებლობისა — 4-ჯერ 1940 წელთან შედარებით. ხუთწლიანი გეგმა უზრუნველჰყოფს ძლიერი საბჭოთა ფლოტის მშენებლობას, აგრეთვე საზღვაო და სამდინარო ნავსადგურთა აღდგენასა და მშენებლობას. ხუთი წლის მანძილზე სსრ კავშირის სამდინარო და საზღვაო ფლოტის სიმძლავრე დიდდება 3,6 მილიონი ტონით და თვითმავალი სამდინარო ფლოტისა 300 ათასი ცხენძალით.

გრძელდება **საავტომობილო** ტრანსპორტისა და ავტომაგზაო მეურნეობის შემდგომი განვითარება. ჩვენი ქვეყნის საავტომობილო პარკი ერთიორად დიდდება ომამდელ დროსთან შედარებით; სწრაფად ვითარდება **საჰაერო** ტრანსპორტი.

სსრ კავშირის ელექტროკავშირგაბმულობის გენერალური სქემის საფუძველზე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს რადიოკავშირგაბმულობის განვითარებას და მტკიცე სატელეფონო-სატელეგრაფო **კავშირგაბმულობის** მოწყობის დამთავრებას მოსკოვსა და ყველა რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ცენტრებს შორის, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქებსა და მათ საოლქო ცენტრებს შორის; ხდება რაიონული ცენტრების, საბჭოფლო საბჭოების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების სრული ტელეფონიზაცია.

ტრანსპორტმა და კავშირგაბმულობამ აღდგენისა და შემდგომი განვითარების სწრაფი ტემპით გასაქანი უნდა მისცენ საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალების განვითარებას.

* * *

სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი გარდაქმნა მოითხოვს წარმოებისა და განაწილების ორგანიზაციის ეკონომიურ ბერკეტთა როლის განმტკიცებას. ეს ბერკეტებია: ფასი, ფული, კრედიტი, მოგება, პრემია. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვა სოციალისტური წარმოების განმტკიცებისა და განვითარებისათვის იყენებს ღირებულების კანონს იმ თავისებურებით, რომ საბჭოთა ეკონომიკაში გამორიცხულია ღირებულების გადაქცევა კაპიტალად, რომელიც შრომას უწევს ექსპლოატაციას.

სოციალისტური წარმოების კანონს წარმოადგენს საქონლის წარმოების ხარჯების სისტემატური შემცირება. ეს არის დაგროვებისა და მოხმარების ზრდის წყარო. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დონის შემცირებას 5 წლის მანძილზე 17 პროცენტით, მტს-ების სატრაქტორო სამუშაოებისა — 16 პროცენტით და სარკინიგზო მიმოზიდვისა — 18 პროცენტით, ამასთან ყოველმხრივ უნდა გაუმჯობესდეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის პროდუქციის ხარისხი. მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სახელმწიფო მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1945 წლის დონესთან შედარებით 1946-1950 წლების მანძილზე წარმოების ხარჯების შემცირებით მიღებული ეკონომიის საერთო თანხამ უნდა შეადგინოს 160 მილიარდამდე მანეთი.

ამრიგად, მატერიალური წარმოების აღდგენა და შემდგომი განვითარება სსრ კავშირში მოხდება სოციალისტური რეპროდუქციის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს:

ა) მატერიალური წარმოების ყველა დარგის გეგმაზომიერი განვითარების სწრაფ ტემპს;

ბ) ჩვენი ქვეყნის ძირითადი ფონდების განუწყვეტელ ზრდას და საბჭოთა რესურსებით ამ ზრდის უზრუნველყოფას;

გ) მშრომელთა ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას და ტექნიკური პროგრესის განვითარებას.

III.

ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების გეგმა

საბჭოთა კავშირის ხალხებმა აურაცხელი მატერიალური გაჭირვება გადაიტანეს სამამულო ომის მსვლელობაში და დიდი მსხვერპლი გაიღეს ჩვენი სამშობლოს გამარჯვების უზრუნველსაყოფად. მატერიალური, საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობების გაუმჯობესება ისე, რომ გამარჯვებულ ხალხს შეეფერებოდეს, ხუთწლიანი გეგმის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

მატერიალური წარმოების ზრდა უზრუნველჰყოფს **სახალხო შემოსავლის** მნიშვნელოვან გადიდებას და 1950 წელს ომამდელი დონის გადაჭარბებას 38 პროცენტით. 1913 წელს რუსეთის სახალხო შემოსავალი 21 მილიარდ მანეთს შეადგენდა. პირველ ხუთწლედში სახალხო შემოსავალი 45,5 მილიარდ მანეთამდე გადიდდა, მეორე ხუთწლედში—96,3 მილიარდ მანეთამდე, მესამე ხუთწლედის პერიოდში — 1940 წელს გაიზარდა 128,3 მილიარდ მანეთამდე, ხოლო 1950 წელს შეადგენს 177 მილიარდ მანეთს (1926-27 წლის უცვლელ ფასებში). სახალხო შემოსავლის საერთო თანხაში სამხედრო ხარჯების შემცირების გზით, მოხმარების ფონდის წილი ხუთწლედის მანძილზე დიდდება 73 პროცენტამდე, დაგროვების ფონდის წილი დიდდება 21 პროცენტამდე, და სახელმწიფო რეზერვები შეადგენენ დაახლოებით 6 პროცენტს.

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში 1950 წელს გადიდდება 33,5 მილიონ კაცამდე. სსრ კავშირის **სახალხო** მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის საშუალო წლიური **აბსოლუტური** მატება მომავალი ხუთწლედის მანძილზე შეადგენს დაახლოებით 1.250 ათას კაცს.

მუშათა კვალიფიციური კადრებით მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის უზრუნველსაყოფად ხუთწლიანი გეგმით, ახალგაზრდობიდან შრომითი რეზერვების მომზადების გარდა, დასახულია:

ა) წარმოებაში მასობრივი პროფესიების მომზადება არაკვალიფიციურ მუშათა ინდივიდუალური და ბრიგადული სწავლების გზით—5,4 მილიონი კაცისა;

ბ) 2,3 მილიონი კაცის — ტრაქტორისტის, კომბაინერისა და სხვა კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადება სოფლის მეურნეობისათვის;

გ) მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება უშუალოდ საწარმოში—13,9 მილიონი კაცისა.

წარმოებისათვის კვალიფიციური და მასობრივი კადრების შეგსების ძირითადი წყარო ხდება სახელმწიფო შრომითი რეზერვები, საიდანაც ხუთი წლის მანძილზე სახალხო მეურნეობაში იგზავნება 4,5 მილიონი ახალგაზრდა მუშა. სახალხო მეურნეობაში ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა რიცხვის გადიდება უზრუნველყოფილია უმაღლესი და სპეციალური საშუალო სასწავლებლებიდან ხუთი წლის მანძილზე 1.900 ათასი სპეციალისტების გამოშვებით.

ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის გადამწყვეტ საკითხს წარმოადგენს მრეწველობაში, ტრანსპორტსა და მშენებლობაზე ახალი მუშახელის გამოყენება. ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია სამეურნეო მუშაკი, რომელიც იმედოვნებს, რომ მუშახელს „მიიღებს“ მობილიზაციის წესით. ასეთ სამეურნეო მუშაკებს არ ესმით, რომ სიძნელეები მუშახელის მხრივ ომისშემდგომ ვითარებაში შემთხვევითი როდია, რომ ამ სიძნელეთა დაძლევა შეიძლება მხოლოდ მუშაობის ახალ მეთოდებზე გადასვლის გზით. მუშახელით უზრუნველსაყოფად საწარმოები უნდა გადავიდნენ მუშახელის ორგანიზებული შეგროვების პრაქტიკაზე, რისთვისაც საჭიროა ინდივიდუალური ხელშეკრულებანი დასდონ როგორც ცალკეულ მშრომელებთან, ისე კოლმეურნეობებთან; საჭიროა ყოველმხრივ მექანიზებულ იქნას შრომა და საწარმოებში შეიქმნას შრომისა და ყოფა-ცხოვრების ორგანიზაციის საუკეთესო პირობები, რომლებიც შეამსუბუქებენ შრომას და აამაღლებენ მუშათა კვალიფიკაციას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მუშა-მოსამსახურენი, ისევე როგორც ყველა მშრომელნი, სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მოითხოვენ თავიანთი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების უკეთ უზრუნველყოფას და ჩვენ მოვალენი ვართ შევასრულოთ ეს მოთხოვნები.

მუშა-მოსამსახურეთა **ხელფასის** ფონდი სახალხო მეურნეობაში 1950 წელს გაიზრდება 252 მილიარდ მანეთამდე ნაცვლად 1940 წლის 162 მილიარდი მანეთისა. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური ხელფასი სახალხო მეურნეობაში იდიდებს შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად და 1950 წელს 48 პროცენტით გადააჭარბებს 1940 წლის დონეს. წარმოების გადამწყვეტ დარგებში მუშახელის მიზიდვისა და მუშაკთა მუდმივი კადრების შექმნის მიზნით ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მუშათა, აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა უფრო მაღალ ხელფასს მძიმე მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიც არის მეტალურგია, ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობა, რაც შეესაბამება საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას ხელფასის დარგში, რომელიც შრომის ანაზღაურების უფრო მაღალ დონეს ითვალის-

წინებს არა მარტო მუშაკის კვალიფიკაციის მიხედვით, არამედ შრომის პირობების სიმძიმის მიხედვითაც. შრომის ნაყოფიერების გაღიდებასა და სახელმწიფო გეგმების შესრულებაში ხელფასის როლის გასაღიდებლად საჭიროა გაუმჯობესდეს მუშათა შრომის ანაზღაურების სანარდო-პროგრესიული სისტემის გამოყენების პრაქტიკა, აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა პრემირების სისტემა საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ამასთან სისტემატურად უნდა გაღიდდეს პრემიების მნიშვნელობა ხელფასში.

ქალაქისა და სოფლის მშრომელთა **კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის** სახელმწიფო ხარჯები (გარდა სახელმწიფო ხარჯებისა ქალაქის მშენებლობაზე) ხუთწლიანი გეგმით გიდდება 106 მილიარდ მანეთამდე 1950 წელს, რაც 2,6-ჯერ აღემატება 1940 წლის დონეს.

სასკოლო მშენებლობის დარგში ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ამოცანას აღდგენილ იქნას როგორც ქალაქში, ისე სოფლად შვიდი წლის ასაკიდან ბავშვთა საყოველთაო სწავლება, რაც დარღვეული იყო ომის მიერ. ამისათვის დაწყებითი შვიდწლიანი და საშუალო სკოლების რიცხვი 1950 წელს გიდდება 193 ათასამდე, ე. ი. ომამდელ დონემდე, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა ამ სკოლებში — 31,8 მილიონამდე. მუშა და გლეხი ახალგაზრდობის სკოლების ფართო ორგანიზაციის საფუძველზე უზრუნველყოფილია ახალგაზრდობის იმ ნაწილის სწავლა, რომელმაც სამამულო ომისა და მთელი რიგი საბჭოთა რაიონების დროებითი ოკუპაციის პირობებში ვერ შესძლო ნორმალური განათლება მიეღო სკოლაში.

სტუდენტთა რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებში 1950 წელს გაიღიდება 674 ათასამდე და სპეციალურ საშუალო სასწავლებელთა მოსწავლეებისა — 1.280 ათასამდე. ხუთწლიანი გეგმით დასახულია გაფართოვდეს უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადება მეტალურგიის, სათბობისა და ენერგეტიკული მრეწველობისათვის, სოფლის მეურნეობისა და რკინიგზის ტრანსპორტისათვის, მასწავლებელთა მომზადება დაწყებითი და საშუალო სკოლებისათვის, აგრეთვე დასახულია მოეწყოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება ახალი ტექნიკის დარგში.

ბავშვების რაოდენობა საბავშვო ბაღებში 1950 წელს დასახულია გაიღიდეს 2.260 ათასამდე, ანუ ერთიორად 1940 წელთან შედარებით. სავსებით უზრუნველყოფილ იქნება სახელმწიფო ხარჯზე საბავშვო სახლებში აღზრდა იმ ობლებისა, რომლებმაც მშობლები დაჰკარგეს სამამულო ომის პერიოდში. საავადმყოფოთა საწოლების რიცხვი 1950 წელს გიდდება 985 ათასამდე ნაცვლად 1940 წლის 710 ათასისა და ადგილების რიცხვი მუდმივ საბავშვო ბაგებში გიდდება 1.251 ათასამდე ნაცვლად 1940 წლის 859 ათასისა. სავსებით აღდგენილ იქნება დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების ქსელი მუშებისა, გლეხებისა და ინტელიგენციისათვის. უზრუნველყოფილ იქნება სამამულო ომის ინვალიდთა სამედიცინო მომსახურება.

კინოდანადგართა რიცხვი 1950 წელს გიდდება 46,7 ათასამდე ნაცვლად 1940 წლის 28 ათასისა. ყოველი რაიონული ცენტრი და ქალაქის ტიპის დაბა უზრუნველყოფილ იქნება სტაციონალური კინოდანადგარით. მნიშვნელოვნად ფართოვდება სტაციონალური კინოქსელი სოფლებში. სავსებით აღდგენილ იქნება თეატრების, კლუბებისა და მასობრივ ბიბლიოთეკათა

ქსელი ქალაქში და სოფლად. კიდევ უფრო განვითარდება ტელევიზია და ფერადი კინო.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს იმ რაიონების **ქალაქებისა და სოფლების** დანგრეული **საცხოვრებელი ფონდის** აღდგენას, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, და ახალ საბინაო მშენებლობას სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე ისეთი ოდენობით, რომელიც უზრუნველჰყოფს მშრომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესებას ქალაქებსა და სოფლებში.

ხუთი წლის მანძილზე დასახულია საბინაო მშენებლობაში დაბანდდეს 42,3 მილიარდი მანეთი და უზრუნველყოფილ იქნას ქალაქებსა და მუშათა დაბებში 72,4 მილიონი კვადრატული მეტრი საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემა. საბინაო ფონდის აღდგენისა და შემდგომი გადიდების უცილობელ პირობას წარმოადგენს საბინაო მშენებლობის მთელი საქმის ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანა, ამასთან საცხოვრებელი სახლების დეტალების კვანძებისა და კონსტრუქციების საფაბრიკო-საქარხნო წარმოების ორგანიზება და ქალაქისა თუ დაბის ტერიტორიაზე მათი აწყობა.

ამ მიზნით ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს საცხოვრებელი სახლების საფაბრიკო-საქარხნო წარმოების მოწყობას, ამასთან 1950 წელს დასახულია მათი წარმოება 4,2 მილიონი კვადრატული მეტრის რაოდენობით. ამ სახლებს მიიღებენ ქალაქები და დაბები და ქალაქის დაგეგმვის შესაბამისად ხდება სახლების აწყობა და არქიტექტურული გაფორმება. ქალაქებისა და სოფლების აღდგენა უნდა დაიწყოს აგურის, კირის, ცემენტის, მინის, სახურავის, ხისდამმუშავებელი ქარხნების აღდგენითა და წარმოების მოწყობით.

მრეწველობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში მუშათა მუდმივი კადრების შექმნის მიზნით უნდა მოეწყოს სახელმწიფო საწარმოების მიერ დამზადებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მიყიდვა მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის გრძელვადიანი სახელმწიფო კრედიტის მიცემით. ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული მუშებისა და ინტელიგენციის შრომითი დანაზოგი მათ მიერ საკუთარი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაგებად.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს 3.400 ათასი საცხოვრებელი სახლის აღდგენასა და ახალ მშენებლობას სოფლებში კოლმეურნეობათა და გლეხთა სახსრებით სახელმწიფო კრედიტის დახმარებით, მათ შორის იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს,—2.240 ათასი სახლისას. საჭიროა დახმარება გაეწიოს გლეხებსა და სოფლის ინტელიგენციას საკუთარი საცხოვრებელი სახლების აღდგენასა და აგებაში, როგორც კრედიტის მიცემით, ისე სამშენებლო მასალისა და მზა დეტალების მიყიდვის მოწყობით.

სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო **საქონელბრუნვის** მოცულობა 1950 წელს (1945 წლის ფასების დონის შემცირების გათვალისწინებით) გადიდდება 275 მილიარდ მანეთამდე, რაც 1940 წლის საქონელბრუნვის მოცულობას (1940 წლის ფასებში) აღემატება 28 პროცენტით.

არასაბაზრო ფონდების წილის შემცირებისას, უმთავრესად სამხედრო მომხმარებელთა ხარჯზე, სასურსათო საქონლის საბაზრო ფონდები 1950 წელს დიდდება 23 პროცენტით 1940 წლის დონესთან შედარებით. სამრეწველო საქონლის საბაზრო ფონდები იზრდება 1950 წელს 36 პროცენტით

ომამდელი 1940 წლის დონესთან შედარებით. 1945 წელთან შედარებით, როცა ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ომს ეწეოდა და არ შეეძლო დაემზადებინა და გამოეყო საქონლის საკმაო რაოდენობა მოსახლეობისათვის, საბაზრო ფონდები 1950 წელს გაცილებით უფრო დიდი ოდენობით დიდდება. ამ საფუძველზე მიღწეულ იქნება ძირითადი სასურსათო და სამრეწველო საქონლის სულ ბრივი მოხმარების არა მარტო ომამდელი დონე, არამედ მისი არსებითი გადაჭარბებაც.

ხუთწლიანი გეგმით დასახულია საოჯახო და კულტურული საჭიროების საგნების ფართო საცალო საქონელბრუნვა. სურსათის, ქსოვილთა და ფეხსაცმლის საბაზრო ფონდების ზრდასთან ერთად მატულობს ისეთი სამრეწველო საქონლით ვაჭრობა, როგორიცაა ველოსიპედი, რადიომიმღები, ავეჯი, მაცივარი, მოტოციკლი, სანადირო თოფი, მუსიკალური ინსტრუმენტი, მსუბუქი ავტომანქანა, სამშენებლო მასალა და საფაბრიკო-საქარხნო წარმოების ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია საბარათო სისტემის და მოსახლეობის ნორმირებული მომარაგების გაუქმება და გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლა. 1946 წელს დასახულია პურის, ფქვილის, ბურღულის და მაკარონის ნაწარმის ბარათების გაუქმება, ხოლო 1946 და 1947 წლების მანძილზე ყველა სხვა საქონლის საბარათო სისტემის გაუქმება. საბჭოთა ვაჭრობის გაშლა საბარათო სისტემის გაუქმების საფუძველზე და საქონლის ფასების თანმიმდევრული შემცირება განამტკიცებს ფულის მიმოქცევას და უფრო მეტად გაადიდებს საბჭოთა მანეთის მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის მთელ ეკონომიურ ცხოვრებაში.

ამრიგად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ხალხის ცხოვრების დონის სისტემატურ ამაღლებას:

ა) საქონლის ფასების თანმიმდევრული შემცირებით და საბჭოთა მანეთის განმტკიცებით;

ბ) ჩვენი ქვეყნის საცხოვრებელი ფონდის ყოველმხრივი გადიდებით და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ზრდით;

გ) შრომის ნაყოფიერების ზრდითა და მუშათა კვალიფიკაციის შესაბამისად ხელფასის დონის გადიდებით;

დ) კოლმეურნეობებში შრომადღეებზე ნატურალური გაცემის გადიდებითა და საზოგადოებრივი შემოსავლის ზრდით;

ე) სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის და სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენებისათვის პრემიათა გადიდებით.

IV.

მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გეგმა

მოკავშირე რესპუბლიკებსა და სსრ კავშირის ეკონომიურ რაიონებში **საწარმოო ძალების განლაგებისას** ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს დაზარალებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენისა და ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეო-

ბის შემდგომი განვითარების აუცილებლობას, ამასთან გათვალისწინებულია მრეწველობის ყოველმხრივი მიახლოება ნედლეულის წყაროებთან და მოხმარების რაიონებთან, რაც უზრუნველჰყოფს არარაციონალური და მეტად შორი მიმოზიდვის ლიკვიდაციას. ამ ამოცანასთან დაკავშირებით ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს:

ა) რსფს რესპუბლიკის, უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, ესტონეთისა და კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკების დაზარალებული რაიონების მრეწველობისა და ტრანსპორტის აღდგენის პროცესში მრეწველობის ომამდელი განლაგების ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, ამასთან მიღებულია მხედველობაში ყველა ამ რაიონში საკუთარი ენერგეტიკული და სათბობის ბაზის, სამშენებლო მასალების მრეწველობის და მსუბუქი და კვების მრეწველობის მასობრივი საგნების წარმოების აღდგენა და განვითარება;

ბ) კაპიტალურ სამუშაოთა გადიდებას ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში და სსრ კავშირის ეკონომიურ რაიონებში, განსაკუთრებით ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში ხუთი წლის მანძილზე კაპიტალურ სამუშაოთა საერთო მოცულობიდან დაზარალებული რაიონების მეურნეობის აღსადგენად გამოყოფილია 115 მილიარდამდე მანეთი და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების სახალხო მეურნეობის განსავითარებლად — 135 მილიარდამდე მანეთი ცენტრალიზებული კაპიტალდაბანდებანი;

გ) ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ელექტროენერგიის, სათბობის, სამშენებლო მასალებისა და ფართო მოხმარების საგნების წარმოების საკუთარი ბაზის განვითარების უზრუნველყოფას; კარტოფილ-ბოსტნეულისა და მეცხოველეობის ბაზების შემდგომს განმტკიცებასა და განვითარებას ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარშემო იმ მიზნით, რომ მთლიანად უზრუნველყოფილ იქნას მათი მომარაგება ადგილობრივი წარმოების ბოსტნეულით, კარტოფილით და მნიშვნელოვანწილად რძითა და ხორცით;

დ) ახალ საწარმოთა მშენებლობის შეზღუდვას მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ხარკოვში, როსტოვში, გორკისა და სვერდლოვსკში. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სამრეწველო საწარმოთა განლაგებას იმ ახალ რაიონებსა და ქალაქებში, რომლებსაც სათბობის, ენერგეტიკული და ნედლეულის სათანადო რესურსები აქვთ;

ე) ეკონომიურ რაიონში საწარმოთა კოოპერირების ორგანიზების დარგში მუშაობის განგრძობას, მათ შორის სხმის, ჭედვისა და ტვიფრვის კოოპერირებას. საჭიროა ყოველმხრივ გამოყენებულ იქნას საწარმოებში სამამულო ომის დროს შექმნილი სიმძლავრენი სხმისა და ჭედვის დარგში, რათა მოეწყოს მოწყობილობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ფართო მოხმარების საგნების წარმოება.

სსრ კავშირის იმ რაიონებში, საღაც დროებით თარეშობდნენ ფაშისტი დამრბევნი, უნდა აღორძინდეს დანგრეული ქალაქები და სოფლები, მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, კულტურული დაწესებულებანი, ფაშისტური მრნობიდან გამოხსნილი საბჭოთა ადამიანებისათვის შეიქმნას ცხოვრების ნორმალური პირობები. სამამულო ომის მსვლელობაში ამ რაიონებში ნაწილობრივ უკვე აღდგენილია ათასობით სამრეწველო საწარმო, 1.800-ზე მეტი საბჭოთა მეურნეობა და 3 ათასი მანქანა-ტრაქტო-

რთა სადგური, აღდგენილია 85.000 კოლმეურნეობა, 6.000-მდე საავადმყოფო და 70.000-ზე მეტი სკოლა. ქალაქებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს აგებული და აღდგენილია 17,9 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი და სოფელ ადგილას 1.260 ათასი საცხოვრებელი სახლი.

მაგრამ სსრ კავშირის იმ რაიონებში, რომლებიც ოკუპაციისაგან დაზარალდნენ, შესრულებულია აღდგენითი სამუშაოების მხოლოდ მცირე ნაწილი.

რსფს რესპუბლიკის, უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, ესტონეთისა და კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკების **რაიონებში, რომლებიც ოკუპაციისაგან დაზარალდნენ,** ხუთწლიანი გეგმის ძირითად ამოცანებს სახალხო მეურნეობის **აღდგენის** დარგში წარმოადგენენ:

ჯერ-ერთი, სამრეწველო წარმოების ომამდელი დონის მიღწევა და სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდა შრომის ყოველმხრივი მექანიზაციისა და თანამედროვე მოწინავე ტექნიკის დანერგვის საფუძველზე, რაც ნიშნავს, რომ საჭიროა ხუთი წლის მანძილზე ამ რაიონებში სამრეწველო წარმოება გადიდდეს 3,9-ჯერ, ქვანახშირისა—2,1-ჯერ, თუჯისა—5,1-ჯერ და ელექტროენერგიისა—4,4-ჯერ;

მეორე, რკინიგზების, წყალთა გზებისა და ავტოსაგზაო ტრანსპორტის ქსელისა და გამტარუნარიანობის აღდგენა, რაც უზრუნველჰყოფს ომამდელი დონის მიღწევას და ტვირთბრუნვის შემდგომ ზრდას, რისთვისაც დაზარალებულ რაიონებში რკინიგზების ტვირთბრუნვა ხუთწლედის მანძილზე უნდა გადიდდეს 2,3-ჯერ და სამდინარო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა—6,5-ჯერ;

მესამე, სოფლის მეურნეობის—სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის სურსათითა და ნედლეულით მომარაგების ბაზის—აღდგენა; კოლმეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ყოველმხრივი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება, რაც მოითხოვს ზემოჩამოთვლილ რაიონებში ხუთი წლის მანძილზე მარცვლეულის პროდუქციის გადიდებას 87 პროცენტით, შაქრის ჭარხლისას—3,2-ჯერ, მზესუმზირისას—73 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობისას—52 პროცენტით და ღორის სულადობისას—2,5-ჯერ;

მეოთხე, ოკუპანტების მიერ დანგრეული ქალაქებისა და სოფლების და უწინარეს ყოვლისა საცხოვრებელი ფონდის აღდგენა, რაც მოითხოვს ამ ქალაქებსა და სოფლებში ხუთი წლის მანძილზე (მარტო სახელმწიფოებრივი ფონდი) საცხოვრებელი ფონდის საერთო-სტატისტიკურად გადაცემას 33,2 მილიონი კვადრატული მეტრის რაოდენობით; მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, ამასთან ზრდა შრომის ნაყოფიერებისა, რომლის დონეც ამჟამად საკმარისი არ არის; სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საერთო საქონელბრუნვის აღდგენა, რაც მოითხოვს ხუთი წლის მანძილზე მის გადიდებას 2,2-ჯერ; სკოლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ომამდელი ქსელის აღდგენა.

განვითარების ესოდენ მნიშვნელოვანი ამოცანებისა და ტემპის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ახალი ადგილობრივი რეზერვების მიზიდვისა და ადგილობრივი ინიციატივის ფართო განვითარების საფუძველზე. სახალხო მეურნეობის აღდგენა იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, და სსრ კავშირის ყველა ეკონომიური რაიონის შემდგომი განვითარება უნ-

და მოხდეს **რესპუბლიკური მეურნეობის** ყოველმხრივი განმტკიცებისა და **განვითარების** საფუძველზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სისტემაში. ამ მიზნით ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობის გადიდებას რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 29,5 მილიარდამდე მანეთით, რაც ერთიორად და უფრო მეტად სჭარბობს 1938-1942 წლების პერიოდის კაპიტალურ დაბანდებებს, აგრეთვე სამრეწველო პროდუქციის წარმოების გადიდებას რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში 1950 წელს 56,3 მილიარდამდე მანეთით, რაც ნიშნავს 28 პროცენტით ზრდას 1940 წლის დონესთან შედარებით, ხოლო ადგილობრივ მრეწველობაში—80 პროცენტით.

საჭიროა მოკავშირე რესპუბლიკების სამეურნეო ინიციატივის ყოველმხრივი განვითარება სსრ კავშირის საწარმოო ძალების აღდგენასა და განვითარებაში და ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის მოწყობაში. სამშენებლო მასალები, სათბობი და ფართო მოხმარების საგნები, რასაც ადგილობრივი მრეწველობა და სარეწაო კოოპერაცია აწარმოებენ, მთლიანად უნდა იყოს მოკავშირე რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებაში, რომელსაც თავისი შეხედულებით შეუძლია განსაზღვროს პროდუქციის წილი, რომელიც მოსახმარებლად რჩება რესპუბლიკაში და პროდუქციის წილი, რომელიც საქონელბრუნვის წესით იგზავნება სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში, ამასთან შენარჩუნებული უნდა იქნას საცალო ფასების საერთო სახელმწიფოებრივი რეგულირება.

რესპუბლიკური მეურნეობის განვითარების ზემოჩამოთვლილ საერთო ამოცანებთან ერთად ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით.

რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ სოციალისტურ რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს 1940 წელთან შედარებით დიდდება 56 პროცენტით. რსფს რესპუბლიკაში კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა ხუთწლედში მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის ყველა დარგის, ქალაქებისა და სოფლების აღდგენისა და განვითარებისათვის შეადგენს 145 მილიარდ მანეთს, მათ შორის ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში—35,6 მილიარდ მანეთს. თუჯის გამოდნობა ხუთი წლის მანძილზე 1940 წელთან შედარებით დიდდება 66 პროცენტით, ქვანახშირის ამოღება — 97 პროცენტით და ნავთისა — ერთიორად. **ჩრდილოეთის** რაიონებში სწრაფად იზრდება პეჩორის ქვანახშირის ამოღება, ფართოვდება უხტის ნავთისა და გაზის მოპოვება; საქმიანი მერქნის გამოზიდვა ხუთი წლის მანძილზე 2,9-ჯერ დიდდება. **ჩრდილო-დასავლეთის** რაიონებში დასახულია მანქანათმშენებლობის, განსაკუთრებით გემთმშენებლობის აღდგენა და შემდგომი განვითარება; ჩაიდება მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა ლენინგრადის რაიონში; ქალაქი **ლენინგრადი** აღდგენილ იქნება, როგორც ჩვენი ქვეყნის უდიდესი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრი, ამასთან მიღწეული იქნება მრეწველობის წარმოების ომამდელი დონე უფრო მაღალ ტექნიკურ საფუძველზე. **ცენტრის** რაიონებში გათვალისწინებულია ტორფისა და ქვანახშირის მრეწველობის, პირველ რიგში მოსკოვსახლო ქვანახშირის აუზის შემდგომი განვითარება, აგრეთვე შავი მეტალურგიის ადგილობრივი სამადნო ბაზის განვითარება, ელექტროსადგურებში ამოქმედდება ორი მილიონი კილოვატი სიმძლავრეე-

ბი და უზრუნველყოფილია სიმძლავრეთა რეზერვის შექმნა; იწყება ორი ახალი ჰიდროელექტროსადგურის აგება ოკასა და ვოლგაზე. **მოსკოვის** შემდგომი სამეურნეო და კულტურული განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით გრძელდება მუშაობა საბჭოთა კავშირის დედაქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის განსახორციელებლად. **ვოლგისპირეთის** რაიონებში დასახულია სტალინგრადის მრეწველობისა და საქალაქო მეურნეობის აღდგენა; ნავთის მოპოვება 1940 წელთან შედარებით 11-ჯერ დიდდება, ეწყობა საავტომობილო წარმოება. **ჩრდილოეთ კავკასიისა** და **ყირიმის** რაიონებში უზრუნველყოფილია რესპუბლიკის ამ მდიდარი და ნაყოფიერი მხარის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სწრაფი აღდგენა და შემდგომი ზრდა. **ურალის** რაიონებში თუჯის გამოდნობა 1940 წელთან შედარებით დიდდება 2,5-ჯერ, ქვანახშირის ამოღება—2,7-ჯერ და ნავთისა—3,2-ჯერ; 1,3 მილიონი კილოვატით დიდდება ენერგეტიკული ბაზა, კამაზე ჩაღდება მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა; საქმიანი მერქნის გამოზიდვა ხუთწლედში დიდდება 2,7-ჯერ; აღმოიფხვრება რკინიგზის ტრანსპორტის ჩამორჩენა ურალის სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილებებისაგან. **დასავლეთ ციმბირის** რაიონებში უზრუნველყოფილია კუზბასის ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი განვითარება და საკუთარი სამადნო ბაზის შექმნა შავი მეტალურგიისათვის; მნიშვნელოვნად ფართოვდება მანქანათმშენებლობა, განსაკუთრებით ტრაქტორთმშენებლობა, ეწყობა ავტომობილმშენებლობა; დიდი მუშაობა ტარდება რკინიგზების ელექტროფიკაციის დარგში; მტკიცდება დასავლეთ ციმბირის, როგორც ჩვენი ქვეყნის მარცვლეულისა და მეცხოველეობის უმნიშვნელოვანესი ბაზის როლი; ციმბირელებმა უნდა აღადგინონ ციმბირული ერბო-კარაქის სახელი. **აღმოსავლეთ ციმბირის** რაიონებში იქმნება ხელოვნური თხევადი საწონლის მრეწველობა; ჩაღდება კარკინიგზო მშენებლობა, რომელიც უზრუნველჰყოფს მეორე სარკინიგზო მაგისტრალის შექმნას საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთში და ახალი რაიონების ათვისებას. **შორეული აღმოსავლეთის** რაიონებში დასახულია სახალხო მეურნეობის განსაკუთრებით მეტალურგიის, ენერგეტიკის, სათბობის მრეწველობის და გემთმშენებლობის ყოველმხრივი განვითარება; უზრუნველყოფილია ყველა სახის ტრანსპორტის მშენებლობის განვითარება; ფართოვდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება სხვა რაიონებიდან შეზიდვის შემცირების მიზნით.

უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში აღდგენილ იქნება სამრეწველო პროდუქციის წარმოების ომამდელი დონე, ხოლო 1950 წელს ეს დონე გადაჭარბებულ იქნება. კაპიტალურ სამუშაოთა საერთო მოცულობა ხუთწლედში უკრაინის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის განსაზღვრულია 49,5 მილიარდი მანეთის რაოდენობით. გათვალისწინებულია სამხრეთის შავი მეტალურგიის, დონბასის ქვანახშირის მრეწველობის, ენერგეტიკული მეურნეობის, ქიმიური მრეწველობის, რკინიგზის ტრანსპორტის, მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, გემთმშენებლობის, კვების მრეწველობის აღდგენა და შემდგომი განვითარება. ახლად ეწყობა ავტომობილთმშენებლობა და იქმნება ქვანახშირის დიდი მრეწველობა მარჯვენა ნაპირის და დასავლეთ უკრაინაში. აღდგენილ იქნება დონბასში ქვანახშირის 182 ძირითადი შახტი და შენდება 60 ახალი შახ-

ტი; ამოქმედდება 30 ბრძმედი, 76 მარტენის ღუმელი და 54 საგლინავი დაზგა; 2 მილიონ 574 ათასი კილოვატით დიდდება ელექტროსადგურთა სიმძლავრე; აღდგენილ იქნება ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდროელექტროსადგური. აღდგენილ იქნება უკრაინის სოფლის მეურნეობა—მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, ზეთოვანი კულტურების წარმოებისა და მეცხოველეობის უდიდესი ბაზა. აღდგენილ უნდა იქნას უკრაინის არა მარტო ინდუსტრიული ძლიერება, არამედ მისი მიწის ნაყიერებაც და სურსათის—პურის, შაქრის, ერბო-კარაქისა და განთქმული უკრაინული ქონის უხვი წარმოება.

ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების საფუძველზე სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს ომამდელ დროსთან შედარებით 16 პროცენტით დიდდება. კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა ხუთი წლის მანძილზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის დაწესებულია 7 მილიარდი მანეთის რაოდენობით. სავსებით აღდგენილ იქნება სოფლის მეურნეობა, სწრაფად განვითარდება მესაქონლეობა და მეღორეობა. უზრუნველყოფილია რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკული ბაზის პირველ რიგში განვითარება. ახლად იქმნება სატრაქტორო და საავტომობილო მრეწველობა. ამუშავდება 243 ათასი კილოვატი სიმძლავრის ელექტროსადგურები; ერთსიმად დიდდება ტორფის მოპოვება. ხორციელდება ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო მიწების დასაშრობად; მნიშვნელოვნად ვითარდება გუბური მეთევზეობა.

უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოება ხუთი წლის მანძილზე 1940 წლის დონესთან შედარებით დიდდება 89 პროცენტით. კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა ხუთი წლის მანძილზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში განსაზღვრულია 3,9 მილიარდი მანეთით. ხუთწლიანი გეგმით უზრუნველყოფილია უზბეკეთის სს რესპუბლიკის შემდგომი განვითარება, როგორც ჩვენი ქვეყნის ძირითადი მებამბეობის ბაზის, განვითარებული მეაბრეშუმეობის, მებაღეობისა და მეცხოველეობის, განსაკუთრებით კრაველის მეცხვარეობის რაიონისა. ბამბის ნათესი ფართობები დიდდება 956 ათას ჰექტარამდე; უზრუნველყოფილია 460 ათასი ჰექტარი მიტოვებული და გამოუყენებელი სარწყავი მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისება და, გარდა ამისა, საირიგაციო მშენებლობის განხორციელებით 173 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწა გამოყენებულ იქნება სოფლის მეურნეობაში. საჭიროა სავსებით აღდგენილ იქნას და კიდევ უფრო განვითარდეს უზბეკეთის მებამბეობა. ამასთან ერთად გათვალისწინებულია საფეიქრო, მსუბუქი და კვების მრეწველობის, ფერადი მეტალურგიის, ნავთის მრეწველობის, ქიმიური ბასუქის წარმოების, სასოფლო-სამეურნეო და საფეიქრო მანქანათმშენებლობის, აგრეთვე რესპუბლიკის ენერგეტიკული მეურნეობის მნიშვნელოვანი განვითარება. ხუთწლედში ამუშავდება 266 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები.

ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს 2,2-ჯერ დიდდება 1940 წელთან შედარებით. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა ხუთწლედში განსაზღვრულია 8,8 მილიარდი მანეთით. დასახულია ფერადი მეტალურგიის, ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობის შემდგომი

განვითარება; ქვანახშირის მოპოვება დიდდება 134 პროცენტით და ნავთისა 75 პროცენტით 1940 წელთან შედარებით; ჩაიდება შავი მეტალურგიის ბაზა; ეწყობა მინერალური სასუქების წარმოება; მნიშვნელოვნად ვითარდება რკინიგზის ტრანსპორტი. უზრუნველყოფილია მეცხოველეობისა და მარცვლეული მეურნეობის შემდგომი აღმავლობა; დიდდება ტექნიკური კულტურების წარმოება, გათვალისწინებულია წვრილ საირიგაციო სისტემათა ფართო მშენებლობა რესპუბლიკის ველებიან რაიონებში, სადაზღვევო სარწყავი ნაკვეთების შესაქმნელად.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს 50 პროცენტით დიდდება 1940 წელთან შედარებით. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა ხუთწლედში 4,1 მილიარდ მანეთს შეადგენს. დასახულია მარგანეცისა და ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი გაფართოება. საქართველოში იქმნება საკუთარი მსხვილი მეტალურგიული ბაზა. ეწყობა ავტომობილთმშენებლობა; ფართოდ ვითარდება ჰიდროელექტრომშენებლობა; დასახულია სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა. მნიშვნელოვნად ფართოვდება სუბტროპიკული და ეთერზეთოვანი ნარგაევები. დიდდება ციტრუსოვანი კულტურების, განსაკუთრებით ლიმონისა და ფორთოხლის წარმოება; კიდევ უფრო ვითარდება მეაბრეშუმეობა და მეცხოველეობა.

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს 18 პროცენტით დიდდება 1940 წელთან შედარებით. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა 5,9 მილიარდ მანეთს შეადგენს. უზრუნველყოფილია ნავთის მოპოვების და გადამუშავების აღდგენისა და განვითარების სწრაფი ტემპები; ნავთის მოპოვება ხუთწლედში 1,5-ჯერ დიდდება. ეწყობა მილსაგლინავი წარმოება; ფართოვდება ნავთის მრეწველობის ენერგეტიკული და მანქანათმშენებლობის ბაზა. ჩაიდება მინგეჩაურის ჰიდროელექტრო. სადგურის მშენებლობა და სათანადო საირიგაციო სამუშაოები. დიდდება სარწყავი მიწების ფართობი, ფართოვდება ბამბის, განსაკუთრებით გრძელბოჭკოიან ჯიშთა ნათესები. დიდდება მარცვლეულის წარმოება და ბოსტნეულ კულტურათა ნათესები, აგრეთვე ხეხილის ბაღებისა და ვენახების ფართობები.

ლიტვის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს 80 პროცენტით დიდდება 1940 წლის დონესთან შედარებით. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ სამუშაოთა საერთო მოცულობა ხუთწლედში 1,5 მილიარდ მანეთს შეადგენს. დასახულია რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, პირველ რიგში კვების მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სრული აღდგენა და შემდგომი განვითარება, სათბობი და ენერგეტიკული ბაზის განვითარება, აგრეთვე სარძეო-საბორცე მესაქონლეობის, მეღორეობისა და მეფრინველეობის განვითარება.

მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს 78 პროცენტით დიდდება 1940 წელთან შედარებით. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ სამუშაოთა საერთო მოცულობა ხუთწლედში 1,2 მილიარდამდე მანეთს შეად-

გენს. დასახულია მრეწველობის, პირველ რიგში მეღვინეობისა და საკონსერვო მრეწველობის აღდგენა და შემდგომი განვითარება. აღდგენილ იქნება და კიდევ უფრო განვითარდება სოფლის მეურნეობა და, უწინარეს ყოვლისა, მეევნახეობა და მებაღეობა; დიდდება სიმინდის ნათესები.

ლიტვის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს 80 პროცენტით დიდდება 1940 წელთან შედარებით. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა ხუთწლედში 2 მილიარდ მანეთს შეადგენს. დასახულია ენერგეტიკული მეურნეობის, სათბობი და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის, ელექტრომანქანათმშენებლობის, გემთმშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის, თევზის მრეწველობისა და ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის აღდგენა და განვითარება. აღდგენილ იქნება და კიდევ უფრო განვითარდება სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით სარძეო და სახორცე მესაქონლეობა და მეღორეობა.

ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს 2,1-ჯერ დიდდება 1940 წელთან შედარებით. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა ხუთწლედში 1,2 მილიარდ მანეთს შეადგენს. დასახულია მეცხოველეობის შემდგომი განვითარება, ტექნიკურ კულტურათა ნათესი ფართობების გადიდება და მოსაელიანობის ამაღლება; ჩაღდება ორტო-ტოკოის წყალსაცავისა და დიდი ჩუის არხის მშენებლობა; კიდევ უფრო განვითარდება ქვანახშირის მრეწველობა, იშვიათი და ფერადი ლითონების მოპოვება, კვების მრეწველობა და საფეიქრო მრეწველობა.

ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს 56 პროცენტით დიდდება 1940 წელთან შედარებით. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა ხუთწლედში 1,2 მილიარდ მანეთს შეადგენს. დასახულია მებამბეობის, განსაკუთრებით ბამბის გრძელბოჭკოიანი ჯიშების შემდგომი განვითარება და მეცხოველეობის განვითარება; გათვალისწინებულია სამთამადნო, საფეიქრო და კვების მრეწველობის განვითარება.

სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წლისათვის 2,1-ჯერ დიდდება 1940 წელთან შედარებით. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა ხუთწლედში 1,4 მილიარდ მანეთს შეადგენს. დასახულია ქიმიური მრეწველობისა და ფერადი მეტალურგიის განვითარება სევანის ჩანჩქერის ჰიდრორესურსების გამოყენების ბაზაზე. კიდევ უფრო განვითარდება საფეიქრო და კვების მრეწველობა. უზრუნველყოფილია მეცხოველეობის, შაქრის ჭარხლის ნათესების, მეაბრეშუმეობის, აგრეთვე ნაყენახეობისა და მეხილეობის განვითარება სარწყავი ფართობების მატების ბაზაზე.

თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს 76 პროცენტით დიდდება 1940 წელთან შედარებით. სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა ხუთწლედში 1,6 მილიარდ მანეთს შეადგენს. დასახულია მებამბეობის, მეცხოველეობისა და განსაკუთრებით მეკრაველეობის შემდგომი განვითარება. ტარდება საირიგაციო სამუშაოები მდინარეების ტეჯენისა და

მურგაბის აუზებში. უზრუნველყოფილია ნავთის მრეწველობის განვითარების სწრაფი ტემპები, ამასთან ნავთის მოპოვება ხუთწლედში 1,8-ჯერ დიდდება. კიდევ უფრო განვითარდება ქიმიური, საფეიქრო და კვების მრეწველობა.

ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს ერთისამად დიდდება 1940 წელთან შედარებით. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა ხუთწლედში 3,5 მილიარდამდე მანეთს შეადგენს. დასახულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სრული აღდგენა და პირველ რიგში ფიქალების და ფიქალსახდელი მრეწველობის, ენერგეტიკული მეურნეობის, მანქანათმშენებლობის, კვებისა და ბამბეულის მრეწველობის აღდგენა და შემდგომი განვითარება. უზრუნველყოფილია სოფლის მეურნეობის და პირველ რიგში სარძეო და სახორცე მესაქონლეობისა და მეღორეობის აღდგენა და შემდგომი განვითარება.

კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სამრწეველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს 11 პროცენტით დიდდება 1940 წელთან შედარებით. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა ხუთწლედში 1,6 მილიარდ მანეთს შეადგენს. დასახულია სატყეო, ხის დამმუშავებელი, ქაღალდისა და სამთამადნო მრეწველობის აღდგენა და შემდგომი განვითარება. კიდევ უფრო განვითარდება სოფლის მეურნეობა.

ამრიგად, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკების როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადი კავშირის თანასწორუფლებიანი წევრების სახალხო მეურნეობის ყოველმხრივ განვითარებას.

V.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას დიდი შრომა, ენერგია და ცოდნა უნდა მოვახმაროთ. ჩვენ ყველანი ვიმუშაებთ იმისათვის, რომ არათუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შევასრულოთ ხუთწლიანი გეგმა. პირველად როდი უხდებათ საბჭოთა კავშირის ხალხებს მტრის მიერ დანგრეული თავიანთი სახალხო მეურნეობის აღდგენა. 25 წლის წინათ საბჭოთა ქვეყანა, რომელმაც პირველი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო დანგრეული მეურნეობა, შეუდგა სახალხო მეურნეობის აღდგენას. გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა ჩვენი დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით. საბჭოთა სახელმწიფომ იმ წლებში ღირსეულად გადაიტანა განსაცდელი და გვიჩვენა იმ შესაძლებლობანი, რომლებსაც სოციალისტური რევოლუცია შეიცავს.

ახლა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა ხალხი კვლავ სძლევს სახალხო მეურნეობის აღდგენის სიძნელეებს თავისი გმირული შრომით ლენინიზმის ნაცადი დროშით, ჩვენი ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვა-

ნელობით. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).** ჩვენ ყველა საფუძველი მოგვეპოვება იმისათვის, რომ კიდევ უფრო ორგანიზებულად და მოკლე ვადაში გავართვათ თავი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ახალი აღმავლობის მოწყობის ამოცანებს.

პირველი მსოფლიო ომის, ხოლო მერმე სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ სსრ კავშირში დაახლოებით ექვსი წელიწადი დაგვჭირდა სამრეწველო წარმოების ომამდელი 1913 წლის დონის აღსადგენად. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სსრ კავშირის სამრეწველო წარმოების ომამდელი 1940 წლის დონის აღდგენას 1948 წელს, ხოლო ხუთი წლის ვადაში ამ დონეს მნიშვნელოვნად გადავაჭარბებთ. ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ ერთიორად უფრო სწრაფად განვახორციელოთ მრეწველობის აღდგენა, ვიდრე ეს მოხდა აღდგენითს პერიოდში პირველი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ.

სახალხო მეურნეობის აღდგენის ტემპების დაჩქარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ურალისა და ციმბირის მრეწველობას. 1920 წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოება ურალში 1913 წელთან შედარებით ექვსჯერ და კიდევ უფრო მეტად შემცირდა, თუჯის წარმოება შემცირდა 11-ჯერ, ქვანახშირის წარმოება — 23 პროცენტით და ელექტროენერგიის წარმოება—6,5-ჯერ. 1945 წელს მრეწველობის პროდუქციის წარმოება ურალში 1940 წელთან შედარებით ერთისამად და კიდევ უფრო მეტად გადიდდა, თუჯის გამოდნობა გადიდდა თითქმის ერთიორად, ქვანახშირის მოპოვება გადიდდა ერთიორად და კიდევ შეტად, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება გადიდდა ერთიორად. ურალისა და ციმბირის მრეწველობა საბჭოთა ინდუსტრიის სიამაყეა, და ჩვენი ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ განვამტკიცოთ და განვავითაროთ იგი.

სახალხო მეურნეობის აღდგენის სწრაფი ტემპების განხორციელებისათვის ჩვენ მოგვეპოვება ყველა აუცილებელი პირობა. გაიზარდნენ საბჭოთა კადრები, საბჭოთა ინტელიგენციის კადრები. საბჭოთა კავშირის ხალხები კულტურულად გაიზარდნენ და სოციალისტური მშენებლობის ისტორიული სკოლა გაიარეს. გაიზარდა და განმტკიცდა ინდუსტრიული ბაზა სსრ კავშირის აღმოსავლეთ და ცენტრალურ რაიონებში. სსრ კავშირში მოსპობილია ექსპლოატატორული კლასები, უზრუნველყოფილია საბჭოთა კავშირის ხალხთა უმაგალითო მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. განსაკუთრებით მაღალია ხალხში ნდობა და ავტორიტეტი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისა ჩვენი ბელადის ამხანაგ სტალინის მეთაურობით. ეს არის ჩვენი ძალა და გამარჯვების საწინდარი. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ უნდა განვახორციელოთ მატერიალური წარმოების სწრაფი ტემპები მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და მშენებლობაში. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ტემპების შენელება იმას ნიშნავს, რომ ჩამოვრჩეთ, ჩამორჩენილებს კი სცემენ. აი რატომ გვესაჭიროება ჩვენ განვითარების ის ტემპები, რომლებიც გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით. სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების დასახული ტემპების უზრუნველსაყოფად საჭიროა:

ჯერ-ერთი, უზრუნველვყოთ უფრო სწრაფი აღმავლობა მძიმე ინდუსტრიისა, ურომლისოდაც ვერ განვავითარებთ ვერც სოფლის მეურნეობას,

ვერც ტრანსპორტს, ვერ შევქმნით სასურსათო რესურსების სიუხვეს ჩვენს ქვეყანაში და, მაშასადამე, ვერ შევქმნით ხალხის მატერიალურ კეთილდღეობას.

მეორე — დაუღალავად ვიმუშაოთ შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის, ურომლისოდაც შეუძლებელია უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის სწრაფი აღდგენა და განვითარება, შეუძლებელია გადავწყვიტოთ მსოფლიო ასპარეზზე ეკონომიურ სისტემათა შეჯიბრების საკითხი;

მესამე — საჭიროა კვლავაც გვქონდეს სერიოზული რეზერვები სახალხო მეურნეობაში. შეიძლება წარმატებით გადავლახოთ წარმოების შემცირება, რასაც ზამთრის თვეებში აღგილი აქვს მეურნეობის ზოგიერთ დარგში, და ამის ხარჯზე დავაჩქაროთ რეპროდუქციის ტემპები, თუ უზრუნველვყოფთ საწარმოებში ნედლეულისა და სათბობის საჭირო რეზერვებს;

მეოთხე—საჭიროა შევქმნათ საწარმოებში მუშათა, ტექნიკოსთა და ინჟინერთა მტკიცე კადრები, რამაც უნდა უზრუნველჰყოს მაღალი კვალიფიკაცია, ნაყოფიერება და შრომის სოციალისტური დისციპლინა. ამ გზაზე ჩვენ გადავლახავთ ომის შემდგომ პერიოდში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სიძნელეებს. ამ სიძნელეთა გადალახვის გარანტიას წარმოადგენს ჩვენი გმირი ხალხი, ნაცადი სოციალისტური სახელმწიფო და ჩვენი წინსელის ხელმძღვანელი ძალა—ლენინ-სტალინის პარტია. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ხელმძღვანელობთ რა ლენინისა და სტალინის მითითებებით გამარჯვების მიღწევის შემდეგ რაიმე უდარდელობისა და თვითდამშვიდების შეუწყნარებლობის შესახებ, საჭიროა მოვუწოდოთ მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ სახალხო მეურნეობის უსწრაფესი აღდგენისა და შემდგომი აღმავლობის, საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების საქმეს. „ამხანაგი სტალინი გვაფრთხილებს, რომ არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მოპოვებული პოზიციების განმტკიცებით, ვინაიდან ეს მოდუნებას გამოიწვევდა. — „ჩვენ უნდა გავწიოთ წინ, რათა შევქმნათ პირობები სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის“.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ხალხები წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ ახალ სტალინურ ხუთწლიან გეგმას!

წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ დიდი სტალინის წინამძოლობით! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან).**

კ ა ნ ო ნ ი

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ

I

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები

1. საბჭოთა კავშირის ხალხებისა და მისი მამაცი წითელი არმიის გმირულ ღონისძიებათა შედეგად მიღწეულია მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება — განადგურებულია ჰიტლერული გერმანია და დამარცხებულია იაპონიის იმპერიალიზმი. სსრ კავშირმა ომი დაამთავრა მტერზე სრული გამარჯვებით — ეს არის ომის მთავარი შედეგი.

სსრ კავშირის გამარჯვება ნიშნავს, პირველი, რომ გაიმარჯვა საბჭოთა **საზოგადოებრივმა** წყობილებამ, რომ საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ წარმატებით გაუძლო ომის ცეცხლში განსაცდელს და დაამტკიცა თავისი სრული სიცოცხლისუნარიანობა.

სსრ კავშირის გამარჯვება ნიშნავს, მეორე, რომ გაიმარჯვა საბჭოთა **სახელმწიფოებრივმა** წყობილებამ, რომ მრავალერიანმა საბჭოთა სახელმწიფომ გაუძლო ომის ყველა განსაცდელს და დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა.

სსრ კავშირის გამარჯვება ნიშნავს, მესამე, რომ გაიმარჯვეს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, გაიმარჯვა წითელმა არმიამ, რომ წითელმა არმიამ გმირულად გადაიტანა ომის ყველა გაჭირვება, სასტიკად დაამარცხა ჩვენი მტრების არმიები და ომიდან გამარჯვებული გამოვიდა.

ასეთი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების მოპოვება შეიძლებოდა აქტიური თავდაცვისათვის მთელი ჩვენი ქვეყნის მხოლოდ წინასწარი მომზადების საფუძველზე. ამ გრანდიოზული საქმის მომზადებას დაჰპირდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სამი ხუთწლიანი გეგმის განხორციელება.

აქტიური თავდაცვისათვის ჩვენი ქვეყნის მომზადების მატერიალური შესაძლებლობანი მეორე მსოფლიო ომში ჩაბმის წინ საბჭოთა კავშირმა შეიქმნა კომუნისტური პარტიის პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების საფუძველზე, — უწინარეს ყოვლისა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საბჭოთა პოლიტიკისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის ძალით.

2. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში კომუნისტური პარტიის პროგრამის წარმატებით შესრულების შედეგად სსრ კავშირში აგებულია სოციალისტური საზოგადოება.

საკავშირო კ. პ. (ბ) მეთვრამეტე ყრილობამ 1939 წელს, განსაზღვრა რა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები, საბჭოთა

ხალხებს დაუსახა ამოცანა — დაეწიონ და გაუსწრონ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიურად, ე. ი. მოსახლეობის სულზე სამრეწველო წარმოებიო ოდენობის მხრივ.

სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის განხორციელებას დასაბამი მისცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეხუთე ხუთწლიანმა გეგმამ, რომლის ძირითადი დავალებანი ხუთწლედის პირველი სამნახევარი წლის (1938-1941 წლების) განმავლობაში წარმატებით სრულდებოდა, მიუხედავად საომარი მოქმედებისა, რაც ამ პერიოდში საბჭოთა კავშირის საზღვრებზე სწარმოებდა. სოციალისტური მრეწველობა სწრაფად ვითარდებოდა — სამრეწველო პროდუქცია ყოველწლიურად დიდდებოდა საშუალოდ 13 პროცენტით. განსაკუთრებით დიდი წარმატებანი მოპოვებულ იქნა მძიმე მრეწველობის განვითარებაში. მესამე ხუთწლედის პირველი სამი წლის განმავლობაში საწარმოო საშუალებათა წარმოება გადიდდა ერთნახევარჯერ და უფრო მეტად, ხოლო მანქანათმშენებლობის პროდუქცია — 75 პროცენტით.

სწრაფად ვითარდებოდა მრეწველობა სსრ კავშირის აღმოსავლეთ ოლქებში: სამრეწველო პროდუქცია ურალის, ვოლგისპირეთის, ციმბირის, შუა აზიისა და ყაზახეთის რაიონებში მესამე ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში ერთნახევარჯერ გადიდდა.

მარცვლეულის წარმოება 1940 წელს 119 მილიონ ტონას შეადგენდა. საბჭოთა ქვეყნის აღმოსავლეთში შეიქმნა საბჭოთა კავშირის უმდიდრესი ბელელი. სოფლის მეურნეობის აღმავლობა უზრუნველყოფილ იქნა კოლექტივიზაციის პოლიტიკით, რამაც შესაძლებლობა მოგვცა რამდენიმე წლის განმავლობაში მთელი ჩვენი ქვეყანა დაგვეფარა დიდი კოლექტიური მეურნეობებით, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ ახალი ტექნიკა, ყველა აგრონომიული მიღწევა და ჩვენს ქვეყანას მისცენ მეტი სასაქონლო პროდუქცია.

მესამე ხუთწლედის სამნახევარი წლის განმავლობაში განხორციელდა სამშენებლო სამუშაოთა უდიდესი პროგრამა: კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობამ 130 მილიარდი მანეთი შეადგინა; სახელმწიფო მრეწველობაში ამუშავებულ იქნა 3 ათასამდე ფაბრიკა, ქარხანა, შახტი, ელექტროსადგური და სხვა საწარმო; მთელ კაპიტალურ სამუშაოთა მესამედზე მეტი ამ პერიოდში სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში სწარმოებდა.

სოციალისტური წარმოების, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის, ზრდამ, აღმოსავლეთი რაიონების სახალხო მეურნეობის განვითარებამ და დიდი სახელმწიფო რეზერვების დაგროვებამ უზრუნველჰყვეს საბჭოთა კავშირის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცება. 1940 წელს ჩვენს ქვეყანაში დამზადდა: 15 მილიონი ტონა თუჯი, ე. ი. თითქმის ოთხჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს; 18 მილიონ 300 ათასი ტონა ფოლადი, ე. ი. ოთხნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს; 166 მილიონი ტონა ქვანახშირი, ე. ი. ხუთნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს; 31 მილიონი ტონა ნავთი, ე. ი. სამნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს; 38 მილიონ 300 ათასი ტონა სასაქონლო მარცვლეული, ე. ი. 17 მილიონი ტონით მეტი, ვიდრე 1913 წელს; 2 მილიონ 700 ათასი ტონა ნედლი ბამბა, ე. ი. სამნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ბაზაზე ჩატარდა მუშაობა რკინიგზის ტრანსპორტის რეკონსტრუქციის დარგში.

ამავე დროს იზრდებოდა სსრ კავშირის ხალხთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა სწრაფად შეივსო ახალი კვალიფიციური კადრებით, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და გადიდდა სახალხო მოხმარება. ამაღლდა ხელფასის დონე, გადიდდა კოლმეურნეობათა შემოსავალი. გაფართოვდა კულტურულ დაწესებულებათა ქსელი, გადიდდა მოსწავლეთა რაოდენობა დაწყებითს, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, საქმით უზრუნველყოფილ იქნა ბავშვთა საყოველთაო სწავლება.

3. ჩვენს სოციალისტურ სამშობლოზე ჰიტლერული გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ 1941 წელს დაარღვია საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი სამშენებლო მუშაობა, შეაწყვიტა ახალხო მეურნეობის ააყოველთაო აღმავლობა და სსრ კავშირის ხალხთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდა.

დიდმა სამამულო ომმა მოითხოვა, რომ მთელი ახალხო მეურნეობა დაქვემდებარებოდა ფრონტის საჭიროებას, ჰიტლერული გერმანიისა და მისი სატელიტების განადგურების ინტერესებს. სსრ კავშირის ახალხო მეურნეობა მოკლე ვადაში გარდაიქმნა ათმაორ ყაიდაზე. მრეწველობა გადაყვანილ იქნა საჭურვლის წარმოებაზე.

იმის საფუძველზე, რომ ხუთწლედების განმავლობაში შეიქმნა მსხვილი თანამედროვე მრეწველობა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში და სწრაფად აღდგენილ იქნა 1.300-ზე მეტი მსხვილი საწარმო, რომლებიც ევაკუირებული იყო ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში, აგრეთვე ახალ მშენებლობის განხორციელების შედეგად, მნიშვნელოვნად გაფართოვდა და განმტკიცდა მძლავრი ინდუსტრიული ბაზა სსრ კავშირის აღმოსავლეთში. უდიდეს სამეურნეო ღონისძიებათა მეოხებით ევაკუირებული საწარმონი ძირითადად უკვე აღდგენილ იქნენ 1942 წლის პირველ ნახევარში.

სსრ კავშირის გამარჯვება სამამულო ომში მიღწეულია დიდი მახვერპლის ფასად. გერმანელმა ოკუპანტებმა ჩვენს ქვეყანას უდიდესი ზარალი მიაყენეს. მიუხედავად კოლოსალური ზარალისა და ომიანობის დროის ძნელი პირობებისა, სსრ კავშირის სამხედრო მეურნეობა სამამულო ომის პერიოდში წარმატებით ვითარდებოდა. 1945 წლის პირველ ნახევარში სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში დამზადდა ერთიორად მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე 1941 წლის პირველ ნახევარში, ხოლო სამხედრო მრეწველობის პროდუქცია დამზადდა 5.6-ჯერ მეტი. ომის ოთხი წლის განმავლობაში სამრეწველო წარმოება გადიდდა: ურალში—3,6-ჯერ, ციმბირში —2,8-ჯერ, ვოლგისპირეთში—3,4-ჯერ.

საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთი რაიონები, რომლებიც გაიზარდნენ და განმტკიცდნენ სამამულო ომის წლებში, წითელი არმიის საომარი მასალით, საჭურვლით, ტანკებითა და თვითმფრინავებით მომარაგების მძლავრი ბაზა გახდნენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით სამამულო ომის პირველ დღეებში შექმნილმა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა ჩვენი დიდი ბელადის სტალინის მეთაურობით სწრაფად და მტკიცედ დარაზმა სსრ კავშირის ხალხთა მთელი ძალები მტრის გასამკლავებლად. პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობით განხორციელებული უდიდესი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად სსრ კავშირში მოკლე ვადაში შეიქმნა გამართული და სწრაფად მზარდი სამხედრო მეურნეობა, რომელმაც უზრუნველჰყო წითელი არმიის მომარაგება აუცილებელი საჭურვლით და რეზერვების დაგროვება მტრის სრული განადგურებისათვის.

საბჭოთა ახალმშენებლებმა და კომუნისტურმა პარტიამ წარმატებით გამოიყენეს შექმნილი მატერიალური შესაძლებლობანი იმისათვის, რომ განეგითარებინათ სამხედრო წარმოება. ომის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სატანკო მრეწველობა ყოველწლიურად საშუალოდ ამზადებდა 30 ათასზე მეტ ტანკს, თვითმავალსა და ჯავშნიან მანქანას; საავიაციო მრეწველობა იმავე პერიოდში ყოველწლიურად ამზადებდა 40 ათასამდე თვითმფრინავს; საარტილერიო მრეწველობა — 120 ათასამდე ყველა ყალიბის ქვემეხს, 450 ათასამდე ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევს, 3 მილიონზე მეტ შაშხანას და დაახლოებით 2 მილიონ ავტომატს; სანაღმმტყორცნო მრეწველობა 1942-1944 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ ამზადებდა 100 ათას ნაღმსატყორცნს; მარტო 1944 წელს დამზადებულ იქნა 240 მილიონზე მეტი ყუმბარა, ბომბი და ნაღმი და 7 მილიარდ 400 მილიონი ვაზნა.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი დაუღალავად სრულჰყოფდა წარმოების ტექნიკას, ადიდებდა ათრეწველო საწარმოთა ძიმძლავრეა, აგებდა ახალ ფაბრიკა-ქარხნებს, უზრუნველჰყოფდა ათხედრო და ათეურნეო ტვირთის შეუფერხებელ მიმოზიდვას. მან უდიდესი შრომითი გმირობა ჩაიდინა სამამულო ომში.

სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ უზრუნველჰყო არმიისა და ჩვენი ქვეყნის მოძარაგება სურათით, ხოლო მრეწველობისა—ნედლეულით. უწრათრეს ყოვლისა, ამით გამოჩნდა საკოლმეურნეო წყობილების ძალა და ათცოცხლისუნარიანობა, საბჭოთა გლეხობის პატრიოტიზმი.

საბჭოთა ინტელიგენცია ეხმარებოდა მუშებსა და კოლმეურნეებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, წინ სწევდა სამამულო ომის პირობებში თანამედროვე მეცნიერებას და მის მიღწევებს იყენებდა წითელი არმიისათვის ათჭურვლის დააათხადებლად.

უმაგალითო შრომითი საგმირო საქმეები ჩაიდინეს თავდადებულმა ქალებმა და ახალგაზრდობამ, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ძირითადი სიმძიმე.

იცევე, როგორც წითელმა არმიამ პირისპირ ხანგრძლივ და ძნელ ბრძოლაში ათხედრო გამარჯვება მოიპოვა ფაშისტთა ჯარებზე, ათბჭოთა ხალხის მშრომელებმა ჰიტლერული გერმანიისა და მის თანამოაწილეთა წინააღმდეგ ორთა ბრძოლაში ეკონომიური გამარჯვება მოიპოვეს მტერზე.

საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა სამამულო ომის განმავლობაში სახალხო მეურნეობის გაძვითარებისა და ათხედრო ყოიდაზე გარდაქმნის ხაქმეში იყო კომუნიატური პარტია (ბოლშევიკებისა). ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მთელი მრავალერიანი საბჭოთა ხალხი,—სსრ კავშირის მუშები, გლეხები და ინტელიგენცია,—ერთიან საბრძოლო ბანაკად დაირაზმა. პარტიამ გააერთიანა საბჭოთა კავშირის მთელი ძალები, თავი მოუყარა ჩვენი ათბჭოთა სახელმწიფოს მთელ მატერიალურ რესურსებს მტერზე გამარჯვების საქმისათვის.

განადგურებული არიან როგორც გერმანელი, ისე იაპონელი იმპერიალისტი დამპყრობლები. ამიერიდან ჩვენი სამშობლო განთავისუფლებულია გერმანიის შემოსევის საფრთხისაგან დასავლეთით და იაპონიის შემოსევის საფრთხისაგან აღმოსავლეთით.

4. სსრ კავშირი კვლავ შევიდა მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში, რომელიც შეწყვეტილი იყო ჰიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმით.

საბჭოთა კავშირმა ჯერ კიდევ სამამულო ომის მსვლელობაში წარმატებით დაიწყო დანგრეული მეურნეობის აღდგენა იმ რაიონებში, რომლებიც ოკუპაცია განიცადეს. ომისშემდგომ პერიოდში იგი განაგრძობს სახალხო მეურნეობის აღდგენასა და შემდგომ განვითარებას სახელმწიფო ჰერაპექტიული გეგმების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრავენ და წარმართავენ სსრ კავშირის სამეურნეო ცხოვრებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ **აღდგენილ იქნას ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღდგენილ იქნას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ ეს დონე გადაჭარბებულ იქნას მნიშვნელოვანი ოდენობით.**

ამ მიზნით აუცილებელია:

1) უზრუნველყოფილ იქნას **პირველ რიგში მძიმე მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენა და განვითარება,** ურომლისოდაც შეუძლებელია სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის სწრაფი და წარმატებითი აღდგენა და განვითარება.

2) მიღწეულ იქნას სოფლის მეურნეობისა და იმ მრეწველობის აღმავლობა, რომელიც აწარმოებს მოხმარების საშუალებებს საბჭოთა კავშირის ბალხთა მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და **ჩვენს ქვეყანაში მოხმარების ძირითადი საქონლის სიუხვის შესაქმნელად.**

3) უზრუნველყოფილ იქნას **შემდგომი ტექნიკური პროგრესი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში,** როგორც წარმოების მძლავრი აღმავლობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების პირობა, რისთვისაც საჭიროა არა მარტო დავეწიოთ, არამედ უახლოეს დროში კიდევაც გადავაჭარბოთ მეცნიერების მიღწევებს სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ.

4) დამთავრებულ იქნას 1946 წელს სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი გარდაქმნა, გამოყენებულ იქნას სამხედრო მრეწველობის საწარმოო სიმძლავრე საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერების შემდგომი გადიდებისათვის.

5) უზრუნველყოფილ იქნას სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი გაძლიერება და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უახლესი სამხედრო ტექნიკით აღჭურვა.

6) უზრუნველყოფილ იქნას დაგროვების მაღალი ტემპები, გათვალისწინებულ იქნას ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის ხუთი წლის განმავლობაში: 250,3 მილიარდი მანეთის რაოდენობით და 234 მილიარდი მანეთის ღირებულების (1945 წლის სახარჯთაღრიცხვო ფასებით) აღდგენის პროცესში მყოფ და ახალ საწარმოთა ამუშავება.

ყოველმხრივ განვითარებულ იქნას სამშენებლო ინდუსტრია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოწინავე სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვას, აგრეთვე საწარმოო ბაზის შექმნას სამშენებლო მექანიზმების გამოსაშვებად.

7) ყოველმხრივ განვითარებულ იქნას ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების აღდგენისა და შემდგომი მშენებლობის და საბინაო ფონდის გადიდების საქმე; შეიქმნას საცხოვრებელი სახლების მასობრივი საფაბრიკო-საქარხნო დამზადება; გაწეროს სახელმწიფო დახმარება მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში.

8) გადაჭარბებულ იქნას სახალხო შემოსავლის ომამდელი დონე და სახალხო მოხმარების დონე, რისთვისაც ყოველმხრივ განვითარდეს კვების მრეწველობა, გაძლიერდეს ფართო მოხმარების საქონლის მასობრივი წარმოება. გამრავლდეს საკოლმეურნეო შემოსავალი, გადიდდეს საქონელბრუნვა; გაუქმდეს მახლობელ დროში საბარათო სისტემა და იგი შეიცვალოს გაფართოებული კულტურული საბჭოთა ვაჭრობით.

9) განმტკიცდეს მრეწველობაში და ტრანსპორტზე მუშების მუდმივი კადრები შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და საწარმოებში საუკეთესო საბინაო და მატერიალური პირობების უზრუნველყოფის საფუძველზე; უზრუნველყოფილ იქნას მაღალკვალიფიციური ტექნიკური კადრების ზრდა.

10) გადიდებულ იქნას შრომის ნაყოფიერება რვა საათის სამუშაო დღის სრული გამოყენების, მრეწველობის შრომისტევადი დარგების ყოველმხრივი მექანიზაციის, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისა და საწარმოო პროცესების შემდგომი ინტენსიფიკაციის საფუძველზე.

11) აღდგენილ და გაფართოებულ იქნას დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ქსელი; გაუმჯობესებულ იქნას კადრების მომზადება წარმოებისათვის შრომითი რეზერვების გადიდებისა და ახალი მუშების საწარმოო სწავლების გზით.

12) გაუმჯობესდეს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა:

უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა კულტურისა და ხელოვნების შემდგომი აყვავება.

13) გადიდდეს სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო მატერიალური რეზერვები და მარაგები წარმოების სეზონური შეხელების ლიკვიდაციისა და მიძღინარე სამეურნეო სიძნელეთა თავიდან აცილების მიზნით.

14) განმტკიცდეს ფულის ტრიალი და საკრედიტო ურთიერთობა სახალხო მეურნეობაში; ამაღლებულ იქნას სახალხო მეურნეობაში მოგებისა და სამეურნეო ყაირათიანობის მნიშვნელობა, როგორც წარმოების ზრდის დამატებითი სტიმული; პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით გადიდდეს წარმოების ყველა დარგის მომგებიანობა; გაძლიერდეს სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღება შინაგანი რესურსების მობილიზაციისადმი, მომჭირნეობის რეჟიმისადმი და უყაირათობისა და უნაყოფო ხარჯების გამო დანაკარგთა გადაჭრითი ლიკვიდაციისადმი; გადიდდეს პრემიების წილი მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასში აწარმოო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

15) ყოველმხრივ განვითარდეს მოკავშირე რესპუბლიკათა სამეურნეო ინიციატივა აწარმოო ძალთა აღდგენისა და განვითარების საქმეში: უზრუნველყოფილ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სისტემაში რესპუბლიკური მეურნეობის ყოველმხრივი განმტკიცება და ზრდა; უზრუნველყოფილ იქნას რესპუბლიკური მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის ყოველმხრივი განვითარება, განსაკუთრებით სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების, ადგილობრივი სათბობის მოპოვების, ადგილობრივი საჭიროებისათვის ნაგლინისა და სხმულის, სამშენებლო და ხე-ტყის მასალის, ლითონნაკეთობათა წარმოებისა და რესპუბლიკური მეურნეობისათვის მოწყობილობის წარმოების გადიდება;

გათვალისწინებულ იქნას, რომ ფართო მოხმარების ის საქონელი, რასაც ადგილობრივი მრეწველობა და სარეწაო კოოპერაცია ამზადებს, მთლიანად იმყოფება მოკავშირე რესპუბლიკის განკარგულებაში, ამასთან რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები თავისი შეხედულებით განსაზღვრავენ პროდუქციის წილს, რომელიც რჩება რესპუბლიკაში მოსახმარებლად, და პროდუქციის იმ წილს, რომელიც საქონელბრუნვის წესით იგზავნება სხვა რესპუბლიკებში ბაზრის ფასების საერთო სახელმწიფო რეგულირების შენარჩუნებით.

ამ ამოცანების შესაბამისად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ მომზადებული, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა 1946-1950 წლებისათვის და დაწესდეს შემდეგი დავალებანი ამ პერიოდისათვის.

II.

წარმოების ზრდისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმა

მრეწველობის დარგში

1. დაწესდეს პროდუქციის **მოცულობა** სსრ კავშირის მთელ მრეწველობაში 1950 წელს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის უკანასკნელ წელს 205 მილიარდი მანეთის რაოდენობით (1926-1927 წლის ფასებით) 1940 წლის 138,5 მილიარდი მანეთის ნაცვლად, ე. ი. სამრეწველო პროდუქციის 48 პროცენტით ზრდა 1940 წელთან—ომის წინა წელთან შედარებით.

2. განისაზღვროს პროდუქციის წარმოების შემდეგი დონე მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში 1950 წლისათვის:

მეტალურგია

თუჯი	19,5 მილიონი ტონა
ფოლადი	25,4 მილიონი ტონა
ნაგლინი	17,8 მილიონი ტონა

სათბობი და ენერგეტიკა

ქვანახშირი	250,0 მილიონი ტონა
ნავთი	35,4 მილიონი ტონა
ქვანახშირისა და ფიქალების გაზი	1,9 მილიარდი კუბმეტრი
ბუნებრივი გაზი	8,4 მილიარდი კუბმეტრი
ელექტროენერგია	82,0 მილიარდი კილოვატსაათი

მოძრავი შემადგენლობა

მაგისტრალური ორთქლმავალი	2.200 ცალი
მაგისტრალური თბომავალი	300 ცალი
მაგისტრალური ელექტრომავალი	220 ცალი
საქონლის ვაგონი (ორღერძიანი გამოანგარიშებით)	146 ათასი ცალი
სამგზავრო ვაგონი	2.600 ცალი

ავტომობილები

სატვირთო ავტომობილი	428,0 ათასი ცალი
მსუბუქი ავტომობილი	65,6 ათასი ცალი
ავტობუსი	6,4 ათასი ცალი

მოწყობილობა

მეტალურგიული მოწყობილობა	102,9 ათასი ტონა
ორთქლის ტურბინი	2.906 ათასი კვტ.
დიდი ჰიდროტურბინი	372 ათასი კვტ.
საშუალო ჰიდროტურბინი	150 ათასი კვტ.
წვრილი ჰიდროტურბინი	500 ათასი კვტ.
მოტორი 100 კვტ-მდე	624 ათასი ცალი
მოტორი 100 კილოვატზე მეტი	9.000 ცალი
ლითონმჭრელი დაზგა	74 ათასი ცალი
სართავი მანქანა	1.400 ათასი თითისტარი
საქსოვი დაზგა	25 ათასი ცალი

სასოფლო-სამეურნეო მანქანები

ტრაქტორი	112,0 ათასი ცალი
სატრაქტორო გუთანი	110,0 ათასი ცალი
სატრაქტორო კულტივატორი	82,3 ათასი ცალი
სატრაქტორო სათესი მანქანა	83,3 ათასი ცალი
რთული სალეწი მანქანა	18,3 ათასი ცალი

ქიმიკატები და მინერალური სასუქი

კაუსტიკური სოდა	390 ათასი ტონა
კალცირებული სოდა	800 ათასი ტონა
მინერალური სასუქები (სუპერ-ფოსფატი, აზოტიანი და კალიუმიანი სასუქი)	5.100 ათასი ტონა
სინთეზური საღებავები	43 ათასი ტონა

ხე-ტყისა და სამშენებლო მასალა

მერქნის გამოტანა	280,0 მილიონი კუბმეტრი
დახერხილი მასალა	39,0 მილიონი კუბმეტრი
ცემენტი	10,5 მილიონი ტონა
ფიქალი	410,0 მილიონი ფილა
ფანჯრის მინა	80,0 მილიონი კვ. მეტრი

საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობანი

ჩითეულობა	4.686 მილიონი მეტრი
შალის ქსოვილი	159,4 მილიონი მეტრი
ტყავის ფეხსაცმელი	240 მილიონი წყვილი
რეზინის ფეხსაცმელი	88,6 მილიონი წყვილი
წინდის ნაკეთობანი	580 მილიონი წყვილი

კვების მრეწველობის პროდუქტები

ხორცი	1.300 ათასი ტონა
ერბო-კარაქი	275 ათასი ტონა
საშქელი ზეთი	880 ათასი ტონა
თევზი	2.200 ათასი ტონა
შაქარი	2.400 ათასი ტონა
ფქვილი	19.000 ათასი ტონა
სპირტი	100,8 მილიონი დეკალიტრი
საპონი	870 ათასი ტონა

3. წარმოების ზრდის გეგმის შესაბამისად დაწესდეს სსრ კავშირის მრეწველობის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებისათვის 157,5 მილიარდი მანეთის რაოდენობით (1945 წლის სახარჯთაღრიცხვო ფასებით).

4. **შავი მეტალურგიის** დარგში, რომლის აღმავლობაც ბევრად განსაზღვრავს სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას, 1950 წელს გადაჭარბებულ იქნას თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის წარმოების ომამდელი დონე 35 პროცენტით. რკინის მადნის ამოღება 1950 წელს აყვანილ იქნას 40 მილიონ ტონამდე, კოქსის წარმოება 30 მილიონ ტონამდე, შამოტისა 2,78 მილიონ ტონამდე, დინასისა 0,98 მილიონ ტონამდე. აღდგენილ და გაფართოებულ იქნას რკინიგზის რელსების წარმოება და უზრუნველყოფილ იქნას მათი გამოშვება 1950 წელს 1.350 ათასი ტონის რაოდენობით. აყვანილ იქნას რკინის მილების წარმოება 1950 წელს 1,5 მილიონ ტონამდე.

სულ ხუთი წლის განმავლობაში აღდგენილ, აგებულ და ამუშავებულ იქნას 45 ბრძმედი 12,8 მილიონი ტონა თუჯის გამოდნობის საერთო სიმძლავრისა, 165 მარტენის ღუმელი, 15 კონვერტორი და 90 ელექტროღუმელი 16,5 მილიონი ტონა ფოლადის გამოდნობის საერთო სიმძლავრისა, 104 საგლინავ დაზგა 11,7 მილიონი ტონა მზა ნაგლინის გამოშვების საერთო სიმძლავრის, 63 საკოქსო ბატარეა 19,1 მილიონი ტონა კოქსის გამოწვის საერთო სიმძლავრისა. ამუშავებულ იქნას მაღაროები წელიწადში 35,4 მილიონი ტონა მადნის სიმძლავრისა.

აღდგენილ იქნას თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, მადნისა და კოქსის წარმოების ომამდელი დონე სამხრეთის მეტალურგიაში. უზრუნველყოფილ იქნას მეტალურგიული ქარხნების აღდგენა სსრ კავშირის სამხრეთში, მათ შორის 17 დიდი მეტალურგიული ქარხნისა. აღდგენილ იქნას შვიდი მილსაგლინავი და მილსასხმელი ქარხანა.

განგრძობილ იქნას სსრ კავშირის მეტალურგიული ბაზის ყოველმხრივ განვითარება ურალში, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. ძირითადად დამთავრდეს ნოვა ტაგილისა და ჩელიაბინსკის მეტალურგიული ქარხნების მშენებლობა. განგრძობილ იქნას ოთხი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა ურალსა და ციმბირში. სახალხო მეურნეობის ელექტროტექნიკური ტრანსფორმატორული და დინამური ფოლადით უზრუნველყოფისათვის აგებულ იქნას ელექტროტექნიკური ფოლადების ახალი ქარხანა. აგებულ იქნას მეტალურგიული ქარხანა საქართველოს სს რესპუბლიკაში და მილსაგლინავი ქარხანა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში. დაწყებულ იქნას ახალი მეტალურგიული ქარხნების მშენებლობა ყაზახეთის სს რესპუბლიკაში და ლენინგრადის რაიონში.

შეიქმნას საკუთარი რკინის მადნის ბაზა შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირსა და ამიერკავკასიაში. აღდგენილ და უზრუნველყოფილ იქნას კრივ-

როგის რკინის მადნის აუზის, კამიშ-ბურუნის რკინის მადნის კომბინატის, ლიპეცკისა და ტულის სამადნოების, ჭიათურისა და ნიკოპოლის მარგანეცის საბადოთა შემდგომი განვითარება. 2 მილიონი ტონით გადიდდეს სიმძლავრე რკინის მადნის მოსაპოვებლად გორნაია შორიაში. მოეწყოს რკინის მადნის მოპოვება კურსკის მაგნიტური ანომალიის რაიონში. შემცირდეს მეტალურგიული ნედლეულის შორი გადაზიდვა, კერძოდ, შემცირდეს ურალის რკინის მადნის შეტანა კუზბასში.

გაფართოვდეს გეოლოგიურ-საძიებელი სამუშაოები, განსაკუთრებით სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში, რათა შემდგომ გადიდდეს რკინის მადნებისა და მეტალურგიული ნედლეულის სამრეწველო მარაგი მოქმედი მეტალურგიული ქარხნებისათვის და ახალი მეტალურგიული ქარხნების ასაგებად. გამოკვლეულ იქნას რკინის მადნის სამრეწველო მარაგი 1.680 მილიონი ტონის რაოდენობით, მათ შორის დასავლეთ ციმბირში 100 მილიონი ტონა, და მარგანეცის მადნის სამრეწველო მარაგი 110 მილიონი ტონის რაოდენობით, მომზადებულ იქნას სამრეწველო მარაგი ახალი მეტალურგიული ქარხნების ასაგებად ჩრდილოეთ ურალში, ციმბირში, ყაზახეთის სს რესპუბლიკასა და კურსკის მაგნიტური ანომალიის რაიონში.

აღდგეხილ იქნას სამხრეთში თხელი ცივადნაგლინი ფურცლის წარმოება და გაფართოვდეს მისი წარმოება აღმოსავლეთში; მოეწყოს გალაქტული თუნუქისა და გაფართოვდეს თეთრი თუნუქის წარმოება. ყოველმხრივ განვითარდეს პროფილური ლითონის, მცირედლეგირებული ფოლადების, პრეციზული შენადნობების, ტრანსფორმატული და დინამური ფოლადების წარმოება მცირე მაგნიტური დანაკარგებით. გადიდდეს მაღალლეგირებული ფოლადების წარმოება მაღალი წნევისა და მაღალი ტემპერატურების ქვაბებისა და ტურბინების დასამზადებლად.

ჩატარდეს შრომატევადი პროცესების შემდგომი მექანიზაცია საბრძმედე, მარტენისა და საგლინავ საამქროებში, კერძოდ, სამხრეთის მეტალურგიული ქარხნების აღდგენის დროს. მეტალურგიული და კოქსქიმიური ქარხნების მადნის, ქვანახშირისა და კოქსის საწყობები აღჭურვილ იქნას თანამედროვე ტვირთამწევი ონკანებით; მოწყობილ იქნას ქარხნებისა და სამადნოების სატრანსპორტო საამქროები თვითგანმტვირთავი ვაგონებით. ფართოდ დაინერგოს ლითონის ცეცხლით გაწმენდა. აღჭურვილ იქნას მეტალურგიული აგრეგატები საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებითა და აპარატურით მართვის ავტომატიზაციის დარგში. სამრეწველო მასშტაბებით ათვისებულ იქნას გაუხვებული ბერვა ჟანგბადით საბრძმედე და ფოლადსამსხმელო წარმოებაში.

განვითარებულ იქნას მწირი მადნების გაუხვება; გადიდდეს აგლომერატის წარმოება და გაუმჯობესებულ იქნას სადნობად ნედლი მასალის მომზადება უფრო მუდმივი შემადგენლობის ნაზავის მისაღწევად.

აღჭურვილ იქნას მოწყობილობით მეტალურგიული ქარხნების სკრაპის გადამმუშავებელი ბაზები და ურნალის საამქროები და აგებულ იქნას ჯართის გადამმუშავებელი მთელი რიგი ახალი მექანიზებული ქარხნები. გადიდდეს გაზსადენთა ქსელი კოქსის გაზის გადასაცემად მისი სამრეწველო გამოყენების მიზნით.

5. **ფერადი მეტალურგიის** დარგში—მოქმედ საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების, ახალი მაღაროებისა და ქარხნების მშენებლობის, იმ რაიონების საწარმოთა აღდგენის, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, და მოწინავე ტექნიკის დანერგვის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას ფერადი და იშვიათი ლითონების წარმოების ზრდის მაღალი ტემპი. გადიდდეს ხუთწლედის მანძილზე სპილენძის წარმოება 1,6-ჯერ, ალუმინისა 2-ჯერ, მაგნიუმისა 2,7-ჯერ, ნიკელისა 1,9-ჯერ, ტყვიისა 2,6-ჯერ, თუთიისა 2,5-ჯერ, ვოლფრამის კონცენტრატისა 4,4-ჯერ, მოლიბდენის კონცენტრატისა 2,1-ჯერ, კალისა 2,7-ჯერ. გაფართოვდეს ფერადი ლითონების ნაგლინის წარმოება, განსაკუთრებით რთული შენადნობებიდან. უზრუნველყოფილ იქნას ფერადი მეტალურგიის მადნის ბაზის შემდგომი გაფართოება და განმტკიცება და დაძლეულ იქნას ტყვიის მრეწველობის ნედლეულის ბაზის ჩამორჩენა.

საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობანი

ჩითეულობა	4.686 მილიონი მეტრი
შალის ქსოვილი	159,4 მილიონი მეტრი
ტყავის ფეხსაცმელი	240 მილიონი წყვილი
რეზინის ფეხსაცმელი	88,6 მილიონი წყვილი
წინდის ნაკეთობანი	580 მილიონი წყვილი

კვების მრეწველობის პროდუქტები

ხორცი	1.300 ათასი ტონა
ერბო-კარაქი	275 ათასი ტონა
საჭმელი ზეთი	880 ათასი ტონა
თევზი	2.200 ათასი ტონა
შაქარი	2.400 ათასი ტონა
ფქვილი	19.000 ათასი ტონა
სპირტი	100,8 მილიონი დეკალიტრი
საპონი	870 ათასი ტონა

3. წარმოების ზრდის გეგმის შესაბამისად დაწესდეს სსრ კავშირის მრეწველობის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებისათვის 157,5 მილიარდი მანეთის რაოდენობით (1945 წლის სახარჯთაღრიცხვო ფასებით).

4. **შავი მეტალურგიის** დარგში, რომლის აღმავლობაც ბევრად განსაზღვრავს სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას, 1950 წელს გადაჭარბებულ იქნას თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის წარმოების ომამდელი დონე 35 პროცენტით. რკინის მადნის ამოღება 1950 წელს აყვანილ იქნას 40 მილიონ ტონამდე, კოქსის წარმოება 30 მილიონ ტონამდე, შამოტისა 2,78 მილიონ ტონამდე, დინასისა 0,98 მილიონ ტონამდე. აღდგენილ და გაფართოებულ იქნას რკინიგზის რელსების წარმოება და უზრუნველყოფილ იქნას მათი გამოშვება 1950 წელს 1.350 ათასი ტონის რაოდენობით. აყვანილ იქნას რკინის მილების წარმოება 1950 წელს 1,5 მილიონ ტონამდე.

სულ ხუთი წლის განმავლობაში აღდგენილ, აგებულ და ამუშავებულ იქნას 45 ბრძმედი 12,8 მილიონი ტონა თუჯის გამოდნობის საერთო სიმძლავრისა, 165 მარტენის ღუმელი, 15 კონვერტორი და 90 ელექტროღუმელი 16,2 მილიონი ტონა ფოლადის გამოდნობის საერთო სიმძლავრისა, 104 საგლინავი დაზგა 11,7 მილიონი ტონა მზა ნაგლინის გამოშვების საერთო სიმძლავრისა, 63 საკოქსო ბატარეა 19,1 მილიონი ტონა კოქსის გამოწვის საერთო სიმძლავრისა. ამუშავებულ იქნას მაღაროები წელიწადში 35,4 მილიონი ტონა მადნის სიმძლავრისა.

აღდგენილ იქნას თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, მადნისა და კოქსის წარმოების ომამდელი დონე სამხრეთის მეტალურგიაში. უზრუნველყოფილ იქნას მეტალურგიული ქარხნების აღდგენა სსრ კავშირის სამხრეთში, მათ შორის 17 დიდი მეტალურგიული ქარხნისა. აღდგენილ იქნას შვიდი მილსაგლინავი და მილსახსმელი ქარხანა.

განგრძობილ იქნას სსრ კავშირის მეტალურგიული ბაზის ყოველმხრივ განვითარება ურალში, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. ძირითადად დამთავრდეს ნოვი ტაგილისა და ჩელიაბინსკის მეტალურგიული ქარხნების მშენებლობა. განგრძობილ იქნას ოთხი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა ურალსა და ციმბირში. სახალხო მეურნეობის ელექტროტექნიკური ტრანსფორმატორული და დინამური ფოლადით უზრუნველყოფისათვის აგებულ იქნას ელექტროტექნიკური ფოლადების ახალი ქარხანა. აგებულ იქნას მეტალურგიული ქარხანა საქართველოს სს რესპუბლიკაში და მილსაგლინავი ქარხანა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში. დაწყებულ იქნას ახალი მეტალურგიული ქარხნების მშენებლობა ყაზახეთის სს რესპუბლიკაში და ლენინგრადის რაიონში.

შეიქმნას საკუთარი რკინის მადნის ბაზა შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირსა და ამიერკავკასიაში. აღდგენილ და უზრუნველყოფილ იქნას კრივო-

როგის რკინის მადნის აუზის, კამიშ-ბურუნის რკინის მადნის კომბინატის, ლიპეცკისა და ტულის სამადნოების, ჰიათურისა და ნიკოპოლის მარგანეცის საბადოთა შემდგომი განვითარება. 2 მილიონი ტონით გადიდდეს სიმძლავრე რკინის მადნის მოსაპოვებლად გორნაია შორიაში. მოეწყოს რკინის მადნის მოპოვება კურსკის მაგნიტური ანომალიის რაიონში. შემცირდეს მეტალურგიული ნედლეულის შორი გადაზიდვა, კერძოდ, შემცირდეს ურალის რკინის მადნის შეტანა კუზბასში.

გაფართოვდეს გეოლოგიურ-საძიებელი სამუშაოები, განსაკუთრებით სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში, რათა შემდგომ გადიდდეს რკინის მადნებისა და მეტალურგიული ნედლეულის სამრეწველო მარაგი მოქმედი მეტალურგიული ქარხნებისათვის და ახალი მეტალურგიული ქარხნების ასაგებად. გამოკვლეულ იქნას რკინის მადნის სამრეწველო მარაგი 1.680 მილიონი ტონის რაოდენობით, მათ შორის დასავლეთ ციმბირში 100 მილიონი ტონა, და მარგანეცის მადნის სამრეწველო მარაგი 110 მილიონი ტონის რაოდენობით. მომზადებულ იქნას სამრეწველო მარაგი ახალი მეტალურგიული ქარხნების ასაგებად ჩრდილოეთ ურალში, ციმბირში, ყაზახეთის სს რესპუბლიკასა და კურსკის მაგნიტური ანომალიის რაიონში.

აღდგენილ იქნას სამხრეთში თხელი ცივადნაგლინი ფურცლის წარმოება და გაფართოვდეს მისი წარმოება აღმოსავლეთში; მოეწყოს გალაქტული თუნუქისა და გაფართოვდეს თეთრი თუნუქის წარმოება. ყოველმხრივ განვითარდეს პროფილური ლითონის, მცირედლეგირებული ფოლადების, პრეციზული შენადნობების, ტრანსფორმატული და დინამური ფოლადების წარმოება მცირე მაგნიტური დანაკარგებით. გადიდდეს მაღალლეგირებული ფოლადების წარმოება მაღალი წნევისა და მაღალი ტემპერატურების ქვაბებისა და ტურბინების დასამზადებლად.

ჩატარდეს შრომატევადი პროცესების შემდგომი მექანიზაცია საბრძმედე, მარტენისა და საგლინავ საამქროებში, კერძოდ, სამხრეთის მეტალურგიული ქარხნების აღდგენის დროს. მეტალურგიული და კოქსქიმიური ქარხნების მადნის, ქვანახშირისა და კოქსის საწყობები აღჭურვილ იქნას თანამედროვე ტვირთამწევი ონკანებით; მოწყობილ იქნას ქარხნებისა და სამადნოების სატრანსპორტო საამქროები თვითგანმტვირთავი ვაგონებით. ფართოდ დაინერგოს ლითონის ცეცხლით გაწმენდა. აღჭურვილ იქნას მეტალურგიული აგრეგატები საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებითა და აპარატურით მართვის ავტომატიზაციის დარგში. სამრეწველო მასშტაბებით ათვისებულ იქნას გაუხვეებული ბერვა ჟანგბადით საბრძმედე და ფოლადსამსხმელო წარმოებაში.

განვითარებულ იქნას მწირი მადნების გაუხვება; გადიდდეს აგლომერატის წარმოება და გაუმჯობესებულ იქნას საღნობად ნედლი მასალის მომზადება უფრო მუდმივი შემადგენლობის ნაზავის მისაღწევად.

აღჭურვილ იქნას მოწყობილობით მეტალურგიული ქარხნების სკრაპის გადამმუშავებელი ბაზები და ურნალის საამქროები და აგებულ იქნას ჯართის გადამმუშავებელი მთელი რიგი ახალი მექანიზებული ქარხნები. გადიდდეს გაზსადენთა ქსელი კოქსის გაზის გადასაცემად მისი სამრეწველო გამოყენების მიზნით.

5. **ფერადი მეტალურგიის** დარგში—მოქმედ საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების, ახალი მაღაროებისა და ქარხნების მშენებლობის, იმ რაიონების საწარმოთა აღდგენის, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, და მოწინავე ტექნიკის დანერგვის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას ფერადი და იშვიათი ლითონების წარმოების ზრდის მაღალი ტემპი. გადიდდეს ხუთწლედის მანძილზე სპილენძის წარმოება 1,6-ჯერ, ალუმინისა 2-ჯერ, მაგნიუმისა 2,7-ჯერ, ნიკელისა 1,9-ჯერ, ტყვიისა 2,6-ჯერ, თუთიისა 2.5-ჯერ, ვოლფრამის კონცენტრატისა 4,4-ჯერ, მოლიბდენის კონცენტრატისა 2,1-ჯერ, კალისა 2.7-ჯერ. გაფართოვდეს ფერადი ლითონების ნაგლინის წარმოება, განსაკუთრებით რთული შენადნობებიდან. უზრუნველყოფილ იქნას ფერადი მეტალურგიის მადნის ბაზის შემდგომი გაფართოება და განმტკიცება და დაძლეულ იქნას ტყვიის მრეწველობის ნედლეულის ბაზის ჩამორჩენა.

გადიდდეს ხუთწლედის მანძილზე სპილენძის მრეწველობის მაღაროების, გამამუხვებელი ფაბრიკა-ქარხნების სიმძლავრეები. დამთავრდეს სპილენძის მადნის კომბინატის პირველი რიგის მშენებლობა ყაზახეთის სს რესპუბლიკაში. ავებულ იქნას ახალი სპილენძსადნობი კომბინატის პირველი რიგი სამხრეთ ურალში. აგებულ და ამუშავებულ იქნას ახალი სპილენძ-ელექტროლიზის ქარხანა. გადიდდეს ალუმინის მრეწველობის მაღაროებისა და ქარხნების სიმძლავრეები. აღდგენილ იქნას ბოქსიტის მაღაროები, ორი ალუმინის ქარხანა და ერთი თიხამიწის ქარხანა. აგებულ და ამუშავებულ იქნას ალუმინის ორი ახალი ქარხანა. გადიდდეს ალუმინის ქარხნების სიმძლავრეები ჩრდილოეთ ურალსა და კუზბასში. ამუშავებულ იქნას თიხამიწის ქარხნის პირველი რიგი აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში. გადიდდეს ელექტროლიზური ნიკელის წარმოების სიმძლავრეები ნიკელის ორ კომბინატში. ამუშავებულ იქნას ნიკელის ახალი კომბინატი. გაფართოვდეს თუთიის მოქმედი ქარხნები; აღდგენილ იქნას თუთიის ორი ქარხანა სსრ კავშირის სამხრეთში, აგებულ იქნას თუთიის ახალი ქარხანა და ტყვიის ახალი ქარხანა. აღდგენილ იქნას და გაფართოვდეს ვოლფრამ-მოლიბდენის კომბინატი ჩრდილოეთ კავკასიაში და გაგრძელდეს საწარმოთა მშენებლობა შუა აზიისა და აღმოსავლეთ ციმბირის ვოლფრამ-მოლიბდენის გამოკვლეული საბადოების ბაზაზე. აგებულ და ამუშავებულ იქნას ფერადი ნაგლინის სამი ახალი ქარხნის პირველი რიგი. აღდგენილ და გაფართოებულ იქნას ელექტროდის ქარხანა უკრაინის სს რესპუბლიკაში და აგებულ იქნას ელექტროდის ერთი ახალი ქარხანა ჩრდილოეთ კავკასიაში. აგებულ იქნას ორი ახალი საწარმო მაღალხარისხოვან მაგარ შენადნობთა საწარმოებლად.

ათვისებულ იქნას ახალი სახის ნედლეულთა გადამუშავება თიხამიწის — ნეფელინებისა და ალუნიტების საწარმოებლად. გადიდდეს სპილენძის, ტყვიის, ბოქსიტების, ნიკელის, ვოლფრამისა და მოლიბდენის სამრეწველო კატეგორიების მადანთა მარაგი. გამოკვლეულ იქნას და ჩატარდეს მუშაობა სამხრეთსა და ციმბირში ალუმინის ქარხნებისათვის ადგილობრივი ნედლეულის ბაზის მოსამზადებლად. ჩატარდეს ფართო საძიებო სამუშაოები და გამოვლინებულ იქნას ახალი საბადოები ალუმინის, ნიკელის, ვოლფრამის, მოლიბდენის, ოქროს და ახალი იშვიათი ლითონების სამთამადნო საწარმოთა და ქარხანათა მშენებლობისათვის.

მოეწყოს ყველა იმ მადნეულობის კომპლექსური გამოყენება, რომლებსაც ფერადი ლითონების მადანი შეიცავს, მათ შორის გოგირდოვანი ნედლეულისა, გადამუშავების უფრო სრულყოფილი მეთოდების ხმარებისა და ქიმიურ წარმოებასთან ფერადი მეტალურგიის კომბინირების გზით. ჩატარდეს ფერადი ლითონების მადნის მოპოვებისა და გადამუშავების ყველა შრომატევადი პროცესის მექანიზაცია, აგრეთვე გამაუხვებელ ფაბრიკებსა და მეტალურგიულ ქარხნებში ტექნოლოგიური პროცესების კონტროლისა და მართვის ავტომატიზაცია. ათვისებულ იქნას სამრეწველო მასშტაბით ლითონის შაგნიუმის ელექტროთერმული გზით წარმოება.

6. უზრუნველყოფილ იქნას **ქვანახშირის მრეწველობის** ზრდის სწრაფი ტემპი, გადიდდეს ქვანახშირის მოპოვება 1950 წელს 51 პროცენტით ომამდელ დონესთან შედარებით, კოქსვადი ქვანახშირის (დონეცის, კუზნეცკის, ყარაგანდის, კიზელის, პეჩორის, ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის) ამოღება აყვანილ იქნას 57,7 მილიონ ტონამდე, რაც საჭიროა მრეწველობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილებისათვის. აღდგენილ იქნას ქვანახშირის ომამდელი მოპოვება დონბასში და 1950 წელს გადაჭარბებულ იქნას ეს დონე ქვანახშირის ამოღების 88 მილიონ ტონამდე აყვანით.

დაიწყოს ქვანახშირის ახალი აუზებისა და რაიონების—ბურეისა, ხაბაროვსკის მხარეში, ეკიბასტუზისა ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, კუიურგაზისა ბაშკირეთის ასს რესპუბლიკაში, უზგენისა ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში—ათვისება და ყოველმხრივ განვითარდეს ადგილობრივი ქვანახშირის მოპოვების ახალი ბაზები ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში, სადაც კი მოიპოვე-

ბა ქვანახშირის საბადო, რათა შორიდან შეზიდული სათბობი შეიცვალოს ადგილობრივით.

აძუშავებულ იქნას 1946-1950 წლებში 183 მილიონი ტონა საერთო სიმძლავრის ქვანახშირის შახტები. დამთავრდეს დონბასის ქვანახშირის შახტების აღდგენა 1949 წელს, რისთვისაც სავსებით აღდგენილ იქნას ქვანახშირის 182 ძირითადი შახტი 67,7 მილიონი ტონა საერთო სიმძლავრისა და დამატებით აგებულ იქნას 60 ახალი შახტი 14,1 მილიონი ტონა საერთო სიმძლავრისა. უზრუნველყოფილ იქნას პირველ რიგში კოქსვადი ქვანახშირის შახტების აღდგენა და ახალი ასეთი შახტების მშენებლობა.

აგებულ და ამუშავებულ იქნას მოსკოვსახლო აუზში 1946-1950 წლების მანძილზე ქვანახშირის 66 ახალი შახტი 18,8 მილიონი ტონა საერთო სიმძლავრისა, კუზბასში 30 შახტი 18 მილიონი ტონა სიმძლავრისა, ყარაგანდაში 17 შახტი და ჭრილი 6,5 მილიონი ტონა სიმძლავრისა, ურალში 49 შახტი და ჭრილი 19,0 მილიონი ტონა სიმძლავრისა და შუა აზიაში ქვანახშირის 9 შახტი 3,2 მილიონი ტონა სიმძლავრისა.

გაფართოვდეს ქვანახშირის ახალი ბაზა ევროპის ჩრდილოეთისა და ლენინგრადის რაიონებისათვის — პეჩორის ქვანახშირის აუზი. ამ რაიონში აშოქმედდეს 7,7 მილიონი ტონა სიმძლავრის ახალი შახტები. შეიქმნას ქვანახშირის მრეწველობა უკრაინის მარჯვენა ნაპირისა და დასავლეთის ოლქებში და ამოქმედდეს 13 შახტი და ჭრილი 9,7 მილიონი ტონა სიმძლავრისა. კავკასიაში ამოქმედდეს 10 ახალი შახტი 3,2 მილიონი ტონა სიმძლავრისა და შორეულ აღმოსავლეთში 8 შახტი 1,25 მილიონი ტონა სიმძლავრისა.

შახტმშენებლობის დადგენილი მოცულობის უზრუნველსაყოფად ფართოდ დაინერგოს მოწინავე ინდუსტრიული მეთოდები ქვანახშირის მრეწველობის საშახტე, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას მშენებლობის ვადების მნიშვნელოვანი შემცირება.

ქვანახშირის მოპოვების ზრდის, მშენებლობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების დადგენილი პროგრამის შესასრულებლად ყოველმხრივ მექანიზებულ იქნას შრომატევადი პროცესები ქვანახშირის მრეწველობაში, კერძოდ უზრუნველყოფილ იქნას ფართო მუშაობის ჩატარება ქვანახშირის ჩაყრისა და ქანის დატვირთვის მექანიზაციის დარგში. ამის შესაბამისად 3-4-ჯერ გადიდდეს მექანიზმების პარკი ქვანახშირის მრეწველობაში ომამდელ დონესთან შედარებით. გაფართოვდეს ქვანახშირის მრეწველობის მანქანათმშენებელი ბაზები სსრ კავშირის აღმოსავლეთ და დასავლეთ რაიონებში. აგებულ და ამუშავებულ იქნას ხუთწლედის მანძილზე 13 ახალი მანქანათმშენებელი ქარხანა. აღდგენილ და რეკონსტრუირებულ იქნას 16 ქარხანა საშახტო-საშახტო მოწყობილობის საწარმოებლად. ფართოდ დაინერგოს ქვანახშირის მრეწველობაში ლითონითა და რკინაბეტონით გამაგრება ნაცვლად ხით გამაგრებისა მოსამზადებელ და ასაწმენდ სამუშაოებზე.

ჩაითვალოს ქვანახშირის მრეწველობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად ქვანახშირის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესება მისი გაუხვების, დახარისხებისა და დაბრიკეტების გზით. შეიქმნას ქვანახშირის მრეწველობაში მძლავრი მექანიზებული და ტექნიკური მხრივ მოწინავე ბაზა ქვანახშირის გაუხვების, დახარისხებისა და დაბრიკეტების დარგში. უზრუნველყოფილ იქნას 1950 წელს მთელი იმ კოქსვადი ქვანახშირის მექანიკური გაუხვება, რომელიც გაუხვებულ უნდა იქნას (7 პროცენტზე მეტი ნაცრიანობისა). და მთელი ენერგეტიკული ქვანახშირისა, რომელიც გაუხვებულ უნდა იქნას (10 პროცენტზე მეტი ნაცრიანობისა), აგრეთვე ფართოდ დაინერგოს მუხრა ქვანახშირის გაუხვება. ამის შესაბამისად მექანიკური მეთოდით ქვანახშირის გაუხვება 1950 წელს აყვანილ იქნას 150 მილიონ ტონამდე, მათ შორის კოქსვადი ქვანახშირისა 53 მილიონ ტონამდე და ენერგეტიკული ქვანახშირისა 97 მილიონ ტონამდე. დახარისხებულ იქნას ენერგეტიკული ქვანახშირი. ფართოდ მოეწყოს ქვანახშირის ბრიკეტების წარმოება და მათი გამოშვება 1950 წელს აყვანილ იქნას 7,4 მილიონ ტონამდე.

ქვანახშირის მექანიკური გაუჯვებისა და დაბრიკეტების გეგმის უზრუნველსაყოფად 1946-1950 წლებში აგებულ იქნას ქვანახშირის 271 გამაუჯვებელი ფაბრიკა წლიურად 175 მილიონი ტონა ქვანახშირის სიმძლავრისა და აღდგენილ იქნას 6 ფაბრიკა 9 მილიონი ტონა სიმძლავრისა, აგებულ იქნას ქვანახშირის ბრიკეტის 26 ფაბრიკა წლიურად 10 მილიონი ტონა ბრიკეტის სიმძლავრისა, აგრეთვე შეიქმნას გამაუჯვებელი მოწყობილობის მწარმოებელი სამანქანათმშენებლო ბაზა და აგებულ იქნას ორი ახალი მანქანათმშენებელი ქარხანა კუზბასსა და დონბასში.

დაწესდეს, რომ ყველა ახალ შახტს, რომლებიც საექსპლოატაციოდ გადაეცემა, უნდა ჰქონდეს გამაუჯვებელი დანადგარები და დამხარისხებლები, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ ცალკეულ შახტებს ან შახტების ჯგუფს. დაჩქარდეს ქვანახშირის გამაუჯვებელი ფაბრიკების აღდგენა და მშენებლობა სამხრეთის კოქსქიმიურ ქარხნებში და გაჩაღდეს ქვანახშირის გამაუჯვებელი ახალი ფაბრიკების მშენებლობა მეტალურგიულ ქარხნებში.

გამოკვლეულ იქნას ხუთწლედის მანძილზე ქვანახშირის 765 ველი 361 მილიონი ტონა მზა საპროექტო სიმძლავრის შახტებისა და კარიერების ასაგებად, მათ შორის ურალში 131 ველი, მოსკოვსახლო აუზში 135 ველი, ყარაგანდის აუზში 60 ველი, კუზნეცკის აუზში 60 ველი, დონეცის აუზში 140 ველი. ჩატარდეს ძიება და გამოკვლევა კოქსვადი ქვანახშირის ახალი რაიონებისა და საბადოებისა ურალში, დონეცის, კუზნეცკის, ყარაგანდისა და პეჩორის აუზებში.

7. გადიდდეს **ტორფის მოპოვება** 1950 წელს ომამდელ დონესთან შედარებით 39 პროცენტით და ტორფის მოპოვება 1950 წელს აყვანილ იქნას 44,3 მილიონ ტონამდე. უზრუნველყოფილ იქნას ტორფის მოპოვების ფართო განვითარება სსრ კავშირის ცენტრალურ და დასავლეთ რაიონებში. უზრუნველყოფილ იქნას ტორფის მოპოვების, გაშრობის, აღების, მოსამზადებელი და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების შრომატევადი პროცესების მექანიზაცია. განვითარდეს ტორფის მოპოვების ყველაზე უფრო მექანიზებული მეთოდები: საფრეზერო, საბაგერო, ჰიდროტორფი; უზრუნველყოფილ იქნას ციწროლიანდაგიანი ტრანსპორტის განვითარება.

გადიდდეს ტორფის ბრიკეტების წარმოება 1950 წელს 1,2 მილიონ ტონამდე. დაიწყოს ტორფის სათბობის მთელ წელიწადს წარმოება, რისთვისაც აგებულ იქნას ტორფის ხელოვნური გაუწყლოების ქარხანა.

უზრუნველყოფილ იქნას სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა ფართო განვითარება ტორფის ტექნოლოგიური და ქიმიური გადამუშავების წარმოების მექანიზაციისათვის.

8. ფართო მასშტაბით განვითარდეს მრეწველობის ახალი დარგი—**გაზის მრეწველობა** ბუნებრივი გაზის მოპოვებისა და ქვანახშირის, ტორფისა და ფიქალის გადამუშავების ბაზაზე. 1950 წელს ქვანახშირისა და ფიქალისაგან გაზის წარმოება აყვანილ იქნას 1,9 მილიარდ კუბურ მეტრამდე და ბუნებრივი გაზისა 8,4 მილიარდ კუბურ მეტრამდე. გაგრძელდეს მუშაობა მიწისქვეშა გაზიფიკაციის განსახორციელებლად და მიწისქვეშა გაზიფიკაციით მიღებული გაზის გამომუშავება 1950 წელს აყვანილ იქნას 920 მილიონ კუბურ მეტრამდე წლიურად. შეიქმნას ქვანახშირისა და ფიქალის თხევად სათბობად გადამუშავების მრეწველობა. 1950 წელს ქვანახშირისა და ფიქალისაგან თხევადი სათბობის გამომუშავება აყვანილ იქნას 900 ათას ტონამდე.

აღდგენილ და აგებულ იქნას ესტონეთის სს რესპუბლიკაში ფიქალის შახტები 9,4 მილიონი ტონის სიმძლავრისა და ლენინგრადის ოლქში 3 მილიონი ტონის სიმძლავრისა ფიქალისაგან გაზის მოპოვებელი მრეწველობის შესაქმნელად. გაიშალოს ქვანახშირის ჰიდრირების ორი ქარხნის და ბენზინის სინთეზის ერთი ქარხნის მშენებლობა. აგებულ და ამუშავებულ იქნას ხუთი წლის მანძილზე ფიქალ-გაზისა და ფიქალგადამმუშავებელი ქარხნები ესტონეთის სს რესპუბლიკასა და ლენინგრადის ოლქში. აგებულ იქნას გაზის ოთხი ახალი ქარხანა; აგებულ და ამუშავებულ იქნას გაზსადენები დაშავა-კიევი,

კოხტლა-იარვე—ლენინგრადი; დამთავრდეს სარატოვ-მოსკოვის გაზსადენის მშენებლობა.

9. უზრუნველყოფილ იქნას **ნავთის მრეწველობის** სწრაფი აღდგენა და განვითარება, მიღწეულ იქნას ნავთის ამოღებისა და გადამუშავების ომამდელი დონე 1949 წელს და ეს დონე გადაჭარბებულ იქნას 1950 წელს. განგრძობილ იქნას ნავთის ამოღებისა და გადამუშავების ყოველმხრივი განვითარება აღმოსავლეთ რაიონებში — ურალში, ბაშკირეთის ასს რესპუბლიკაში, ვოლგისპირეთში, სახალინზე, თურქმენეთის სს რესპუბლიკაში, უზბეკეთის სს რესპუბლიკასა და ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, აგრეთვე უკრაინის სს რესპუბლიკაში. მნიშვნელოვნად გადიდდეს აღმოსავლეთი რაიონების ხვედრითი წონა სსრ კავშირში ნავთის საერთო ამოღებაში. გათვალისწინებულ იქნას ნავთის ამოღების აღდგენის სწრაფი ტემპი კავკასიის რაიონებში—ბაქოში, გროზნოსა და კრასნოდარში.

გაჩაღდეს გეოლოგიურ-საძიებო მუშაობა და მომზადება ახალი ნავთიანი ფართობებისა, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ნავთის ამოღების დასახულ ზრდას და 1950 წლისათვის გარდამავალი გამოკვლეული სამრეწველო მარაგის სულ ცოტა ორი-სამი წლით წინასწარ შექმნას. გათვალისწინებულ იქნას საძიებო ბურღვის გადიდება და მისი ხვედრითი წონის ამაღლება საბურღავ სამუშაოთა საერთო მოცულობაში.

განვითარდეს ჭაბურღილთა გათხრის ჩქარი მეთოდები, ტურბინული ბურღვა, რისთვისაც ხელახლა შეიარაღდეს ღრმა სატუმბავი ჭაბურღილები უფრო სრულყოფილი მოწყობილობით, დაინერგოს ჰიდროატაციის მეორჯდი მეთოდები. განხორციელდეს სარეწებში ნავთის ამოღების, მოგროვებისა და გადატუმბვის გერმეტიზაცია.

განვითარდეს მაღალოქტანიანი საავიაციო ბენზინის წარმოება. გაუმჯობესდეს საავტომობილო ბენზინის, სატრაქტორო ნავთის, სადიზელო სათბობისა და ზეთების ხარისხი. გადიდდეს ნავთობისაგან ნავთის პროდუქტების გამოსავალი დანაკარგის შემცირებით და კატალიზური პროცესების და ბენზინისა და ტექნიკური ზეთების წარმოების სხვა უახლეს მეთოდთა ფართოდ დანერგვით.

ხუთი წლის მანძილზე აგებულ იქნას ოთხი ნავთისგადამმუშავებელი ქარხანა და 16 ნავთისგადამმუშავებელი დანადგარი. აღდგენილ იქნას 3 ნავთისგადამმუშავებელი ქარხანა სამხრეთის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო რაიონების ნავთპროდუქტებით უზრუნველსაყოფად. აგებულ იქნას ახალი მაგისტრალური ნავთსადენები. შეიქმნას გაზისა და თერმული მურის წარმოების დიდი ბაზა, ამასთან მნიშვნელოვნად გადიდდეს მურის ქარხნების სიმძლავრე.

აღდგენილ იქნას და ყოველმხრივ გაფართოვდეს ნავთის მოწყობილობის, ნავთის აპარატურისა და საზომი ხელსაწყოს წარმოება, რათა სავსებით უზრუნველყოფილ იქნას ნავთის მრეწველობის მოთხოვნილება.

10. **ელექტროფიკაციის** დარგში — დაჩქარდეს აღდგენა და მშენებლობა ელექტროსადგურებისა, რათა ელექტროსადგურთა სიმძლავრის ზრდა წინ უსწრებდეს სხვა დარგების აღდგენასა და განვითარებას. შეიქმნას ენერგოსისტემებში სიმძლავრეთა მუდმივი რეზერვი, რომელიც უზრუნველჰყოფს ელექტროენერგიის მაღალ ხარისხს, ამასთან არ იქნას დაშვებული ელექტროსადგურების მუშაობა შემცირებული სიხშირით. დაწესდეს ელექტროენერგიის გამომუშავება 1950 წლისათვის 1940 წლისაზე 70 პროცენტით მეტი.

სავსებით აღდგენილ იქნას ელექტროსადგურები იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, და სსრ კავშირის ყველა ელექტროსადგურში ხუთწლედის მანძილზე ამუშავებულ იქნას 11,7 მილიონი კილოვატი, ამასთან ელექტროსადგურთა დაწესებული სიმძლავრე 1950 წელს აყვანილ იქნას 22,4 მილიონ კილოვატამდე.

გაჩაღდეს ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობა, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას ჰიდროელექტროენერგიის ხვედრითი წონის ყოველმხრივი გაზრდება სახალხო მეურნეობის ხაზით ელექტროენერგიის გამომუშავებაში.

ხუთწლედის მანძილზე ამუშავებულ იქნას ჰიდროელექტროსადგურები 2.300 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრისა.

აღდგენილ იქნას ექვსი ჰიდროელექტროსადგური, მათ შორის ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდროელექტროსადგური. დამთავრდეს 30 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. დაწყებულ იქნას აგება და ამოქმედდეს რვა ჰიდროელექტროსადგურის პირველი რიგი და დაიწყოს ხუთი ახალი დიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. გაგრძელდეს საპროექტო-საძიებო სამუშაოები მდინარეებზე დნეპრსა და სირ-დარიაზე ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის მოსამზადებლად.

ფართოდ გაჩაღდეს ადგილობრივი მნიშვნელობის ჰიდროელექტროსადგურების აღდგენისა და მშენებლობის სამუშაოები და ამ მიზნისათვის პირველ რიგში გამოყენებულ იქნას არსებული კაშხალები. უზრუნველყოფილ იქნას მცირე ჰიდროელექტროსადგურებში 1.000 ათასი კილოვატი სიმძლავრის ამოქმედება.

აღდგენილ იქნას მოსკოვის, დონბასის, დნეპრისპირეთის, კიევის, ხარკოვის, ლვოვის, ოდესის, ნიკოლაევის, სევასტოპოლის, ნოვოროსისკის, კრასნოდარის, გროზნოს, სტალინგრადის, ვორონეჟის, ბრიანსკის, კალინინის, მინსკის, ვილნიუსის, რიგის, ტალინისა და პეტროზავოდსკის თბოელექტროსადგურები და ელექტროქსელი.

დამთავრდეს მშენებლობა და ამოქმედდეს 37 რაიონული თბოელექტროსადგური, მათ შორის 21 თბოელექტროცენტრალი. ლიკვიდირებულ იქნას გარღვევა ელექტროსადგურთა სიმძლავრეებსა და ელექტროენერგიის საჭიროებას შორის მოსკოვის, გორკის, ივანოვოს და იაროსლავლის ენერგოსისტემებში.

უზრუნველყოფილ იქნას მრეწველობაში ინდივიდუალური ავტომატიზებული ელექტროამძრავის ფართოდ დანერგვა და განხორციელდეს თანდათანობით გადასვლა ელექტროამძრავზე, რომელიც ორგანულად დაკავშირებულია სამუშაო მანქანების ამსრულებელ მექანიზმებთან. გაფართოვდეს ელექტროტექნოლოგიის გამოყენება მსუბუქი და ფერადი ლითონების, ლეგირებული ფოლადების, ქიმიური პროდუქტების წარმოებასა და ლითონდამუშავებაში.

მრეწველობის შემდგომ ელექტროფიკაციასთან ერთად მოხდეს გადასვლა რკინიგზის ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის უფრო ფართო ელექტროფიკაციაზე. უზრუნველყოფილ იქნას მასობრივი მშენებლობა სოფელ ადგილებში მცირე ჰიდროელექტროსადგურებისა, ქარსადგურებისა და თბოელექტროსადგურებისა, რომლებსაც ექნებათ ლოკომობილიანი და გაზგენერატორული ძრავები. განგრძობილ იქნას მუშაობა ქალაქების — მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, სვერდლოვსკის, დონის როსტოვის თბოფიკაციისათვის.

ფართოდ დაინერგოს ელექტროსადგურებში უახლესი ენერგეტიკული ტექნიკა—მაღალი წნევისა და მაღალი ტემპერატურის ორთქლის, უახლესი სათბოფიკაციო ტურბინებისა და უახლესი ტიპის ქვაბების, გენერატორებისა და მაღალვოლტიანი აპარატურის გამოყენება. თართოდ გაჩაღდეს მუშაობა ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელთა საწარმოო პროცესების საავტომატიზაციოდ; პირველ რიგში მოხდეს ჰიდროელექტროსადგურთა მუშაობის სრული ავტომატიზაცია.

ჩატარდეს სამეცნიერო-ექსპერიმენტული სამუშაოები და პრაქტიკულად განხორციელდეს ელექტროენერგიის მაღალი ძაბვის მუდმივი დენით გადაცემა დიდ მანძილებზე.

11. **მანქანათმშენებლობის** დარგში გადიდდეს მოწყობილობის გამოშვება 1950 წელს ერთიორად ომამდელ დონესთან შედარებით. გათვალისწინებულ იქნას პირველ რიგში მეტალურგიული, ენერგეტიკული, ქვანახშირის, ნავთის მოწყობილობის, ელექტრომანქანათმშენებლობის, რკინიგზების მძძრავი შემადგენლობის, ავტომობილების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, საალმშენებლო ინდუსტრიის მოწყობილობის, გეოლოგიურ-საძიებო

მოწყობილობის, სპეციალური და აგრეგატული კლიტეების, სამსხმელო მოწყობილობის, ქიმიური მრეწველობის ხელსაწყოს და მოწყობილობის წარმოების აღდგენა და განვითარება.

ხუთწლედის დასასრულისათვის საწარმოო სიმძლავრეები აყვანილ იქნას —რკინიგზის ლოკომოტივებისა 4 ათასამდე და ვაგონებისა 200 ათასამდე (ორღერძიანი გამოანგარიშებით), მეტალურგიული მოწყობილობისა 131 ათას ტონამდე, ორთქლის ტურბინებისა 3.770 ათას კილოვატამდე, ორთქლის ქვაბებისა გახურების ზედაპირის 540 ათას კვადრატულ მეტრამდე, ტრაქტორებისა 133 ათას ცალამდე, ლითონსაჭრელი ჩარხებისა 94,8 ათას ცალამდე, ავტომობილებისა 750 ათას ცალამდე, მოტორებისა 800 ათას ცალამდე, მათ შორის ასკილოვატიანზე მეტი სიმძლავრის მოტორებისა 10 ათას ცალამდე.

უზრუნველყოფილ იქნას ახალი, ტექნიკურად უფრო სრულყოფილი საბის მაღალი ნაყოფიერების მანქანების: მრავალშპინდელიანი სააგრეგატო ჩარხების, ავტომატ ჩარხების, მძლავრი სატვიფრავი და საჭედი წნეხების, საჭედი მანქანების, მძლავრი ელექტროქსკავატორების, წარმოების ავტომატური მართვისა და კონტროლის ხელსაწყოებისა და თანამედროვე მაცივარი დანადგარების ათვისება. ათვისებულ და განვითარებულ იქნას უახლესი ტიპის ელექტრომანქანების, ტრანსფორმატორების, კონდენსატორების, მაღალი სიხშირის აპარატურის, ავტომატური სატელეფონო სადგურების, ტელეგრაფის აპარატურის, რადიოგადამცემების, რადიოლამპების, ფოტოელემენტების, კენოტრონების, განმანაწილებელი მოწყობილობის, ვერცხლისწყლის გამშართავების, შემდუღებელი მანქანების, დაცვისა და ავტომატიკის რელეების, მაღალი ძაბვის აპარატურის წარმოება.

ახალი ტიპის მანქანების წარმოების აღდგენისა და ათვისებისას უზრუნველყოფილ იქნას დეტალებისა და კვანძების სტანდარტიზაცია.

ფართოდ გამოყენებულ იქნას წარმოების მოწინავე მეთოდები მანქანათმშენებლობაში, განსაკუთრებით მასობრივი ნაკადური წარმოების მეთოდები: დაინერგოს ავტომატური ნაკადური ხაზები და აგრეგატული ჩარხები, სხმა წნევით და კოკილში, ავტომატური შედუღება, შტამპშემდუღებელი კონსტრუქციები, მაღალი სიხშირის დენით წრთობა, ელექტროგახურება, ტვიფრვა სწრაფმოძრავი წნეხებით, ზეჩქარი ღარვა.

აღდგენილ იქნას და განვითარდეს მძიმე მანქანათმშენებლობის მსხვილი ბაზა დონბასსა და ურალში. 1946-1950 წლებში გამოშვებულ იქნას 405 ათასი ტონა მეტალურგიული მოწყობილობა, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას ბლუმინგების, რელს-კოჭიანი დაზგების, მაღალი წარმადობის წვრილხარისხური და მავთულის მექანიზებული დაზგების და განუწყვეტელი გაგლინვის თხელფურცლოვანი დაზგების გამოშვება. აღდგენილ იქნას მძიმე მანქანათმშენებლობის ორი ქარხანა დონბასში და დამთავრდეს მძიმე მანქანათმშენებლობის ახალი ქარხნის მშენებლობა სამხრეთ ურალში. დაიწყოს სამტვრევ-საფქვავი მოწყობილობის ახალი ქარხნის მშენებლობა დასავლეთ ციმბირში.

1946-1950 წლებში დამზადდეს 9.030 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ორთქლის ტურბინები. ამასთან მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ორთქლის მაღალი წნევისა და ტემპერატურის ტურბინებისა და ქვაბების, აგრეთვე საშუალო და მცირე სიმძლავრის ჰიდროტურბინების გამოშვება.

აღდგენილ იქნას ენერგეტიკული მოწყობილობის წარმოების ოთხი ქარხანა. აშენდეს საშუალო და მცირე სიმძლავრის ორთქლის ტურბინების ახალი ქარხანა. დამთავრდეს ჰიდროტურბინების ორი ქარხნის მშენებლობა. აღდგენილ იქნას ერთი საქვაბე ქარხანა და ამოქმედდეს სამი ახალი საქვაბე ქარხანა.

შეიქმნას სსრ კავშირში ორთქლმავალმშენებლობისა და ვაგონმშენებლობის ძლავრი საწარმოო ბაზა. 1950 წელს აყვანილ იქნას სამაგისტრალო ორთქლმავალთა გამოშვება 2.200-მდე, სამაგისტრალო თბომავალთა გამოშ-

ვება 300-მდე, სამაგისტრალო ელექტრომავალთა გამოშვება 220-მდე და ვაგონებისა (ორღერძიანი გამოანგარიშებით) 150 ათასამდე; ყოველმხრივ განვითარდეს თვითგანტვირთვადი ვაგონების გამოშვება. აღდგენილ იქნას სამაგისტრალო ორთქლმავლების წარმოება სამ ორთქლმავალმშენებელ ქარხანაში. ხელახლა მოეწყოს სამაგისტრალო ორთქლმავლების, თბომავლების, სამრეწველო ორთქლმავლებისა და ელმავლების წარმოება ოთხ მანქანათმშენებელ ქარხანაში. ამოქმედდეს ახალი ორთქლმავალმშენებელი ქარხანა. აღდგენილ იქნას ოთხი ვაგონმშენებელი ქარხანა. დამთავრდეს სამი ახალი ვაგონმშენებელი ქარხნის მშენებლობა. განახლდეს ვაგონმშენებლობა ჩრდილოეთ ურალში.

1950 წელს ლითონსაჭრელი ჩარხების წარმოება აყვანილ იქნას 74 ათას ცალამდე. განვითარდეს აგრეგატული, სპეციალური ჩარხების, აგრეთვე ავტომატებისა და ნახევრადავტომატების წარმოება. 12,3 ათას ცალამდე გადიდდეს აგრეგატული და სპეციალური ჩარხების გამოშვება 1950 წელს. ომამდელ დონესთან შედარებით ორნახევარჯერ გადიდდეს სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობის წარმოება, უწინარეს ყოვლისა მძიმე წნეხების, ურიკებისა და საჭედი მანქანების გამოშვებით. გადიდდეს ნორმალიზებული ინსტრუმენტისა და აბრაზივების გამოშვება. აღდგენილ იქნას მანქანათმშენებლობის 18 ქარხანა, აშენდეს და ამოქმედდეს მძიმე ჩარხების წარმოების ორი ახალი ქარხანა და აგრეგატული და სპეციალური ჩარხების სამი ქარხანა.

1950 წლისათვის ელექტრომოწყობილობის წარმოება ომამდელ დონესთან შედარებით გადიდდეს 2,5-ჯერ. საესებით უზრუნველყოფილ იქნას მანქანათმშენებლობა ყველა სახის ელექტრომოწყობილობით, აგრეთვე ქვანახშირის მრეწველობა, ნავთის მრეწველობა და მეტალურგია დიდი ელექტრომოტორებით, აფეთქების მხრივ უსაშიშრო მოტორებით, ცვალებადი დენის ნორმალური მოტორებითა და ელექტროაპარატურით. უზრუნველყოფილ იქნას მაღალვოლტიანი აპარატურით რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაციის პროგრამა. ყოველმხრივ განვითარდეს ავტომატური კონტროლისა და მართვის აპარატურის წარმოება. აღდგენილ იქნას და დამთავრდეს ელექტრომანქანათმშენებლობის 15 ქარხანა. აშენდეს და ამოქმედდეს ტურბინის გენერატორთა წარმოების ქარხანა, წევისა და საამწეო მოწყობილობის წარმოების ქარხანა, ორი კაბელის ქარხანა, ელექტრონსხივის მილაკების ქარხანა, თბომავლის ელექტრომოწყობილობის ქარხანა.

1950 წელს ავტომობილების გამოშვება აყვანილ იქნას 500 ათას ცალამდე. დაიწყოს ახალი ტიპის ავტომანქანების: გაზრდილი ტვირთმზიდაობის სატვირთო ავტომობილებისა და უფრო მარჯვე და ეკონომიური მსუბუქი ავტომანქანების მასობრივი გამოშვება. აღდგენილ იქნას გაზგენერატორული და გაზბალონიანი ავტომობილების წარმოება. მოეწყოს დიზელმოტორიან სატვირთო ავტომობილთა და ავტოთვითდამცლელთა მასობრივი წარმოება. დამთავრდეს სამი საავტომობილო ქარხნისა და მცირელიტრაჟიანი ავტომობილების ქარხნის მშენებლობა. აშენდეს სამი ახალი საავტომობილო ქარხანა, გაფართოვდეს სამი მოქმედი საავტომობილო ქარხანა. დამთავრდეს ოთხი ავტოსაამწყობო ქარხნის მშენებლობა.

გადიდდეს ტრაქტორმშენებლობა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, ურომლისოდაც შეუძლებელია სოფლის მეურნეობის სწრაფი აღდგენა და განვითარება. აღდგენილ იქნას ტრაქტორმშენებლობის ქარხნები და შეიქმნას ტრაქტორების წარმოების ახალი ბაზები იმ მიზნით, რომ ტრაქტორების გამოშვება პირველ რიგში სოფლის მეურნეობისათვის 1950 წელს აყვანილ იქნას 112 ათასამდე. მოეწყოს დიზელმოტორიანი და გაზგენერატორულდანადგარიანი ტრაქტორების მასობრივი გამოშვება. აღდგენილ იქნას ორი სატრაქტორო ქარხანა, დამთავრდეს სამი ახალი სატრაქტორო ქარხნის მშენებლობა, მოეწყოს სატრაქტორო ქარხანა ბელორუსიის სს რეს-

ბუბლიკაში. აღდგენილ იქნას ტრაქტორმშენებლობა ორ ქარხანაში, რომლებიც თავისუფლდებიან სპეციალური დაკვეთებისაგან.

აღდგენილ იქნას და განვითარდეს ისეთი სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება, როგორიცაა — ტრაქტორის გუთნები, სათესი მანქანები, კულტივატორები, დისკოიანი და სახნისიანი საოშები, კომბაინები და მარცვლის ასაღები სხვა მანქანები, მარცვალსაწმენდი მანქანები, ტექნიკური კულტურებისა და ბალახის სათესლე ნაკვეთების მოსავლის ასაღები მანქანები, სათიბი მანქანები, საკვების დასამზადებელი და საკვების გადამამუშავებელი მანქანები, ცხვრის მექანიკურად საპარსი და ძროხის საწველი მანქანები, სეპარატორები, მაცივრები და სხვა სარძეო ინვენტარი, აგრეთვე მეცხოველეობის ფერმათა წყალმომარაგების მოწყობილობა, საკოლმეურნეო წისქვილების მოწყობილობა და სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის აპარატურა. აღდგენილ იქნას სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების ცხრა ქარხანა. დამთავრდეს და ამოქმედდეს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ხუთი ქარხანა და ერთი კომბაინების წარმოების ქარხანა.

საკვებით აღდგენილ იქნას გემთსაშენი ქარხნები და მათთან კოოპერირებული საწარმოები, პირველ რიგში ლენინგრადისა და ნიკოლაევის გემთსაშენი ქარხნები. აშენდეს ახალი გემთსაშენი ქარხნები. აღდგენილ და გადიდებულ იქნას სამდინარო და საზღვაო გემთსაშენ საწარმოთა სიმძლავრე.

გაფართოვდეს კომპრესორებისა და მაღალი წნევის ქიმიური აპარატურის წარმოება. მრეწველობაში ჟანგბადის ფართოდ დანერგვისა და ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაციის მიზნით მოეწყოს მძლავრი კომპრესორებისა და დანადგარების წარმოება ჟანგბადის გამოსამუშავებლად. სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში დამთავრდეს ქარხნების მშენებლობა და გაფართოება ქიმიური მოწყობილობის: ცენტრიდანული ტუმბოების, კომპრესორებისა და ტურბინკომპრესორების გამოსაშვებად.

ომამდელ დონესთან შედარებით ერთიოთხად გადიდდეს საფეიქრო მანქანების წარმოება. ათვისებულ იქნას ახალი, ტექნიკურად სრულყოფილი მოწყობილობის—სწრაფი საფთილავი, სწრაფმოძრავი საქსელავი მანქანების გამოშვება. განვითარებულ იქნას მაღალი გაჭიმვის ვატერებისა და ავტომატური საქსოვი დაზგების, ფეხსაცმლისა და სამკერვალო მრეწველობის მანქანების წარმოება. განვითარებულ იქნას კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობა, განსაკუთრებით ხორც-რძისა, შაქრისა და საკონსერვო მრეწველობისათვის, აგრეთვე წისქვილ-ელევატორის მოწყობილობის წარმოება. ათვისებულ იქნას უახლესი ტიპების მოწყობილობის—ამონიაკის კომპრესორების, სწრაფსაყინავი მანქანების, სახმობი და საექსტრაქციო დანადგარების, ვაკუუმ-აპარატებისა და საკონსერვო ხაზების წარმოება.

უზრუნველყოფილ იქნას ექსკავატორების, უახლესი სამშენებლო და საგზაო მანქანების, საამწეო-სატრანსპორტო მოწყობილობისა და დასატვირთავ-განსატვირთავი მანქანების, აგრეთვე შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის სხვადასხვა მოწყობილობის წარმოება.

ტექნოლოგიური პროცესების კონტროლისა და მართვის ავტომატიზაციისათვის ყოველმხრივ განვითარდეს ხელსაწყოთმშენებლობა და 1950 წელს 1940 წელთან შედარებით შეიდჯერ გადიდდეს ოპტიკურ-მექანიკურ და ელექტროსაზომ ხელსაწყოთა წარმოება. მოეწყოს ელექტრონული მიკროსკოპების წარმოება სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში მათი დანერგვისათვის. უზრუნველყოფილ იქნას იმ ხელსაწყოთა წარმოება, რომლებიც საჭიროა ძიების გეოფიზიკური (მაგნეტური, ელექტრონული, სეისმური) მეთოდებისათვის, და ფართოდ დაინერგოს ისინი გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებში სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების ძიებისა და კვლევის დაჩქარებლად და ეფექტიანობის ასამაღლებლად. ავიაციის, ნაოსნობისა და სოფლის მეურნეობის საჭიროებათა უზრუნველსაყოფად განვითარებულ იქნას იმ

გეოფიზიკურ ხელსაწყოთა წარმოება, რომლებიც საჭიროა ამინდის წინასწარ შესატყობად.

ათვისებულ და განვითარებულ იქნას უახლესი ტიპის მიკროსკოპების, სპექტრალური აპარატურის, კინოსპროექციო და კინოგადამღები აპარატურის, ფოტოაპარატების, ბინოკლების მასობრივი წარმოება და ამისათვის გამოყენებულ იქნას უახლესი მიღწევები ოპტიკური ტექნიკის დარგში. აღდგენილ და განვითარებულ იქნას ტექნიკურად სრულყოფილი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მოტოციკლების, ველოსიპედების, სანადირო თოფების, რადიომიმღებების, საათებისა და პატეფონების მასობრივი წარმოება. მოეწყოს თანამედროვე მიმღებთა გამოშვება ტელევიზიისათვის. დიდი მასშტაბებით მოეწყოს რეფრიჟერატორების წარმოება.

12. **ქიმიურ მრეწველობაში** 1950 წელს გადაჭარბებულ იქნას წარმოების ომამდელი დონე ერთნახევარჯერ. აღდგენილ იქნას ქიმიური მრეწველობა იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, და უწინარეს ყოვლისა აზოტის, ფოსფოროვანი სასუქების, სოდოვანი პროდუქტებისა და საღებავების მრეწველობა. აღდგენილ იქნას მინერალური სასუქების წარმოება და 1950 წელს მათი გამოშვების ომამდელი დონე გადაჭარბებულ იქნას ფოსფატოვანი სასუქების დარგში ერთიორად, აზოტოვანი სასუქებისა 1,8-ჯერ და კალიუმის სასუქების დარგში 1.3-ჯერ.

შეიქმნას ორგანული სინთეზის ახალი დარგები ქვანახშირის და ნავთგადამუშავების თანანაწარმი პროდუქტების გადამუშავების ბაზაზე.

უზრუნველყოფილ იქნას ქიმიური ნახევარპროდუქტების ფართო ასორტიმენტის გამოშვება პლასტიკური მასების მრეწველობისათვის, ანილინსაღებავთა, ლაქ-საღებავთა, ფარმაცევტული მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის. მოეწყოს პლასტიკური მასებისა და სინთეზური ფისის ახალი სახეების წარმოება. გაფართოვდეს სინთეზურ საღებავთა წარმოება და ომამდელ დონესთან შედარებით გაუმჯობესებულ იქნას მათი ასორტიმენტი ყველაზე ხარისხოვანი და მტკიცე საღებავების წარმოების გადიდებით.

ამუშავებულ იქნას სიმძლავრენი კალცინირებული სოდის დარგში 813 ათასი ტონის რაოდენობით, კაუსტიკური სოდისა 278 ათასი ტონის, სუპერფოსფატისა 2.720 ათასი ტონის რაოდენობით. აღდგენილ იქნას სამი სოდის ქარხანა, დამთავრდეს სოდის ახალი ქარხნის მშენებლობა ურალში და დაწყებულ იქნას სოდის ახალი ქარხნის მშენებლობა. აშენდეს და ამუშავდეს ორი ანილინ-საღებავთა ქარხანა, ორი ლაქ-საღებავთა ქარხანა და სამი პლასტმასის ქარხანა.

მინერალურ სასუქთა არარაციონალური და შორი გადაზიდვის შემცირების მიზნით აშენდეს და ამუშავდეს ყარა-ტაუს ფოსფორიტის საბადოთა ბაზაზე სუპერფოსფატის ახალი ქარხნები. ომამდელი სიმძლავრით აღდგენილ იქნას სამი აზოტის ქარხანა და განხორციელდეს ახალი ქარხნების მშენებლობა.

ქიმიური მრეწველობის განვითარება დაეყრდნოს ახალი ტექნიკის, წარმოების განუწყვეტელი მეთოდების, წარმოების მართვის ავტომატიკის დანერგვას და განხორციელდეს ქიმიური პროცესების შემდგომი ინტენსიფიკაცია აზოტის, გოგირდმჟავის, სოდისა და ანილინ-საღებავთა მრეწველობაში.

13. **რეზინის მრეწველობაში** 1950 წელს სინთეზური კაუჩუკის წარმოება გადიდებულ იქნას ერთიორად, საავტომობილო შინებისა ერთისამად და რეზინის ფეხსაცმლისა 1,3-ჯერ ომამდელ დონესთან შედარებით. სინთეზური კაუჩუკის მრეწველობაში ფართოდ განვითარდეს არასაკვები ნედლეულის გადამუშავება და 1950 წელს არასაკვები ნედლეულისაგან კაუჩუკის გამოშვება გადიდებულ იქნას კაუჩუკის მთელი წარმოების 38 პროცენტამდე. რეზინის რეგენერატორთა წარმოება 1950 წელს აყვანილ იქნას 56 ათას ტო-

ნამდე. დიდი ოდენობით მოეწყოს ნატურალური კაუჩუკის წარმოება სსრ კავშირში.

რეზინის მრეწველობა განვითარებულ იქნას ნედლეულის ახალი სახეებისა და ახალი ტექნიკის, საავტომობილო შინების წარმოებაში მართვის ავტომატიზაციის, სინთეზური კაუჩუკის მიღების პროცესების ინტენსიფიკაციის დანერგვის საფუძველზე და ყოველმხრივ გაფართოვდეს კაუჩუკის, საავტომობილო შინებისა და რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა წარმოების შრომატევადი პროცესების მექანიზაცია.

14. იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, სახალხო მეურნეობის სრული აღდგენისა და სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში შემდგომი მშენებლობის განხორციელების ამოცანების შესაბამისად უზრუნველყოფილ იქნას **სამშენებლო მასალების მრეწველობის** სწრაფი აღდგენა და განვითარება.

ხუთი წლის პერიოდში საგრძნობად გადაჭარბებულ იქნას უმნიშვნელოვანესი სამშენებლო მასალების: ცემენტის, მინის, შიფერის, საკედლე და სახურავი მასალების წარმოების ომამდელი დონე, როგორც დანგრეული ქარხნების აღდგენის გზით, ისე ახალ საწარმოთა მოწყობით. ომამდელ დონესთან შედარებით ცემენტის წარმოება 1950 წელს გადიდებულ იქნას 1,8-ჯერ, მინისა 1,8-ჯერ, შიფერისა ერთიორად, კრამიტისა ერთიოთხად.

შეიქმნას მრეწველობის ახალი დარგი—ასაწყობი საცხოვრებელი სახლებისა და ხის, თაბაშირის, ასბესტცემენტისა და სხვა მასალებისაგან ნაკეთები სტანდარტული დეტალების საფაბრიკო-საქარხნო წარმოება. აღდგენილ იქნას და ახლად აშენდეს 9,4 მილიონი ტონა სიმძლავრის ცემენტის ქარხნები, ფანჯრის მინის დამამზადებელი ქარხნები 40,0 მილიონი კვადრატული მეტრი მინის რაოდენობით, შიფერის ქარხნები 332 მილიონი ფილის რაოდენობით, ასაწყობი საცხოვრებელი სახლების დამამზადებელი ქარხნები, რომლებიც ყოველწლიურად გამოუშვებენ 4,6 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის სახლებს, სახურავ მასალათა ქარხნები 3.250 ათასი რულონი რუბეროიდისა და პერგამინის, 2.700 ათასი რულონი ტოლის სიმძლავრისა, სათბობი ქვაბების წარმოების ქარხნები 377 ათასი კვადრატული მეტრი სიმძლავრისა და რადიატორებისა — 6,2 მილიონი კვადრატული მეტრის გამოშვებით. გაფართოვდეს თერმოსაიზოლაციო მასალების—მინერალური ბამბულისა და ხის ბოჭკოს ფილების, აგრეთვე ასბესტცემენტის მოსაპირკეთებელი მასალების წარმოება.

სამშენებლო მასალების წარმოების დადგენილი პროგრამის შესასრულებლად ჩატარდეს შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, განსაკუთრებით ცემენტის მრეწველობაში, ელექტროფკავატორების, დიდტვირთიანი თვითგანტვირთვადი ვაგონეტების, გრეიფერული ამწეების დანერგვის გზით. ფართოდ დაინერგოს ახალი ტექნიკა, კერძოდ ქვანახშირის ერთდროული გაშრობისა და დაფქვის მეთოდი, მაღალნაყოფიერი მბრუნავი ღუმელები კლინკერის გამოსაწვავად, ფურცლოვანი მინის გამოყვანა შუბლა-ჩარხის გამოუყენებლად, მინის ტრანსპორტირებისა და ჭრის ნაკადური მეთოდი.

15. **სატყეო მრეწველობის** დარგში—1950 წელს ომამდელ დონესთან შედარებით მაქნისი მერქნის გამოზიდვა გადიდებულ იქნას 59 პროცენტით, დახერხილ მასალათა წარმოება 14 პროცენტით.

ხე-ტყის ხერხვის დარგში ამუშავებულ იქნას 6 მილიონი კუბმეტრი ხე-ტყის მასალის საწარმოო სიმძლავრენი, ფანერის გამომუშავების დარგში 300 ათასი კუბმეტრისა და ასანთის გამომუშავების დარგში 7.500 მილიონი კოლოფის საწარმოო სიმძლავრენი. აღდგენილ იქნას ხის დამამუშავებელი მრეწველობა, განსაკუთრებით ავეჯის წარმოება.

გადიდდეს ხე-ტყის დამზადების საწარმოო ბაზა და მერქანი გამოზიდულ იქნას უპირატესად დასაცურებლად მდინარეების სევერნაია დვინისა და მისი შენაკადების, პეჩორის, კამის, ვიატკის, კილმეზის, უნჟის, ვეტლუგისა და ბელაიას აუზებში, აგრეთვე გადიდდეს ხე-ტყის დამზადება დასავლეთ

ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. ხუთი წლის განმავლობაში სატყეო მრეწველობის ტყემრეწვმეურნეობებში, უმთავრესად ჩრდილოეთის, ჩრდილო-დასავლეთისა და ურალის (მდინარე კამის აუზი) რაიონებში გაყვანილ იქნას 17.500 კილომეტრი ხე-ტყის საზიდავი გზები მექანიკური წევით, მათ შორის 6.500 კილომეტრი ვიწროლიანდაგიანი, 2.500 კილომეტრი სატრაქტორო და 8.500 კილომეტრი საავტომობილო გზები. გადიდდეს რაციონალიზებული გზების მშენებლობა. ხუთწლედის ბოლოს შეშით თბობაზე გადაყვანილ იქნას ხე-ტყის გამოზიდვაზე მომუშავე ავტოსატრაქტორო პარკის სულ მცირე 70 პროცენტი. გადიდდეს ხე-ტყის დამზადებაზე მუდმივი მუშების კადრი და შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას მათ მიერ სამუშაოთა საერთო მოცულობის სულ მცირე 75 პროცენტის შესრულება.

ხე-ტყის დამზადება და გამოზიდვა, სადაც ამჟამად ხელით შრომა სჭარბობს, გადაიქცეს განვითარებულ მექანიზებულ მრეწველობად, მუშათა მუდმივი და კვალიფიციური კადრებით. ამ მიზნით უზრუნველყოფილ იქნას სატყეო მრეწველობაში ელექტროხერხების მასობრივი გამოყენება ხე-ტყის დასამზადებლად და სათრევი ტრაქტორების გამოყენება ხე-ტყის გამოსაზიდად. ხე-ტყის დამზადებისა და მიზიდვის მექანიზაციის დონე აყვანილ იქნას სამუშაოთა საერთო მოცულობის 75 პროცენტამდე და ხე-ტყის გამოზიდვის მექანიზაცია 55 პროცენტამდე. ფართოდ მექანიზებულ იქნას დაცურების შრომატევადი პროცესები, დატვირთვა და გადმოტვირთვა. დამზადდეს და გადაეცეს სატყეო მრეწველობას 40 ათასი ელექტროხერხი, 7.500 სათრევი ტრაქტორი, 4.500 ტრაქტორი ხე-ტყის გამოსაზიდად, 470 ვიწრო ლიანდაგის პლატფორმიანი ორთქლმავალი, 14 ათასი მისაბმელიანი ავტომობილი, აგრეთვე საჭირო რაოდენობის ბულდოზერები. მექანიზმების ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად განვითარდეს სარემონტო ბაზა.

განვითარდეს ჰიდროლიზური მრეწველობა; ჰიდროლიზური სპირტის გამოშვება 1950 წელს რვაჯერ გადიდდეს ომამდელ დონესთან შედარებით. სულფიტსპირტისა და ჰიდროლიზურ მრეწველობაში აგებულ იქნას 7 მილიონი დეკალიტრი სპირტის სიმძლავრის ახალი ქარხნები და ამასთან უზრუნველყოფილ იქნას ხე-ტყის ხერხვისა და ცელულოზისა და ქაღალდის წარმოების ნარჩენების კომპლექსური გადამუშავება სპირტად, ცილოვან საღუარად, სხმულ სამაგრებად და სხვა ქიმიურ პროდუქტებად.

შეიქმნას მსხვილი სატყეო-ქიმიური მრეწველობა, პირველ რიგში უზრუნველყოფილ იქნას ძმრის მჟავას, აცეტატურ გამხსნელთა, კანიფოლისა და სკიპიდარის წარმოების გადიდება.

16. 1948 წელს აღდგენილ იქნას და კიდევ ცფრო განვითარდეს **ქაღალდის მრეწველობა;** 1950 წელს ქაღალდის წარმოება გადიდდეს 65 პროცენტით ომამდელ დონესთან შედარებით, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას გათეთრებული ხარისხობრივი ქაღალდის გამოშვების უფრო მნიშვნელოვანი ზრდა. საგანგებით უზრუნველყოფილ იქნას მრეწველობის საჭიროება ტექნიკური ხარისხის ქაღალდით. მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ტარა-შესაფუთავ, პერგამენტის ქაღალდისა და ქაღალდისაგან ფართო მოხმარების ნაკეთობათა წარმოება. ყოველმხრივ განვითარდეს ვისკოზური ცელულოზის წარმოება და საგანგებით უზრუნველყოფილ იქნას ხელოვნური ბოჭკოს მრეწველობის საჭიროება ამ მხრივ.

უზრუნველყოფილ იქნას ახალი, ტექნიკურად სრულყოფილი მოწყობილობის: სპეციალური დამფხვნელი აპარატურის დანერგვა, რომელიც უზრუნველჰყოფს მაღალ ნაყოფიერებას ელექტროენერგიის მინიმალური ხარჯვით; შემწოვი ლილვების დადგმა ქაღალდის საკეთებელ მანქანებზე; სწრაფი ქაღალდსაკეთებელი მანქანების გადაყვანა მრავალმოტორიან ამძრავებზე; უახლესი აპარატურის გამოყენება მერქნისათვის ქერქის შემოსაცლელად; ქაღალნაყოფიერი ღუმელების დადგმა თუთქების რეგენერაციისათვის; ცელულოზისა და ქაღალდის წარმოების პროცესის ავტომატიზაცია.

17. აღდგენილ და გადაჭარბებულ იქნას **საფეიქრო** და **მსუბუქი მრეწველობის** დარგების წარმოების ომამდელი დონე.

აღდგენილ იქნას და განვითარდეს ხელოვნური აბრეშუმისა და შტაპელური ბოჭკოს მრეწველობა. ხელოვნური აბრეშუმის წარმოება 1950 წელს 4,6-ჯერ გადიდდეს ომამდელ დონესთან შედარებით, ხოლო შტაპელური ბოჭკოს წარმოება 9,6-ჯერ.

გადაჭრით გაუმჯობესდეს ქსოვილთა, სამკერვალო, სატრიკოტაჟო ნაკეთობათა, ფეხსაცმლის ასორტიმენტი და მათი გამოყვანა; გადიდდეს გაუმჯობესებული, განსაკუთრებით მკვიდრად შეღებილი საკაბე და საკოსტიუმე ქსოვილების, აგრეთვე მერსერიზებული, ბუსუსიანი, ქაკარდული და ჭრელი ქსოვილების გამოშვება.

ხუთი წლის განმავლობაში საფეიქრო საწარმოებში ამუშავებულ იქნას სიმძლავრენი 2.860 ათასი სართავი თითისტარის რაოდენობით, ხელოვნური აბრეშუმის დარგში—102 ათასი ტონის რაოდენობით, აგრეთვე ამუშავებულ იქნას სიმძლავრენი 100 მილიონი წყვილი ფეხსაცმლისა და 345 მილიონი წყვილი წინდის გამოსაშვებად. აღდგენილ იქნას საფეიქრო, წინდა-ტრიკოტაჟის, ტყავეულის, ფეხსაცმლის საწარმონი, აგრეთვე ბამბის, სელის, ქერელისა და მატყლის პირველადი დამუშავების ქარხნები იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს.

განგრძობილ იქნას ომამდე დაწყებული ბამბეულის მრეწველობის განვითარება ციმბირსა და შუა აზიაში. ხუთი წლის განმავლობაში აშენდეს და ამუშავდეს ბამბეულის კომბინატები ნოვოსიბირსკში, ასტრახანსა და საქართველოს სს რესპუბლიკაში, ბამბეულის ფაბრიკები ალტაის მხარესა და ჩრდილოეთ ყაზახეთში და ბამბეულის კომბინატის მეორე რიგი აღმოსავლეთ ციმბირში. დამთავრდეს ბამბეულის კომბინატების მშენებლობა ტაშკენტში, სტალინაბადსა და ფერგანში, აგრეთვე ბამბეულის ფაბრიკებისა უფასა და ჩელიაბინსკში. დაწყებულ იქნას ბამბეულის ფაბრიკის მშენებლობა კუზბასში.

მთლიანად აღდგენილ იქნას ხელოვნური აბრეშუმის ექვსი ფაბრიკა და აშენდეს სამი ახალი ფაბრიკა. დამთავრდეს ხელოვნური ბოჭკოს ოთხი ფაბრიკის მშენებლობა.

აშენდეს და ამუშავდეს სალანჩე რეზინის ქარხანა დასავლეთ ციმბირში, წინდის ქარხნები სვერდლოვსკსა და ტამბოვში; აღდგენილ იქნას ფეხსაცმლის ფაბრიკები ლენინგრადსა და როსტოვში, ოსტაშკოვოს ტყავეულის ქარხანა, კიევისა და კალინინის სალანჩე რეზინის ქარხნები, კონსტანტინოვკის ბოთლის ქარხანა, ვიტებსკის წინდის ფაბრიკა და პოლტავის სართავი ფაბრიკა.

უზრუნველყოფილ იქნას ახალი ტექნიკურად სრულყოფილი მოწყობილობის: ერთპროცესიანი საპენტავი, ჩქარი საფთილავი მანქანების, დიდრონი ნაჭედობის ვატერების, საპენტავი ავტომატების, ჩქარი საქსელავი და საშლიხტავი, გასაყრელ-საძახავი მანქანების, ფართო ავტომატური საქსოვი დაზგების, ფოტომექანიკური გრავირებისა და სათეთრებელი აგრეგატების დანერგვა საფეიქრო მრეწველობაში, აგრეთვე კოტონ-მანქანების, ცხელი ვულკანიზაციის წნეხების, ავტომატური და ნახევრადავტომატური მოწყობილობის დანერგვა მსუბუქ მრეწველობაში. ყოველმხრივ განვითარდეს სინთეზური მთრიმლავებისა და სრულფასოვანი ხელოვნური ტყავების წარმოება. განმტკიცდეს სარემონტო ბაზა და 1946 წლიდან აღდგენილ იქნას მოწყობილობის ნორმალური რემონტი საფეიქრო და მსუბუქ მრეწველობაში.

18. უზრუნველყოფილ იქნას **კვების მრეწველობის** ყველა დარგის სწრაფი აღდგენა და განვითარება; აღდგენილ იქნას პროდუქციის ომამდელი ასორტიმენტი და გაუმჯობესდეს მისი ხარისხი.

1950 წელს გადაჭარბებულ იქნას ხორცპროდუქტების, ერბო-კარაქისა და მცენარეული ზეთის, შაქრის, საკონდიტრო ნაკეთობათა და კვების სხვა პროდუქტების წარმოების ომამდელი დონე.

აღდგენილ იქნას 1947 წელს თევზჭერისა და გადამუშავების ომამდელი დონე.

1950 წელს თევზის ჭერა გადიდდეს ერთნახევარჯერ, ნედლად ნაყინი თევზის გამოშვება 1,8-ჯერ და ზურგიელისა ერთისამად ომამდელ დონესთან შედარებით. ფართოდ განვითარდეს მეთევზეობა ჩრდილოეთისა და შორეული აღმოსავლეთის აუზებში, განსაკუთრებით სამხრეთ სახალინის, კურილის კუნძულებისა და კამჩატკის რაიონებში. გადაკეთდეს თევზის მეურნეობა სამხრეთ სახალინზე თევზჭერის თანამედროვე ტექნიკის დანერგვისა და არსებულ თევზის გადამმუშავებელ საწარმოთა რეკონსტრუქციის საფუძველზე.

ომამდელ დონესთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდეს ხორცის, რძის, თევზის, ბოსტნეულისა და ხილის კონსერვის წარმოება. განვითარდეს გაყინული ხილის, კენკრისა და ბოსტნეულის წარმოება, მშრალი რძის წარმოება და გადიდდეს ბოსტნეულისა და ხილის ხმობა. მოეწყოს დიეტური და საბავშვო პროდუქტების, მშრალი საუზმეების, კულინარიის ხორც-თევზეულ ნაკეთობათა, კვების კონცენტრატებისა და ვიტამინების მასობრივი დამზადება. დიდი მასშტაბით მოეწყოს საბჭოთა შამპანურის, დაძველებული მაღალხარისხოვანი ღვინოებისა და ლუდის წარმოება. აღდგენილ იქნას და განვითარდეს ახალი სახეები ომამდელი შეფუთვისა, რომელიც უზრუნველჰყოფს პროდუქტების შენახვასა და ხარისხს.

დამთავრდეს 92 შაქრის, 144 სპირტის, 24 საკონსერვო ქარხნისა და 68 პურსაცხობი ქარხნის სრული აღდგენა; აშენდეს 10 შაქრის, 7 სპირტის, 9 საკონსერვო ახალი ქარხანა და 39 პურსაცხობი ქარხანა.

აღდგენილ იქნას და დამთავრდეს 41 ხორცკომბინატი, 29 მაცივარი, 22 საქალაქო სარძეო ქარხანა, 8 რძესაკონსერვო ქარხანა, აშენდეს 36 ახალი ხორცკომბინატი, 38 მაცივარი, 48 სარძეო ქარხანა, 13 რძესაკონსერვო ქარხანა და ერბო-კარაქისა და ყველის დამამზადებელი 1.200 მექანიზებული ქარხანა; ერბო-კარაქის დამამზადებელ მრეწველობაში დაინერგოს ერბო-კარაქის დამამზადებელი განუწყვეტლივ მოქმედი მანქანები ავტომატური აწონა-შეფუთვით.

წელიწადში 1,4 მილიონი ტონით გადიდდეს მარილის მოპოვების საწარმოთა საწარმოო სიმძლავრე. დამთავრდეს მარილის ახალი მძლავრი შახტის მშენებლობა უკრაინაში. ერთიორად გადიდდეს მარილის მოპოვების სიმძლავრენი ურალში, ყაზახეთსა, ალტაის მხარესა და ირკუტსკის ოლქში.

აღდგენილ იქნას თევზსაჭერი ფლოტი და გადაჭარბებულ იქნას მისი ომამდელი ოდენობა. ხუთი წლის განმავლობაში ამუშავდეს 150 თევზსაჭერი ტრალერი, აშენდეს 13 თევზსაკონსერვო ქარხანა და 30 მაცივარი.

აღდგენილ იქნას და აშენდეს ახალი საფქვავი და საბურღულე საწარმონი. ხუთი წლის განმავლობაში აღდგენილ და აგებულ იქნას 6,4 მილიონ ტონა მარცვლეულის საწყობები და ელევატორები. საფქვავ საწარმოთა სიმძლავრე გადიდდეს იმ ანგარიშით, რომ 1950 წლის ბოლოს, დღე-ღამეში გადამუშავდეს 20 ათასი ტონით მეტი მარცვლეული. გადიდდეს სიმძლავრენი ხარისხოვანი ფქვილისა და სხვადასხვა ასორტიმენტის ბურღულის გამოსამუშავებლად.

კვების მრეწველობაში ფართოდ დაინერგოს: წარმოების განუწყვეტელი პროცესები, მცენარეული ზეთის წარმოება — განუწყვეტელი ექსტრაქციის შეთოდით, საპნის წარმოება საკვები ცხიმების სრულფასოვანი შემცვლელების (სინთეზური ცხიმოვანი მჟავების, კანიფოლისა და საპონნავთის) გამოყენებით, წარმოების პროცესებისა და კონტროლის ავტომატიზაცია, სწრაფმოქმედი აპარატები და მაცივარი დანადგარები; მექანიზებულ იქნას წარმოების შრომატევადი პროცესები და დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოები. ფართოდ განვითარდეს ელექტროლიანდაგიანი რკინიგზების მშენებლობა მიმღებ პუნქტებსა და შაქრის ქარხნებში ნედლეულის მისაზიდავად.

19. განხორციელებულ იქნას **ადგილობრივი** სახელმწიფო და კოოპერა-

ტიული მრეწველობის აღდგენა და ფართოდ განვითარება ყველა რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში.

აღგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის ძირითად ამოცანად ჩაითვალოს ფართო მოხმარების საგნების, აღგილობრივი სამშენებლო მასალების წარმოება, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად — აკაზმულობის, საზიდრების, მარხილების, ცხენისა და ხელის უმარტივესი ინვენტარის წარმოება. უზრუნველყოფილ იქნას ყველა რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის აღგილობრივ მრეწველობასა და სარეწაო კოოპერაციაში ყველასათვის ხელმისაწვდომი მაღალი ხარისხის საოჯახო ნივთების წარმოება.

1950 წელს ომამდელ დონესთან შედარებით აღგილობრივ მრეწველობასა და სარეწაო კოოპერაციაში ავეჯის წარმოება გადიდდეს 30 პროცენტით, სატრიკოტაჟო ნაკეთობისა 25-30 პროცენტით, აგურისა 2,1-ჯერ, ტორფისა 64 პროცენტით, ქვანახშირისა 77 პროცენტით.

გადაჭრით გაუმჯობესდეს აღგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციის ხარისხი და ასორტიმენტი. აღდგენილ იქნას და გადიდდეს ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის საკერავ, აგრეთვე ავეჯისა და საოჯახო ინვენტარის შესაკეთებელ სახელოსნოთა ქსელი.

20. დაწესდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პროგრამა 1946-1950 წლებისათვის 153 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მათ შორის სათბობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს, მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს და სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ხაზით—55 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობისა და ამუშავების პროგრამის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს **სამშენებლო ინდუსტრიის ყოველმხრივი განვითარება** და საკავშირო სამინისტროებისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამშენებლო ორგანიზაციების განმტკიცება.

ფართოდ დაინერგოს მოწინავე სამშენებლო ტექნიკა, ამასთან მშენებლობაში მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას ქარხანაში დამზადებული ასაწყობი კონსტრუქციები და გადიდდეს სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაცია. 1950 წელს მიწის სამუშაოთა მექანიზაცია აყვანილ იქნას 1950 წლისათვის გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოთა მოცულობის 60 პროცენტამდე, ღორღის მტვრევისა 90 პროცენტამდე, ბეტონის დამზადებისა 95 პროცენტამდე და ხსნარებისა 90 პროცენტამდე, ბეტონის წყობისა 60 პროცენტამდე, სამღებრო სამუშაოებისა 50 პროცენტამდე.

შეიქმნას სპეციალიზებული საწარმოო ბაზა სამშენებლო და საგზაო მანქანების გამოსაშვებად. გადიდდეს ექსკავატორების წარმოება. მოეწყოს და განვითარდეს მიწის სათხრელი, საგზაო, საამწეო-სატრანსპორტო, დასატვირთავ-გადმოსატვირთავი უახლესი მანქანების, ელექტროფიცირებული და პნევმატური სამშენებლო ინსტრუმენტის წარმოება, აგრეთვე თანამედროვე მოწყობილობის წარმოება სამშენებლო მასალების, სამშენებლო დეტალების, ლითონკონსტრუქციებისა და ხის დამმუშავებელი მოწყობილობის დასამზადებლად.

განვითარდეს სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო ბაზა (კარიერები, სარემონტო სახელოსნოები, საწარმოები სამშენებლო ნაკეთობათა გამოსაშვებად). მოეწყოს სტანდარტული სახლების, სამშენებლო კონსტრუქციებისა და დეტალების მასობრივი საფაბრიკო-საქარხნო წარმოება. შეიქმნას საარქიტექტურო-მოსაპირკეთებელი მასალებისა და დეტალების მრეწველობა.

სამშენებლო სამუშაოთა განხორციელება მთლიანად გადაყვანილ იქნას სათანადო წესით დამტკიცებული ტექნიკური პროექტებისა და მათი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე.

21. წარმოების დადგენილი ზრდისა და კაპიტალური მშენებლობის პროგრამის შესაბამისად განისაზღვროს:

ა) **შრომის ნაყოფიერების** ზრდა მრეწველობაში 1950 წელს ომამდელ დონესთან შედარებით 36 პროცენტით;

ბ) შრომის ნაყოფიერების ზრდა მშენებლობაში 1950 წელს ომამდელ დონესთან შედარებით 40 პროცენტით;

გ) სამრეწველო პროდუქციის **თვითღირებულების** შემცირება 1950 წელს 1945 წელთან შედარებით 17 პროცენტით პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად;

დ) სამშენებლო სამუშაოთა ღირებულების შემცირება ხუთწლედის ბოლოს 1945 წლის დონესთან შედარებით 12 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის დარგში

22. **სოფლის მეურნეობის** დარგში სავსებით აღდგენილ იქნას მიწათმოქმედება და მეცხოველეობა და უზრუნველყოფილ იქნას მათი შემდგომი განვითარება იმ რაიონებში, რომლებმაც გერმანული ოკუპაცია განიცადეს, გადაჭარბებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ომამდელი დონე მთლიანად სსრ კავშირში.

სოფლის მეურნეობის უსწრაფესი აღდგენისა და შემდგომი განვითარების მიზნით უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველმხრივი განმტკიცება და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება.

23. **პროდუქციის ზრდა** სსრ კავშირის მთელ სოფლის მეურნეობაში ხუთწლედის დამლევისათვის განისაზღვროს 27 პროცენტით 1940 წელთან შედარებით.

მარცვლეული კულტურების დარგში — უზრუნველყოფილ იქნას მარცვლეულის და განსაკუთრებით ხორბლის, ბრინჯისა და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება მოსახლეობის სურსათით მომარაგების გასაუმჯობესებლად და ჩვენს ქვეყანაში პურის საჭირო მარაგის შესაქმნელად. უზრუნველყოფილ იქნას ხუთწლედის დამლევისათვის მარცვლეულის წლიური მოსავალი 127 მილიონი ტონის რაოდენობით, ჰექტარზე 12 ცენტნერი საშუალო მოსავლიანობის მიღწევით.

ტექნიკური კულტურების დარგში — უზრუნველყოფილ იქნას შაქრის ჭარხლის საერთო მოსავალი 26 მილიონი ტონა, ჰექტარზე 190 ცენტნერი მოსავლიანობით; ნედლი ბამბისა—3,1 მილიონი ტონა, ჰექტარზე 18,4 ცენტნერი მოსავლიანობით; სელის ბოჭკოსი—0,8 მილიონი ტონა, ჰექტარზე 4 ცენტნერი მოსავლიანობით და სელის საშუალო ნორმის გადიდებით; მზესუმზირისა—3,7 მილიონი ტონა, ჰექტარზე 10,0 ცენტნერი მოსავლიანობით. უზრუნველყოფილ იქნას კანაფის, უხვზეთოვანი კულტურების, აგრეთვე თამბაქოს და წეკოს ნათესი ფართობების აღდგენა და მნიშვნელოვანი გადიდება. შეიქმნას ნატურალური კაუჩუკის წარმოების სანედლეულო ბაზა კაუჩუკოვანი კულტურების ნათესი ფართობებისა და მოსავლიანობის გადიდების, მათი სწორად განლაგებისა და მათი მოყვანის აგროტექნიკის გაუმჯობესების გზით.

მეცხოველეობის დარგში — გადიდდეს ცხენის სულადობა ხუთი წლის მანძილზე 46 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა 39 პროცენტით, ცხვრისა და თხისა 75 პროცენტით, ღორისა ერთისამად 1945 წელთან შედარებით. ყოველმხრივ განვითარდეს მალემზარდი მეცხოველეობა და განსაკუთრებით მეფრინველეობა, მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების ფართო მშენებლობის ბაზაზე.

მიღებულ იქნას ზომები მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოს, ხარკოვის, კიევის, აგრეთვე ურალის, დონბასის, კუზბასის; გორკის სამრეწველო ცენტრების, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ქალაქებისა და სხვა ქალაქების გარშემო კარტოფილ-ბოსტნეულისა და მეცხოველეობის ბაზების შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის იმ ანგარიშით, რომ მთლიანად უზრუნველყოფილ იქნას ამ ცენტრების მომარაგება საკუთარი წარმოების ბოსტნეულით, კარტოფილით და, მნიშვნელოვანწილად, ძროხითა და ხორცით, აგ-

რეთვე უზრუნველყოფილ იქნას სასათბურო მეურნეობის ყოველმხრივი განვითარება ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში ადრეული ბოსტნეულითა და მწვანილით მოსამარაგებლად. უზრუნველყოფილ იქნას მუშათა და მოსამსახურეთა შორის ინდივიდუალური და კოლექტიური მებოსტნეობის შემდგომი განვითარება, ბოსტნებში მოსავლიანობის გადიდება, აგრეთვე ინდივიდუალური მეცხოველეობის, მეფრინველეობისა და მეფუტკრეობის განვითარება.

გადიდდეს კარტოფილის წარმოება სპირტისა და სახამებელ-ბადაგის ქარხნების ზონებში, აგრეთვე ბოსტნეულისა — საკონსერვო ქარხნების ზონებში.

აღდგენილ იქნას ბაღები და ვენახები, ჩაისა და ციტრუსების ნარგავები. ფართოდ მოეწყოს ახალი ბაღების, საკენკრეების, ვენახების გაშენება კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე. აღდგენილ იქნას და გაფართოვდეს ხეხილის სანერგეთა ქსელი, გაუმჯობესდეს მათი მუშაობა, უზრუნველყოფილ იქნას ხეხილის კულტურების გამოყვანა ყველა აგროსატყეოსამელიორაციო სანერგეში.

24. წარმოების ზრდის გეგმის უზრუნველყოფის მიზნით კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა სოფლის მეურნეობაში (ცენტრალიზებული და არაცენტრალიზებული დაბანდებანი) ხუთწლედის მანძილზე განისაზღვროს 19,9 მილიარდი მანეთით, აქედან: მანქანა-ტრაქტორთა სადგურების აღდგენისა და განვითარებისათვის 8,8 მილიარდი მანეთი, ირიგაციისა და მელიორაციისათვის 2 მილიარდი მანეთი და საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვის სულადობის მატებისათვის 2 მილიარდი მანეთი. გარდა ამისა, თვით კოლმეურნეობათა კაპიტალური დაბანდებანი საზოგადოებრივ მეურნეობაში 1946-1950 წლებში 38 მილიარდამდე მანეთს შეადგენს.

25. დაწესდეს, რომ სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას 1946-1950 წლებში წარმოადგენს **მოსავლიანობის ყოველმხრივ ამაღლება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთო მოსავლის გადიდება** მიწათმოქმედების კულტურის მნიშვნელოვანი ამაღლებისა და მოწინავე აგრონომიული მეცნიერების მიღწევათა ფართოდ გამოყენების გზით, რისთვისაც ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დამთავრდეს სწორი თესლბრუნვის აღდგენა და შემოღება მათში ბალახთესვის გამოყენებით, ნარევბალახეულის — პარკოსანი (განსაკუთრებით სამყურისა და იონჯის) და მარცვლოვანი მრავალწლიანი ბალახების ნათესების ფართოდ გამოყენებით, აგრეთვე ანეულის დროული ხვნითა და კარგი დამუშავებით. უზრუნველყოფილ იქნას სასელექციო და სამეთესლეო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, განვითარდეს მრავალწლიანი ბალახების თესლის წარმოება ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში იმ ოდენობით, რომ სავსებით უზრუნველჰყოს მეურნეობის საჭიროებანი თესვისათვის, მიღებულ თესლბრუნვათა მიხედვით. მინდვრების დასარეველიანების უსწრაფესი ლიკვიდაციის მიზნით უზრუნველყოფილ იქნას ნიადაგის დამუშავების სწორი სისტემის გამოყენება (კულტურული ხვნა წინასასხნისიანი გუთნით, ნაპურალის აოშვა), აგრეთვე მზრალად ხნულის კარგად დამუშავება.

უზრუნველყოფილ იქნას მარცვლეული, მარცვლეულ-პარკოსანი, ზეთოვანი და სხვა კულტურების ნათესები მაღალხარისხოვანი სელექციური და გაუმჯობესებული რჩეული ადგილობრივი ჯიშების თესლით; დამთავრდეს მარცვლეული კულტურების მთლიანად ჯიშობრივ ნათესებზე გადასვლა ჯიშთა დარაიონების გეგმის შესაბამისად; გამრავლდეს და დაინერგოს ახალი უფრო პროდუქტიული ჯიშები.

ადგილობრივი ორგანული სასუქების (ნაკელის, ტორფის) სრულად გამოყენებასთან ერთად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაფართოვდეს მინერალური სასუქებით სარგებლობა. მთლიანად უზრუნველყოფილ იქნას ტექნიკური კულტურების (ბამბის, საბოჭკოე სელის, კანაფის, შაქრის

ჭარხლის, კაუჩუკოვანი მცენარეების, თამბაქოს, ჩაის, ციტრუსოვანი კულტურების) მოთხოვნილება მინერალური სასუქების მხრივ და სხვა კულტურებისათვის, განსაკუთრებით ბოსტნეულისა და კარტოფილისათვის მინერალური სასუქების გამოყენების მნიშვნელოვანი ზრდა. მოეწყოს სასუქების შეტანის სამუშაოთა მექანიზაციისათვის საჭირო მანქანების (ტუკის საფრქვევები, ნაკელსაყრელები) მასობრივი წარმოება. 1950 წელს სოფლის მეურნეობისათვის მიწოდებულ იქნას მინერალური აზოტის, ფოსფატისა და კალიუმის სასუქები 5.100 ათასი ტონის რაოდენობით და, გარდა ამისა, 400 ათასი ტონა ფოსფორიტის ფქვილი,

აღდგენილ იქნას ველიან და ტყეველიან რაიონთა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მინდორსაფარი სატყეო ნარგავები და უზრუნველყოფილ იქნას მინდორსაფარი სატყეო ზოლების გაშენების გადიდება სწრაფად მზარდი ჯიშების ხითა და ხეხილით, ბუჩქნარისა და კენკრის ნარგავებით, აგრეთვე ხევისპირა ხისა და ხეხილის ნარგავების გაშენება.

26. **წყალთა მეურნეობის** სისტემების აღდგენისა და შემდგომი განვითარების მიზნით უზრუნველყოფილ იქნას ხუთწლედში სარწყავი ფართობების გადიდება 656 ათასი ჰექტარით და ამოშრობილი ფართობებისა 615 ათასი ჰექტარით. ჩატარდეს ამოსაშრობი სისტემების აღდგენა ბელორუსიის სსრ რესპუბლიკაში და ბარაბინის ველზე და მოეწყოს ამოსაშრობი სისტემა მდინარე იაბრომის ველზე. დამთავრდეს კიროვის სახელობის სარწყავი სისტემის მშენებლობა გოლოდნაია სტეპში, კატა-კურგანის, ორტო-ტოკაისა და ტეჯენის წყალსაცავებისა და ნევინომისკის სარწყავი არხის მშენებლობა. გაჩაღდეს სამშენებლო სამუშაოები მტკვარ-არაქსის დაბლობში, ვოლგა-ახტუბის ველსა და კრასნოდარის მხარეში ბრინჯის სათესი მიწების მოსარწყავად. ფართოდ მოეწყოს დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარშემო უმარტივესი სარწყავი სისტემების მშენებლობა სარწყავი მებოსტნეობის განსავითარებლად.

უზრუნველყოფილ იქნას სარწყავი მიწების სრული გამოყენება სარწყავი ნათესებისა და ნარგავებისათვის, არ იქნას დაშვებული მათი დასარეველიანება და დაჭაობება; განხორციელდეს ღონისძიებანი იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოექცეს ის მიწები, რომლებიც წინათ ირწყვებოდა ფერგანაში, გოლოდნაია სტეპში, სამხრეთ ხვარაზმში, ვახშის დაბლობში, მუღანის ველზე და სხვა რაიონებში. გაუმჯობესდეს სარწყავ სისტემათა ტექნიკური ექსპლოატაცია, უზრუნველყოფილ იქნას წყალსაგდები და საკოლექტორო ქსელის დროული რემონტი და გაწმენდა, სარწყავი წყლის მომჭირნეობით ხარჯვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მორწყვის ნორმებისა და ვადების გათვალისწინებით; ამაღლდეს სარწყავი სისტემების მშენებლობისა და გაწმენდის სამუშაოთა მექანიზაციის ღონე. სრულად ათვისებულ იქნას ამოშრობილი მიწები სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებისათვის, მოეწყოს სარწყავ სისტემათა სწორი ექსპლოატაცია. აღდგენილ იქნას და გაგრძელდეს მუშაობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობისათვის, სარწყავი ნაკვეთების მოსაწყობად და ამ ნაკვეთებზე ბოსტნეულის, კარტოფილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასათესად; მოეწყოს გუბურებსა და წყალსატევებში თევზისა და წყლის ფრინველის მოშენება.

27. აღდგენილ და უზრუნველყოფილ იქნას მინდვრის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის შემდგომი ზრდა, რისთვისაც: უზრუნველყოფილ იქნას სოფლის მეურნეობა ტრაქტორებითა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, რაც საჭიროა ნიადაგის დამუშავების მოწინავე აგროტექნიკის გამოყენებისათვის, მცენარეების მოვლისა და მოსავლის აღებისათვის. შეტანილ იქნას სოფლის მეურნეობაში 1946-1950 წლების მანძილზე სულ მცირე 325 ათასი ტრაქტორი და სასოფლო-სამეურნეო მანქანა 4.500 მილიონი მანეთის ღირებულებისა (1926-27 წლის ფასებით).

აგებულ იქნას ხუთწლედის განმავლობაში 950 ახალი მანქანა-ტრაქტორთა სადგური და უზრუნველყოფილ იქნას თვითეული მტს-ი მიმდინარე რემონტის სახელოსნოებით და სამეურნეო ნაგებობებით; უზრუნველყოფილ იქნას მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სარემონტო ბაზის მშენებლობა და გადიდდეს მოტორსარემონტო და მექანიკური ქარხნების რაოდენობა 210-მდე და მანქანა-ტრაქტორთა კაპიტალური რემონტის სახელოსნოებისა 510-მდე; განმტკიცდეს კადრებით მანქანა-ტრაქტორთა სადგურები.

უზრუნველყოფილ იქნას ახალი, უფრო გაუმჯობესებული ტრაქტორების, ნიადაგდამმუშავებელი, სათესი და მოსავლის ასაღები მანქანების, წინდენიანი და თვითმავალი კომბაინების, ჩალისა და ნახორის ცალ-ცალკე ასაკრეფ მოწყობილობიანი კომბაინების, ჭარხლის ასაღები კომბაინების, ჭარხლის დამტვირთველი, ნედლი ბამბის ასაღები მანქანების, ბოსტნეული კულტურების დამმუშავებელი და ასაღები მანქანების, აგრეთვე ბოსტნეული კულტურების სათესლეების დამმუშავებელი მანქანებისა და ტრაქტორებზე ჰისაბმელი სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების კონსტრუირება და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მათი დანერგვა. ფართოდ მოეწყოს საკონსტრუქტორო მუშაობა ქარხნებსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ხაზით და ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სახელმწიფო გამოცდის ჩასატარებლად.

უზრუნველყოფილ იქნას აგრონომების, ინჟინრების, ზოოტექნიკოსების, ვეტერინარი ექიმების, მიწათმომწყობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტების საკმაო რაოდენობით მომზადება, აგრეთვე მასობრივი კვალიფიკაციის კვალიფიციური კადრების მომზადება მტს-ებისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის.

უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ელექტროფიკაციის შემდგომი განვითარება. გაიშალოს სოფლად მცირე ჰიდროსადგურების მშენებლობა, ხოლო იმ რაიონებში, სადაც ჰიდრორესურსები არ არის,—ადგილობრივ სათბობზე მომუშავე ლოკომობილური და გაზგენერატორული ძრავებიანი თბოელექტროსადგურების მშენებლობა.

28. **მეცხოველეობის** დარგში: მთლიანად აღდგენილ იქნას საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობა და ყოველმხრივ გადიდდეს მუშა პირუტყვის სულადობა იმ რაიონების კოლმეურნეობებში, რომლებიც გერმანელთა მიერ იყვნენ ოკუპირებულნი; უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარება ყველა რაიონის კოლმეურნეობებში, ამ საფუძველზე ხუთწლედის განმავლობაში გადამეტებულ იქნას მთელი პროდუქტიული პირუტყვის სულადობის ომამდელი დონე სსრ კავშირში.

აღდგენილ და მოწყობილ იქნას ახალი საჯიშე საბჭოთა მეურნეობანი, სახელმწიფო საჯიშეები და კოლმეურნეობათა საჯიშე ფერმები; გაუმჯობესდეს პირუტყვის ჯიშები და უზრუნველყოფილ იქნას პირუტყვის ჯიშების შემდგომი გაუმჯობესება ყველაზე უფრო პროდუქტიული ცხოველების შერჩევის გზით, აგრეთვე მაღალპროდუქტიული მწარმოებლებით პირუტყვის მეტიზაციის საშუალებით იმ ვარაუდით, რათა ხუთწლედის ბოლოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჰქონდეთ ჯიშიანი მაღალპროდუქტიული პირუტყვის მნიშვნელოვანი ზრდა; უზრუნველყოფილ იქნას პირუტყვის ჯიშების სწორი დარაიონება.

უზრუნველყოფილ იქნას სარძეო და სახორცი მესაქონლეობის აღდგენა და შემდგომი განვითარება, გადიდდეს ხუთწლედის ბოლოსათვის წველადობა საშუალოდ 1 ძროხაზე 67 პროცენტით 1945 წელთან შედარებით, ფართოდ მოეწყოს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის იალაღზე ძოვება და გასუქება.

ცხენების სულადობის აღდგენის მიზნით უზრუნველყოფილ იქნას კვი-

ცების გამოზრდის მნიშვნელოვანი გადიდება; გაფართოვდეს ცხენსაშენი თავლების და საჯიშე საკოლმეურნეო მეცხენეობის ფერმების ქსელი; განმტკიცდეს სახელმწიფო ცხენსაშენები; ფართოდ განვითარდეს ჯოგური მეცხენეობა ველებიან რაიონებში.

უზრუნველყოფილ იქნას მეღორეობის უსწრაფესი აღდგენა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში, გადიდდეს ღორის ხორცის ხვედრითი წონა ხორცეულის პროდუქციაში.

აღდგენილ და განვითარებულ იქნას წმინდამატყლიანი და ნახევრად უხეშმატყლიანი მეცხვარეობა, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიის, უკრაინის სს რესპუბლიკის, ყაზახეთის სს რესპუბლიკის, ყირგიზეთის სს რესპუბლიკის, დასავლეთ ციმბირის და ვოლგისპირეთის რაიონებში, აგრეთვე საკრაველე, ტყაპუშ-საქურქე და სახორცე-საქონე მეცხვარეობა მისი გავრცელების რაიონებში, გადიდდეს მატყლის საშუალო ნაპარსი თითო ცხვრიდან ხუთწლედის ბოლოსათვის 30 პროცენტით 1945 წელთან შედარებით.

მოეწყოს თვითეულ კოლმეურნეობაში, რომელსაც მარცვლეულის ნათესები აქვს, მეფრინველეობის ფერმები; ყოველნაირად განვითარდეს მეფრინველეობა და მეკურდღლეობა კოლმეურნეებს შორის, ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებში, მუშებსა და მოსამსახურეებს შორის.

აღმოეჩინოს სახელმწიფო დახმარება კოლმეურნეებს პირუტყვის შეძენაში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ნორმების შესაბამისად.

29. საკვები ბაზის ძირეული გაუმჯობესებისა და კარგი თივით, ძირხვენა მცენარეებით, სილოსითა და სხვა ნოყიერი საკვებითა და საძოვრებით პირუტყვის უზრუნველყოფის მიზნით: შეძლებულ იქნას საკვები ბალახების სწორი თესლბრუნვები, პირველ რიგში განვითარებული მეცხოველეობის მქონე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და სახელმწიფო საჯიშეების რაიონების კოლმეურნეობებში; უზრუნველყოფილ იქნას მაღალი ხარისხის თივის აღების მნიშვნელოვანი გადიდება ბუნებრივი თიბვისა და ნათესი ბალახების დროზე აღების ჩატარების, აგრეთვე მდელოების გაუმჯობესების გზით; გაუმჯობესდეს პირუტყვის საძოვარზე შენახვა ბუნებრივი საძოვრების სწორად გამოყენების მოწყობის გზით; უზრუნველყოფილ იქნას გასარეკი მეცხოველეობის რაიონებში ჭების, საცხოვრებელ და საწარმოო ნაგებობათა მშენებლობა და მარაგისა და საკვების შექმნა ზამთრის საძოვრებზე; გაღართოვდეს საკვები ძირხვენა მცენარეებისა და სასილოსე კულტურების სათესი ფართობები და გადიდდეს მათი მოსავლიანობა; ფართოდ გაიშალოს საკვებთა დასილოსება და უზრუნველყოფილ იქნას სასილოსე ნაგებობათა, განსაკუთრებით სასილოსე კოშკების აშენებლობა; აღდგენილ იქნას და განვითარდეს ღორის გასასუქებელი მეურნეობანი დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ირგვლივ, აგრეთვე გასასუქებელი პუნქტები შაქრის, არყის სახდელ და კრახმალბადაგის ქარხნებთან ამ საწარმოთა ნარჩენების მთლიანად გამოყენებით.

ყოველმხრივ განვითარდეს მეფუტკრეობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე მუშებსა, გლეხებსა და მოსამსახურეებს შორის; მიღებულ იქნას ზომები მეფუტკრეობის პროდუქტიულობის ასამაღლებლად. გადიდდეს სკების, მეფუტკრეობის ინვენტარისა და ხელოვნური ფიჭის წარმოება.

30. კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველნაირად განმტკიცებისა და განვითარების მიზნით: უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი სიმდიდრის—მათი შემოსავლის, განუყოფელი ფონდების, ნაგებობათა, პირუტყვის, ინვენტარის, აგრეთვე საღაზღვევო, სათესლე და საფურაჟე ფონდების შემდგომი ზრდა.

უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მიწებისა და საკოლმეურნეო საკუთრების დაცვა, არ იქნას დაშვებული სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა და საკოლმეურნეო დემოკრატიის — არჩე-

ვითობის, სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა საერთო კრების წინამე კოლმეურნეობათა გამგეობების ანგარიშგების დარღვევა.

გადიდდეს შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებში შრომის სწორი ორგანიზაციის, საკოლმეურნეო შემოსავლის განაწილებაში შრომადღის როლის განმტკიცებისა და ამაღლების საფუძველზე; განმტკიცდეს კოლმეურნეობებში ბრიგადები და რგოლები ინდივიდუალური და ჯგუფური სანარდო სისტემის გამოყენებით; ფართოდ გატარდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისათვის, პირუტყვის სულადობის გაზრდისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურება.

განმტკიცდეს დისციპლინა კოლმეურნეობათა მიერ თავიანთ ვალდებულებათა შესრულებისას სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების დარგში.

31. საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის დარგში მომავალ ხუთწლედში უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა მეურნეობების მეურნეობის სანიმუშოდ წარმოება — მნიშვნელოვნად გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, ამაღლდეს გამომუშავება ტრაქტორებზე, კომბაინებზე და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე და შემცირდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულება; აღდგენილ იქნას პროდუქტიული პირუტყვის სულადობის ომამდელი დონე და ეს დონე 1950 წელს გადამეტებულ იქნას: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა 16 პროცენტით, ცხვრისა და თხის—32 პროცენტით და ღორისა—28 პროცენტით; დასრულდეს მინდვრის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა და მეცხოველეობაში ძირითადი პროცესების მექანიზაცია; შეიქმნას საბჭოთა მეურნეობებში მუშათა მუდმივი მყარი კადრები, მიეცეთ მათ საკარმიდამო ნაკვეთები და აღმოეჩინოთ სახელწიფო დახმარება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების აგებაში.

32. სოფლის მეურნეობის აღდგენისა და აღმავლობის, ნათესი ფართობების გადიდების, მოსავლიანობის გადიდების, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთის მოკავშირე რესპუბლიკების, უკრაინისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკების დასავლეთი ოლქების გლეხურ მეურნეობებში პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდის უზრუნველყოფის მიზნით გლეხურ მეურნეობებს აღმოეჩინოთ საწარმოო დახმარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განმტკიცებით, მტს-ების, მანქანებისა და ცხენების გასაჭირავებელი პუნქტების ქსელის გაფართოებით, სესხის მიცემით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მინერალური სასუქების შეტანისა და მიყიდვის გადიდებით და ჯიშიანი პირუტყვის საშენთა მოწყობით.

33. სატყეო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების, აგრეთვე იმ რაიონებში გაჩეხილ ფართობებზე ტყის გაშენების მიზნით, რომლებმაც გერმანული ოკუპაცია განიცადეს, ჩატარდეს ტყეების გამოკვლევა და ინვენტარიზაცია და ტყეთმოწყობა 123 მილიონ ჰექტარ ფართობზე; ფართოდ გაშალოს მუშაობა თესლის დამზადებისა და სანერგე მასალის სადედეების გაშენების დარგში; მიღებულ იქნას ზომები ტყის მასივების მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის ველებიან რაიონებში, რომლებსაც დიდი სასოფლო-სამეურნეო და წყალდამცავი მნიშვნელობა აქვთ.

34. გაუმჯობესდეს სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობა, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს ძირითად ამოცანად დაესახოთ იმ ღონისძიებათა შემუშავება, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მიწათმოქმედების, მეცხოველეობის და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების შემდგომ აღმავლობას, სსრ კავშირის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ზონების შესაბამისად.

უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა აგროტექნიკური მეცნიერების შემდგომი განვითარება და სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის გაუმჯობესება

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ელექტროფიკაციის, ეკონომიკისა და ორგანიზაციის დარგში.

ტრანსპორტის დარგში

ტვირთზიდვის დარგში სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად დაწესდეს შემდეგი დავალებანი ტრანსპორტის დარგში.

35. **რკინიგზის ტრანსპორტის** დარგში—უზრუნველყოფილ იქნას 1950 წელს საშუალო-სადღეღამისო დატვირთვა რკინიგზის ტრანსპორტზე 115 ათასი ვაგონის რაოდენობით და ტვირთბრუნვა 532 მილიარდი ტონა-კილომეტრის ოდენობით.

კაპიტალურად აღდგენილ იქნას რკინიგზის ტრანსპორტი იმ რაიონებში, რომლებმაც გერმანული okupacia განიცადეს. გადაჭარბებულ იქნას გამტარუნარიანობის ომამდელი დონე შემდეგი მიმართულებებით: დონბას-ცენტრი, დონბას-კრივოი როგი, დონბას-ვოლგისპირეთი, გამოსასვლელები კავკასიიდან, მოსკოვ-ლენინგრადი, მოსკოვ-კიევ-ლვოვი, მოსკოვ-სმოლენსკ-მინსკ-კენიგსბერგი, მოსკოვ-ველიკიე ლუკი-რიგა.

უზრუნველყოფილ იქნას სრული შეუფერხებელი დაკმაყოფილება ტრალისა და ციმბირის მრეწველობის საჭიროებისა ტვირთზიდვის დარგში.

ტექნიკურად ხელახლად იქნან შეიარაღებული უმნიშვნელოვანესი მიმართულებების რკინიგზები და უზრუნველყოფილ იქნას მათი შეუფერხებელი მუშაობა ზამთრის პირობებში, უწინარეს ყოვლისა, ელექტროწევისა და თბოწევის დანერგვის გზით.

შეივსოს მოძრავი შემადგენლობის პარკი 6.165 სამაგისტრალო ორთქლმავლით, 555 სამაგისტრალო ელექტრომავლით, 865 სამაგისტრალო თბომავლით, 472,5 ათასი სატვირთო ვაგონით (ორღერძიანი გამოანგარიშებით) და 6 ათასი სამგზავრო ვაგონით.

სატვირთო ვაგონების პარკის ავტომუხრუჭებით მოწყობა გაიზიდოს ვაგონების საერთო პარკის 93 პროცენტამდე და ავტოგადაბმით — ვაგონთა საერთო პარკის 75 პროცენტამდე. მთლიანად აღდგენილ იქნას დაზიანებული მოძრავი შემადგენლობა და გაუმჯობესდეს ორთქლმავლებისა და ვაგონების რემონტი.

დაჩქარდეს ვაგონების ბრუნვა რკინიგზებზე 1945 წლის 10,9 დღეღამიდან 7 დღეღამემდე 1950 წელს და შემცირებულ იქნას რკინიგზების ტვირთზიდვათა სიმძიმე 1945 წლის 790 კილომეტრიდან 690 კილომეტრამდე 1950 წელს; ყოველმხრივ შემცირდეს ვაგონების მოცდენა სამრეწველო საწარმოთა ლიანდაგებზე.

რკინიგზის ტრანსპორტზე კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა ხუთწლედისათვის დამტკიცდეს 40,1 მილიარდი მანეთის რაოდენობით. დამთავრდეს 1948 წელს რკინიგზების აღდგენა დონეცის ქვანახშირისა და კრივოი როგის მადნის აუზებში, იმ სარკინიგზო მიმართულებებისა, რომლებიც მოსკოვს აკავშირებენ დონბასთან, ლენინგრადსა და კავკასიასთან, 15 ათასი კილომეტრი საერთო სიგრძით. კაპიტალურად აღდგენილ იქნას და აშენდეს იმ რკინიგზებზე, რომლებმაც okupacia განიცადეს,—1.800 დიდი და საშუალო ხიდი, მათ შორის მდინარეებზე დნეპრსა, დონსა, დნესტრსა, ნევასა, ნემანსა, ზაპადნაია დვინასა, ვოლხოვსა და იუჟნი ბუგზე. აღდგენილ იქნას და აშენდეს 1.500 სარკინიგზო ვაგზალი, 1.300 საორთქლმავლო დეპო, 128 სავაგონო დეპო და ვაგონსარემონტო პუნქტი.

ხუთწლედის განმავლობაში გაყვანილ იქნას ახალი რკინიგზის ხაზები 7.230 კილომეტრი საერთო სიგრძისა, მათ შორის სტალინსკ-მაგნიტოგორსკის მაგისტრალზე. აგებულ და აღდგენილ იქნას 12.500 კილომეტრი საერთო სიგრძის მეორე ლიანდაგი. ელექტროფიცირებულ იქნას 5.320 კილომეტრი რკინიგზა. ავტომატური ბლოკირებით მოეწყოს 10.400 კილომეტრი რკინიგზა.

ჩატარდეს შემდგომი მუშაობა რკინიგზის სადგურებისა და კვანძების განვითარებისა და ტექნიკური მოწყობისათვის; აგებულ და აღდგენილ იქნას 21 მექანიზებული გორაკი.

რკინიგზების მოქმედ ქსელში დაგებულ იქნას 50 ათასი კილომეტრი ახალი რელსები, მათ შორის გზის რეკონსტრუქციის დროს 3 ათასი კილომეტრი და კაპიტალური რემონტის დროს 29 ათასი კილომეტრი.

აღდგენილ იქნას ოკუპაციის პერიოდში დანგრეული ორთქლმავალსარემონტო და ვაგონსარემონტო ქარხნები და აშენდეს 11 ახალი ორთქლმავალსარემონტო ქარხანა, ელმავალსარემონტო ქარხანა, 1 თბომავალსარემონტო ქარხანა, 11 ვაგონსარემონტო ქარხანა და 3 ქარხანა სამარაგო ნაწილების დასამზადებლად.

უზრუნველყოფილ იქნას 1946-1950 წლების განმავლობაში 5,5 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებისათვის.

მიეცეს რკინიგზის ტრანსპორტს 1946-1950 წლების განმავლობაში 4,5 მილიონი ტონა რელსი, 2 მილიონი ტონა რელსის სამაგრი და 185 მილიონი ცალი შპალი; დაწყებულ იქნას მძიმე ტიპის რელსების წარმოება და ლიანდაგად დაგება.

ამაღლებულ იქნას დასატვირთავ-გადმოსატვირთავ სამუშაოთა მექანიზაციის დონე რკინიგზის ტრანსპორტზე სამუშაოთა საერთო მოცულობის 75 პროცენტამდე.

უზრუნველყოფილ იქნას მისასვლელი გზების აღდგენა იმ რაიონებში, რომლებმაც გერმანული ოკუპაცია განიცადეს, არსებული მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და ახლების მშენებლობა, განსაკუთრებით ურალისა და ციმბირის საწარმოებში, და სამრეწველო საწარმოთა სატრანსპორტო საამქროების მუშაობის გაუმჯობესება.

36. **სამდინარო ტრანსპორტის** დარგში—1950 წელს ომამდელ დროსთან შედარებით სამდინარო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გადიდდეს 38 პროცენტით.

კაპიტალურად აღდგენილ იქნას სამდინარო ტრანსპორტი იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, ისე, რომ 1948 წელს დამთავრდეს ფლოტის, ნავსადგურებისა და ნავმისადგომების აღდგენა მდინარეებზე დნეპრ'ზე, პრიპიატსა, დონსა, ყუბანსა, ნემანსა, ზაპადნაია დვინასა და სვირზე, ლადოგისა და ონეგის ტბებზე და სსრ კავშირის სამდინარო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის მოცულობა ამ რაიონებში გადიდდეს ომამდელ დონემდე.

გაუმჯობესდეს ვოლგისა და მისი შენაკადების, ციმბირისა და ჩრდილოეთის მდინარეების გამოყენება, დაჩქარდეს თვითმავალი და არათვითმავალი ფლოტის მომატება, გაძლიერდეს ტვირთზიდვის სიჩქარე და არათვითმავალი ფლოტის გამოყენება საშუალოდ 25 პროცენტით 1940 წელთან შედარებით.

გაუმჯობესდეს არსებული სამდინარო ნავსადგურები და ნავმისადგომები, მთლიანად მექანიზებულ იქნას სამდინარო გემების დატვირთვა და გადმოტვირთვა და 1950 წელს ყველა დასატვირთავ-გადმოსატვირთავ სამუშაოთა მექანიზაცია აყვანილ იქნას 75 პროცენტამდე; აღჭურვილ იქნას სამდინარო ნავსადგურები და ნავმისადგომები გადმოსატვირთავი მექანიზმებით (ონკანებით, ელექტროკარებით, ამწეებით, ტრანსპორტიორებით).

აღდგენილ იქნას თეთრი ზღვისა და ბალტიის ზღვის სტალინის სახელობის არხი და დაწყებულ იქნას მარიის სამდინარო გზის რეკონსტრუქცია; სანაოსნო გზების საერთო სიგრძე 1950 წელს გადიდდეს 115 ათას კილომეტრამდე.

უზრუნველყოფილ იქნას ხუთწლედში სიმძლავრეთა მატება სამდინარო თვითმავალ ფლოტში 300 ათასი ცხენძალით და არასამდინარო ფლოტში 3 მილიონი ტონით.

აშენდეს ხუთი გემთსაშენი ვერფი და მათთვის მოეწყოს მთავარი საგემო მანქანების, დამხმარე მექანიზმებისა და საგემო არმატურის წარმოება. სამდინარო გემების აგებისას გამოყენებულ იქნას გემთსაშენი ტექნიკის მიღწევანი.

ტექნიკურად აღჭურვილ იქნას გემთსარემონტო საწარმოები და ხის გემთა მშენებლობის ვერფები; უზრუნველყოფილ იქნას ხის სამდინარო გემების მშენებლობა და ფლოტის რემონტი ხარისხოვანი გემთსაშენი ხეტყით.

მოკავშირე რესპუბლიკებში ყველგან გაჩაღებულ იქნას პატარა მდინარეების სატრანსპორტო ათვისება ადგილობრივი ტვირთზიდვისათვის; მოეწყოს მოკავშირე რესპუბლიკებში ბაზები პატარა მდინარეებისათვის თვითმავალი და არათვითმავალი ფლოტის ასაგებად.

37. **საზღვაო ტრანსპორტის** დარგში — 1950 წელს საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გადიდდეს 2,2-ჯერ ომამდელ პერიოდთან შედარებით.

შეივსოს საზღვაო ფლოტი 600 ათასი ტონით, მათ შორის 400 ათასი ტონა თვითმავალი სატრანსპორტო გემებით და 90 ათასი ტონა არათვითმავალი სატრანსპორტო გემებით.

კაპიტალურად აღდგენილ იქნას საზღვაო ნავსადგურები აზოვ-შავი ზღვისა და ბალტიის ზღვის აუზებში და დამთავრდეს ნავსადგურების მშენებლობა შორეულ აღმოსავლეთში. ნავსადგურების აღდგენა განხორციელებულ იქნას ნავსადგურების მშენებლობის თანამედროვე ტექნიკის მიღწევათა გათვალისწინებით.

გადიდდეს ნავსადგურების გამტარუნარიანობა სანავსადგურო ტერიტორიების კეთილმოწყობის, დასატვირთავ-გადმოსატვირთავ და შინასასაწყობო სამუშაოთა მექანიზაციის, სანავსადგურო და მოძრავი ამწეების რაოდენობის გადიდებისა და შინასანავსადგურო ტრანსპორტის (ავტოსაწევრებიის, ლიფტამწეების, ხე-ტყის ავტოსაზიდრების) ყველაზე სრულყოფილი მექანიზმების ფართოდ დანერგვის გზით.

გადიდდეს ღრმაწყლიანი გემთმისადგომების რაოდენობა 1,7-ჯერ 1940 წელთან შედარებით; უზრუნველყოფილ იქნას ძირითად საზღვაო სანაოსნო სადგურებში სიღრმეები დიდი საოკეანო გემების მისაღებად.

სავსებით აღდგენილ იქნას გემთსარემონტო ქარხნები ბალტიისა და შავი ზღვის აუზებში. აშენდეს 3 ახალი გემთსარემონტო ქარხანა. 1950 წელს გადიდდეს საზღვაო ფლოტის გემთსარემონტო ბაზების სიმძლავრე 2,5-ჯერ ომამდელ პერიოდთან შედარებით. 1950 წელს გადიდდეს გემთასაწევ ნაგებობათა (დოკებისა და სლიპების) რაოდენობა 1,8-ჯერ 1940 წელთან შედარებით.

გაფართოვდეს ჩვენი ქვეყნის საზღვაო სავაჭრო გემთმშენებლობის ბაზა, რისთვისაც 1946-1950 წლებში აშენდეს ორი გემთსაშენი ქარხანა: ერთი შავი ზღვის აუზში სატრანსპორტო საზღვაო გემების გამოსაშვებად და ერთი ქარხანა ბალტიის ზღვის აუზში ტრაულერებისა და საზღვაო ბუქსირების გამოსაშვებად.

1950 წელს დამთავრდეს მუშაობა ჩრდილოეთი საზღვაო გზის ნორმალურად მოქმედ სანაოსნო მაგისტრალად გადაქცევისათვის.

38. ყოველმხრივ განვითარდეს ჩვენი ქვეყნის გემთმშენებლობა. 1950 წელს გემთმშენებლობა გადიდდეს ერთიორად 1940 წელთან შედარებით. უზრუნველყოფილ იქნას სსრ კავშირში ძლიერი და მძლავრი ფლოტის მშენებლობა. აშენდეს საბჭოთა ფლოტისათვის ახალი ხომალდები და ახალი საზღვაო ბაზები.

39. **ავტოტრანსპორტისა და ავტოსაგზაო მეურნეობის** დარგში — ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის საავტომობილო პარკი ერთიორად გადიდდეს ომამდელ დროსთან შედარებით. უზრუნველყოფილ იქნას საავტომობილო ტრანსპორტზე დიზელიანი მოტორების, გადიდებული შეკუმშვის ბენზინიანი მოტორების, ადგილობრივი სახეობის სათბობით მომუშავე გაზბალონური და

გაზგენერატორული ავტომობილების და თვითგანმტვირთავი ავტომობილების ფართოდ გამოყენება.

გაუმჯობესდეს ავტომობილების გამოყენება და ტექნიკური მომსახურება; ყოველმხრივ შემცირდეს ავტომობილების მოცდენა და ცარიელი მიმოსვლა; შეიქმნას საერთო სარგებლობის საავტომობილო მეურნეობანი; დაინერგოს მისაბმელებისა და კონტეინერების გამოყენება ტვირთის გადასაზიდავად; უზრუნველყოფილ იქნას საავტომობილო მეურნეობა სარემონტო სახელოსნოებით; განვითარდეს საგარაჟო მოწყობილობისა და ინსტრუმენტის წარმოება.

მოეწყოს საავტომობილო ტრანსპორტით მასობრივი ტვირთის სარაიონთაშორისო გადაზიდვა; უზრუნველყოფილ იქნას მოკლე მანძილზე ტვირთზიდვისათვის რკინიგზის ტრანსპორტის შეცვლა ავტოტრანსპორტით.

ხუთწლედში გადიდდეს საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გაუმჯობესებული საავტომობილო გზების ქსელი 11,5 ათასი კილომეტრით. აღდგენილ იქნას და კაპიტალურად შეკეთდეს საკავშირო მნიშვნელობის გზების არსებული ქსელი.

40. **საჰაერო ტრანსპორტის** დარგში—გადიდდეს სამოქალაქო საავიაციო ტრანსპორტის თვითმფრინავთა პარკი თანამედროვე სამგზავრო და სატრანსპორტო თვითმფრინავებით; გადიდდეს საჰაერო ხაზების ქსელი 175 ათას კილომეტრამდე. აღდგენილ იქნას და განვითარდეს საჰაერო მიმოსვლა, პირველ რიგში, იმ უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით, რომლებიც მოსკოვს აკავშირებენ მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრებსა და საოლქო ქალაქებთან, აგრეთვე ჩრდილოეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონების საჰაერო მიმოსვლა. აღდგენილ იქნას და განვითარდეს ადგილობრივი საჰაერო ხაზები, რომლებიც მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრებს აკავშირებენ ცალკე რაიონებთან.

მოეწყოს საკავშირო მნიშვნელობის საჰაერო ხაზები ტექნიკური საშუალებებით, რომლებიც რეგულარული ფრენის ნებას იძლევიან მთელი წლის განმავლობაში, ხოლო უმნიშვნელოვანეს მაგისტრალებზე—ღამით. აღდგენილ იქნას 16 აეროპორტი თანამედროვე მძიმე და ჩქარი სატრანსპორტო თვითმფრინავების საექსპლოატაციოდ. აღდგენილ იქნას და აიგოს 20 აეროვაგზალი არსებულ და ახლადასაგებ აეროპორტებში.

განვითარდეს სპეციალური დანიშნულების ავიაციის მასობრივი გამოყენება სოფლისა და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლაში, მოსახლეობის სანიტარული მომსახურების საქმეში, აგრეთვე აეროფოტოგადაღებისათვის.

41. **კავშირგაბმულობის საშუალებათა აღდგენისა და განვითარების** დარგში—მთლიანად აღდგენილ იქნას კავშირგაბმულობის საშუალებანი და უზრუნველყოფილ იქნას მათი შემდგომი განვითარება იმ რაიონებში, რომლებმაც გერმანული ოკუპაცია განიცადეს, განსაკუთრებით რადიოკავშირისა და მაგისტრალური კაბელისა, ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვის საფუძველზე. სსრ კავშირის ელექტროკავშირგაბმულობის გენერალური სქემის საფუძველზე დამთავრდეს საიმედო სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირის მოწყობა მოსკოვსა და ყველა რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ცენტრთან, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებისა—თავიანთ საოლქო ცენტრებთან; მთლიანად ტელეფონიზებულ იქნას რაიონული ცენტრები, სოფლის საბჭოები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და საბჭოთა მეურნეობები.

აღდგენილ და გაყვანილ იქნას 7.800 კილომეტრი მაგისტრალური სატელეფონო-სატელეგრაფო კაბელი. გაყვანილ იქნას 50 ათასი კილომეტრი ფერადი ლითონის მავთული; მოეწყოს თანამედროვე მაღალხარისხოვანი აპარატურის ელექტროკავშირგაბმულობის ძირითადი მაგისტრალები.

დაიდგას 55 სატელეგრაფო-სატელეფონო რადიოგადამცემი, მათ შორის 20 რადიოგადამცემი ცენტრალურ რაიონებში შორეულ აღმოსავლეთსა, ყაზახეთსა, შუა აზიასა და ამიერკავკასიასთან რადიოკავშირის გასაძლიერებლად.

გადიდდეს სატელეფონო სადგურების სიმძლავრე და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ფაზოვანი ავტომატური სატელეფონო სადგურების დანერგვას.

უზრუნველყოფილ იქნას რადიომაუწყებლობის შემდგომი განვითარება: დაიდგას 28 ახალი რადიომაუწყებელი სადგური და 1950 წელს რადიომიმღები ქსელი გადიდდეს 75 პროცენტით ომამდელ დროსთან შედარებით.

აღდგენილ იქნას და ტექნიკურად ხელახლად მოეწყოს ტელევიზიის ცენტრი მოსკოვში და აიგოს ახალი სატელევიზიო ცენტრები ლენინგრადში, კიევსა და სვერდლოვსკში.

ყოველმხრივ გაუმჯობესდეს მოსახლეობის მომსახურება საფოსტო კავშირგაბმულობით, აშენდეს სოფლად 5.000 ახალი შენობა ფოსტისათვის, საფოსტო კორესპონდენციისა და პერიოდული პრესის გადასაზიდავად ფართოდ იქნას გამოყენებული საავტომობილო და საავიაციო ტრანსპორტი.

III.

ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების გეგმა

1. წარმოების გადიდების, საქონელბრუნვის გაფართოებისა და მშრომელთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის ხარჯების გადიდების საფუძველზე ხუთწლიანი გეგმის პერიოდში არა მარტო აღდგენილ იქნას ხალხის კეთილდღეობის ომამდელი დონე, არამედ 30-ზე მეტი პროცენტით გადაჭარბებულ იქნას სახალხო შემოსავლის ომამდელი დონე.

განისაზღვროს სახალხო შემოსავლის მოცულობა 1950 წელს (1926-1927 წლის ფასებით) 177 მილიარდი მანეთის რაოდენობით დაგროვების ფონდისა და მოხმარების ფონდის შესაფერის ზრდასთან ერთად.

2. **შრომისა და კადრების მომზადების** დარგში—დაწესდეს მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში 1950 წელს 33,5 მილიონი კაცის რაოდენობით და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში 252,3 მილიარდი მანეთის რაოდენობით, უზრუნველყოფილ იქნას ფასების თანმიმდევრული დაკლება ყველა საქონელზე, მშრომელთა საბინაო პირობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება. შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად გადიდდეს მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური ხელფასი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში 1950 წელს ექვსი ათას მანეთამდე, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 1940 წლის დონეს.

წარმოების გადამწყვეტ დარგებში მუშახელის მიზიდვისა და მუშების მუდმივი კადრების შექმნის მიზნით უზრუნველყოფილ იქნას მძიმე მრეწველობის დარგების (ქვანახშირის მრეწველობა, მეტალურგია, ნავთის მრეწველობა), მუშათა, აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ხელფასის უფრო მაღალი დონე.

გაუმჯობესდეს მუშათა შრომის სანარდო-პროგრესიული ანაზღაურების სისტემა, აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა პრემირების სისტემა საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სისტემატურად გადიდდეს პრემიების მნიშვნელობა ხელფასში.

გაფართოვდეს ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების გამოყენება მრეწველობაში, ამასთან გათვალისწინებულ იქნას მოწინავე ტექნოლოგია და შრომის გაზრდილი ტექნიკური აღჭურვილობა. უზრუნველყოფილ იქნას შრომის ნორმირების საქმე ინჟინრებისა და ტექნიკოსების გამოცდილი კადრების მიერ. განხორციელდეს ღონისძიებანი წარმოებაში შრომის პირობების კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად (უშიშროების ტექნიკა, ვენტილაცია, განათება, სანიტარულ-საყოფაცხოვრებო ბინები).

სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების კვალიფიციური მუშახელით უზრუნველსაყოფად და საწარმოო კადრების ტექნიკური მომზადების ხარისხის გასაუმჯობესებლად გადიდდეს 1950 წლისათვის საფაბრიკო-საქარხნო სკოლებიდან, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებიდან ახალგაზრდა კვალიფიციური მუშების წლიური გამოშვება 1,2 მილიონამდე. სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემაში ხუთი წლის პერიოდში მომზადდეს 4.500 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა.

გაიმალოს მასობრივი პროფესიების კვალიფიციური კადრების ფართო მომზადება წარმოებაში ინდივიდუალური, ბრიგადული და საკურსო სწავლების გზით, უზრუნველყოფილ იქნას ხუთი წლის განძილზე 7,7 მილიონი მუშის ტექნიკური სწავლება და 13,9 მილიონი მუშის კვალიფიკაციის ამაღლება.

გადიდდეს კოლმეურნეებისათვის შრომადღეზე ნატურალური და ფულადი გაცემა 1940 წელთან შედარებით კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ზრდის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საფუძველზე.

მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე მუშახელის მიზიდვის მიზნით აღდგენილ იქნას მუშახელის ორგანიზებული შეგროვება სამეურნეო ორგანიზაციათა მიერ კოლმეურნეობებთან და კოლმეურნეებთან ხელშეკრულების დადების საფუძველზე.

უპირველეს ამოცანად ჩაითვალოს საწარმოთა უზრუნველყოფა კვალიფიციური და მუდმივი მუშათა კადრებით წარმოების შეჭიდრმი მექანიზაციის, მუშათა შრომის ორგანიზაციის, მომარაგებისა და საბინაო პირობების სისტემატური გაუმჯობესების საფუძველზე.

3. **კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის** დარგში—გადიდდეს სახელმწიფო ხარჯები ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კულტურულ-ყოფაცხოვრებითი მომსახურებისათვის, ესე-იგი ხარჯები სოციალური დაზღვევისათვის და სახელმწიფოს ხარჯები განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სახელმწიფო შრომითი რეზერვების კადრების მომზადებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისა და სამამულო ომის ინვალიდების დასახმარებლად, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის, გარდა სახელმწიფო ხარჯებისა საბინაო და კომუნალური მშენებლობისათვის, 106 მილიარდ მანეთამდე 1950 წელს, რაც 2,6-ჯერ აღემატება 1940 წლის დონეს.

უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო საწარმოთა და დაწესებულებათაგან მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევისათვის სახსრების შეტანა 1946-1950 წლების განმავლობაში 61,6 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

გადიდდეს დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების რაოდენობა 1950 წელს 193 ათასამდე და მოსწავლეთა რაოდენობა ამ სკოლებში 31,8 მილიონამდე, უზრუნველყოფილ იქნას ბავშვთა საყოველთაო სავალდებულო სწავლება შვიდი წლის ასაკიდან როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

მუშა და გლეხი ახალგაზრდობის სკოლების ფართო ორგანიზაციის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას ახალგაზრდობის იმ ნაწილის სწავლა, რომელმაც სამამულო ომის და მთელი რიგი საბჭოთა რაიონების დროებითი ოკუპაციის პირობებში ვერ შესძლო ნორმალური განათლება მიეღო სკოლაში.

გადიდდეს სტუდენტთა რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებში 1950 წელს 674 ათასამდე და მოსწავლეთა რაოდენობა სპეციალურ საშუალო სას-

წავლებლებში 1.280 ათასამდე; დაწესდეს ხუთი წლის მანძილზე უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა გამოშვება 602 ათასი კაცის რაოდენობით და ტექნიკუმებისა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებელდამთავრებულთა გამოშვება 1.326 ათასი კაცის რაოდენობით.

გაფართოვდეს უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება სათბობ-ენერგეტიკული და მეტალურგიული მრეწველობისათვის სოფლის მეურნეობისა და რკინიგზის ტრანსპორტისათვის, აგრეთვე მასწავლებელთა მომზადება დაწყებითი და საშუალო სკოლებისათვის; მოეწყოს ახალი ტექნიკის დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება; ამაღლდეს უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის კადრების მომზადების ხარისხი.

გადიდებულ იქნას კინოდანადგარების რაოდენობა 1950 წელს 46.700-მდე დაცვლად 1940 წლის 28 ათასისა; უზრუნველყოფილ იქნას თვითეული რაიონული ცენტრი და ქალაქის ტიპის დაბა სტაციონარული კინოდანადგარით; მნიშვნელოვნად გაფართოვდეს სტაციონარული კინოქსელი სოფლად; გადიდდეს მუდმივი თეატრების რაოდენობა 898-მდე, კლუბებისა და მასობრივი ბიბლიოთეკების რაოდენობა ქალაქად და სოფლად გადიდდეს 284.900-მდე.

გადიდდეს ბავშვთა რაოდენობა საბავშვო ბაღებში 1950 წელს 2.260 ათასამდე, ანუ ერთიორად 1940 წელთან შედარებით. სავსებით უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო ხარჯზე საბავშვო სახლებში იმ ობლების აღზრდა, რომლებმაც მშობლები დაჰკარგეს სამამულო ომის პერიოდში.

აღდგენილ იქნას რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, მტრის მიერ დანგრეული სკოლები, სასწავლებლები, სამეცნიერო დაწესებულებანი, მუზეუმები, თეატრები, კინოები, კლუბები, ბიბლიოთეკები და ჭოხ-სამკითხველოები.

გადიდდეს საავადმყოფოს საწოლების რიცხვი 1950 წელს 985 ათასამდე ნაცვლად 1940 წლის 710 ათასისა, მუდმივ საბავშვო ბაგებში ადგილების რაოდენობა გადიდდეს 1.251 ათასამდე ნაცვლად 1940 წლის 859 ათასისა, აგრეთვე გაფართოვდეს ბავშვთა და ქალთა კონსულტაციების, საბავშვო საავადმყოფოების და სარძეო სამზარეულოთა ქსელი.

მთლიანად აღდგენილ იქნას დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების ქსელი მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციისათვის. გადიდებულ იქნას ადგილთა (ერთდროული ყოფნის) რაოდენობა სანატორიუმებში 250 ათასამდე, ხოლო დასასვენებელ სახლებში 200 ათასამდე.

უზრუნველყოფილ იქნას სამამულო ომის ინვალიდების სამედიცინო მოჭაჭურება, მათ შორის საავადმყოფოებით, დასასვენებელი სახლებით და სანატორიუმებით. მოეწყოს სამამულო ომის ინვალიდებისათვის მაღალი ხარისხის გაუმჯობესებული პროტეზების წარმოება.

გადიდდეს მედიკამენტების, სამედიცინო ინსტრუმენტებისა და სამედიცინო მოწყობილობის წარმოება სამედიცინო მრეწველობის საწარმოებში 1.200 მილიონ მანეთამდე 1950 წელს, ანუ 85 პროცენტით 1940 წელთან შედარებით. მოეწყოს მაღალხარისხოვანი თანამედროვე სამედიცინო ინსტრუმენტის, აგრეთვე შემოწმებული თანამედროვე მედიკამენტების მასობრივი წარმოება.

4. **საბინაო და საქალაქო მშენებლობის** დარგში — განხორციელდეს იმ რაიონების, ქალაქების, მუშათა დაბებისა და სოფლების დანგრეული საბინაო ფონდის აღდგენა, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, და გაჩაღდეს ახალი საბინაო მშენებლობა ისეთი ოდენობით, რომელიც უზრუნველჰყოფს ქალაქების, მუშათა დაბებისა და სოფლების მშრომელთა საბინაო პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

გადიდდეს საბინაო მშენებლობის კაპიტალდაბანდებათა ხვედრითი წონა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის კაპიტალურ სამუშაოთა საერთო მოცულობაში 14,5 პროცენტამდე ნაცვლად 10,5 პროცენტისა მესამე ხუთწლე-

დის პერიოდში. გადიდდეს საბინაო მშენებლობის კაპიტალურ სამუშაოთა ღირებულობა 1946-1950 წლებისათვის 42,3 მილიარდი მანეთის რაოდენობით ნაცვლად 15,5 მილიარდი მანეთისა მესამე ხუთწლედში (ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ჩაუთვლელად). ყოველმხრივ გაუმჯობესდეს საბინაო მშენებლობის ხარისხი.

დამტკიცდეს სახელმწიფო საბინაო ფონდის აღდგენისა და ახალი მშენებლობის გეგმა ხუთწლედისათვის 72,4 მილიონი კვადრატული მეტრი საბინაო ფართობის რაოდენობით, მათ შორის სამინისტროებისა და უწყებების ხაზით 65,0 მილიონი კვადრატული მეტრი და ადგილობრივი საბჭოების ხაზით 7,4 მილიონი კვადრატული მეტრი. გარდა ამისა გათვალისწინებულ იქნას ხუთწლედის მანძილზე ქალაქებსა და მუშათა დაბებში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების აღდგენა და მშენებლობა მოსახლეობის სახსრებით სახელმწიფო კრედიტის დახმარებით 12 მილიონი კვადრატული მეტრი საბინაო ფართობის რაოდენობით.

საბინაო პირობების გაუმჯობესების, მრეწველობის მუდმივი მუშათა კადრების შექმნის და მუშახელის დენადობის ლიკვიდაციის მიზნით საწარმოებში სამეურნეო ორგანიზაციების ძალებით გაჩაღდეს საკარმიდამო ტიპის თითო და ორ-ორ ბინიანი სახლების მშენებლობა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის ამ სახლების ძვირფასყიდად გრძელვადიანი კრედიტის მიცემით.

დაეკისროთ სამინისტროებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს მუშაობა მათი საბინაო ფონდის და აღდგენის პროცესში მყოფი ქალაქების საცხოვრებელი უბნების მოსაწყობად კეთილმოწყობის ძირითადი სახეებით—წყალსადენით, კანალიზაციით, მოკირწყვლით, გამწვანებით, განათებით, ბაბანოებით, სამრეცხაოებით.

აღდგენილ იქნას წყალსადენი, კანალიზაცია, ქალაქის ტრანსპორტი, კომუნალური ელექტროსადგურები და ბაბანოები იმ ქალაქებში, რომლებმაც გერმანული ოკუპაცია განიცადეს. მოსახლეობის კომუნალური მომსახურების დონის შემდგომი ამაღლების მიზნით გაფართოვდეს არსებული კომუნალური საწარმოები და გაჩაღდეს ახალი კომუნალური მშენებლობა, აგებულ იქნას ხუთწლედის მანძილზე ახალი წყალსადენი 16 ქალაქში, კანალიზაცია 13 ქალაქში, ტრამვაის მიმოსვლა 8 ქალაქში და ტროლეიბუსის მიმოსვლა 20 ქალაქში.

ქალაქების კომუნალური მეურნეობისათვის ხუთწლედში დამზადდეს უახლესი კონსტრუქციების 1.750 ტრამვაის ვაგონი და 3 ათასი ტროლეიბუსი; გადიდდეს ხუთწლედის მანძილზე ავტობუსების რაოდენობა ქალაქებში 22 ათასით და სამგზავრო ტაქსებისა 15 ათასით; გადიდდეს ქუჩებისა და მოედნების მოკირწყვლა ქალაქებსა და მუშათა დაბებში, ამასთან გადიდდეს გაუმჯობესებულ საფარველთა ფართობი.

განსაზღვრულ იქნას ხუთწლედის მანძილზე სოფლებში კოლმეურნეობათა და გლეხთა სახსრებით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით საცხოვრებელი სახლების აღდგენისა და ახალი მშენებლობის მოცულობა 3.400 ათასი სახლის რაოდენობით, მათ შორის იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, 2.240 ათასი სახლის რაოდენობით.

დახმარება გაეწიოს გლეხებსა და სოფლის ინტელიგენციას მათ მიერ საკუთარი საცხოვრებელი სახლების მშენებლობასა და აღდგენაში კრედიტის მიცემისა და საშენებლო მასალებისა და მზა დეტალების მიყიდვის გზით.

იმის გამო, რომ ადგილობრივი საბჭოებისა და საწარმოების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის განხორციელება, განსაზღვრულ იქნას ქალაქებში ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის მოცულობა 5 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

5. **საცალო საქონელბრუნვისა და მოხმარების დარგში** — გადიდდეს სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცუ-

ლობა 1950 წელს (1945 წლის ფასების დონის შემცირების გათვალისწინებით) 275 მილიარდ მანეთამდე, რაც 28 პროცენტით სჭარბობს 1940 წლის საქონელბრუნვის მოცულობას შედარებითს ფასებში.

განხორციელდეს 1946-1947 წლების მანძილზე ბარათებით მოსახლეობის ნორმირებული მომარაგებიდან გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლა. პურის, ფქვილის, ბურღულისა და მაკარონის ნაწარმის ბარათები გაუქმდეს 1946 წლის შემოდგომიდან.

გაფართოვდეს მაღალხარისხოვანი კვების პროდუქტების, ქსოვილთა, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოება და მოსახლეობისათვის მიყიდვა. გადიდდეს 1950 წელს 1940 წელთან შედარებით სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საქონლის საბაზრო ფონდები, მათ შორის: ხორცისა და თევზის პროდუქტების, შაქრისა და საკონდიტრო ნაწარმის, ჩითის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილებისა და ტყავის ფეხსაცმლის. ამასთან ერთად განვითარდეს კულტურული და სამეურნეო საჭიროების საქონლის წარმოება და გაყიდვა.

გადიდდეს ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და მოსახლეობისათვის მიყიდვა 1950 წელს შემდეგ ოდენობამდე: ალუმინის, მინანქრიანი და ფაიფურ-ქაშანურის ჭურჭლისა — 260 მილიონი ცალი, სამოვრის — 200 ათასი ცალი, ჭიქის — 160 მილიონი ცალი, ავეჯის (უცვლელ ფასებში) — 1.200 მილიონი მანეთისა, საკერავი მანქანის — 450 ათასი ცალი, სხვადასხვა საათის — 7.400 ათასი ცალი, პატეფონის — 1 მილიონი ცალი, რადიომიმღების — 925 ათასი ცალი, მოტოციკლის — 135 ათასი ცალი, ველოსიპედის — 1.050 ათასი ცალი, სანადირო თოფის — 350 ათასი ცალი და ფოტოაპარატების — 530 ათასი ცალი.

1946 წლიდან მოეწყოს ხე-ტყის მასალის, რკინის, ლურსმნის, აგურის, ფანჯრის მინის, სამღებრო საქონლისა და სხვა სამშენებლო-სარემონტო მასალის საცალო ვაჭრობა.

ქალაქებსა და სოფლებში აღდგენილ იქნას და გადიდდეს სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის, აგრეთვე სავაჭრო ბაზებისა და საწყობების ქსელი. აღდგენილ იქნას და გაფართოვდეს ქალაქებში სპეციალიზებული მაღაზიების ქსელი, ხოლო სოფლად — რაიონული უნივერმაღებისა და გლეხთა მოთხოვნილების სამეურნეო საქონლის სავაჭრო მაღაზიების ქსელი. გაფართოვდეს საჩაიეების ქსელი ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და დიდ დასახლებულ პუნქტებში.

უზრუნველყოფილ იქნას საკოლმეურნეო ვაჭრობის შემდგომი განვითარება; აღდგენილ იქნას და გაფართოვდეს საკოლმეურნეო ბაზრების ქსელი; ბაზრებში მოეწყოს გლეხთა მოთხოვნილების სამრეწველო საქონლის ფართო გაყიდვა.

IV.

მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გეგმა

დამტკიცდეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შემდეგი დავალებანი მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით იმ დავალებათა ფარგლებში, რაც მოცემულია მთლიანად საბჭოთა კავშირისათვის ამ კანონის II და III თავებში.

რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში

1. დამტკიცდეს რსფს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

თუჯი (მილიონ ტონობით)	9,5
ფოლადი (მილიონ ტონობით)	16,0
ქვანახშირი (მილიონ ტონობით)	141,9

ნავთი (მილიონ ტონობით)	14,5
ელექტროენერგია (მილიარდ კილოვატ-საათობით)	57,2
ტორფი (მილიონ ტონობით)	34,2
ლითონსაჭრელი დაზგები (ათას ცალობით)	28,5
ავტომობილები (ათას ცალობით)	457,0
ტრაქტორები (ათას ცალობით)	82,0
მეტალურგიული მოწყობილობა (ათას ტონობით)	66,7
ორთქლის ტურბინები (ათას კილოვატობით)	2.201
ორთქლის ქვაბები (ათას კვადრატულ მეტრობით)	399
ცემენტი (ათას ტონობით)	6.343
ფანჯრის მინა (მილიონ კვადრატულ მეტრობით)	48,2
მკრ.ჭის გამოზიდვა (მილიონ კუბმეტრობით)	230
ჭაღალდი (ათას ტონობით)	996,0
ბამბის ქსოვილი (მილიონ მეტრობით)	4.185,5
შალის ქსოვილი (მილიონ მეტრობით)	129,0
ტყავის ფეხსაცმელი (მილიონ წყვილობით)	156,3
მცენარეული ზეთი (ათას ტონობით)	324,4
შაქარი (ათას ტონობით)	463,0
ხორცი (ათას ტონობით)	731
ერბო-კარაქი (ათას ტონობით)	158
თევზჭერა (ათას ტონობით)	1.884,5
სპირტი (მილიონ დეკალიტრობით)	60,3
მარილი (ათას ტონობით)	2.200

2. დამტკიცდეს რსფს რესპუბლიკაში 1946-1950 წლებში კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 145 მილიარდი მანეთის რაოდენობით, აქედან რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 14.105 მილიონი მანეთის რაოდენობით, დაწესდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა რსფს რესპუბლიკის იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, 34.600 მილიონი მანეთის რაოდენობით.

3. აშენდეს და ამოქმედდეს 1946-1950 წლებში 13 ბრძმედი 3,3 მილიონი ტონა თუჯის სიმძლავრით, ფოლადსადნობი აგრეგატები 6,8 მილიონი ტონა ფოლადის სიმძლავრით, 35 საგლინავი დაზგა წელიწადში 4,6 მილიონი ტონა მზა ნაგლინის სიმძლავრით, ქვანახშირის მაღაროები 79,8 მილიონი ტონის საერთო სიმძლავრით. იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, აშენდეს და ამოქმედდეს 6 ბრძმედი 1,0 მილიონი ტონა თუჯის სიმძლავრით, ფოლადსადნობი აგრეგატები 1,4 მილიონი ტონის სიმძლავრით, 9 საგლინავი ჩარხი 0,5 მილიონი ტონის სიმძლავრით, ქვანახშირის მაღაროები 26 მილიონი ტონის სიმძლავრით.

აღდგენილ იქნას შავი და ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის ქარხნები იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, და შეიქმნას მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის ახალი ბაზები. დაიწყოს მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა ლენინგრადის რაიონში. აშენდეს და ამოქმედდეს შორეულ აღმოსავლეთში მეტალურგიულ ქარხანაში კოქსქიმიური საამქრო და ბრძმედი, აგრეთვე გაფართოვდეს არტემისა და საგლინავი საამქროები. დასავლეთ ციმბირის შავი მეტალურგიის საკუთარი მადნით უზრუნველყოფისა და სტალინის სახელობის კუზნეცკის ქარხნისათვის მაგნიტოგორსკის მადნის შეზიდვის შემცირების მიზნით, 1946-1950 წლებში აშენდეს და ამოქმედდეს მაღაროები წელიწადში 2.010 ათასი ტონა რკინის მადნის სიმძლავრით, გაფართოვდეს ტულისა და ლიპეცკის მაღაროების სიმძლავრე და ამოქმედდეს კურსკის მაგნიტური ანომალიის სამადნეები.

ურალში ენერგეტიკული სათბობის შეზიდვის შემცირების მიზნით ხუთწლედის ბოლოსთვის ქვანახშირის ამოღება გადიდდეს 5,5 მილიონი ტონით 1945 წელთან შედარებით, უზრუნველყოფილ იქნას ღია წესით ქვანახშირის ამოღების ფართოდ განვითარება, კერძოდ, დაიწყოს სვერდლოვსკის ოლქის

ვესელოვსკის ქვანახშირის საბადოსა და ბაშკირეთის ასს რესპუბლიკის კუიბურგაზის საბადოს დამუშავება. მოეწყოს კოქსვადი ქვანახშირის ძიება და ამოღება შორეულ აღმოსავლეთში.

აშენდეს კალიუმის მეორე კომბინატი ურალში; დამთავრდეს სოდის ქარხნის მშენებლობა ბაშკირეთის ასს რესპუბლიკაში და დაიწყოს სოდის ახალი ქარხნის მშენებლობა; აშენდეს აზოტის ქარხანა, ანილინის საღებავების ორი ქარხანა, ლაქსაღებავების ქარხანა და პლასტიკური მასების ქარხანა.

4. მთლიანად აღდგენილ იქნას ნავთის სარეწები მაიკოპის, გროზნოს რაიონებში და დაღისტნის ასს რესპუბლიკაში. ხუთწლედის მანძილზე 2,4-ჯერ გადიდდეს ნავთის მოპოვება ვოლგისპირეთის რაიონებში; უზრუნველყოფილ იქნას ნავთის ახალი ფართობების ათვისება თათრეთის ასს რესპუბლიკაში, სარატოვის, კუიბიშევის ოლქებში და ურალის რაიონებში. მნიშვნელოვნად გაფართოვდეს უხტისა და სახალინის ნავთის სარეწები.

ყოველმხრივ გადიდდეს ბუნებრივი გაზის მოპოვება ვოლგისპირეთის რაიონებში იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მოსკოვში გაზის გადაცემა და ვოლგისპირეთის რაიონების ენერგეტიკულ, ტექნიკურ და საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილება.

შეიქმნას აღმოსავლეთ ციმბირის, ჩრდილოეთ კავკასიისა და ლენინგრადის ოლქის რაიონებში თხევადი სათბობის მსხვილი მრეწველობა.

5. ამუშავებულ იქნას ელექტროსადგურების სიმძლავრენი 7.085 ათასი კილოვატის რაოდენობით, მათ შორის ელექტროსადგურებისა სამინისტროს ელექტროსადგურებში 4 მილიონი კილოვატი. აღდგენილ იქნას ელექტროსადგურები და ქსელები იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს.

ფართოდ გაჩაღდეს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ურალის, ცენტრისა და ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში და ამუშავებულ იქნას მსხვილ და საშუალო ჰიდროელექტროსადგურებში სიმძლავრენი 939 ათასი კილოვატის რაოდენობით, ხოლო მცირე ჰიდროელექტროსადგურებში 615 ათასი კილოვატის რაოდენობით.

დამთავრდეს რიბინსკის ჰიდროსადგურის მშენებლობა და განხორციელდეს ღონისძიებანი რიბინსკის წყალსაცავის ქვემო ბიეფზე ნორმალური ნაოსნობის პირობების შესაქმნელად. დაიწყოს ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ვოლგასა და ოკაზე.

დაჩქარდეს ჰიდროსადგურების მშენებლობა ურალზე, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურებისა, უზრუნველყოფილ იქნას ხუთი წლის განმავლობაში 345 ათასი კილოვატის ამოქმედება. აშენდეს და ამუშავდეს პირველ რიგში დიდი ჰიდროსადგური მდინარე კამაზე და რვა საშუალო ჰიდროსადგური სხვა მდინარეებზე. დაიწყოს ჰიდროსადგურის მშენებლობა მდინარე უფაზე, აგრეთვე მოეწყოს მცირე ჰიდროსადგურების მშენებლობა ურალის პატარა მდინარეებზე.

6. ყოველმხრივ განვითარდეს გეოლოგიურ-საკვლევაძიებო სამუშაოები, რომლებიც სამრეწველო მარაგით უზრუნველჰყოფენ ქვანახშირის, ნავთის, ბუნებრივი გაზების, რკინისა და ალუმინის მადნის, სპილენძის, ტყვიის, თუთიის, ნიკელის, კალის, ოქროს, მოლიბდენის, ვოლფრამის, ქარსის, აპატიტის, ასბესტის, გრაფიტის, ცემენტისა და მინის ნედლეულის მოპოვების შემდგომ განვითარებას.

მოეწყოს სამრეწველო მარაგის კვლევა-ძიება A+B კატეგორიებით: რკინის მადნისა—1.117,0 მილიონი ტონა, მარგანეცის მადნისა—4,0 მილიონი ტონა, ქვანახშირისა 488 უბანზე, რომლებიც ვარგისია შახტების ასაშენებლად, 221,0 მილიონი ტონა წლიური საპროექტო სიმძლავრით, ნავთისა — 5.805 ჭაბურღილ-წერტი, ბუნებრივი გაზებისა—60,0 მილიარდი კუბმეტრი, ბოქსიტებისა ალუმინის მრეწველობისათვის—20,0 მილიონი ტონა, აპატიტის

—140,0 მილიონი ტონა, გრაფიტისა—5,0 მილიონი ტონა, ქარსისა A+B+C₁ კატეგორიებით — 223 ათასი ტონა.

7. ამუშავდეს ბამბის ქსოვილების მრეწველობაში 1.420 ათასი სართავი თითისტარი, აქედან რსფს რესპუბლიკის იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, 335 ათასი თითისტარი. გაგრძელდეს სამუშაოები დასავლეთ ციმბირში საფეიქრო მრეწველობის ბაზის შესაქმნელად აგრეთვე შეიქმნას ახალი ბაზები აღმოსავლეთ ციმბირში.

8. უზრუნველყოფილ იქნას 1946-1950 წლების პერიოდში რესპუბლიკის ძსუბუქი და კვების მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციის, სამშენებლო მასალათა მრეწველობის და სათბობის ადგილობრივი სახეების მოპოვების აღდგენა და შემდგომი ზრდა.

რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონებში ამუშავდეს კომუნალური ელექტროსადგურები 126 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრით, ქვანახშირის მაღაროები 2,6 მილიონი ტონის სიმძლავრით, საგლინავი დაზგები 36 ათასი ტონის სიმძლავრით, სართავი თითისტარები ბამბის ქსოვილის მრეწველობაში 218 ათასი ცალი.

დამტკიცდეს 1950 წლისათვის სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში 34,1 მილიარდი მანეთის რაოდენობით, აქედან ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქცია 13,5 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

ყოველმხრივ ათვისებულ იქნას ტბათა და მდინარეთა წყალსატევები. ჩატარდეს ძვირფასი ჯიშის თევზის ფართო აკლიმატიზაცია მოსკოვის ზღვაში, რიბინსკის წყალსაცავში და მოეწყოს იქ სამრეწველო თევზჭერა. აღდგენილ იქნას და ომამდელ დონეზე მეტად გადიდდეს გუბურების თევზის მეურნეობა და წყლის ფრინველის მოშენება გუბურებში.

9. მოსკოვის შემდგომი საშეურნეო და კულტურული განვითარებისა და მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, გაგრძელდეს ქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის განხორციელების სამუშაოები. ხუთწლედში აშენდეს 3 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, აქედან 550 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი მოსკოვის საბჭოს ხაზით. ჩატარდეს არსებული საბინაო ფონდის აღდგენითი რემონტი და ამაღლდეს მისი კეთილმოწყობა.

გაგრძელდეს მოსკოვის მეტროპოლიტენის მეოთხე რიგის მშენებლობა. გაუმჯობესდეს ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტი; გადიდდეს ტრამვაის ვაგონების მოძრავი შემადგენლობა, გაფართოვდეს ტროლეიბუსების პარკი 1.060 მანქანით, ტაქსომოტორებისა 2.800 მანქანით, ხოლო ავტობუსების პარკი აყვანილ იქნას 3 ათას მანქანამდე. გაგრძელდეს საგარეუბნო სარკინიგზო მიმოსვლის ელექტროფიკაცია. ხუთწლედის მანძილზე ქალაქში აშენდეს 3 მილიონი კვადრატული მეტრი გაუმჯობესებული გზები.

დამთავრდეს 1946 წელს სარატოვ-მოსკოვის გაზსადენის მშენებლობა და ხუთწლედის მანძილზე მოხდეს 200 ათასი ბინის გაზიფიკაცია, რითაც შემცირდეს შეშის მოხმარება. გაგრძელდეს ქალაქის თბოფიკაცია, რისთვისაც აშენდეს 215 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის თბოელექტროსადგურები და ამუშავდეს 75 კილომეტრი თბოქსელი.

10. აღდგენილ იქნას ლენინგრადი, როგორც ჩვენი ქვეყნის უდიდესი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრი, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას მრეწველობის წარმოების ომამდელი დონის მიღწევა უფრო მაღალ ტექნიკურ ბაზაზე; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ლენინგრადში გემთმშენებლობისა და კვალიფიციური მანქანათმშენებლობის განვითარებას. დაიწყოს ლენინგრადში მეტროპოლიტენის მშენებლობა და ამუშავდეს პირველი რიგი.

11. დაწესდეს რსფს რესპუბლიკაში ნათესი ფართობი 1950 წლისათვის 99,4 მილიონი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 84,1 მილიონი ჰექტარი, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 68,0 მილიონი

ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 61 მილიონი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 6,2 მილიონი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 5,9 მილიონი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და კარტოფილისა 7,4 მილიონი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 3,5 მილიონი ჰექტარი; საკვები კულტურებისა 17,8 მილიონი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 13,7 მილიონი ჰექტარი.

დაწესდეს 1950 წლისათვის რსფს რესპუბლიკის იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, ნათესი ფართობი 29,5 მილიონი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 24,9 მილიონი ჰექტარი. აღდგენილ და გაფართოებულ იქნას ხარისხოვანი ვაზის გაშენება ყირიმსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. განვითარდეს ჩაის საქმე და ციტრუსოვანი კულტურები სოჭის რაიონში.

პირუტყვის სულადობა 1950 წლის დამლევისათვის განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ცხენი 7.550 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 6.187 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 35.087 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 14.840 ათასი სული; ცხვარი და თხა 58.814 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 28.060 ათასი სული; ღორი 15.197 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 6.987 ათასი სული.

დაწესდეს 1950 წლის დამლევისათვის პირუტყვის სულადობა რსფს რესპუბლიკის იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, შემდეგი რაოდენობით: ცხენი—1.348 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 1.028 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 9.158 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 4.131 ათასი სული; ცხვარი და თხა 15.080 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 8.365 ათასი სული და ღორი 5 მილიონი, აქედან კოლმეურნეობებში 1.893 ათასი სული.

12. აღდგენილ იქნას იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, რკინიგზები და რკინიგზის სადგურები, სამდინარო სისტემები, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურები. უზრუნველყოფილ იქნას პატარა მდინარეების ფართოდ გამოყენება სატრანსპორტო მიზნით და მათი ათვისება ადგილობრივი ჰიდროელექტროსადგურების ასაგებად.

13. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის რსფს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 44.595 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, აქედან ადგილობრივი საბჭოების ხაზით 4.228 ათასი კვადრატული მეტრი. დამტკიცდეს 1946-1950 წლებისათვის რსფს რესპუბლიკის იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 11.261 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, აქედან ადგილობრივი საბჭოების ხაზით 2.643 ათასი კვადრატული მეტრი.

აღდგენილ იქნას საბინაო და კომუნალური მეურნეობა ოკუპანტების მიერ დანგრეულ ქალაქებში, მათ შორის სტალინგრადში, დონის როსტოვში, კრასნოდარში, სტავროპოლში, სიმფეროპოლში, სევასტოპოლში, ვორონეჟში, ორიოლში, კურსკში, სმოლენსკში, კალინინში, ველიკიე ლუკში, ბრიანსკში, კალუგაში, ნოვგოროდსა და ფსკოვში.

14. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და განმრთელობის დაცვის დარგში. 1950 წელს აყვანილ იქნაა სკოლების რიცხვი 116.203-მდე და სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 18.229 ათასამდე, საავადმყოფოს საწოლების რიცხვი 545 ათასამდე.

15. უზრუნველყოფილ იქნას რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ნაციონალური ოკრუგების სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი ყოველმხრივი განვითარება.

16. უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მთელ მუშაობაში სათანადო ყურადღება სსრ კავშირის შემადგენლობაში შემოსუ-

ლი ახალი ოლქებისა და ტერიტორიებისადმი — კენიგსბერგის ოლქის, პენჩენგის (პეტსამოს) რაიონისა, სახალინის სამხრეთი ნაწილისა და კურილის კუნძულებისადმი.

უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

17. დამტკიცდეს უკრაინის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

თუჯი (მილიონ ტონობით)	9,7
ფოლადი (მილიონ ტონობით)	8,8
ქვანახშირი (მილიონ ტონობით)	86,1
ნავთი (ათას ტონობით)	325
ელექტროენერგია (მილიონ კილოვატსაათობით)	13.690
კოქსი (მილიონ ტონობით)	15,5
ცემენტი (ათას ტონობით)	2.065
ლითონსაჭრელი ჩარხები (ცალობით)	5.950
ავტომობილები (ათას ცალობით)	25
სამაგისტრალო ლოკომოტივები (ცალობით)	1.000
საქონლის ვაგონები (ორღერძიანი გამოთანგარიშებით— ცალობით)	55.500
ტრაქტორები (ათას ცალობით)	25
მეტალურგიული მოწყობილობა (ათას ტონობით)	35
კალცირებული სოდა (ათას ტონობით)	448
სუპერფოსფატი (ათას ტონობით)	860
მარილი (ათას ტონობით)	1.930
ფხვნილი შაქარი (ათას ტონობით)	1.637
ხორცი (ათას ტონობით)	245
ერბო-კარაქი (ათას ტონობით)	40
თევზეული (ათას ტონობით)	80

18. დამტკიცდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებისათვის უკრაინის სს რესპუბლიკაში 49.500 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 5.469 მილიონი მანეთის რაოდენობით.

19. აღდგენილ იქნას დონბასისა და დნეპრისპირეთის მეტალურგიული ქარხნები. ამოქმედდეს 9,0 მილიონი ტონა თუჯის საერთო სიმძლავრის 30 ბრძმედი, 8,4 მილიონი ტონა ფოლადის სიმძლავრის ფოლადსადნობი აგრეგატები და 6,5 მილიონი ტონა მზა ნაგლინის სიმძლავრის 58 საგლინავი დაზგა.

უკრაინის ელექტროსადგურთა საერთო სიმძლავრე 1946-1950 წლებში გადიდდეს 2.574 ათასი კილოვატით. აღდგენილ იქნას ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდროელექტროსადგური.

განხორციელდეს სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივ მომხმარებელთა საჭიროებისათვის 203 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის მცირე ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობა. ამოქმედდეს სიმძლავრეები კომუნალურ ელექტროსადგურებში 95 ათასი კილოვატის რაოდენობით.

20. უზრუნველყოფილ იქნას დონბასის ქვანახშირის მრეწველობის უსწრაფესი აღდგენა და შემდგომი განვითარება და ამოქმედდეს 1946-1950 წლების მანძილზე ქვანახშირის შახტები უკრაინის სს რესპუბლიკის სტალინოსა და ვოროშილოვგრადის ოლქებში 77,5 მილიონი ტონის საერთო სიმძლავრისა. ფართოდ გაჩაღდეს ქვანახშირის საბადოების დამუშავება უკრაინის მარჯვენა ნაპირისა და დასავლეთ ოლქებში. უკრაინის სს რესპუბლიკაში ქვანახშირის საერთო მოპოვება 1950 წელს აყვანილ იქნას 86,1 მილიონ ტონამდე. მათ შორის მურა ნახშირის მოპოვება 6 მილიონ ტონამდე.

აგებულ იქნას და ამოქმედდეს დაშავა-კიევის გაზსადენი.

21. აღდგენილ იქნას უკრაინაში მანქანათმშენებლობის ქარხნები, ნაწილობრივ ყოვლისა ქვანახშირის, მეტალურგიული და ენერგეტიკული მოწყობილობის, ორთქლმავალ და ვაგონმშენებლობის, ელექტრომანქანათმშენებლობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნები.

აშენდეს საავტომობილო ქარხანა, რომელიც წლიურად გამოუშვებს 60 ათას სატვირთო ავტომობილს, და ორი ავტოსაამწყობო ქარხანა.

22. აღდგენილ იქნას ქიმიური მრეწველობის ქარხნები უკრაინაში, მათ შორის სოდის, აზოტ-ტუკისა და სუპერფოსფატის ქარხნები, კალიუმის სამადნები სტანისლავისა და დროგობიჩის ოლქებში და აშენდეს ახალი სუპერფოსფატის ქარხანა, ლაქ-საღებავების ქარხანა და პლასტმასაების ქარხანა.

23. აღდგენილ იქნას და აშენდეს 1946-1950 წლებში შაქრის ქარხნები დღე-ღამეში 67 ათასი ტონა შაქრის ჭარხლის გადამუშავების საერთო სიმძლავრისა, სპირტის, ზეთსახდელი და კონსერვის ქარხნები. აღდგენილ იქნას და გადიდდეს კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება უკრაინის სსრ რესპუბლიკაში 1950 წელს 4,4 ძილიარდ მანეთამდე.

აღდგენილ იქნას და აშენდეს 55 ხორცკომბინატი, 33 მაცივარი, 97 მეფრინველეობის კომბინატი, 46 რძის ქარხანა და 100 მექანიზებული ერბო-კარაქ-ყველის ქარხანა.

24. გამოკვლეულ იქნას 1946-1950 წლებში რკინის მადნის სამრეწველო მარაგი კრივოი როგის საბადოებში 450 ძილიონი ტონის რაოდენობით, მარგანეცის მადნისა 75 მილიონი ტონის, კალიუმის მარილებისა 80 მილიონი ტონის, გრაფიტის 7,7 მილიონი ტონის და თაბაშირისა 7 ძილიონი ტონის რაოდენობით. მომზადდეს ახალი შახტმშენებლობისათვის 73 მილიონი ტონის სიმძლავრის 139 ქვანახშირის უბანი; ჩატარდეს საძიებო სამუშაოები უკრაინის მარჯვენა ნაპირისა და დასავლეთ ოლქებში მურა ნახშირის მაღაროების სამრეწველო უბნების მოსამზადებლად. ფართოდ გაჩაღდეს ბუნებრივი გაზის გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები დროგობიჩისა და აზოვ-შავი ზღვის რაიონებში, გადიდდეს ნავთის სამრეწველო მარაგი 325 ჭაბურღილწერტით უკრაინის დასავლეთ ოლქებში, აგრეთვე დამთავრდეს სამრეწველო ძიება რომნის რაიონში.

25. უკრაინის სსრ რესპუბლიკაში მაქნისი მერქნის შეზიდვის შესამცირებლად დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის მაქნისი მერქნის დამზადებისა და გამოზიდვის გეგმა უკრაინაში 47,6 მილიონი კუბური მეტრის რაოდენობით, უკრაინის დასავლეთ ოლქებში ხე-ტყის დამზადების გადიდებით, ამასთან შეზღუდულ იქნას ტყის გაკაფვა უკრაინის აღმოსავლეთ ოლქებში. ფართოდ გაჩაღდეს ტყის აღსადგენი სამუშაოები. ამასთან 1946-1950 წლების მანძილზე უზრუნველყოფილ იქნას ტყის რგვა 252 ათას ჰექტარ ფართობზე და სამუშაოთა ჩატარება გამეჩხერებულ ტყის ნარგავთა შესავსებად და ტყის სწრაფმზარდი ჯიშების დასანერგავად.

26. აღდგენილ იქნას და აშენდეს სამშენებლო მასალათა მრეწველობის ახალი საწარმოები, მათ შორის ცემენტის, მინის, აგურის, კირის, კრამიტის ქარხნები, ლითონკონსტრუქციათა ქარხნები, სტანდარტული სახლების, სამშენებლო დეტალების, სანიტარული ტექნიკის, რბილი სახურავის, დიდი სიმაგრის თაბაშირის ქარხნები, და უზრუნველყოფილ იქნას სამშენებლო მასალათა მრეწველობის საწარმოებისათვის მტკიცე ადგილობრივი საბობ-ენერგეტიკული ბაზის შექმნა..

27. გადიდდეს რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის როლი იმ პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოებაში, რომელიც ხმარდება რესპუბლიკის მეურნეობის საჭიროებათა უზრუნველყოფას. ფართოდ გაჩაღდეს მცირე სამრეწველო საწარმოთა მოწყობა და მშენებლობა, მათ შორის ამოქმედდეს 1946-1950 წლებში 4,6 მილიონი ტონა ქვანახშირის სიმძლავრის ქვანახშირის მცირე შახტები და შტოლნები დონბასსა და უკრაინის დასავლეთ ოლქებში, ტორფბრიკეტის ქარხნები 50 ათასი ტონა ბრიკეტის სიმძ-

ლავრისა, მინის ქარხნები 1,3 მილიონი კვადრატული მეტრი მინის სიმძლავრისა, აგურის ქარხნები 900 მილიონი ცალი აგურის სიმძლავრისა, აგრეთვე ამოქმედდეს საგლინავი დაზგები, სამშენებლო მასალათა მრეწველობის, ლითონდამამუშავებელი, ხის დამამუშავებელი მრეწველობის, მსუბუქი, საფეიქრო და კვების მრეწველობის საწარმოები.

დაწესდეს 1950 წლისათვის სამრეწველო პროდუქციის წარმოება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში 9,2 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციისა 3,1 მილიარდი მანეთის რაოდენობით. განვითარდეს ხილისა და ბოსტნეულის ხმობა. ყოველმხრივ ათვისებულ იქნას ტბა-მდინარეთა წყალსატევები და განვითარდეს კულტურული გუბური სათევზეო მეურნეობანი.

28. დაწესდეს უკრაინის სს რესპუბლიკაში ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 30,5 მილიონი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 21,3 მილიონი ჰექტარი, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 19,6 მილიონი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 14,1 მილიონი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 2,6 მილიონი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 2,2 მილიონი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაზჩეულისა და კარტოფილისა 2,8 მილიონი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 1 მილიონი ჰექტარი, და საკვები კულტურებისა 5,4 მილიონი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 4 მილიონი ჰექტარი. დაწესდეს შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობი 830 ათასი ჰექტარის და მზესუმზირასი 801 ათასი ჰექტარის რაოდენობით. აღდგენილ იქნას სვიის პლანტაციები. გადიდდეს ევროპული ჯიშების ვენახთა ფართობი.

ჩატარდეს წყალთა მეურნეობის ღონისძიებანი 40 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ამოსაშრობად და 30 ათასი ჰექტარის მოსარწყავად, ამასთან აღდგენილ იქნას და აშენდეს ყველა ნაგებობანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მათს ნორმალურ ექსპლოატაციას.

განისაზღვროს პირუტყვის სულადობა 1950 წლის დამლევისათვის შემდეგი რაოდენობით: ცხენი 2.629 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 1.363 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 12.230 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 4.700 ათასი სული; ცხვარი და თხა 6.780 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 3.100 ათასი სული; ღორი 9.600 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 3.300 ათასი სული.

29. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 29.045-მდე და სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 6,3 მილიონამდე და საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 173.100-მდე.

30. სავსებით აღდგენილ იქნას რკინიგზის ხაზები და კვანძები, ორთქლმავალ და ვაგონსარემონტო ქარხნები და დეპოები. გაძლიერდეს სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტი და მნიშვნელოვნად გადიდდეს ფლოტის ტონაჟი; აღდგენილ იქნას გემთმშენებელი მრეწველობის საწარმოები.

უზრუნველყოფილ იქნას მცირე მდინარეების ფართოდ ათვისება სატრანსპორტო მიზნებისათვის, ამასთან გამოყენებულ იქნან ისინი ადგილობრივ ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობისა და მეთევზეობის განვითარებისათვის.

აღდგენილ იქნას და გაუმჯობესდეს მოსკოვ-ხარკოვის ავტომაგისტრალი და გაყვანილ იქნას საავტომობილო გზები, რომლებიც უკრაინის სს რესპუბლიკის ქალაქებს დააკავშირებენ ჩრდილოეთ კავკასიისა და ყირიმის ქალაქებთან.

31. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის უკრაინის სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 15.920 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 1.150 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით.

განხორციელდეს სამუშაოები ოკუპანტების მიერ დანგრეული ქალაქე-

ბისა და მუშათა დაბების, პირველ რიგში კიევის, ხარკოვის, ჩერნიგოვის, ოდესის, დნეპროპეტროვსკის, სტალინოსა და ზაპოროჟიეს საბინაო და კომუნალური მეურნეობის აღსადგენად.

32. გადაიქცეს ქალაქი ლვოვი უკრაინის მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრად.

აშენდეს და ამოქმედდეს ქალაქ ლვოვში ავტოსაამწყობო ქარხანა, ელნათურის ქარხანა, ტელეგრაფისა და ტელეფონის აპარატურის ქარხანა, მინის ქარხანა, ტრიკოტაჟის ფაბრიკა, კვების მრეწველობის საწარმოები, აგრეთვე აღდგენილ იქნას და გადიდდეს ქალაქის ელექტროსადგურის სიმძლავრე.

33. უზრუნველყოფილ იქნას უკრაინის იმიერკარპატის ოლქის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის უსწრაფესი აღდგენა და განვითარება. გათვალისწინებულ იქნას პირველ რიგში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მებაღეობის, მევენახეობის, მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის, აგრეთვე ხისდამმუშავებელი, სატყეო-ქიმიური და კვების მრეწველობის აღდგენა და განვითარება. მოეწყოს მურა ნახშირის მოპოვების მრეწველობა და აშენდეს მსუბუქი მრეწველობის ახალი საწარმოები.

სახელმწიფო დახმარება გაეწიოს უკრაინის იმიერკარპატის ოლქის გლეხთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, სასუქებითა და კრედიტით.

ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

34. დამტკიცდეს ბელორუსიის სსრ რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით)	650
ტორფი (ათას ტონობით)	4.162
ლითონსაჭრელი ჩარხები (ცალობით)	4.325
ტრაქტორები (ათას ცალობით)	5
ცემენტი (ათას ტონობით)	320
ფანჯრის მინა (ათას კვადრატულ მეტრობით)	5.000
მერქნის გამოზიდვა (ათას კუბურ მეტრობით)	11.100
დახერხილი მასალა (ათას კუბურ მეტრობით)	1.800
ასანთი (მილიონ კოლოფობით)	1.550
სპირტი (ათას დეკალიტრობით)	7.600
ხორცი (ათას ტონობით)	46
ერბო-კარაქი (ათას ტონობით)	10
თევზჭერა (ათას ტონობით)	5,2

35. დამტკიცდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებისათვის ბელორუსიის სსრ რესპუბლიკაში 6.950 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 2.422 მილიონი მანეთის რაოდენობით.

36. ამოქმედდეს ტორფსაწარმოები წლიურად 1,6 მილიონი ტონა ტორფის მოპოვების საერთო სიმძლავრისა. აშენდეს ტორფბრიკეტის ქარხნები წლიურად 130 ათასი ტონის სიმძლავრისა.

აღდგენილ იქნას და ამოქმედდეს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა, დაზგათმშენებელი ქარხნები 4.500 დაზგის საერთო სიმძლავრისა, ცემენტის ქარხნები 180 ათასი ტონის სიმძლავრისა, გომელის მინის ქარხანა, ხის დამმუშავებელი კომბინატები, ფანერისა და ასანთის ქარხნები; დამთავრდეს 600 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის საერთო სიმძლავრის სამი სახლმშენებელი კომბინატის მშენებლობა.

მოეწყოს სატრაქტორო და ველოსიპედის ქარხნები და დამთავრდეს საავტომობილო ქარხნის მშენებლობა.

აღდგენილ იქნას და ამოქმედდეს 243 ათასი კილოვატის სიმძლავრის ელექტროსადგურები; აშენდეს 16 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის მცირე ჰიდროელექტროსადგურები; აღდგენილ იქნას კომუნალური ელექტ-

როსადგურები გომელში, მოზირში, გროდნოსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

37. რესპუბლიკური მეურნეობის განვითარების მიზნით ამოქმედდეს 47 ათასი კილოვატის სიმძლავრის რესპუბლიკური დაქვემდებარების ელექტროსადგურები, მათ შორის 10 ათასი კილოვატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები, 10 ათასი ტონის სიმძლავრის ადგილობრივი მნიშვნელობის საგლინავი დაზგები, 10 ათასი ტონა თუჯის მილის სიმძლავრის მილსამსხმელო ქარხანა, 165 ათასი ტონის სიმძლავრის ცემენტის ქარხანა, 1.250 მილიონი აგურის საერთო სიმძლავრის აგურის ქარხნები.

ამოქმედდეს რესპუბლიკურ მეურნეობაში ოთხი დაზგათმშენებელი ქარხანა 1.150 დაზგის სიმძლავრისა, რადიოქარხანა, საინსტრუმენტო ქარხანა, ჰიდროტურბინების ქარხანა, ორი ქარხანა ტორფის მოწყობილობის გამოსაშვებად, ელექტრომოტორების ქარხანა და ოთხი ფეხსაცმლის ფაბრიკა.

აღდგენილ იქნას და აშენდეს 17 ხორცკომბინატი, 10 მეფრინველეობის კომბინატი, 11 საქალაქო სარძეო ქარხანა, 2 რძის კონსერვის ქარხანა და 150 ერბო-კარაქ-ყველის ქარხანა.

დაწესდეს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში 1950 წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოება 2,2 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციისა 850 მილიონი მანეთის რაოდენობით.

1948 წლისათვის ომამდელ ოდენობამდე აღდგენილ იქნას გუბური საშეთევზეო მეურნეობა. ათვისებულ იქნას რესპუბლიკის დასავლეთი ოლქების ტბა-მდინარეთა მეურნეობა.

38. დაწესდეს ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 5,3 მილიონი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 2,85 მილიონი ჰექტარი, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 3,2 მილიონი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 1,8 მილიონი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 344 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 210 ათასი ჰექტარი, ბოსტნეულბაღჩეულისა და კარტოფილისა 1.060 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 389 ათასი ჰექტარი; საკვები კულტურებისა 690 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 435 ათასი ჰექტარი.

ჩატარდეს ღონისძიებანი 270 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ამოსაშრობად, ამასთან აღდგენილ იქნას დასაშრობი ქსელი, წყალსაშვები მოწყობილობა და სხვა ნაგებობანი.

განისაზღვროს პირუტყვის სულადობა 1950 წლის დამლევისათვის შემდეგი რაოდენობით: ცხენი 770 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 330 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 2.860 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 852 ათასი სული; ცხვარი და თხა 2.900 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 600 ათასი სული; ღორი 2.600 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 300 ათასი სული.

39. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 11.375-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 1.500 ათასამდე, საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 30.000-მდე.

40. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის ბელორუსიის სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 2.700 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 650 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით. ჩატარდეს ოკუპანტების მიერ დანგრეული ქალაქების, პირველ რიგში ქალაქ მინსკის საბინაო და კომუნალური მეურნეობის აღდგენის სამუშაოები.

უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

41. დამტკიცდეს უზბეკეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

ფოლადი (ათას ტონობით)	86
ქვანახშირი (ათას ტონობით)	1.130
ნავთი (ათას ტონობით)	1.066
ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით)	2.135
სუპერფოსფატი (ათას ტონობით)	300
ცემენტი (ათას ტონობით)	270
ბამბის ქსოვილი (ათას მეტრობით)	160.900
აბრეშუმის ქსოვილი (ათას მეტრობით)	14.000
ფეხსაცმელი (ათას წყვილობით)	6.150
მცენარეული ზეთი (ათას ტონობით)	173
ფხვნილი შაქარი (ათას ტონობით)	55
გაუწმენდელი სპირტი (ათას დეკალიტრობით)	1.300
ხორცი (ათას ტონობით)	20
ერბო-კარაქი (ტონობით)	1.900
თევზჭერა (ათას ტონობით)	22,5

42. დამტკიცდეს კაპიტალური სამუშაოთა მოცულობა უზბეკეთის სს რესპუბლიკაში 1946-1950 წლებისათვის 3.900 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 1.266 მილიონი მანეთის რაოდენობით.

43. აშენდეს და ამოქმედდეს 303 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის ელექტროსადგურები, მათ შორის ჰიდროელექტროსადგურები 266 ათასი კილოვატის სიმძლავრისა. დამთავრდეს შავი მეტალურგიის საფოლადე თუჯის ქარხნის მშენებლობა, აშენდეს ხელოვნური ბოჭკოს ფაბრიკა; აშენდეს და ამოქმედდეს 2 სუპერფოსფატის ქარხანა. დაიდგას და ამოქმედდეს ფერგანის ბამბეულის ფაბრიკაში 28 ათასი სართავი თითისტარი და ტაშკენტის ბამბეულის კომბინატში 60 ათასი თითისტარი. გაფართოვდეს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნების სიმძლავრე, ათვისებულ იქნას საფეიქრო მანქანების წარმოება, გაღიდდეს საშუალო და მცირე ჰიდროტურბინების და ქიმიური მოწყობილობის გამოშვება. დაიწყოს ახალი აზოტტუკის ქარხნის, სპილენძის კომბინატისა და თუთიის ქარხნის მშენებლობა. დაჩქარდეს შახტმშენებლობა ანგრენის ქვანახშირის საბადოში.

გადიდდეს ნავთის სამრეწველო მარაგი 665 ჰაბურღილ-წერტით, ვოლფრამის სამქვეჟანგის, თვითნაბადი გოგირდის სამრეწველო მარაგი, აგრეთვე ასათვისებლად მომზადდეს ალმალიკის სპილენძის მადნის საბადო.

44. რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში ამოქმედდეს 10,9 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის კომუნალური ელექტროსადგურები და 350 ათასი ტონა სიმძლავრის ქვანახშირის შახტები.

დაწესდეს 1950 წლისათვის სამრეწველო პროდუქციის წარმოება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში 2,8 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციისა 550 მილიონი მანეთის რაოდენობით. მნიშვნელოვნად გადიდდეს ხმელი ხილის გამოშვება.

45. დაწესდეს ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 3.313 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 2.985 ათასი ჰექტარი, მათ შორის: მარცვლეული კულტურებისა 1.371 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 1.225 ათასი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 1.131 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 1.087 ათასი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და კარტოფილისა 112 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 73 ათასი ჰექტარი; საკვები კულტურებისა 685 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 600 ათასი ჰექტარი.

უზრუნველყოფილ იქნას მებაღეობის, მევენახეობისა და მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარება.

გადიდდეს ბამბის მოსავლიანობა და ნათესი ფართობები 955 ათას ჰექტარამდე. უზრუნველყოფილ იქნას 460 ათასი ჰექტარი მიტოვებული და გამოუყენებელი სარწყავი მიწების სასოფლო-სამეურნეო გამოყენება, მათ შორის 320 ათასი ჰექტარისა ბამბის და ორნჯის დასათესად. გამოყენებულ იქნას სოფლის მეურნეობისათვის საირიგაციო მშენებლობის საშუალებით 173 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები და ჩატარდეს ღონისძიებანი არსებული სარწყავი ფართობების წყლით უზრუნველყოფისა და მელიორატიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

განისაზღვროს პირუტყვის სულადობა 1950 წლის დამლევისათვის შემდეგი რაოდენობით: ცხენი 498 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 458 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 1.765 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 670 ათასი სული; ცხვარი და თხა 9.650 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 7.500 ათასი სული.

46. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის უზბეკეთის სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 900.000 კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 60 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით. ამუშავდეს ტროლეიბუსი ტაშკენტში, გაფართოვდეს ტაშკენტისა და ტერმეზის წყალსადენთა სიმძლავრე.

47. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 4.740-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 1.085 ათასამდე და საბავშვო დაწესებულებათა რიცხვი 29.600-მდე.

ყაზახეთის სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ ყაზახეთის სსრ რესპუბლიკაში

48. დამტკიცდეს ყაზახეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

ფოლადი (ათას ტონობით)	72
ქვანახშირი (მილიონ ტონობით)	16,4
ნავთი (ათას ტონობით)	1.200
ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით)	1.810
სუპერფოსფატი (ათას ტონობით)	280
ბამბის ჭსოვილი (ათას მეტრობით)	19.100
შალის ჭსოვილი (ათას მეტრობით)	2.880
ფეხსაცმელი (ათას წყვილობით)	6.800
წინდის ნაკეთობანი (ათას წყვილობით)	14.400
თევზჭერა (ათას ტონობით)	97,5
მცენარეული ზეთი (ათას ტონობით)	21,5
ხორცი (ათას ტონობით)	100
ერბო-კარაქი (ათას ტონობით)	19
ფხვნილი შაქარი (ათას ტონობით)	71

49. დამტკიცდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა ყაზახეთის სს რესპუბლიკაში 1946-1950 წლებისათვის 8.800 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 737 მილიონი მანეთის რაოდენობით.

50. ამოქმედდეს ყარაგანდის ქვანახშირის აუზში 6,5 მილიონი ტონის სიმძლავრის 17 შახტი, აქტიუბინსკის საბადოში 270 ათასი ტონის სიმძლავრის 4 შახტი და 0,6 მილიონი ტონის სიმძლავრის ქვანახშირის ჭრილი ეკიბას-

ტუზის საბადოში. უზრუნველყოფილ იქნას ელექტროსადგურების სიმძლავრეთა გადიდება 398 ათასი კილოვატით, მათ შორის ჰიდროელექტროსადგურებში 104 ათასი კილოვატით. ამოქმედდეს რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 400 ათასი ტონის სიმძლავრის ქვანახშირის შახტები.

დაძთავრდეს ყაზახეთის საფოლადე თუჯის ქარხნის მშენებლობა. დაიწყოს მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა.

სპილენძის წარმოება 1950 წელს 2,6-ჯერ გადიდდეს 1940 წელთან შედარებით, ტყვიისა 1,3-ჯერ; ახლად შეიქმნას თუთიისა და ელექტროლიზური სპილენძის წარმოება. მნიშვნელოვნად გადიდდეს სპილენძის მადნის მოპოვება ჯეზკაზგანის საბადოში, განმტკიცდეს ჩიმკენტის ტყვიის ქარხნის ნედლეულის ბაზა.

აშენდეს და ამოქმედდეს ცემენტის ქარხნები 530 ათასი ტონა ცემენტის საერთო სიმძლავრისა, ყარა-ტაუს სამთამადნო კომბინატი, გაფართოვდეს მოქმედი და აშენდეს ახალი სუპერფოსფატის ქარხნები.

მოეწყოს რესპუბლიკაში სეპარატორებისა და რძის ტარის წარმოება. უზრუნველყოფილ იქნას საკოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის, ტყავეულის ქარხნის სრული სიმძლავრით ამოქმედება სემიპალატინსკში და სართავი ფაბრიკისა ალმა-ატაში. აშენდეს და ამოქმედდეს 8 ხორცკომბინატი და მაცივარი, 200 ერბო-კარაქის ქარხანა და 2 რძის კონსერვის ქარხანა.

დაწესდეს სამრეწველო პროდუქციის წარმოება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში 1950 წელს 1,3 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციისა 370 მილიონი მანეთის რაოდენობით.

51. მომზადდეს 1946-1950 წლებში რკინის მადნის სამრეწველო მარაგი 100 მილიონი ტონა ატასუის და კარკარალის საბადოთა ჯგუფში, სპილენძისა ჯეზკაზგანის, ირტიშის და ბოშჩეკულის საბადოებში 813 ათასი ტონა, ტყვიის, მოლიბდენის, ვოლფრამის სამქვეანგის, ბარიტის, ფოსფორიტის სამრეწველო მარაგი ყარატაუს საბადოში, ბორატისა და თაბაშირისა. მომზადდეს შახტმშენებლობისათვის 35 მილიონი ტონა სიმძლავრის 59 უბანი, მათ შორის ყარაგანდის ქვანახშირის აუზის კოქსვადი ნახშირისათვის 23,9 მილიონი ტონა სიმძლავრისა. გადიდდეს ნავთის სამრეწველო მარაგი 1.080 ჰაბურღილ-წერტით. მომზადდეს ახალი სანედლეულო ბაზა სოდის მრეწველობისათვის.

52. დამტკიცდეს ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 7.286 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 6.002 ათასი ჰექტარი, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 5.336 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 4.681 ათასი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 340 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 316 ათასი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და კარტოფილისა 280 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 105 ათასი ჰექტარი; საკვები კულტურებისა 1.330 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 900 ათასი ჰექტარი. დაწესდეს ბამბის ნათესი ფართობი 85,4 ათასი ჰექტარის რაოდენობით. გადიდდეს ხარისხოვანი თამბაქოს რგვა.

პირუტყვის სულადობა 1950 წლის დამლევისათვის განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ცხენი 1.516 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 1.191 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 4.400 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 2.300 ათასი სული; ცხვარი და თხა 19.050 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 15.000 ათასი სული; ღორი 392 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 202 ათასი სული.

53. უზრუნველყოფილ იქნას წყალთა მეურნეობის შემდგომი განვითარება და საირიგაციო სისტემათა გაფართოება სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში და გასარეკი მეცხოველეობის რაიონების ნორმალური წყალშომარაგება.

ყარაგანდისა და ჯეზკაზგანის სამრეწველო რაიონების მრეწველობისა

და დასახლებული პუნქტების წყლით უზრუნველსაყოფად გადიდდეს სამარყანდის წყალსაცავის მარგი მოცულობა მდინარე ნურაზე და აშენდეს ჯეზკაზგანის წყალსაცავი მდინარე კენგირზე.

დაიწყოს ყზილ-ორდის საგუბრისა და მარცხენა ნაპირის არხის მშენებლობა. ჩატარდეს სარწყავ სისტემათა გადაკეთება 200 ათას ჰექტარ ფართობზე და უზრუნველყოფილ იქნას სარწყავი წყლის უფრო ეკონომიური ხარჯვა.

გაჩაღდეს მცირე საირიგაციო სისტემათა მასობრივი მშენებლობა რესპუბლიკის ჩრდილოეთი და ველიანი რაიონების კოლმეურნეობებში სადაზღვევო სარწყავი ნაკვეთების შესაქმნელად, აგრეთვე მცირე წყალსაცავთა მშენებლობა გვალვიანი რაიონების მოსარწყავად.

54. უზრუნველყოფილ იქნას რკინიგზის ტრანსპორტის მნიშვნელოვანი განვითარება; 5 წლის მანძილზე ამოქმედდეს 955 კილომეტრი ახალი სარკინიგზო ხაზები და 807 კილომეტრი მეორე ლიანდაგები.

55. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის ყაზახეთის სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 2.170 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 45 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით.

56. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 7.985-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 1.130 ათასამდე და საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 34 ათასამდე.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

57. დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

თუჯი (ათას ტონობით)	330
ფოლადი (ათას ტონობით)	185
ქვანახშირი (ათას ტონობით)	2.400
ნავთი (ათას ტონობით)	110
ელექტროენერგია (მილიონ კილოვატობით)	1.300
მარგანეცის მადანი (ათას ტონობით)	2.040
კოქსი (ათას ტონობით)	450
ავტომობილები (ათას ცალობით)	15
ლითონსაჭრელი ჩარხები (ცალობით)	1.700
ცემენტი (ათას ტონობით)	115
შალის ქსოვილი (ათას მეტრობით)	3.795
აბრეშუმის ქსოვილი (ათას მეტრობით)	6.830
ფეხსაცმელი (ათას წყვილობით)	9.500
მცენარეული ზეთი (ტონობით)	3.500
ყურძნის ღვინო (ათას დეკალიტრობით)	1.550
ჩაი — პირველადი დამუშავება (ტონობით)	17.900
ფხვნილი შაქარი (ათას ტონობით)	13,5
ხორცი (ათას ტონობით)	14
ერბო-კარაქი (ტონობით)	1.000
თევზჭერა (ტონობით)	5.500

58. დამტკიცდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1946-1950 წლებისათვის 4.120 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 591 მილიონი მანეთის რაოდენობით.

59. აშენდეს აზიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა. აშენდეს და ამოქმედდეს 3,2 მილიონი ტონის საერთო სიმძლავრის ქვანახშირის შახტები.

მომზადდეს 1946-1950 წლებში ჰიათურის საბადოს მარგანეცის მადნის სამრეწველო მარაგი 30 მილიონი ტონის რაოდენობით. მომზადდეს ახალი შახტმშენებლობისათვის 6,8 მილიონი ტონის სიმძლავრის 22 ქვანახშირის უბანი და გადიდდეს ნავთიყ სამრეწველო მარაგი 340 ჰაბურღილ-წერტილით.

აშენდეს და ამოქმედდეს ოთხი ჰიდროელექტროსადგური 169 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრისა და განხორციელდეს 21,5 ათასი კილოვატის სიმძლავრის მცირე ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობა.

აშენდეს ახალი ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა და საავტომობილო ქარხანა.

60. მოეწყოს რესპუბლიკურ მრეწველობაში მცირე ჰიდროტურბინებისა და ჩაის და მეღვინეობის მრეწველობის მოწყობილობის წარმოება; აშენდეს საწონ-საზომი მოწყობილობის და სიმხურვალის გამძლე ჭურჭლის ქარხანა; გაფართოვდეს ჩაის გადამმუშავებელ და მეღვინეობის საწარმოთა ქსელი.

დაწესდეს სამრეწველო პროდუქციის წარმოება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში 1950 წელს 1,1 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციისა 265 მილიონი მანეთის რაოდენობით. გადიდდეს აბრეშუმის ქსოვილის წარმოება.

61. დაწესდეს ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 937 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 800 ათასი ჰექტარი, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 746 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 629 ათასი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 48 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 46 ათასი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და კარტოფილისა 44 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 30 ათასი ჰექტარი; საკვები კულტურებისა 99 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 95 ათასი ჰექტარი.

გადიდდეს ჩაის პლანტაციების ფართობი 57,5 ათას ჰექტარამდე, ამასთან საესებით უზრუნველყოფილ იქნან პლანტაციები მინერალური სასუქით. გადიდდეს ციტრუსოვან და სხვა სუბტროპიკულ კულტურათა ფართობები. 1946-1950 წლებში გაშენდეს ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციები 11 ათასი ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის ფორთოხალი 3 ათასი ჰექტარი, ლიმონი 3 ათასი ჰექტარი. მნიშვნელოვნად განვითარდეს მეხილეობა და მევენახეობა; გადიდდეს ეთერზეთოვანი კულტურების ფართობები; უზრუნველყოფილ იქნას მეაბრეშუმეობის შემდგომი ზრდა. განვითარდეს მეთამბაქოობა საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში.

განახლდეს კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაოები და საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნას 20 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწები. გაფართოვდეს სარწყავი არხების ქსელი და დამთავრდეს აჯამეთის, დოღლაურის ველის, კეხვისა და დოეს-გრაკლის არხების მშენებლობა. გაჩაღდეს სამგორის სარწყავი სისტემისა და ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობის სამუშაოები.

პირუტყვის სულადობა 1950 წლის დამლევისათვის განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ცხენი 120 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 47 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 1.744 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 730 ათასი სული; ცხვარი და თხა 2.900 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 1.800 ათასი სული; ღორი 711 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 91 ათასი სული.

62. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემია გეგმა 732 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 35 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით. აშენდეს და გაფართოვდეს წყალსადენი თბილისში, ჭუთაისსა და ბათუმში. დამთავრდეს ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობა.

63. 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 4.333-მდე, სკოლებში

მოსწავლეთა რიცხვი 642 ათასამდე და ქალაქებსა და სოფელ ადგილებში საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 17.900-მდე. აღდგენილ იქნას საქართველოს სს რესპუბლიკის საკურორტო მეურნეობა.

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

64. დამტკიცდეს აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

ფოლადი (ათას ტონობით)	178
ნავთი (ათას ტონობით)	17.000
ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით)	2.590
ელექტროძრავები ას კილოვატზე მეტი სიმძლავრისა (ცალობით)	800
ცემენტი (ათას ტონობით)	365
ბამბის ქსოვილი (ათას მეტრობით)	57.250
შალის ქსოვილი (ათას მეტრობით)	1.155
აბრეშუმის ქსოვილი (ათას მეტრობით)	2.345
წინდის ნაკეთობანი (ათას წყვილობით)	26.250
ფეხსაცმელი (ათას წყვილობით)	5.150
მცენარეული ზეთი (ათას ტონობით)	11
მარილი (ათას ტონობით)	132
ყურძნის ღვინო (ათას დეკალიტრობით)	1.400
ხორცი (ათას ტონობით)	16
ერბო-კარაქი (ტონობით)	1.500
თევზეული (ათას ტონობით)	23,9

65. დამტკიცდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში 1946-1950 წლებისათვის 5.900 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 579 მილიონი მანეთის რაოდენობით.

66. ფართოდ გაჩაღდეს საექსპლოატაციო და საძიებო ბურღვა რესპუბლიკის ნავთის რაიონებში. მომზადდეს 1946-1950 წლებში ნავთის სამრეწველო მარაგი 2.660 ჰაბურღილ-წერტილისათვის და ჩატარდეს ნავთის ახალი მაღალდებიტიანი ჰორიზონტების ძიება ბაქოს, კიროვაბადის და მტკვრისპირა რაიონებში. აშენდეს მილსაგლინავი ქარხანა და დამთავრდეს ნავთის მანქანათმშენებლობის ქარხნების რეკონსტრუქცია.

ამოქმედდეს დაშქესანის რკინის მადნის საბადოს სამადნეები და ზაგლიკის ალუნიტთა საბადოს სამადნეები.

67. გაფართოვდეს თბოელექტროსადგურთა სიმძლავრეები ბაქოს რაიონში 195 ათასი კილოვატით. ბაქოს ნავთის მრეწველობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის, ამიერკავკასიაში მარცვლეულის ბაზის შესაქმნელად და მებამბეობის განსავითარებლად სარწყავი ფართობების გადიდების მიზნით გაჩაღდეს მინგეჩაურის ჰიდროკვანძის მშენებლობა და 1950 წელს ამოქმედდეს პირველი რიგი.

68. რესპუბლიკური მეურნეობის ხაზით აშენდეს და ამოქმედდეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ქარხანა, ავტოსარემონტო ქარხანა, ქაშანურის ჭურჭლის, მინის ნაწარმის ქარხნები, აგურ-კრამიტის ქარხნები, თაბაშირის და თაბაშირის სამშენებლო დეტალებისა და სამშენებლო ქაშანურის ქარხანა.

დაწესდეს სამრეწველო პროდუქციის წარმოება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში 1950 წელს 1,1 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციისა 255 მილიონი მანეთის რაოდენობით.

69. დაწესდეს ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 1.216 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 1.152 ათასი ჰექტარი, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 825 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 790 ათასი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 184 ათასი ჰექტა-

რი, მათ შორის ბამბისა 155 ათასი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და კარტოფილისა 54 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 45 ათასი ჰექტარი და საკვები კულტურებისა 153 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 140 ათასი ჰექტარი.

გაჩაღდეს მუღანის, შირვანისა და მილ-ყარაბაღის ველების მორწყვის და სასოფლო-სამეურნეო ათვისების სამუშაოები და 1946-1950 წლებში ათვისებულ იქნას 112 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი მიწები.

გაფართოვდეს ბოსტნეულისა და კარტოფილის ნათესები და მრავალწლიანი ნარგავები ბაქოს საგარეუბნო ზოხის რაიონებში. უზრუნველყოფილ იქნას სტალინის სახელობის სამურ-დივიჩის არხის ზონაში ახალი სარწყავი მიწების მატება: გადიდდეს ხეხილის ბაღებისა და ვენახების, აგრეთვე სუბტროპიკული კულტურების ფართობები ლენქორანის რაიონში. განვითარდეს მეაბრეშუმეობა. გადიდდეს ჩაისა და თამბაქოს ფართობები და მოსავალი.

1950 წლის დამლევისათვის პირუტყვის სულადობა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ცხენი 131 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 95 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 1.370 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 710 ათასი სული; ცხვარი და თხა 4.140 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 2.650 ათასი სული და ღორი 88 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 38 ათასი სული.

70. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 610 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის აღგილობრივი საბჭოების ხაზით 26 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით. დამთავრდეს ბაქოს მეორე წყალსადენისა და კიროვაბადის წყალსადენის მშენებლობა.

71. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 3.359-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 569 ათასამდე და ქალაქებისა და სოფელ ადგილების საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 16.600-მდე.

ლიტვის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

72. დამტკიცდეს ლიტვის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით)	190
ტორფი (ათას ტონობით)	822
ფანჯრის მინა (ათას კვადრატულ მეტრობით)	700
მერქნის გამოზიდვა (ათას კუბმეტრობით)	3.000
ქაღალდი (ათას ტონობით)	17
ერბო-კარაქი (ათას ტონობით)	12
ხორცი (ათას ტონობით)	28
ფხვნილი შაქარი (ათას ტონობით)	25
სპირტი (ათას დეკალიტრობით)	500
თევზეფერა (ათას ტონობით)	15

73. დამტკიცდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა ლიტვის სს რესპუბლიკაში 1946-1950 წლებისათვის 1.535 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 660 მილიონი მანეთის რაოდენობით.

74. აღდგენილ იქნას და მოეწყოს ახალი ტორფსაწარმოები; უზრუნველყოფილ იქნას ტორფის მოპოვების მექანიზაცია. 1946-1950 წლებში აღდგენილ და ამუშავებულ იქნას 83 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ელექტროსადგურები. აღდგენილ იქნას და ამუშავდეს ლითონის ნაწარმის ქარხანა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხანა, ცემენტის ქარხანა, შალეული ქსოვილის ფაბრიკები, სართავი კომბინატი, ტყავეულის ქარხანა,

ტორცკომბინატები და მაცივრები და 1946-1947 წლებში მთლიანად აღდგენილ იქნას ერბო-კარაქისა და ყველის ქარხნები.

რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს გათვალისწინებულ იქნას 600 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქცია 125 მილიონი მანეთის რაოდენობით.

75. დაწესდეს ნათესი ფართობები ლიტვის სს რესპუბლიკაში 1950 წლისათვის 2,5 მილიონი ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის: მარცვლეული კულტურებისა 1,6 მილიონი ჰექტარი, ტექნიკური კულტურებისა 122 ათასი ჰექტარი, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილისა 234 ათასი ჰექტარი და საკვები კულტურებისა 550 ათასი ჰექტარი.

1950 წლისათვის პირუტყვის სულადობა განსაზღვრულ იქნას შემდეგი რაოდენობით: ცხენი 490 ათასი სული, მსხვილფეხა რქიანი საქონელი 1.055 ათასი სული, ცხვარი და თხა 630 ათასი სული, ღორი 1.100 ათასი სული.

76. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 3.369-მდე, მათში მოსწავლეთა რიცხვი 390 ათასამდე და საავადმყოფოს საწოლთა რაოდენობა 9 ათასამდე.

77. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა ლიტვის სსრ ქალაქებში 697 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ზაზით 300 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით. განხორციელებულ იქნას სამუშაოები ოკუპანტებისაგან დანგრეული ქალაქების: ვილნიუსის, კაუნასის, კლაიპედის, შაულიაის, პანევეჟისის საბინაო და კომუნალური მეურნეობის აღსადგენად.

მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

78. დამტკიცდეს მოლდავეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით)	60
მერქნის გამოზიდვა (ათას კუბმეტრობით)	70
ფეხსაცმელი (ათას წყვილობით)	1.450
წინდის ნაკეთობანი (ათას წყვილობით)	7.830
ყურძნის ღვინო (მილიონ დეკალიტრობით)	3
კონსერვები (მილიონ პირობითი ქილობით)	65
მცენარეული ზეთი (ათას ტონობით)	25
ერბო-კარაქი (ტონობით)	1.100
ხორცი (ათას ტონობით)	10,5
ფხვნილი შაქარი (ათას ტონობით)	14
თევზეული (ტონობით)	1.500

79. დამტკიცდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა მოლდავეთის სს რესპუბლიკაში 1946-1950 წლებისათვის 1.245 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 473 მილიონი მანეთის რაოდენობით.

80. მოეწყოს ქვანახშირის, ნავთისა და ადგილობრივი სამშენებლო მასალების საკვლევი და საძიებო სამუშაოები. 1946-1950 წლებში გამოკვლეულ იქნას თაბაშირის სამრეწველო მარაგი 1,5 მილიონი ტონის რაოდენობით.

აღდგენილ იქნას 4 ათასი კილოვატის სიმძლავრის თბოელსადგური და აგებულ იქნას 6 ათასი კილოვატის სიმძლავრის ახალი ელექტროსადგური. აშენდეს 4 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის მცირე ჰიდროელსადგურები. აღუშავებულ იქნას ცემენტის ქარხანა 100 ათასი ტონა ცემენტის გამოსამუშავებლად, აგურის ქარხნები 18,2 მილიონი ცალი აგურის და-

სამზადებლად, თაბაშირის ქარხანა 10 ათასი ტონა თაბაშირის დასამზადებლად და მექანიკური ქარხნები.

81. აღდგენილ და გაფართოებულ იქნას საკონსერვო მრეწველობა და ხმელი ხილის წარმოება; მთლიანად აღდგენილ იქნას რიბნიცის შაქრის ქარხანა, აღდგენილ იქნას 26 და ახლად აგებულ იქნას 4 ღვინის ქარხანა წლიურად 4 მილიონი დეკალიტრი ღვინის საერთო გამომუშავებით. მოეწყოს ღვინოების სამრეწველო დამუშავების საკუთარი ბაზა, რისთვისაც აშენდეს შამპანური ღვინოების ქარხანა, კონიაკის ქარხანა და სუფრის ღვინოების ქარხანა. აშენდეს ქარხანა მინის ტარის დასამზადებლად და აღდგენილ იქნას ხის ტარის ქარხანა ტირასპოლში.

დაწესდეს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს 400 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქცია 1950 წლისათვის 113 მილიონი მანეთის რაოდენობით.

82. მოყვანილ იქნას სანაოსნო მდგომარეობაში მდინარე დნესტრი და აგებულ იქნას გემთსაშენი ვერფები ადგილობრივი თვითმავალი და არათვითმავალი ფლოტის ასაგებად.

83. დაწესდეს მოლდავეთის სს რესპუბლიკაში 1950 წლისათვის ნათესი ფართობები 2.020 ათასი ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 1.535 ათასი ჰექტარი, ტექნიკური კულტურებისა 273 ათასი ჰექტარი, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილისა 82 ათასი ჰექტარი, საკვები კულტურებისა 130 ათასი ჰექტარი.

განსაზღვრულ იქნას პირუტყვის სულადობა 1950 წლის ბოლოსათვის შემდეგი რაოდენობით: ცხენი 230 ათასი სული, მსხვილფეხა რქიანი საქონელი 700 ათასი სული, ცხვარი და თხა 1.600 ათასი სული, ღორი 380 ათასი სული.

აღდგენილ იქნას ხეხილ-კენკრის ნარგავები და ვენახები, მოეწყოს ხეხილისა და ვენახის სანერგეთა ქსელი. აღდგენილ იქნას კარაგაშის საირიგაციო სისტემა.

84. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი გადიდებულ იქნას 1.920-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 422 ათასამდე, საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 9.600-მდე.

85. ჩატარდეს სამუშაოები ოკუპანტების მიერ დანგრეული ქალაქების, პირველ რიგში კიშინიოვის, ტირასპოლის საბინაო და კომუნალური მეურნეობის აღსადგენად. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის მოლდავეთის სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 498 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 175 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით.

ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

86. დამტკიცდეს ლატვიის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით)	275
ტორფი (ათას ტონობით)	564
ქაღალდი (ათას ტონობით)	34
მერქნის გამოზიდვა (ათას კუბმეტრობით)	4.500
ფანერის მინა (ათას კვ. მეტრობით)	900
ცემენტი (ათას ტონობით)	270
ბამბის ქსოვილი (მილიონ მეტრობით)	25
ფეხსაცმელი (ათას წყვილობით)	1.660
ერბო-კარაქი (ათას ტონობით)	18
ხორცი (ათას ტონობით)	28
ფხვნილი შაქარი (ათას ტონობით)	34

სპირტი (ათას დეკალიტრობით)	1.700
თევზჭერა (ტონობით)	20.000

87. დამტკიცდეს ლატვიის სს რესპუბლიკაში კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებისათვის 2.050 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 668 მილიონი მანეთის რაოდენობით.

88. აღდგენილ იქნას და მოეწყოს ახალი ტორფსაწარმოები და აშენდეს ტორფბრიკეტის ქარხნები წლიურად 70 ათასი ტონა ბრიკეტის საერთო სიმძლავრისა.

აღდგენილ და ამუშავებულ იქნას 82 ათასი კილოვატის სიმძლავრის ელექტროსადგურები.

89. აღდგენილ და ამუშავებულ იქნას ვაგონთმშენებელი და გემთმშენებელი ქარხნები, ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა, ქარხანა „კრასნი მეტალურგი", ცემენტის ქარხნები, სელსართავი ფაბრიკა, სუპერფოსფატის ქარხანა, ხორცკომბინატები, მაცივრები, რძის, ერბო-კარაქისა და ყველის ქარხნები.

დაწესდეს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს 870 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და არეწაო კოოპერაციის პროდუქცია 272 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ფართოდ განვითარდეს ქარსალისა და ჰიჰყინას კონსერვის დამზადება და 1948 წელს მისი გამომუშავება აყვანილ იქნას ომამდელ დონემდე. მოეწყოს აქტიური სარეწი ბალტიის ზღვაში ქაშაყისა და ვირთევზას საჭერად.

90. დაწესდეს ლატვიის სს რესპუბლიკაში ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 1.966 ათასი ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 1.105 ათასი ჰექტარი, ტექნიკური კულტურებისა 66 ათასი ჰექტარი, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილისა 155 ათასი ჰექტარი და საკვები კულტურებისა 640 ათასი ჰექტარი.

განისაზღვროს პირუტყვის სულადობა 1950 წლისათვის შემდეგი რაოდენობით: ცხენი 405 ათასი სული, მსხვილფეხა რქიანი საქონელი 1.140 ათასი სული, ცხვარი და თხა 620 ათასი სული, ღორი 600 ათასი სული.

91. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 1.598-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 275 ათასამდე და საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 11.800-მდე.

92. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის ლატვიის სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 720 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 300 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით.

ჩატარდეს სამუშაოები ოკუპანტების მიერ დანგრეული ქალაქების რიგის, ვენტსპილსის, ელგავის, ლეპაიის საბინაო და კომუნალური მეურნეობის აღსადგენად.

ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

93. დამტკიცდეს ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

ქვანახშირი (ათას ტონობით)	1.600
ნავთი (ათას ტონობით)	80
ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით)	180
ბამბის ქსოვილი (ათას მეტრობით)	690
აბრეშუმის ქსოვილი (ათას მეტრობით)	920
შალის ქსოვილი (ათას მეტრობით)	500
წინდის ნაკეთობანი (ათას წყვილობით)	3.550

ფეხსაცმელი (ათას წყვილობით)	920
შაქარი (ათას ტონობით)	75
ხორცი (ათას ტონობით)	17
ერბო-კარაქი (ათას ტონობით)	1,4

94. დამტკიცდეს ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში კაპიტალური სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებისათვის 1.200 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 337 მილიონი მანეთის რაოდენობით.

95. აშენდეს და ამუშავდეს 38 ათასი კილოვატის სიმძლავრის ელექტროსადგურები, 825 ათასი ტონა ქვანახშირის სიმძლავრის შახტები; აშენდეს და ამუშავდეს ბამბის საწმენდი ქარხანა 10 ათასი ტონა ბოჭკოს დასამზადებლად, აშენდეს ტომრისა და სართავი ფაბრიკები, 30 ათასი ტონა ცემენტის სიმძლავრის ცემენტის ქარხანა და ხორცკომბინატი. დამთავრდეს კანტ—რიბაჩიეს რკინიგზის მშენებლობა. რესპუბლიკურ მეურნეობაში ამუშავებულ იქნას 12 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები და 125 ათასი ტონა სიმძლავრის ქვანახშირის შახტები.

გათვალისწინებულ იქნას 1950 წლისათვის რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 360 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქცია 75 მილიონი მანეთის რაოდენობით.

96. მომზადებულ იქნას 1946-1950 წლებისათვის 5,5 მილიონი ტონა საერთო სიმძლავრის 20 ქვანახშირის უბანი; გამოკვლეულ იქნას ტყვიის, ვერცხლისწყლის, სურმის, თვითნაბადი გოგირდისა და თაბაშირის სამრეწველო მარაგი.

97. დაწესდეს ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 1.102 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 949 ათასი ჰექტარი, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 704 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 620 ათასი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 108 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 99 ათასი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების და კარტოფილისა 36 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 20 ათასი ჰექტარი; საკვები კულტურებისა 254 ათასი ჰექტარი, მათ შორის კოლმეურნეობებში 210 ათასი ჰექტარი; ბამბისა 53 ათასი ჰექტარი. გაფართოვდეს ხარისხოვანი თამბაქოს ნათესები და ვენახის ნარგავები.

პირუტყვის სულადობა 1950 წლის ბოლოსათვის განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ცხენი 490 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 430 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 560 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 260 ათასი სული; ცხვარი და თხა 4,3 მილიონი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 3,3 მილიონი სული; ღორი 60 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 20 ათასი სული.

დამთავრდეს კრასნორეჩენსკის სარწყავი სისტემის გადაკეთება. ჩატარდეს მუშაობა ოთუზ-ადირის მიწების მოსარწყავად. გაჩაღდეს ორტა-ტოკოის წყალსაცავისა და დიდი ჩუის არხის მშენებლობა. უზრუნველყოფილ იქნას 1946-1950 წლებისათვის სარწყავი ფართობების 22 ათასი ჰექტარით გადიდება.

98. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის ყირგიზეთის სსრ ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 215 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 25 ათასი კვ. მეტრისა; დამთავრდეს მშენებლობა და ამუშავდეს წყალსადენი, კანალიზაცია და ტროლეიბუსის ხაზი ქალაქ ფრუნზეში.

99. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 1.585-მდე, მათში მოსწავლეთა რიცხვი 278 ათასამდე და საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 7.200-მდე.

ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

100. დამტკიცდეს ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

ქვანახშირი (ათას ტონობით)	440
ნავთი (ათას ტონობით)	60
ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით)	180
ცემენტი (ათას ტონობით)	15
ბამბის ქსოვილი (ათას მეტრობით)	17.800
აბრეშუმის ქსოვილი (ათას მეტრობით)	5.100
წინდის ნაკეთობანი (ათას წყვილობით)	4.140
ფეხსაცმელი (ათას წყვილობით)	1.370
მცენარეული ზეთი (ათას ტონობით)	10
ხორცი (ათას ტონობით)	8,3

101. დამტკიცდეს ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებისათვის 1.200 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 318 მილიონი მანეთის რაოდენობით.

102. აშენდეს და ამუშავდეს 28 ათასი კილოვატის სიმძლავრის ელექტროსადგურები, მათ შორის 24 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები. გაფართოვდეს ბამბეულის კომბინატის სიმძლავრე სტალინაბადში 18,5 ათასი სართავი თითისტარიდ, აშენდეს და ამუშავდეს ორი ერობო-ყარაჭის ქარხანა, მექანიკური ქარხნები, დამთავრდეს მდნობი შპატის კომბინატის მშენებლობა, დაიწყოს ტყვია-თუთიის საბადოს მშენებლობა.

ამუშავდეს რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 100 ათასი ტონა სიმძლავრის ქვანახშირის შახტი და ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა ზიდის ქვანახშირის საბადოსაკენ. ამუშავდეს 12 ათასი სართავი თითისტარი, ფანჯრის მინის ქარხანა.

დაწესდეს 1950 წლისათვის რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 450 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქცია 83 მილიონი მანეთის რაოდენობით. მნიშვნელოვნად გადიდდეს ხმელი ხილის გამოშვება.

103. მომზადდეს 1946-1950 წლებისათვის ტყვიის, სამჭვეფანგი ვოლფრამის სამრეწველო მარაგი და ჩატარდეს ქვანახშირის, ვოლფრამის, სურმისა და ვერცხლისწყლის ახალი საბადოების ფართო კვლევა-ძიება.

104. დაწესდეს ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 935 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 896 ათასი ჰექტარი, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 633 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 615 ათასი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 181 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 176 ათასი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილისა 29 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 20 ათასი ჰექტარი; საკვები კულტურებისა 92 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 85 ათასი ჰექტარი. დაწესდეს ბამბის ნათესი ფართობი 107 ათასი ჰექტარის რაოდენობით, უზრუნველყოფილ იქნას გრძელბოჭკოვანი ჯიშების ბამბის ნათესთა ყოველმხრივი განვითარება.

დამთავრდეს საირიგაციო სამუშაოები ვახშის ველის მოსარწყავად, საირიგაციო სისტემების გადაკეთება გისარის ველზე და კოლექტორებისა კანიბადამის რაიონში. უზრუნველყოფილ იქნას ხუთწლედში სარწყავი ფართობების 17,8 ათასი ჰექტარით გადიდება.

პირუტყვის სულადობა 1950 წლის ბოლოსათვის განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ცხენი 177 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში

130 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 710 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 280 ათასი სული; ცხვარი და თხა 3.630 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 2 მილიონი სული.

105. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის ტაჯიკეთის სსრ ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 291 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 32 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით. აშენდეს წყალსადენები ლენინაბადსა და ხოროგში. ამუშავდეს ტროლეიბუსი სტალინაბადში.

106. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურის მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლათა რიცხვი აყვანილ იქნას 3.123-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 301 ათასამდე და საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 7.300-მდე.

სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

107. დამტკიცდეს სომხეთის სსრ რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით)	860
ავტომშინები (ათას ცალობით)	180
სუპერფოსფატი (ათას ტონობით)	15
კაუსტიკური სოდა (ათას ტონობით)	12
ლითონსაჭრელი ჩარხები (ცალობით)	500
ცემენტი (ათას ტონობით)	120
ფანჯრის მინა (ათას კვ. მეტრობით)	300
ბამბის ქსოვილი (ათას მეტრობით)	44.800
აბრეშუმის ქსოვილი (ათას მეტრობით)	2.600
შალის ქსოვილი (ათას მეტრობით)	400
წინდის ნაკეთობანი (ათას წყვილობით)	15.400
ფეხსაცმელი (ათას წყვილობით)	2.550
მცენარეული ზეთი (ტონობით)	2.550
შაქარი (ტონობით)	6.500
ყურძნის ღვინო (ათას დეკალიტრობით)	2.000
ხორცი (ათას ტონობით)	8,4
ერბო-კარაქი (ტონობით)	800

108. დამტკიცდეს სომხეთის სსრ რესპუბლიკაში კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებში 1.420 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 374 მილიონი მანეთის რაოდენობით.

109. ხუთწლედში ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრე გადიდდეს 102 ათასი კილოვატით, მოქმედი ჰიდროსადგურების გაფართოებით და მდინარე ზანგაზე ახალი ჰიდროსადგურის პირველი რიგის ამუშავებით. აშენდეს და ამუშავდეს კაბელის ქარხანა და წვრილი ჰიდროტურბინების ქარხანა წელიწადში 300 ტურბინის გამოშვებით.

უზრუნველყოფილ იქნას კაჯარანის სპილენძ-მოლიბდენის მადნების მოპოვება და გაუხვება, მოეწყოს ალუმინის წარმოება, ერთიოთხად გადიდდეს სინთეზური კაუჩუკის წარმოება და ერთიორად სოდის წარმოება, მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ავტომშინების წარმოება.

დამთავრდეს მაუდის ფაბრიკის მშენებლობა ერევანში და სათეთრებელ-სამღებრო ფაბრიკისა ლენინაკანის საფეიქრო კომბინატთან. დამთავრდეს შაქრის ქარხნის მშენებლობა, აშენდეს ძინის ტარის ქარხანა, გაფართოვდეს საკონსერვო ქარხანა. გადიდდეს ხილის კონსერვის წარმოება, ყურძნის ღვინოების დამზადება, აშენდეს კონიაკის ახალი ქარხანა.

რესპუბლიკურ მრეწველობაში მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ინვენტარის წარმოება. აშენდეს ლითონისა და შუშის ჭურჭლის ქარხნები, ქაშანურის ქარხანა და სარემონტო-მექანიკური ქარხანა.

დაწესდეს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წლისათვის 700 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციისა 160 მილიონი მანეთის რაოდენობით.

110. დაწესდეს ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 512 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 480 ათასი ჰექტარი, მათ შორის: მარცვლეული კულტურებისა 332 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 315 ათასი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 40 ათასი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილისა 41,5 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 30 ათასი ჰექტარი; პირუტყვის საკვები კულტურებისა 98 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 95 ათასი ჰექტარი. დაწესდეს ბამბის ნათესი ფართობები 15 ათასი ჰექტარის რაოდენობით. გადიდდეს მრავალწლიან ნარგავთა ფართობი. განვითარდეს შაქრის ჭარხლის წარმოება და მეაბრეშუმეობა. გადიდდეს თამბაქოს ნათესი ფართობები და მისი მოსავლიანობა.

საექსპლოატაციოდ გადაეცეს სარწყავი არხები: სტალინის სახელობისა, ნორკისა, ქვემო ზანგისა, გარნისისა. განხორციელდეს სამუშაოები არაზდაიანის ველის მოსარწყავად. უზრუნველყოფილ იქნას 1946-1950 წლების განმავლობაში სარწყავი ფართობების გადიდება 23,5 ათასი ჰექტარით.

1950 წლის ბოლოსათვის პირუტყვის სულადობა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ცხენი 32,5 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 28 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 670 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 350 ათასი სული; ცხვარი და თხა 1.680 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 1.100 ათასი სული; ღორი 80 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 48 ათასი სული. გაუმჯობესდეს პროდუქტიული პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა და გაფართოვდეს წმინდაბეწვიანი ცხვრის მოშენება.

111. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის სომხეთის სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 284 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 34 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით. აშენდეს ახალი წყალსადენი, გაფართოვდეს კანალიზაცია და 15 კილომეტრით გაგრძელდეს ტრამვაის ხაზი ერევანში; გაფართოვდეს წყალსადენი ლენინაკანში.

112. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 1.178-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 295 ათასამდე და საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი ქალაქებსა და სოფელ ადგილებში 6.700-მდე.

თურქმენეთის სსრ-ის რესპუბლიკაში

113. დამტკიცდეს თურქმენეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

ქვანახშირი (ათას ტონობით)	60
ნავთი (ათას ტონობით)	1.104
ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით)	150
სუპერფოსფატი (ათას ტონობით)	50
ცემენტი (ათას ტონობით)	40
ფანჯრის მინა (ათას კვ. მეტრობით)	2.000
ბამბის ქსოვილი (მილიონ მეტრობით)	22
შალის ქსოვილი (ათას მეტრობით)	820
აბრეშუმის ქსოვილი (ათას მეტრობით)	825
წინდის ნაკეთობანი (ათას წყვილობით)	3.100
ფეხსაცმელი (ათას წყვილობით)	1.470
ხორცის კონსერვი (მილიონ პირობითი ქილობით)	4

ხორცი (ათას ტონობით)	7
ერბო-კარაქი (ტონობით)	400
მცენარეული ზეთი (ათას ტონობით)	20
მარილი (ათას ტონობით)	160

114. დამტკიცდეს თურქმენეთის სს რესპუბლიკაში კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებისათვის 1.600 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 359 მილიონი მანეთის რაოდენობით.

115. ამუშავდეს 33 ათასი კილოვატის სიმძლავრის ელექტროსადგურები, მათ შორის 8 ათასი კილოვატის სიმძლავრის ორთქლტურბინის ელექტროსადგური და 4 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის პატარა ჰიდროსადგურები.

აშენდეს და ამუშავდეს ნავთსადენი, სუპერფოსფატის ქარხანა ყარატაუს ფოსფორიტების ბაზაზე. აშენდეს და ამუშავდეს აშხაბადის საფეიქრო ფაბრიკის მეორე რიგი და 50 ათასი ტონა სიმძლავრის ცემენტის ქარხანა.

რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში ამუშავდეს 11,7 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ელექტროსადგურები, 50 ათასი ტონა სიმძლავრის ქვანახშირის შახტები. სართავი თითისტარები ბამბის მრეწველობაში 22 ათასი ცალის რაოდენობით, 4 ათასი სართავი თითისტარის სიმძლავრის მატუდის ფაბრიკა, 2,2 მილიონი პირობითი ქილის სიმძლავრის ბოსტნეულის საკონსერვო ქარხანა.

დაწესდეს 1950 წლისათვის რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 490 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქცია 102 მილიონი მანეთის რაოდენობით.

116. 1946-1950 წლებში მომზადდეს და გადიდდეს ნავთის სამრეწველო მარაგი 495 ჰაბურღილ-წერტით, თვითნაბადი გოგირდისა გაურდაკის საბადოში 130 ათასი ტონით და გამოკვლეულ იქნას ოზოკერიტის საბადო.

117. დაწესდეს ნათესი ფართობები თურქმენეთის სს რესპუბლიკაში 1950 წლისათვის 443 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 409 ათასი ჰექტარი, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 158 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 138 ათასი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 161 ათასი ჰექტარი, მათ შორის ბამბისა 145 ათასი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილისა 29 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 18 ათასი ჰექტარი; საკვები კულტურებისა 95 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 92 ათასი ჰექტარი.

დაიწყოს სამუშაოები მდინარეების მურგაბისა და თეჯენის აუზების მიწის მასივების მოსარწყავად. უზრუნველყოფილ იქნას სარწყავი მიწების გადიდება 15 ათასი ჰექტარით და ჩატარდეს ღონისძიებანი მყარი წყალმომარაგების შესაქმნელად 20 ათას ჰექტარ ფართობზე.

1950 წლის ბოლოსათვის პირუტყვის სულადობა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ცხენი 64 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 54 ათასი სული; მახვილფეხა რქიანი საქონელი 305 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 145 ათასი სული; ცხვარი და თხა 4.330 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 2.900 ათასი სული, უზრუნველყოფილ იქნას მეკრავეობის შემდგომი აღმავლობა.

118. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის თურქმენეთის სსრ ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 310 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 32 ათასი კვადრატული მეტრი. გაფართოვდეს წყალსადენი, ამუშავდეს კანალიზაციის პირველი რიგი და ტროლეიბუსი აშხაბადში.

119. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა

და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 1.102-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 203 ათასამდე და საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 8 ათასამდე.

ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

120. დამტკიცდეს ესტონეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით)	395
ფიქალი (ათას ტონობით)	8.410
ტორფი (ათას ტონობით)	319
ქაღალდი (ათას ტონობით)	35
მერქნის გამოზიდვა (ათას კუბმეტრობით)	2.050
ცემენტი (ათას ტონობით)	160
ფანჯრის მინა (ათას კვ. მეტრობით)	1.400
ბამბის ქსოვილი (ათას მეტრობით)	121.400
ერბო-კარაქი (ტონობით)	9.000
ხორცი (ათას ტონობით)	20
სპირტი (ათას დეკალიტრობით)	600
თევზჭერა (ტონობით)	20.000

121. დამტკიცდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა ესტონეთის სს რესპუბლიკაში 1946-1950 წლებისათვის 3.500 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 708 მილიონი მანეთის რაოდენობით.

122. ყოველმხრივ განვითარდეს საწვავი ფიქალების მოპოვება და გადამუშავება, რისთვისაც აღდგენილ იქნას და გაფართოვდეს ფიქალების მოქმედი სამადნოები 9,4 მილიონი ტონა საერთო სიმძლავრემდე. აღდგენილ იქნას და ამუშავდეს 220 ათასი ტონა სიმძლავრის ტორფსაწარმოები და აშენდეს 50 ათასი ტონა სიმძლავრის ტორფბრიკეტის ქარხნები.

აღდგენილ იქნას ფიქალსახდელი ქარხნები. აშენდეს და ამუშავდეს ფიქალებისაგან გაზის გამომმუშავებელი ქარხნები და გაზსადენი ამ ქარხნებიდან ლენინგრადში გაზის გადასაცემად.

აღდგენილ იქნას ელექტრომოტორთა ქარხანა, კრენგოლმისა და ბალტიის მანუფაქტურები, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა და ტელეფონის აპარატების ქარხანა.

123. აღდგენილ იქნას და ამუშავდეს 92 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ელექტროსადგურები.

აღდგენილ იქნას სამშენებლო მასალების მრეწველობის საწარმოები, მათ შორის წლიურად 80 ათასი ტონის სიმძლავრის ცემენტის ქარხანა.

აღდგენილ იქნას მაცივარი, ხორცკომბინატი და რძის კომბინატი ქალაქ ტალინში და ერბო-კარაქ-ყველის ქარხნები.

124. დაწესდეს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს 450 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციისა 222 მილიონი მანეთის რაოდენობით.

1948 წელს აყვანილ იქნას ომამდელ დონემდე ქარსალისა და ჰიჰყინას კონსერვის გამოშვება. მოეწყოს ბალტიის ზღვის სანაპიროზე პატარა საკონსერვო სახელოსნოების ფართო ქსელი ჰიჰყინას კონსერვის გამოსაშვებად.

125. დაწესდეს 1950 წლისათვის ესტონეთის სს რესპუბლიკაში ნათესი ფართობები 981 ათასი ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის: მარცვლეული კულტურებისა 585 ათასი ჰექტარი, ტექნიკური კულტურებისა 25 ათასი ჰექტარი, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილისა 109 ათასი ჰექტარი და საკვები კულტურებისა 262 ათასი ჰექტარი.

1950 წლისათვის პირუტყვის სულადობა განისაზღვროს შემდეგი რაო-

დენობით: ცხენი 212 ათასი სული, მსხვილფეხა რქიანი საქონელი 560 ათასი სული, ცხვარი და თხა 366 ათასი სული, ღორი 400 ათასი სული.

126. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 1.148-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 136 ათასამდე და საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 6.400-მდე. აღდგენილ იქნას თეატრი „ესტონეთი".

127. განხორციელებულ იქნას სამუშაოები ოკუპანტების მიერ დანგრეული ქალაქების, პირველ რიგში ქალაქების ტალინის, ტარტუს, ნარვის, პიარნუს საბინაო და კომუნალური მეურნეობის აღსადგენად. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის ესტონეთის სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 1.125 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 240 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით.

კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

128. დამტკიცდეს კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით)	320
მერქნის გამოზიდვა (ათას კუბმეტრობით)	11.000
დახერხილი მასალები (ათას კუბმეტრობით)	880
ქაღალდი (ათას ტონობით)	142
ფანჯრის მინა (ათას კვ. მეტრობით)	275
ცემენტი (ათას ტონობით)	10
თევზჭერა (ათას ტონობით)	15

129. დამტკიცდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში 1946-1950 წლებისათვის 1.600 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 413 მილიონი მანეთის რაოდენობით.

130. აშენდეს და ამუშავდეს 81 ათასი კილოვატის სიმძლავრის ელექტროსადგურები, მათ შორის 45 ათასი კილოვატის სიმძლავრის ჰიდროსადგურები. აღდგენილ იქნას და ამუშავდეს ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატები, ჰიდროლიზური და სულფიტ-სპირტის ქარხნები. აღდგენილ იქნას ლითონნაწარმის—მეტალურგიული ქარხანა, სამადნოები ქარხის მოსაპოვებლად ომამდელი სიმძლავრით და ქარხის ფაბრიკა.

131. რესპუბლიკური მეურნეობის განვითარების მიზნით აშენდეს და ამუშავდეს სამკერვალო-ფეხსაცმლის ფაბრიკა, ლითონდამამუშავებელი ქარხანა, პლასტმასების ნაკეთობათა ფაბრიკა, შუშისა და ცემენტის ქარხნები. აღდგენილ იქნას საწარმოები კვარცისა და შპატის ნედლეულის გადასამუშავებლად და პეგმატიტის ქარხანა.

დაწესდეს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს 260 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციისა 42 მილიონი მანეთის რაოდენობით.

132. აღდგენილ იქნას სტალინის სახელობის თეთრი ზღვა-ბალტიის ზღვის არხი 227 კილომეტრი სანაოსნო გზის საერთო სიგრძისა ყველა ნაგებობით, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მის ნორმალურ ექსპლოატაციას, და აშენდეს სამდინარო გემთმშენებლობისა და გემთსარემონტო ქარხანა. გაყვანილ იქნას 200 კილომეტრი სიგრძის რკინიგზა.

133. დაწესდეს ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 134 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 110 ათასი ჰექტარი, მათ შორის: მარცვლეული კულტურებისა 62,5 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 56 ათასი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარ-

ტოფილისა 20,9 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 12 ათასი ჰექტარი; საკვები კულტურებისა 50,9 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 42 ათასი ჰექტარი. ახალი სახნავი მიწების ათვისების მიზნით ჩატარდეს სამელიორაციო-ამოსაშრობ სისტემათა აღდგენა 20 ათას ჰექტარ ფართობზე.

1950 წლის ბოლოსათვის პირუტყვის სულადობა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ცხენი 22.500 სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 13.400 სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 101 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 52 ათასი სული; ცხვარი და თხა 78 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 30 ათასი სული; ღორი 37 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 10 ათასი სული.

134. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 652-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 95 ათასამდე და საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 3.100-მდე.

135. განხორციელებულ იქნას სამუშაოები ოკუპანტების მიერ დანგრეული ქალაქების, პირველ რიგში პეტროზავოდსკისა და მედვეჟიე-გორსკის საბინაო და კომუნალური მეურნეობის აღსადგენად. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 556 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის აღგილობრივი საბჭოების ხაზით 80 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით.

* * *

დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს:

ა) განიხილოს და დაამტკიცოს ხუთწლიანი სამეურნეო გეგმები სსრ კავშირის ცალკე სამინისტროებისა და უწყებებისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მიღებული ხუთწლიანი გეგმის საფუძველზე;

ბ) მოაწყოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულების სისტემატური შემოწმება;

გ) უზრუნველჰყოს მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ყოველმხრივი ჩაბმა ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე, რათა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა შესრულდეს არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 18 მარტი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა და თბილისის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის მოხსენება თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1946 წლის 15 აპრილს *)

ამხანაგებო!

ჯერ ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ძლევამოსილად დამთავრდა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ. ამ მოკლე ვადის განმავლობაში ჩვენმა ხალხმა უკვე ბევრი რამ გააკეთა საბჭოთა ქვეყნისათვის ომით მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად. საბჭოთა კავშირის სამხრეთ ნაწილში აღდგენილია მთელი რიგი უდიდესი მეტალურგიული საწარმოები, ქვანახშირის შახტები, მაღაროები. შენდება ოკუპანტების მიერ დანგრეული ქალაქები, სოფლები. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა მშვიდობიანი განვითარების რელსებზე გადავიდა.

ომისშემდგომი პერიოდის უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის კანონის მიღება.

„ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ის არის, რომ აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადავაჭარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით“.

ამხანაგ სტალინის ამ მითითებათა შესაბამისად უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებულ ხუთწლიანი გეგმის კანონში სსრ კავშირის მთელი მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1950 წელს განსაზღვრულია 205 მილიარდი მანეთის რაოდენობით (1926-27 წლების ფასებით) ნაცვლად 1940 წლის 138,5 მილიარდი მანეთისა. ეს ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 1950 წელს 48 პროცენტით გადააჭარბებს 1940 წლის დონეს.

სსრ კავშირის მთელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა ხუთწლედის დამლევისათვის დაგეგმილია 27 პროცენტით 1940 წელთან შედარებით.

ეს ციფრები მოწმობენ მშენებლობისა და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების უდიდეს გაშლას მიმდინარე ხუთწლედში. არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას არ შეუძლია თუნდაც იოცნებოს მეურნეობის განვითარების ასეთ ტემპებზე. ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, უფლება გვაქვს

*) იბეჭდება შემოკლებით.

ვიამაყოთ იმით, რომ მხოლოდ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს ძალუძს დაისახოს და გადაჭრას ასეთი გრანდიოზული ამოცანები.

ახლა კიდევ უფრო ნათელი ხდება ვერაგ მტერზე ჩვენი დიადი გამარჯვების მთელი მნიშვნელობა, ვინაიდან გერმანელ ფაშისტ და იაპონელ აგრესორთა წინააღმდეგ ომის მხოლოდ ძლევამოსილმა დამთავრებამ მოგვცა შესაძლებლობა დავბრუნებოდით მშვიდობიან შემოქმედებითს მუშაობას კომუნიზმის მშენებლობისათვის.

ამიტომ არის, რომ ჩვენი ქვეყნის ასეულ მილიონობით მშრომელნი, რომლებიც უკვე ახორციელებენ ახალი ხუთწლიანი გეგმის წინასწარდასახულობებს, მხურვალე სიყვარულისა და მადლობის სიტყვებით მიმართავენ მოსისხლე მტრებზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების ორგანიზატორს—ჩვენს დიდ ბელადსა და მხედართმთავარს ამხანაგ **სტალინს.** (ტაში).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც იქნება შესრულებული. ამის საწინდარია მთელი საბჭოთა ხალხის მაღალი შეგნებულობა და პატრიოტიზმი, ბოლშევიკური პარტიისა და ხალხის ბელადის ამხანაგ **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობა. (ტაში).

I

ახალი ხუთწლიანი გეგმის მიზანია, პირველ რიგში, დანგრეული მეურნეობის აღდგენა საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკებსა და ოლქებში, რომლებიც ოკუპაციისაგან დაზარალდნენ. ამასთან ერთად გეგმა ითვალისწინებს დიდ სამუშაოთა შესრულებას ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ხუთწლიანი გეგმის კანონი უზრუნველჰყოფს საბჭოთა საქართველოს მეურნეობისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას. ხუთწლედის განმავლობაში კაპიტალური დაბანდებანი საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შეადგენენ 4.120 მილიონ მანეთს 1926-27 წლების საბარჯთალრიცხვო ფასებით.

მიმდინარე ხუთწლედში საქართველოს ეკონომიური განვითარების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მძლავრი ზრდა მისი მძიმე ინდუსტრიისა, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის აყვავების საფუძველია.

ხუთწლიანი გეგმის კანონის იმ ნაწილში, რომელიც საბჭოთა საქართველოს ეხება, ყურადღებას იპყრობს ნუსხა ნატურალური პროდუქციის ძირითადი სახეებისა 1950 წლისათვის. საქართველოს სს რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის ნომენკლატურაში პირველად ჩნდება შავი ლითონები—თუჯი, ფოლადი, ჩნდება კოქსი, ჩნდება ავტომობილები.

აი სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზოგიერთი მაშვენებელი 1950 წელს 1940 წლის სათანადო ციფრებთან შედარებით:

	1950 წ.	1940 წ.	ზრდა პროცენტობით 1950 წელს 1940 წელთან შედარებით
თუჯი (ათას ტონობით)	330	—	—
ფოლადი (ათას ტონობით)	185	—	—
ქვანახშირი (ათას ტონობით)	2.400	625	284
ელექტროენერგია (მილიონ კილოვატსაათობით)	1.300	740,5	78

მარგანეცის მადანი (ათას ტონობით)	2.040	1.448	41
კოქსი (ათას ტონობით)	450	—	—
ავტომობილი (ათას ცალობით)	15	—	—
ლითონმჭრელი დაზგა (ცალობით)	1.700	803	112
შალეული (ათას მეტრობით)	3.795	1.923	97
აბრეშუმის ქსოვილი (ათას მეტრობით)	6.830	5.290	29
ჩაი (ტონობით)	17.900	10.961	63

ზემომოყვანილი ციფრები მოწმობენ, ჯერ ერთი, იმას, რომ მიმდინარე ხუთწლედში განუზომლად იზრდება საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობის ნატურალური პროდუქციის ყველა ძირითადი სახე; მეორე, და რაც მთავარია, ეს ციფრები მოწმობენ ჩვენი მრეწველობის ხარისხობრივ ზრდას, მრეწველობისა, რომლის დამახასიათებელ თავისებურებად ხდება ის, რომ სჭარბობს შავი მეტალურგია და მანქანათმშენებლობა.

მრეწველობასთან ერთად შემდგომ ვითარდება საქართველოს მრავალფეროვანი და მთელი საბჭოთა კავშირისათვის ძვირფასი სოფლის მეურნეობა. ხუთწლედის მანძილზე ჩაის პლანტაციების ფართობი გაიზრდება 7,5 ათასი ჰექტარით, ციტრუსების ფართობი — 11.000 ჰექტარით, ამასთან ძირითადი ყურადღება ეთმობა ციტრუსთა ყველაზე ძვირფასი სახეების — ლიმონისა და ფორთოხლის განვითარებას. უზრუნველყოფილია მევენახეობის, მეაბრეშუმეობისა და მეთამბაქოობის მნიშვნელოვანი ზრდა. დიდდება ყველა სახის პირუტყვის სულადობა სოფლის მეურნეობაში.

დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული ქალაქებსა და მუშათა დაბებში კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ხაზით. საკმარისია ითქვას, რომ ხუთწლედის მანძილზე საქართველოში აგებულ უნდა იქნას 732.000 კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი.

ასეთია ზოგადად საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის მაჩვენებლები დაწყებულ ხუთწლედში.

II

პარტიული ორგანიზაციები და მშრომელები ფართოდ უნდა იქნან გაცნობილნი ხუთწლიანი გეგმის ძირითად ამოცანებს. ამ აზრით პარტიული აქტივის კრებისათვის ინტერესს არ იქნება მოკლებული გაეცნოს იმ უდიდეს სამუშაოებს, რომლებიც საქართველოში ხუთწლიანი გეგმის თანახმად ტარდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენი მეურნეობის განვითარებაში გადამწყვეტია შავი მეტალურგიის შექმნა. საქართველოში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ინიციატივა ამხანაგ სტალინს ეკუთვნის. 1940 წლის შემოდგომაზე, ამხანაგ სტალინის წინადადებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს კოქსავადი ქვანახშირისა და აზერბაიჯანის რკინის მადნის ბაზაზე შავი ლითონების წარმოების ორგანიზაციის შესახებ. გადაწყდა მეტალურგიული ქარხნის აგება ქალაქ თბილისის რაიონში.

როგორც იცით, ქარხნის მშენებლობა დაწყებულ იქნა, მაგრამ ჩვენს სამშობლოზე ჰიტლერელ ავაზაკთა თავდასხმამ და დიდი სამამულო ომის დაწყებამ გამოიწვია ამ მშენებლობის შეწყვეტა.

1944 წელს მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა განახლდა. ქარხანა შენდება რუსთავში. ქარხნის ტერიტორიაზე უკვე ორი წელიწადია სწარ-

მოებს ინტენსიური მუშაობა. აგებულია და ექსპლოატაციაშია დროებითი საერთო საცხოვრებლები და მუდმივი საცხოვრებელი სახლები 28.000 კაცისათვის. ქარხნის ტერიტორიაზე უკვე აღიმართა დამხმარე საამქროთა კორპუსები. საძირკველი ჩაეყარა მარტენის ღუმელებს, შენდება რთული მიწისქვეშა მეურნეობა, ქალაქური ტიპის დიდი ხიდი მდინარე მტკვარზე.

ქარხნის სიმძლავრეა 430.000 ტონა თუჯი, 500.000 ტონა ფოლადი, 380.000 ტონაზე მეტი სხვადასხვა ნაგლინი.

ქარხანაში იმუშავებს 15.000-ზე მეტი მუშა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი. მათ მოსათავსებლად ოჯახებიანად დაპროექტებულია მთელი ქალაქის აგება, რომლის მოსახლეობა იქნება 40-45 ათასი კაცი.

ქარხნის მშენებელთა კოლექტივმა, მშენებლობის უფროს ამხ. გიორგაძისა და მთავარ ინჟინერ ამხ. ბარამიძის მეთაურობით, დიდი მუშაობა შეასრულა. სერიოზულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს საბინაო ფონდის შექმნა მშენებლობისათვის საჭირო მუშათა დიდი კონტინგენტების მისაღებად. მშენებლობის სამმართველო ღონისძიებებს იღებს აგრეთვე თავისი საკარიერო მეურნეობისა და სამშენებლო მასალათა დამამზადებელ საწარმოთა შე'ქმნელად.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მშენებელთა მუშაობას ნაკლოვანებები არ ჰქონდეს. მშენებლებმა ყურადღების ცენტრში უნდა დააყენონ სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ამოცანა. ამ საქმეში მათ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე როდი აქვთ. მეტი აქტივობა უნდა გამოიჩინოს მეტალურგიული ქარხნის დირექციამ — ამხანაგებმა გომელაურმა და ქაშაკაშვილმა—როგორც მშენებლობისადმი ტექნიკური კონტროლის გაძლიერების ხაზით, ისე ქარხნის მოწყობილობის მიღებისა და კადრების მომზადების საქმეში.

ხუთწლედის მეორე დიდი ობიექტი, რომელიც საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრივ სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს, არის ქუთაისის საავტომობილო ქარხანა. ჩვენი საავტომობილო ქარხანა გამოუშვებს „ზის-150" მარკის 3,5-ტონიან სატვირთო მანქანებს. ეს ყველაზე უფრო სრულყოფილი და ჩვენს პირობებში რენტაბელური მანქანაა.

ქარხნის სამშენებლო ტერიტორიაზე უკვე მივიდა 24 ეშელონი ქარხნის ძირითადი მოწყობილობიანად. 1947 წელს ქარხნის კონვეიერიდან უნდა ჩამოვიდნენ პირველი მანქანები. მშენებლობა კი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს. გასულ წელს იგი არასაკმაოდ მარაგდებოდა მასალებით და გეგმა შესრულებულ იქნა მხოლოდ 37 პროცენტით. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმა შესრულებულ იქნა 61 პროცენტით.

მშენებლობის უფროსმა ამხ. ოდიშარიამ და მთავარმა ინჟინერმა ამხ. მესტერმა უკეთესად უნდა მოაწყონ სამშენებლო სამუშაოები, რაციონალურად და მთელი დატვირთვით გამოიყენონ მუშახელი და მიაღწიონ თვიური და კვარტალური გეგმების უთუო შესრულებას. მშენებლებს სერიოზული დახმარება უნდა აღმოუჩინოს ქუთაისის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ, რომლისთვისაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანაა საავტომობილო ქარხნის მშენებლობის დროულად დამთავრება.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა ტყიბულისა და ტყვარჩელის კომპლექსი ქვანახშირით იმუშავებს. სწორედ ამიტომ მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის დაწყებისას დაიწყო აგრეთვე ახალი ქვანახშირის შახტე-

ბის მშენებლობაც ტყიბულში, ტყვარჩელში და ახალციხის ქვანახშირის საბადოში. ომის წლებში შახტების ახალი მშენებლობა შეჩერებულ იქნა, მაგრამ 1944 წლიდან გაძლიერებით სწარმოებს მუშაობა ქვანახშირის მრეწველობის აღმავლობისათვის. 1945 წელს კომბინატ „საქართველოს ქვანახშირის“ ხაზით მშენებლობის გეგმა შესრულებულ იქნა 103,5 პროცენტით. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ დრომდე საშახტო მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება არადამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული. ამავე დროს თვით მშენებლობებზე ბევრი იყო ნაკლოვანება, განსაკუთრებით მუშახელის გამოყენების საქმეში.

გასულ წელს, ამხანაგ **ბერიას** დავალებით, ქვანახშირის მრეწველობის ყოფილი სახალხო კომისარიატის სპეციალურმა კომისიამ შეამოწმა საშახტო მშენებლობის მდგომარეობა საქართველოში. კომისიამ შეიმუშავა საკავშირო მთავრობის მიერ შემდეგში დამტკიცებული ღონისძიებანი, რომელთა თანახმადაც 1947 წლის დამლევისათვის კომბინატ „საქართველოს ქვანახშირის“ ტრესტებში ქვანახშირის სადღეღამისო ამოღებამ უნდა შეადგინოს 6.500 ტონა ნაცვლად 1945 წლის დეკემბრის 2.000 ტონისა. ქვანახშირის ამოღების ერთისამად და უფრო მეტად გადიდება მოითხოვს საშახტო ფონდის სათანადო გადიდებას. 1946 და 1947 წლებში უნდა დამთავრდეს ხუთი ახალი შახტის მშენებლობა, რომელთა საერთო სიმძლავრე იქნება 1.450 ათასი ტონა ქვანახშირი წელიწადში.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მთელი მუშაობა დამოკიდებულია ქვანახშირის მრეწველობის მუშათა უზრუნველყოფაზე ბინებით. უახლოესი ორი წლის მანძილზე ტყიბულში, ტყვარჩელში და ახალციხის ქვანახშირის საბადოში აგებულ უნდა იქნას 91.000 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ჯერჯერობით საბინაო მშენებლობა ქვანახშირის საწარმოებში არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს.

საჭიროა ფართოდ გაიშალოს სამუშაოები ქვანახშირის ახალი საბადოების ძიების, აგრეთვე ნავთის ძიებისა და ამოღების გაფართოების დარგში.

მიმდინარე ხუთწლედში საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს მშენებლობებად რჩება ახალი ჰიდროელექტროსადგურები. ხუთწლედი ითვალისწინებს ელექტროსადგურების სიმძლავრის ისეთი ეარაჯდით გადიდებას, რომ ელექტროენერგიის გამომუშავება მთლიანად აკმაყოფილებდეს მრეწველობის საჭიროებას, აგრეთვე მოსახლეობის მოთხოვნილებას.

მიმდინარე ხუთწლედში უდიდეს ობიექტად კვლავ რჩება ხრამის ჰიდროელექტროსადგური. 1945 წელს საკავშირო მთავრობის დახმარებით ჩვენ შევძელით დიდ სამუშაოთა ჩატარება ხრამჰესის მშენებლობაზე. მშენებლობას კარგი მაჩვენებლები ჰქონდა მიმდინარე წლის პირველ კვარტალშიც. ახლა უკვე მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ 1947 წლის ნახევრისათვის ამოშავდება ხრამჰესის პირველი აგრეგატი. ხოლო სადგური მთლიანად დამთავრდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1948 წელს.

ამავე ვადებში უნდა დამთავრდეს სოხუმის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელსაც იგივე ხრამჰესმშენის ტრესტი აწარმოებს.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო აქ. აქტივზე, ხრამჰესმშენის ტრესტის ხელმძღვანელობის კარგი მუშაობა. ტრესტის უფროსმა ამხ. ჭანკოტაძემ და მთავარმა ინჟინერმა ამხ. გინდინმა თავი გამოიჩინეს როგორც ნიჭიერმა ხელმძღვანელებმა და ორგანიზატორებმა. მათ საკმაოდ კარგად შესძლეს

მთელი იმ დიდი დახმარების გამოყენება, რომელიც მშენებლობას ეწევა. ხრამჰესის მშენებელთა კოლექტივმა წელსაც უნდა გვიჩვენოს მუშაობის მაღალი ნიმუშები. საჭიროა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ დადგენილ ვადაში უზრუნველყოფილ იქნას წყალსაცავის ავსება და გამოცდა, წელსვე დამთავრდეს დერივაციისა და ძალოვანი კვანძის სამუშაოები და ყველაფერი მომზადდეს საიმისოდ, რომ მომავალი წლისათვის დარჩეს მხოლოდ სამონტაჟო სამუშაოები და მეორეხარისხოვან ობიექტთა მშენებლობა.

მიმდინარე ხუთწლედში უნდა დამთავრდეს ჭითახევის ჰიდროსაუგურის მშენებლობა ბორჯომის რაიონში ქვანახშირის მრეწველობის ხაზით. ასევე დაწყებულ და დამთავრებულ უნდა იქნას გზათა სამინისტროს ხაზით ტყიბულის ჰიდროელსადგურის მშენებლობა. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია დაწყებულ იქნას ასევე დიღმის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის სიმძლავრე იქნება 30 ათასი კილოვატი. ვფიქრობთ, რომ საკავშირო მინისტრთა საბჭო დახმარებას გაგვიწევს ამ საკითხში.

ხუთწლედი ითვალისწინებს ქალაქ გორში საფეიქრო კომბინატის მშენებლობას, რომელიც წელიწადში 30-35 მილიონ მეტრამდე ბამბეულის ქსოვილს გამოუშვებს. მშენებლობის ღირებულებაა 130 მილიონი მანეთი, დამთავრების ვადა—1950 წელი.

თვით ქალაქ თბილისში საკავშირო მნიშვნელობის მქონე უმნიშვნელოვანესი სამრეწველო მშენებლობებია: ახალი ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მშენებლობა ღრმაღელეში და პლასტიკური მასების ქარხნის მშენებლობა. ამასთან ერთად მიმდინარე ხუთწლედში უნდა დამთავრდეს კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის, ქარხანა „ცენტროლიტისა“ და ზოგიერთი სხვა საწარმოს მშენებლობა და მოწყობა.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, მთლიანად დამოკიდებულია ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობაზე. მიმდინარე ხუთწლედში საინჟინრო სისტემებით სარწყავი ფართობი უნდა გავადიდოთ სულ მცირე 55.000 ჰექტარით 1945 წელთან შედარებით, ე. ი. 60 პროცენტით. ამისათვის საჭიროა მთლიანად დავამთავროთ ალაზნის სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია, ქართლის რაიონში ავაგოთ სალთვისის, კეხვის, დოეს-გრაკლის, დოღლაურის ველის და სხვა არხები, მაგრამ ირიგაციის ხაზით ყველაზე მნიშვნელოვან მშენებლობას წარმოადგენს ზემო სამგორის სარწყავი სისტემა.

სამგორის სარწყავი სისტემის პროექტის შედგენის ხაზით სერიოზული სამუშაოები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო. 1941 წელს სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა სსრ კავშირის შინსახკომს დააკისრეს. შეიქმნა მშენებლობის სამმართველო, და ომი რომ არ ყოფილიყო, სამგორი ახლა აგებული იქნებოდა.

სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა ახალ ხუთწლიან გეგმაში შეტანილია ამხანაგ სტალინის პირადი მითითებით. სამგორის საექსპლოატაციოდ გადაცემით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა აყვავებულ ბაღებად, ვენახებად, ბოსტნებად, ბამბის მაღალ მოსავლიან პლანტაციებად გადავაქციოთ 37 ათას ჰექტარზე მეტი ამჟამად ცარიელი მიწა, რომელიც უშუალოდ ქალაქ თბილისს აკრავს.

15 კვადრატული კილომეტრის ზედაპირის მქონე დიდი წყალსაცავი, რომელიც მლაშე ტბების აუზში იქმნება, გარდა იმისა, რომ დაამშვენებს ქალაქს, შესაძლებლობას მოგვცემს აგრეთვე ტყით დავფაროთ მახათის მთის ფერდობები, ღრმაღელე, ავლაბრისა და ნავთლუღის რაიონი.

თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ მაქსიმალური დახმარება უნდა გაუწიოს სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობას. სამგორის სისტემა მოგვცემს არა მარტო სარწყავ წყალს, არამედ ელექტროენერგიასაც. სისტემის მაგისტრალურ არხზე და ზემო წყალსაცავის კაშხალთან აგებული იქნება ოთხი ელექტროსადგური 36 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრისა.

გასაგებია, რომ ასეთი მასშტაბის მშენებლობისათვის საჭიროა მასალების დიდი რაოდენობა. განსაკუთრებით იზრდება მოთხოვნილება ცემენტზე. ჩვენს ცემენტის ერთადერთ ქარხანას, რომელიც კასპში გვაქვს, შეუძლია წელიწადში მოგვცეს 100-120 ათასი ტონა ცემენტი. ეს საკმარისი არ არის ჩვენი მშენებლობების უზრუნველსაყოფად. ამასთან დაკავშირებით ჩვენ დავაყენეთ კასპის ცემენტის ქარხნის გაფართოების საკითხი და ვფიქრობთ, რომ იგი დადებითად იქნება გადაჭრილი.

სამრეწველო და საქალაქო მშენებლობისათვის დიდი რაოდენობით არის საჭირო აგრეთვე კედლისა და სხვა ადგილობრივი მასალები: აგური, კირი, ქვა და სხვ. საჭიროა აღინიშნოს, რომ სიმძლავრე სამშენებლო მასალების დამამზადებელი საწარმოებისა, რომლებიც ჩვენ გვაქვს, კარგი მუშაობის პირობებშიც კი ვერ უზრუნველჰყოფს ჩვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საწარმოები ძლიერ ცუდად მუშაობენ.

საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველო საკმაოდ ვერ ხელმძღვანელობს თავის საწარმოებს. სამმართველოში ყოველი ცოცხალი საქმე ქაღალდის ნიაღვარში ინთქმება. სამმართველოს ხაზით საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 1945 წელს შესრულდა 67,7 პროცენტით, აგური გამოშვებულ იქნა 12.260 ათასი ცალი ანუ გეგმის 87,6 პროცენტი, კრამიტი —768 ათასი ცალი ანუ გეგმის 38,4 პროცენტი, კირი—16.600 ტონა ანუ გეგმის 83 პროცენტი.

საქართველოში დიდია შესაძლებლობა ბუნებრივი სამშენებლო მასალების—სხვადასხვა ტუფების და ქვის სხვა სახეთა გამოყენებისა, მაგრამ ეს საქმე ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული. ეკლარის საუცხოო მოსაპირკეთებელი ქვის კარიერები ცუდად მუშაობენ და, საერთოდ, ეს ქვა არასაკმაოდ არის გამოყენებული.

ჩვენი სამმართველო არ იჩენს ჯეროვან ინიციატივას ახალი სამშენებლო მასალების ძიებისა და უკვე ცნობილი მასალების უფრო რაციონალურად გამოყენების საქმეში.

სამშენებლო მასალათა წარმოების ასეთ მდგომარეობას შემდეგში ვერ დავუშვებთ. საჭიროა მიღებულ იქნას გადამწყვეტი ღონისძიებანი საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს მუშაობისა და საქალაქო და რაიონული მმასკომების ქვემდებარეობაში მყოფ აგურის, კირის, კრამიტის დამამზადებელ ყველა საწარმოთა მუშაობის გაჯანსაღებისათვის.

საჭიროა აგრეთვე ფართოდ მოეწყოს ადგილობრივი სამშენებლო მასალების წარმოება საკავშირო მშენებლობათა ხაზით, როგორიც არიან: ამი-

ერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა, საავტომობილო ქარხნის მშენებლობა, ქვანახშირის შახტების მშენებლობა.

რამდენიმე სიტყვა სოფლის მეურნეობის დარგის ამოცანათა შესახებ. მომდინარე ხუთწლედში მთავარი ყურადღება უნდა დავუთმოთ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების საკითხებს. არაერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა ჩვენში დაბალია. ერთი ჰექტარი ნათესიდან საშუალოდ რესპუბლიკაში მივიღეთ 1940 წელს—8,4 ცენტნერი, 1942 წ.—10,2, 1944 წ.—8,9 და 1945 წელს — 8,6 ცენტნერი, მაშინ როდესაც გეგმა 11,5 ცენტნერს ითვალისწინებდა.

დაბალი მოსავლიანობა აიხსნება იმით, რომ თესვის დროს არ იცავენ აგროწესებს, არასაკმაოდ უვლიან ნათესებს და, რაც ყველაზე მთავარია, ჩვენში არ არის თესლბრუნვები. გასული წლის შემოდგომაზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილება აღმოსავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებში თესლბრუნვათა აღდგენისა და შემოღების შესახებ. პარტიულმა ორგანიზაციებმა და სამეწარმოქმედო ორგანოებმა ზუსტად უნდა გაატარონ დადგენილება თესლბრუნვათა შესახებ. მხოლოდ ამ პირობით მივაღწევთ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებას 12,5 ცენტნერამდე 1950 წელს, რაც ხუთწლიანი გეგმით არის დასახული. ასეთი მოსავლიანობის დროს ჩვენ მნიშვნელოვნად შევამცირებთ მარცვლეულის შემოტანას საქართველოში.

მე უკვე ვილაპარაკე ციტრუსებისა და ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების გეგმაზე. აქ მინდა მხოლოდ ხაზი გავუსვა, რომ უკვე მომდინარე წლიდან ჩვენს ამოცანას წარმოადგენს ამ კულტურების მოსავლიანობის გადიდება. კერძოდ, ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ 1946 წელს დავამზადოთ ციტრუსთა სულ მცირე 600 მილიონი ცალი ნაყოფი, ნაცვლად 1945 წლის 300 მილიონი ცალისა.

ვსარგებლობ იმით, რომ აქ ესწრებიან აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებისა და სუბტროპიკული რაიონების რაიკომების მდივნები და მათს ყურადღებას მივაპყრობ იმას, რომ საჭიროა ციტრუსების მოვლის ყველა სამუშაოთა თანმიმდევრობით შესრულება. ციტრუსების ყველა მსხმოიარე პლანტაციაში შეტანილ უნდა იქნას მინერალური სასუქების სრული დოზა, კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებისა და სხვა მეურნეობათა ჩათვლით, და გატარდეს ყველა ღონისძიება ციტრუსოვანი ნარგავების სამკურნალოდ.

უნდა გავაფრთხილო სუბტროპიკული რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები. რომ მომდინარე წელს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სუბტროპიკული რაიონების თვითეული რაიონული პარტიული ორგანიზაციის მუშაობას შეაფასებს პირველ რიგში იმის მიხედვით, თუ როგორ შესძლებს იგი კოლმეურნეთა, მუშათა და სპეციალისტთა დარაზმვას ციტრუსების მაღალი მოსავლის მისაღებად, იმის მიხედვით, თუ ციტრუსების როგორი მოსავალი იქნება აღებული რაიონში.

კიდევ ერთი საკითხის შესახებ, რომელიც სუბტროპიკულ რაიონებს ეხება. საჭიროა ძირეულად გაუმჯობესდეს მუშაობა საქართველოში ევკალიპტის ნარგავთა განვითარების ხაზით. დღემდე კიდევ გავრცელებულია წარმოდგენა, რომ ევკალიპტი მხოლოდ დეკორატიული ხეა, რომელიც, ამასთა-

ნავე, ჰავას აჯანსაღებს. ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ ასეთი შეხედულება მეტად ცალმხრივია. ევკალიპტს უდიდესი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის და მისი გავრცელებით ერთნაირად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი როგორც სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობები და კოლმეურნეები, ისე ჩვენი ქალაქების, კერძოდ ქალაქ თბილისის სამრეწველო საწარმოები და მოსახლეობაც. საქმე ის არის, რომ საქართველოს თუმცა გააჩნია ტყის მნიშვნელოვანი მასივები, მაგრამ, არსებითად, ჩვენ მაინც უტყეო რესპუბლიკა ვართ. საექსპლოატაციოდ მისაწვდომ ტყეებს ჩვენში აქვთ საკურორტო და ნიადაგთდამცველი მნიშვნელობა, ხოლო ის ტყეები, რომლების ექსპლოატაციაც შეიძლება, მდებარეობენ ისეთ ადგილებში, სადაც ადამიანს მისვლა უჭირს. უკვე ილევა ის ტყეები, სადაც თბილისისა და სხვა ქალაქებისათვის მზადდება შეშა. ამავე დროს ევკალიპტის გაშენების დარგში კარგი მუშაობის დროს შეგვიძლია უახლოეს მომავალში მთლიანად უზრუნველვყოთ ჩვენი თავი სამშენებლო ხე-ტყითა და შეშით. ევკალიპტი სწრაფმზარდი გიგანტური ხეა. უკვე 20 წლის ასაკისათვის იგი საექსპლოატაციო სიმწიფეს აღწევს. საკმარისია გვქონდეს 40-50 მილიონი ძირი ევკალიპტის ხე და მოვაწყოთ მათი წესიერი ექსპლოატაცია და განახლება, რომ ყოველწლიურად დავამზადოთ 1,5-2 მილიონი კუბმეტრი სამშენებლო ხე-ტყე და შეშა ნარგავებისათვის ზიანის მიუყენებლად. ახლა კი საქართველოში ყოველწლიურად ვამზადებთ არა უმეტეს 700 ათასი კუბმეტრი საქმიანი ხე-ტყისა და შეშისა.

არ სწარმოებს მუშაობა ევკალიპტის ნარგავთა უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობის განსამარტებლად. ეს გახდა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ომისწინა წლებში ჩვენ დავრგეთ 28 მილიონამდე ძირი ევკალიპტი. გავზარდეთ კი მხოლოდ 7 მილიონი ძირი. დანარჩენი ნარგავები მოუვლელობის გამო დაიღუპა.

საჭიროა ევკალიპტის გაშენების ხუთწლიანი გეგმა გადაისინჯოს იმ ვარაუდით, რომ ეს ძვირფასი ხე 1950 წელს გვქონდეს სულ მცირე 40 მილიონი ძირი. უნდა ვთქვა, რომ ამხანაგმა ბერიამ, როცელმაც ამას წინათ ინახულა საქართველო და გაეცნო ევკალიპტის ნარგავთა მდგომარეობას, გაგვახსენა, რომ საჭიროა ევკალიპტის კულტურის უფრო სწრაფი განვითარება ჩვენს სუბტროპიკებში. ჩვენ უნდა შევასრულოთ ეს დავალება.

III

ამ ცოტა ხნის წინათ მიღებულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის კანონის მიღებასთან დაკავშირებით პარტიული ორგანიზაციების სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ“. რომელშიც ნათქვამია:

„პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გააჩაღონ ბრძოლა თვითეული რესპუბლიკის და ოლქის, სახალხო მეურნეობის თვითეული დარგის მიერ, ყველა ქარხნის, ფაბრიკის, ახალმშენებლობის, შახტის, მაღაროს, რკინიგზის მიერ 1946 წლის გეგმების, კვარტალური და თვიური გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის“.

ამ დირექტივის მიწედვით სასარგებლო იქნება განვიხილოთ, თუ როგორ მუშაობენ ქალაქ თბილისის სამრეწველო საწარმოები.

უნდა აღვნიშნო, რომ ქალაქ თბილისის მრეწველობამ მთლიანად ვერ

შეასრულა 1945 წლის საწარმოო გეგმა. მან გამოუშვა 426.500 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც წლიური გეგმის 97,2 პროცენტს შეადგენს.

გასულ წელს განსაკუთრებით ცუდად მუშაობდნენ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოები, რომლებმაც გეგმა 69,9 პროცენტით შეასრულეს. თბილისის საქალაქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების საწარმოები, რომლებმაც გეგმა 95 პროცენტით შეასრულეს. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები, რომლებმაც გეგმა 96,5 პროცენტით შეასრულეს, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები, რომლებმაც გეგმა 96,5 პროცენტით შეასრულეს.

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა წლიური საწარმოო გეგმა მხოლოდ 80,5 პროცენტით შეასრულეს.

ქალაქის მრეწველობის მიერ საწარმოო გეგმის შეუსრულებლობის ძირითად მიზეზს ის წარმოადგენს, რომ ბევრი წამყვანი საწარმოს და სათანადო სამინისტროთა ხელმძღვანელებმა, სამხედრო შეკვეთების შეწყვეტის შემდეგ, საკმაო ზომები არ მიიღეს მშვიდობიანი დროის პროდუქციის გამოშვებაზე უმტკივნეულოდ გადასვლისათვის. ისინი საჭირო მზრუნველობას არ იჩენდნენ იმისათვის, რომ მოემარაგებინათ საწარმოები სათანადო ნედლეულით, შეეცვლოთ და შეენარჩუნებინათ მუშათა კადრები.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ერთგვარი გაუმჯობესება გვაქვს საწარმოო გეგმების შესრულებაში საწარმოთა ცალკეული ჯგუფების მიერ: ადგილობრივი მრეწველობის, საფეიქრო მრეწველობის, კვების მრეწველობის მიერ. მაგრამ მთლიანად ქალაქის მრეწველობამ კვარტალური გეგმა მხოლოდ 89,3 პროცენტით შეასრულა. კვარტალური გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად აიხსნება საკავშირო დაქვემდებარების დიდ საწარმოთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობით.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოები.

თუ ავიღებთ ცალკე მარტს, ამ თვეში საწარმოები უკეთ მუშაობდნენ და ქალაქის მრეწველობამ საწარმოო გეგმა 101,1 პროცენტით შეასრულა.

როგორც ხედავთ, 1946 წლის პირველ კვარტალში გეგმის შესრულების მაჩვენებლები დაბალია. ეს ავალებს ქალაქ თბილისის პარტიულ ორგანიზაციებს, საწარმოთა და სათანადო სამინისტროთა ხელმძღვანელებს გადამწყვეტი ზომები მიიღონ მრეწველობის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

აუცილებელია ავამაღლოთ საწარმოების, საწარმოო ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობის ხარისხი. უნდა უკუვაგდოთ ომიანობის დროიდან დარჩენილი ზოგიერთი ჩვევები. ეს პირველ რიგში შეეხება მუშათა შეგროვების, მომზადებისა და შენარჩუნების საქმეს. ომიანობის წლებში მუშახელის მხრივ მძიმე მდგომარეობა იყო, მაგრამ ეს სიმძიმე მთლიანად საწარმოთა ხელმძღვანელებს როდი აწვათ. პარტიული და საბჭოთა ორგანოები ატარებდნენ მუშათა მობილიზაციას, რაც ნებადართული იყო კანონით, და გზავნიდნენ მათ წარმოებაში. ახლა ასეთი წესი აღარ არის. სამინისტროებმა და საწარმოთა დირექტორებმა უნდა შეიგნონ, რომ ახლა მათ ნორმალური გზით უნდა უზრუნველჰყონ თავიანთი თავი მუშახელით. საჭიროა შეუქმნათ მუშებს კარგი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები და მოვაწყოთ მათი დამატებითი

სასურსათო მომარაგება დამხმარე მეურნეობებიდან. აუცილებელია ვიზრუნოთ მუშათა ხელფასის გადიდებისათვის მათი კვალიფიკაციის სისტემატიურად ამაღლებისა და სამუშაოთი მთლიანად დატვირთვის გზით.

უნდა ითქვას, რომ წარმოების მუშახელით უზრუნველყოფის საკითხებისადმი ასეთი შეგნებული და მზრუნველი დამოკიდებულება ყოველთვის როდი სჩანს. ამის შედეგად ბევრ საწარმოში კვლავ ადგილი აქვს მუშების მეტად დიდ დენადობას. თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის დირექციამ 1945 წელს სამუშაოზე მიიღო 164 კაცი, ხოლო საწარმოდან წავიდა—374. 1946 წლის პირველ კვარტალში მიღებულია 43 კაცი, წავიდა—82. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში გასულ წელს სამუშაოზე მიიღეს 488 კაცი, ხოლო წავიდა 309. აღსანიშნავია, რომ ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ადმინისტრაცია განსაკუთრებით უყურადღებოდ ეკიდებოდა ახალგაზრდა მუშების შენარჩუნებას. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ქარხანას გადაეცა 857 კვალიფიციური მუშა, რომლებმაც საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები და სახელოსნო სასწავლებლები დაამთავრეს. მაგრამ მათგან შენარჩუნებულია და ამჟამად მუშაობს სულ 185 კაცი.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მუშათა ახალი კადრების მომზადების საქმე. ავტოსარემონტო ქარხანას 1945 წლის გეგმით 200 კვალიფიციური მუშა უნდა მოემზადებინა, ფაქტიურად კი 14 კაცი მოამზადა. ტექმინიმუმის წრეებში 52 კაცი სწავლობს, მაშინ როცა გეგმა 250 კაცს ითვალისწინებდა, ამასთან მეცადინეობაზე დასწრება 50-60 პროცენტს არ აღემატება. ამავე დროს კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობის გამო ქარხნის დაზგათა პარკი გამოყენებულია მხოლოდ 40-50 პროცენტით.

მუშათა კადრების მომზადების მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში, ლითონის კონსტრუქციების ქარხანასა და სხვა საწარმოებშია.

ზოგი კვალიფიციური მუშის შრომას სრულიად არასაკმარისად იყენებენ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში დაზგების არადროული რემონტის, ინსტრუმენტის უქონლობის და მასალებით ცუდად მომარაგების გამო კვალიფიციური მუშების ნაწილი სისტემატურად ვერ ასრულებს ნორმებს და დაბალ ხელფასს იღებს. ამწყობი საამქროს მე-7 თანრიგის ზეინკალმა ამხ. ქვათაძემ თებერვალში 218 მანეთი გამოიმუშავა. ეს იმიტომ, რომ მას სამუშაოს არ აძლევდნენ. ამავე მიზეზით იმავე საამქროს მე-6 თანრიგის მესპილენძე ამხ. რეშეტკოვ იანვარში 101 მანეთი გამოიმუშავა. ავტოსარემონტო ქარხნის საამწყობო საამქროს მე-4 თანრიგის ზეინკალმა ამხ. იარალოვმა იმ მიზეზით, რომ იგი სამუშაოთი და მასალებით არ უზრუნველჰყვეს, იანვარში 40 მანეთი გამოიმუშავა, ხოლო ზეინკალმა ამხ. სარქისოვმა—95 მანეთი და 13 კაპიკი.

გასაგებია, რომ თუ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გადამწყვეტი ზომები არ მივიღეთ, ჩვენს საწარმოებს დიდხანს ექნებათ სერიოზული სიძნელენი მუშახელის მხრივ.

საჭიროა ახალი ძალით გავაჩაღოთ სტახანოვური მოძრაობა და სოციალისტური შეჯიბრება მუშათა შორის, სისტემატურად გავავრცელოთ მოწინავე სტახანოველთა და რაციონალიზატორთა გამოცდილება და გავწიოთ მისი პოპულარიზაცია. ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს ჩვენმა პრე-

სამ, რომელიც, აქვე უნდა ითქვას, უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ კარგად აშუქებდა შეჯიბრების საკითხებს, მაგრამ ამ ბოლო დროს რატომღაც აღარ ბეჭდავს ასეთ მასალებს.

კვარტალური გეგმების შეუსრულებლობის საერთო ციფრებმა არ უნდა დაჩრდილონ ცალკეულ საწარმოთა კარგი მუშაობა.

არის ბევრი ქარხანა და ფაბრიკა, რომლებიც პროგრამას ასრულებენ და სანიმუშოდ აწყობენ წარმოებას. ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა.

სამხედრო შეკვეთების შეწყვეტის შემდეგ, კიროვის სახელობის ქარხანა ერთხანს ცუდად მუშაობდა. 1945 წლის ოქტომბრამდე იგი დაზგების გამოშვების გეგმას ვერ ასრულებდა. გასული წლის ოქტომბრიდან ქარხანა უკვე გადაჭარბებით ასრულებს გეგმას. ქარხნის ხელმძღვანელებმა დირექტორ ამხ. ხვედელიანის მეთაურობით სერიოზული ღონისძიებები გაატარეს მეოპერაციე მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, დაზგებს გაუკეთეს მაღალნაყოფიერი მოწყობილობანი. მოაწყეს ნაკადური ხაზები რთული დეტალების დასამზადებლად. ამასთან ქარხნის პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა შესძლეს სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებათ წამყვანი პროფესიების თითქმის ყველა მუშა. ყოველივე ამის შედეგად ქარხანამ წარმატებით შეასრულა შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი და პირველ კვარტალში 79 დაზგა გამოუშვა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 74-სა.

მარტო იანვარში ქარხანამ 20 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგა. 1944 წელს „დიპ—300“ დაზგის თვითღირებულება 72.000 მანეთს შეადგენდა, გეგმით გათვალისწინებული 41.700 მანეთის ნაცვლად. 1945 წლის დეკემბრისათვის ქარხანამ მიაღწია დაზგის თვითღირებულების შემცირებას 40.600 მანეთამდე.

ქარხანაში გაიზარდნენ მოწინავე სტახანოველები, რომლებიც დღიურ დავალებებს მრავალჯერ გადაჭარბებით ასრულებენ. მაგალითად: ზეინკალი ამხ. ივანე ფირცხალავა გეგმას 500 პროცენტით ასრულებს; მჭედელი ამხ. ლუგანსკი აგრეთვე 4-5 ნორმას ასრულებს; ხარატმა ამხ. პეტლიაევმა ორიგინალური მოწყობილობათა გამოყენების გზით მიაღწია ცვლის დავალებათა ყოველდღიურად 400 პროცენტით შესრულებას; ამწყობი ზეინკალი ამხ. სვანი ნორმას 450-500 პროცენტით ასრულებს.

ქარხანაში დიდი მუშაობა სწარმოებს შრომატევადი პროცესების რაციონალიზაციისათვის ახალ გაუმჯობესებულ მოწყობილობათა დასანერგავად. ქარხნის დირექტორის ამხ. ხვედელიანისა და მთავარი ტექნოლოგის ამხ. შარაფიანის წინადადებით გამოყენებულ და ათვისებულ იქნა კბილანების გაწევის მეთოდი, რამაც შესაძლებელი გახადა ხუთ წუთში შესრულდეს ისეთი სამუშაო, რომელსაც წინათ სატეხ დაზგაზე 2 საათი სჭირდებოდა. სპეციალისტების წინადადებით—„დიპ—300“ დაზგის ზემო ნალოს ხელით ხეხვა, რაზედაც 1,5 საათამდე დრო იხარჯებოდა, შეიცვალა დაზგაზე ხეხვით. ამ ოპერაციას ახლა სულ 25-30 წუთი სჭირდება.

ქარხნის კოლექტივი მიღწეულით არ უნდა დაკმაყოფილდეს. ქარხანაში კიდევ არის ბევრი გამოუყენებელი შესაძლებლობა. საჭიროა კიდევ უფრო ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, განვახორციელოთ წარმოების პროცესების კიდევ უფრო მეტი რაციონალიზაცია. მეორე კვარტალიდან ქარხანას საწარმოო პროგრამა თითქმის ერთიორად უდიდდება. ქარხანამ ასეთ პროგრა-

მას თავი რომ გაართვას, საჭიროა უახლოეს ხანში დაამთავროს მიღებული მოწყობილობის დადგმა, შეაგროვოს და მოამზადოს დანაკლისი მუშახელი.

თბილისში არსებობს აგრეთვე მეორე პატარა დაზგათმშენებელი ქარხანა, რომელსაც ეწოდება „დაზგა". წინათ ეს ქარხანა პროგრამას ვერ ასრულებდა. ომის წლებში ქარხნის დირექტორად დაინიშნა ამხ. ბოკერია, წარმოების ინჟინერი. მოკლე ხნის განმავლობაში ამხ. ბოკერიამ მოახერხა შეევსო ქარხანა 20 თანამედროვე დაზგით, შეეკეთებინა და აღედგინა მთელი მისი ძველი მოწყობილობა.

1944 წელს გამოშვებულ იქნა 155 ჭანჭიკსაჭრელი დაზგა, მაშინ როცა გეგმა 150-ს ითვალისწინებდა, ხოლო 1945 წელს—161 დაზგა და ამავე დაზგების „ლენდისის" ტიპის 66 კუთხვილსაჭრელი თავი. 1946 წლის იანვარში ქარხანამ 16-ის ნაცვლად 17 დაზგა გამოუშვა.

1943 წელს ქარხანა „დაზგას" 614.000 მანეთი ზარალი ჰქონდა, 1945 წელს კი მან 350.000 მანეთი დაგროვება მოგვცა.

ქარხანა „დაზგა" იმის მაგალითს გვიჩვენებს, თუ რა რენტაბელურად და ნაყოფიერად შეუძლია მუშაობა პატარა საწარმოსაც კი უნარიანი ხელმძღვანელობით.

კარგად მუშაობს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს 26 კომისრის სახელობის მანჭანათმშენებელი ქარხანა. 1940 წლიდან დაწყებული, იგი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს პროდუქციის გამოშვების გეგმებს. მიუხედავად სამხედრო შეკვეთების შეწყვეტისა და ამასთან დაკავშირებული სიძნელეებისა, 1945 წელს ქარხანამ გამოუშვა 12.526 ათასი მანეთის პროდუქცია ანუ გეგმის 101,8 პროცენტი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში პროდუქციის გამოშვება შეადგენს 2.776 ათას მანეთს, ანუ გეგმის 102,6 პროცენტს.

შარშან ქარხანამ აითვისა მცირე სიმძლავრის ჰიდროტურბინების წარმოება და 39 ასეთი ტურბინი გამოუშვა. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლების ელექტროფიკაციის საქმისათვის.

26 კომისრის სახელობის ქარხნის წარმატებანი მნიშვნელოვანწილად აიხსნება დირექტორის ამხ. მელაძის კარგი მუშაობით. მან თავი გამოიჩინა, როგორც უნარიანმა, მზარდმა სამეურნეო მუშაკმა.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა. ქალაქის ეს უძველესი საწარმო უკვე რამდენიმე წელია ვერ ასრულებს გეგმას თავისი ძირითადი პროდუქციის — ორთქლმავლებისა და ვაგონების რემონტის ხაზით. ქარხნის ახალი უფროსი ამხ. მამაცაშვილი ბევრს ცდილობს, რომ ქარხანა მძიმე მდგომარეობიდან გამოიყვანოს. ერთგვარი გაუმჯობესება შესამჩნევია, მაგრამ ქარხანა მაინც ჯერ კიდევ ჩამორჩენილია.

ქარხნის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის ძირითადი მიზეზია დაბალი შრომითი და საწარმოო დისციპლინა, დამამზადებელ საამქროთა სუსტი მუშაობა, რის შედეგადაც არასოდეს არ არის ორთქლმავლებისა და ვაგონების დეტალების საჭირო ნამზადი, დაბალია შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი, რაც იწვევს მათს განმეორებითს შესრულებას. ქარხნის ხელმძღვანელობას, პარტიის საქალაქო კომიტეტსა და ლენინის რაიკომს ბევრი მუშაობა მოუხდებათ იმისათვის, რომ საბოლოოდ გამოიყვანონ ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა გარღვევიდან.

ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში მუშაობენ ცნობილი სტახანოველები, სოციალისტური შრომის ნამდვილი ოსტატები: წარჩინებული მეკვაბე ამხ. გეწაძე, ზეინკალი ამხ. შინჯიკაშვილი, ხარატი ამხ. მამაგეიშვილი, შემდუღებელი ამხ. ნადირაძე, ხარატი ამხ. კოჩეტკოვი, მჭედელი ამხ. ილურიძე, რომლებიც დავალებებს ერთისამად-ერთიოთხად გადაჭარბებით ასრულებენ. მათი მაგალითების ძიწედვით უნდა მივაღწიოთ სხვა მუშების შრომის ნაყოფიერების გადიდებას. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ბევრი უნდა იმუშაონ ქარხნის პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა.

მეტად ცუდად მუშაობს გზათა სამინისტროს თბილისის ელექტროტექნიკური ქარხანა. პირველი კვარტალის გეგმა მან სულ 33,4 პროცენტით შეასრულა. 1945 წელს ქარხანამ აჩვენა საწარმოო გეგმის შესრულება 46,8 პროცენტით, მაგრამ ეს გაზვიადებული აღმოჩნდა: გეგმის შესრულებაში ჩათვლილ იქნა ფართო მოხმარების საგნების ღირებულება 1.150 ათასი მანეთის რაოდენობით. მაგრამ, როგორც ირკვევა, ამ ფართო მოხმარების საგნების მოხმარება არავის არ შეუძლია: ქარხნის მიერ გამოშვებული სანთიები არ ენთება, ხოლო დანა არაფერს სჭრის. (სიცილი). მთელი ეს წუნდებული პროდუქცია საწყობში ძევს და მისი რეალიზაცია შეუძლებელია.

ქარხნის ყოფილი უფროსი ამხ. სოსელია თბილისის საქალაქო კომიტეტის გადაწყვეტილებით მოხსნილ იქნა თანამდებობიდან მუშაობის ჩაშლისა და თვალისაზვევისათვის.

საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა მუშაობის საერთო ნაკლს წარმოადგენს გეგმის შეუსრულებლობა ნატურალური პროდუქციის მხრივ. თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკამ, რომელმაც 1945 წელს გეგმა საერთო პროდუქციის მხრივ 107 პროცენტით შეასრულა, ქსოვილების გამოშვების პროგრამა მეტრაჟის მხრივ შეასრულა მხოლოდ 84 პროცენტით. მან სახელმწიფოს 210 ათას მეტრზე მეტი ქსოვილი დააკლო. კიდევ უფრო ცუდი მაჩვენებლები აქვს თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას. 1945 წელს ფაბრიკამ გეგმა ფულადი გამოხატულებით 101.9 პროცენტით შეასრულა, ხოლო ამავე დროს ქვეყანას 570 ათას მეტრზე მეტი აბრეშუმის ქსოვილი დააკლო. ამასთან ერთად მან უხეშად დაარღვია პროდუქციის დაგეგმილი ასორტიმენტი.

საფეიქრო მრეწველობის სამინისტრომ და პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯეროვანი საწარმოო დისციპლინა უნდა დაამყარონ საფეიქრო საწარმოებში, კარგად მოაწყონ დაზგების პროფილაქტიკური რემონტი და აღმოფხვრან მათი გაცდენები, მიაღწიონ სამუშაო ადგილის უკეთეს მომზადებას და საწარმოების ნედლეულითა და დამხმარე მასალებით თანაზომიერ მომარაგებას. საჭიროა ყურადღების ცენტრში დავაყენოთ აგრეთვე ბრძოლა საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის ხარისხის სისტემატური გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის.

ჩვეულებრივად პირველი კვარტალი მრეწველობის მუშაობისათვის მძიმე კვარტალად ითვლება. შემდგომ სამ კვარტალში ქალაქ თბილისის მრეწველობამ უნდა უზრუნველჰყოს საწარმოო პროგრამის არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულება. (ტაში).

IV

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიან გეგმაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ქალაქების კომუნალურ და საბინაო მშენებლობას.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში კაპიტალური დაბანდებანი ქალაქების კომუნალური მეურნეობისათვის დაგეგმილია 70 მილიონი მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან 60 პროცენტზე მეტი უნდა მოხმარდეს თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომ განვითარებას. საბინაო მშენებლობა ადგილობრივი საბჭოების ხაზით დაგეგმილია 35.000 კვადრატული მეტრის რაოდენობით, აქედან სულ მცირე 25 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი თბილისში აშენდება.

გარდა ამ თანხებისა ქალაქ თბილისის საბინაო-კომუნალური მეურნეობისათვის ყოველწლიურად დაიხარჯება დაახლოებით 70-80 მილიონი მანეთი, საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის ანარიცხების ანგარიშით და ეგრეთწოდებული ლიმიტგარეშე დანახარჯებისა და საოპერაციო ხარჯების ანგარიშით.

საბოლოოდ დამუშავებული ხუთწლიანი გეგმა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს ჯერ კიდევ არა აქვს. მიუხედავად ამისა, უკვე დასახულია ძირითადი საშუალოები, რომლებიც ხუთწლედში უნდა შესრულდეს.

ძირითადი ამოცანები, რომლებიც მიმდინარე ხუთწლედში უნდა გადაწყვიტოთ, შემდეგია:

1. ქალაქის მოსახლეობისა და მრეწველობის სრული უზრუნველყოფა სასმელი და სამეურნეო წყლით, აგრეთვე ყველა პარკისა და სატყეო-კულტურული ნარგავების უზრუნველყოფა სარწყავი წყლით.

2. მოსახლეობისა და მრეწველობის სრული უზრუნველყოფა ელექტროენერგიით.

3. გაუმჯობესებული საფარველის მოწყობა ძირითად ქუჩებზე, ზოგიერთი ქუჩის რეკონსტრუქცია, სანაპიროთა მშენებლობის განგრძობა.

4. საბინაო და სააგარაკო მშენებლობის ჩატარება რაც შეიძლება ფართო მასშტაბებით.

5. საკანალიზაციო და ღვარსაშვები მეურნეობის გაფართოება და გაუმჯობესება.

6. გამწვანებულ სამუშაოთა განგრძობა იმ ანგარიშით, რომ ქალაქის ფარგლებში შეიქმნას მწვანე ნარგავთა ახალი მნიშვნელოვანი ფართობი.

კონკრეტულად ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ ვფიქრობთ გადავჭრათ ეს ამოცანები.

1933 წლამდე ქალაქს მხოლოდ ავჭალის წყალსადენი ჰქონდა და წამში 250 ლიტრ წყალს იღებდა. ნატახტარის წყალსადენის აგებით წყლის მიღება 6-ჯერ გადიდდა. ამჟამად ქალაქი წამში 1.550 ლიტრ წყალს იღებს. მაგრამ ყველამ იცით, რომ წყლის ეს რაოდენობაც თბილისისათვის საკმარისი არ არის. ზაფხულის თვეებში ჩვენ იძულებული ვართ შევზღუდოთ წყლის მოხმარება და საათობით გამოვრთოთ ზოგიერთი რაიონი. იმისათვის, რომ ძირფესვიანად გაუმჯობესდეს ქალაქის წყალმომარაგება, 1945 წლიდან უკვე შენდება ახალი წყალსადენი. მისი ექსპლოატაციად გადაცემის შემდეგ თბილისისათვის წყლის მიწოდება თითქმის ერთიორად გადიდდება. ეს იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე ათეული წლით ჩვენ შევძლებთ სავსებით უზრუნველვყოთ წყლით ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილება.

თბილისის საქალაქო აღმასკომმა და მშრომელთა დეპუტატების რაიონულმა საბჭოებმა დიდი მუშაობა უნდა გასწიონ იმისათვის, რომ მოამზადონ პირობები ახალი წყალსადენიდან წყლის მისაღებად. საჭიროა ხუთწლე-

დის განმავლობაში სავსებით შევცვალოთ წყალსადენის ქსელის მოძველებული ნაწილი და, გარდა ამისა, ქალაქის იმ რაიონებში, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან წყლით, გავიყვანოთ სულ მცირე 20 კილომეტრის სიგრძის ახალი მაგისტრალი და 40 კილომეტრამდე განმანაწილებელი ქსელი, ავაგოთ რამდენიმე დიდი რეზერვუარი და სატუმბავი სადგური.

ქალაქი უზრუნველყოფილ უნდა იქნას აგრეთვე სარწყავი წყლით. მიუხედავად სასმელი წყლის მიწოდების გადიდებისა, ჩვენ არ შეგვიძლია დიდი რაოდენობით ვხარჯოთ იგი სარწყავად. ამჟამად ქალაქის სარწყავ-ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენის სიმძლავრე წამში 170 ლიტრს უდრის. ეს სრულებითაც არ არის საკმარისი რწყვის მიზნებისათვის. ქალაქისა და მისი გარეუბნების გამწვანება წარმოუდგენელია ურწყავად. ამიტომ სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სარწყავი წყლის ახალი წყაროების გამონახვას.

ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი ობიექტი იქნება წყალსაცავი პატარა მდინარე ლელეთახევზე, ანუ, როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ, დაბახანის წყალზე კოკჯრის გზატკეცილის ხიდის ახლოს. კაშხალის აგებით, რომელიც გზატკეცილის ხიდს შეუერთდება, მდინარის ხეობაში დაკავებული იქნება წვიმის წყლები. წყალსაცავის სასარგებლო მოცულობა წინასწარი გამოანგარიშებით 2 მილიონამდე კუბურ მეტრს შეადგენს. მისი მნიშვნელოვან სიმაღლეზე მდებარეობა უზრუნველჰყოფს იმას, რომ სარწყავი წყალი თვითდინებით მივაწოდოთ ოქროყანას, სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკს, ბოტანიკურ ბაღს, მთაწმინდის ფერდობებს, ვაკეს და ყველა პარკს, რომლებიც ქალაქის მარჯვენა ნაწილში მდებარეობენ. ამ წყალსაცავში დაგროვებული წყალი საკმარისი იქნება 600-700 ჰექტარი მწვანე ნარგავების მოსარწყავად.

ქალაქის და სათანადო სამინისტროების მსხვილ საწარმოთა ხელმძღვანელებს უნდა მოვთხოვოთ, რომ შესწყვიტონ სასმელი წყლის გამოყენება სამრეწველო საჭიროებისათვის. ისეთმა საწარმოებმა, როგორიც არის მაუდის ფაბრიკა, კიროვის სახელობის ქარხანა, ავტოსარემონტო ქარხანა, წყალსატუმბავები უნდა ააგონ და სამრეწველო წყალი მტკვრიდან აიღონ.

დიდი მუშაობა უნდა ჩატარდეს ქალაქში კანალიზაციის გასაფართოებლად. თქვენ იცით, რომ ზოგიერთ რაიონს, როგორიც არის საბურთალო, ვაკე, ნაძალადევი, ჯერ კიდევ არა აქვს განვითარებული კანალიზაცია. ამ ხარვეზის შესავსებად დასახულია კანალიზაციის ქსელის გადიდება სულ მცირე 20-25 კილომეტრით. 25-30 კილომეტრზე უნდა შეიცვალოს კანალიზაციის ძველი ამორტიზებული ქსელი.

განსაკუთრებით სერიოზული ღონისძიებები დასჭირდება ღვარსაშვებთა მშენებლობას. ჩვენი ქალაქი დასერილ ადგილზე მდებარეობს და მოქცეულია მთებს შუა. ეს იწვევს დიდი სამშენებლო მუშაობის ჩატარების საჭიროებას ნიაღვრის წყლის გადასაშვებად.

პირველი სამი ხუთწლედის განძილზე რეკონსტრუირებულ და აგებულ იქნა რამდენიმე დიდი ღვარსაშვები, აგებულ იქნა 40-ზე მეტი ღვარსამღობი და უფრო ნაკლები სიდიდის მილები.

საჭიროა შემდგომშიც ვაწარმოოთ სერიოზული მუშაობა ღვარსაშვები მეურნეობის ხაზით. უახლოეს 2-3 წელიწადში უნდა აშენდეს ღვარსაშვები საბჭოს ქუჩაზე, 1.700 მეტრი სიგრძისა და წამში 25 კუბური მეტრის გამტარ-

უნარიანობისა. ნაგებობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 3 მილიონ მანეთს შეადგენს.

უნდა აშენდეს აგრეთვე ღვარსაშვები ვარაზისხევში—400 მეტრი სიგრძისა, მოტორის ქუჩაზე სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანამდე — 650 მეტრი სიგრძისა და სხვ.

მიმდინარე ხუთწლედში ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ქალაქის მოსახლეობისა და მრეწველობის ელექტროენერგიით სრული უზრუნველყოფის საკითხი. ჰიდროსადგურები, რომლებიც რესპუბლიკაში შენდება, საშუალებას მოგვცემენ საკმაო რაოდენობით მივაწოდოთ ქალაქს ენერგია. მაგრამ მის მისაღებად საჭიროა ელექტრომეურნეობის რეკონსტრუირება და გაფართოება.

თქვენ იცით რა უბადრუკ მდგომარეობაში იყო ქალაქის მომარაგება ელექტროენერგიით ზაჰესის აგებამდე. თვით 1927 წლამდე თბილისი ყოველწლიურად იღებდა მხოლოდ 2.500 ათასამდე კილოვატსაათ ენერგიას, ხოლო 1945 წელს ქალაქს მიეცა 168.000 ათას კილოვატსაათი ენერგია.

ქალაქისათვის ელექტროენერგიის მიწოდება და მისი კომუნალური საჭიროებისა და მოსახლეობისათვის გამოყენება წლითიწლობით იზრდებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც განვიცდით ელექტროენერგიის დიდ ნაკლებობას და განსაკუთრებით ცუდად უზრუნველვყოფთ მით მოსახლეობას. ასეთი მდგომარეობის მიზეზია არა მარტო ელექტროენერგიის საერთო დეფიციტი რესპუბლიკაში, არამედ ისიც, რომ ქალაქის ელექტრომეურნეობას მთელი რიგი ვიწრო ადგილები აქვს, რის შედეგადაც მაშინაც კი, როცა ენერგია გვაქვს, ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას მივიღოთ იგი იმ რაოდენობით, რომ ამან უზრუნველჰყოს ქალაქის საჭიროება. უმთავრესად გვზღუდავს ძალოვან ტრანსფორმატორთა სიმძლავრე და საკაბელო ქსელის გამტარუნარიანობა.

უახლოეს ორ წელიწადში დაიდგმება ახალი სატრანსფორმატორო კიოსკები და გაყვანილ იქნება ახალი ხაზები იმ ვარაუდით, რომ ქალაქს შეეძლოს შეუზღუდავად მიიღოს ელექტროენერგია.

ტრამვაი-ტროლეიბუსის მეურნეობის დარგში უდიდესი სამუშაოებია: ტრამვაის ლიანდაგის გაყვანა ვაკეში ახალ სასაფლაომდე და ამასთან ქვესადგურის აგება, ტროლეიბუსის ხაზის გაყვანა საბურთალოში, გმირთა მოედნიდან სამედიცინო ქალაქამდე და ტრამვაის ახალი ხაზის გაყვანა მაუდის ფაბრიკიდან დიღმის ველისაკენ, შეძენილ უნდა იქნას სულ ცოტა 200 ტრამვაის ვაგონი და 50 ტროლეიბუსი.

გეგმით გათვალისწინებული იქნება: 5 დეკემბრის ქუჩის რეკონსტრუქცია 26 კომისრის რაიონში, ამასთან ტრამვაის ლიანდაგის გადაწყობა და მოპრიალტება; ახალი ქუჩის გაყვანა ვარაზის ხევზე, რომლითაც ერთმანეთს შეუერთდება გმირთა მოედანი და მარის ქუჩა უნივერსიტეტის შენობასთან. ამ მაგისტრალს უდიდესი მნიშვნელობა ექნება ქალაქთან ვაკის გაზრდილი რაიონის დასაკავშირებლად; ღრმადელე — ავჭალის გზატკეცილის რეკონსტრუქცია.

1946 წლიდან ჩვენ განვაახლებთ მუშაობას სანაპირო ქუჩის ასაგებად. პირველ რიგში აგებულ უნდა იქნას სანაპირო ქუჩა კარლ მარქსის სახელობისა და ელბაქიძის სახელობის ხიდებს შუა. მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

ქალაქის სწრაფმა ზრდამ ის გამოიწვია, რომ ჩვენს განკარგულებაში თითქმის აღარ მოიპოვება მნიშვნელოვანი სარეზერვო ფართობები ახალი

მშენებლობისათვის. ერთადერთი მოხერხებული დიდი მასივი, რომლის ხარჯზეც შეიძლება ქალაქი გაიზარდოს, არის დიღმის ველი. საჭიროა ეს ველი ქალაქს შეუერთდეს მტკვარზე ხიდის აგებით. ხიდი აგებულ იქნება დიდუბეში, იმ ადგილას, სადაც ახლა ბორანია.

საბინაო მშენებლობის დარგში სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს ინდივიდუალური მშენებლებისათვის დახმარების მოწყობა. მართალია, ამ ხუთწლედში ქალაქში აგებულ უნდა იქნას ბევრი საცხოვრებელი სახლი არა მარტო ქალაქის საბჭოს ხაზით, არამედ ისეთი საწარმოების მიერაც, როგორიც არის დიმიტროვის სახელობის ქარხანა, კიროვის სახელობის ქარხანა, მეტალურგიული ქარხანა, პლასტმასების ქარხანა და სხვები, მაგრამ მარტო ამით შეუძლებელია მივაღწიოთ მშრომელთა საბინაო პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

აუცილებლად საჭიროა ქალაქის აღმასკომის და სატყეო მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებში მოეწყოს სტანდარტული დეტალების წარმოება 2-3-ოთახიანი სახლებისათვის იმ ვარაუდით, რომ ეს დეტალები მიჰყიდონ მუშებს, მოსამსახურეებს, სპეციალისტებს, რომელთაც სურთ ბინა აიშენონ. მათ უნდა მიეცეთ აგური, ბეტონიტის ბლოკები, სახურავი, სანტექნიკური მასალები. უნდა მოგვარდეს აგრეთვე ასაწყობი სტანდარტული სახლების სრული კომპლექტების წარმოება.

ხუთწლიანი გეგმის კანონით გათვალისწინებულია ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ფართო დაკრედიტება. ეს კრედიტები მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული.

ხუთწლედის მანძილზე ქალაქში აშენდება რამდენიმე სკოლა, კინოთეატრი, საავადმყოფო, საბავშვო სახლები. თბილისს შეემატება ისეთი დიდი შენობები, როგორიც არის საქართველოს მთავრობის სახლის ფასადის კორპუსი რუსთაველის პროსპექტზე და საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის კომბინატის შენობა, ლენინის ქუჩაზე რუსთაველის ძეგლის წინ.

ჩვენი ქალაქის საუკეთესო სამკაული იქნება მწვანე ნარგავები. ძველი თბილისი ღარიბი იყო მწვანე ნარგავებით. 1933 წლამდე ქალაქის ქუჩებში 2.000-მდე ხე იყო. ხოლო პარკებსა და სკვერებს 40 ჰექტარი ეკავა. ქალაქში სულ 15.000-მდე ძირი ნარგავი ითვლებოდა. ამჟამად ჩვენ ქუჩებში და მოედნებზე 27.000 ხე გვაქვს. პარკებისა და სკვერების ფართობი კი 360 ჰექტარს აღემატება. 1933-დან 1945 წლამდე ქალაქში გახარებულია 2.000.000 ძირი ხე და ბუჩქი.

ლელვთახევში წყალსაცავის აგება იმის საშუალებას გვაძლევს, რომ ნარგავთა მთლიანი მასივი გავაშენოთ კოჯრის გზატკეცილის გაყოლებით მთელ იმ ფართობზე, რომელიც სტალინის სახელობის პარკისა და სოფელ ოქროყანის მომიჯნავეა.

უკვე სწარმოებს მუშაობა ვაკეში ახალი პარკის გასაშენებლად. ამ გაზაფხულზე პარკი 16 ჰექტარზე გაშენდება. შემდეგში მთლიანად უნდა დაიფაროს ტყით პარკის ზემოთ მდებარე მთის კალთები. გაფართოვდება აგრეთვე ზოოლოგიური პარკი მდინარე ვერის ორივე ნაპირზე.

ასეთია არასრული ნუსხა თბილისის საქალაქო მეურნეობის ძირითადი სამუშაოებისა, რომლებიც მომდინარე ხუთწლედში უნდა შესრულდეს. ამ სამუშაოთა განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქალაქის კომუნა-

ლური მეურნეობის მდგომარეობას. თბილისი კიდევ უფრო კეთილმოწყობილი და ლამაზი ქალაქი გახდება.

თბილისის პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც ამხანაგ ბერიას ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა გასწია ქალაქის რეკონსტრუქციის დარგში, ყველაფერს გააკეთებს, რათა ხუთწლიანი გეგმის დავალებანი საქალაქო მეურნეობის დარგში არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდეს. (ტაში).

V

საქალაქო მეურნეობის დარგში სამშენებლო სამუშაოთა პროგრამის შესასრულებლად საჭიროა მექანიზმებითა და მუშახელით უზრუნველვყოთ თბილისის საქალაქო აღმასკომის სამშენებლო ორგანიზაციები: ტრესტები „თბილისმშენი" და „ინჟმშენი" და საგზაო-სამშენებლო კანტორა.

სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა **ბერიამ** აღნიშნა, რომ საჭიროა ქალაქის აღმასკომის სამშენებლო ორგანიზაციების აღჭურვა და განმტკიცება. ამხანაგმა ბერიამ სთქვა, რომ ამ საქმეში ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული ქალაქში არსებულ საწარმოთა დახმარება.

ისეთი საწარმოების დირექტორებს, როგორიც არის დიმიტროვის სახელობის ქარხანა, კიროვის სახელობის ქარხანა, „ცენტროლიტი", 26 კომისრის სახელობის ქარხანა, ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა, შეუძლიათ და კიდევაც უნდა გაუწიონ სისტემატური დახმარება ქალაქის სამშენებლო ტრესტებს მექანიზმებისა და მოწყობილობის რემონტისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების დამზადებაში. ამასთან, რასაკვირველია, საჭიროა, რომ თბილისის საქალაქო აღმასკომმა ამ მიზნით უკეთ გამოიყენოს თავის საკუთარ საწარმოთა შესაძლებლობანი. ალბათ საჭირო გახდება ზოგიერთი საწარმო გადაეცეს სამშენებლო ტრესტებს, როგორც სარემონტო ბაზა.

სერიოზული ამოცანები დგას თბილისის საქალაქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების წინაშე. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თბილისის საქალაქო აღმასკომმა მთლიანად უზრუნველჰყოს თავისი თავი ადგილობრივი სამშენებლო მასალებით.

მაგრამ საქალაქო აღმასკომი ჯერ კიდევ ცუდად ხელმძღვანელობს სამშენებლო მასალების დამამზადებელ თავის საწარმოებს. აგურის ქარხნები მძიმე მდგომარეობაში არიან. მათი სიმძლავრე არასაკმარისად არის გამოყენებული. ძეგვის კირის ქარხანა, რომლის მშენებლობაც ჯერ კიდევ 1940 წელს დაიწყო, მთლიანად არ დამთავრებულა და არ მუშაობს. დღემდე ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციები და რაიონული საბჭოები ხშირად განიცდიან გაჯის ნაკლებობას.

ომამდე თბილისის საქალაქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების საწარმოები ყოველწლიურად უშვებდნენ 20-25 მილიონ ცალ აგურს. 1945 წელს კი გამოშვებულ იქნა მხოლოდ 4.100 ათასი ცალი. მიმდინარე წლისთვის აგრეთვე დაწესებულია მცირე გეგმა—10 მილიონი ცალი. თუ აგურის წარმოება ამ დონეზე დავტოვეთ, საკმედლე მასალით ვერ უზრუნველვყოფთ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ჩვენს მშენებლობებს.

საქალაქო აღმასკომის ყურადღება უნდა მივაპყროთ სამშენებლო მასალების წარმოებას. უახლოეს 2 წელიწადში აგებულ უნდა იქნას ახალი დიდი

აგურის ქარხანა, რომლის წლიური ნაყოფიერებაც სულ ცოტა 10-15 მილიონი აგური იქნება, და უზრუნველვყოთ არსებული აგურის, კირისა და გაჯის ქარხნების მთელი სიმძლავრით მუშაობა.

მშენებლობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დროულად შედგენას. თბილისის საქალაქო აღმასკომის სისტემას მრავალი ნაკლი აქვს საპროექტო საქმის მოწყობაში. პროექტების შედგენა ჭიანურდება. ძალიან ხშირად ნაგებობათა დაპროექტება ხდება სიმტკიცის უზომო მარაგით, რაც ზედნადებ ხარჯებად აწვება სახელმწიფოს. ზოგჯერ ხარჯთაღრიცხვას მას შემდეგ ადგენენ, რაც ობიექტის მშენებლობა უკვე დამთავრებულია. სწორედ ეს იწვევს გადახარჯვის მიჩქმალვას.

უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ჩვენი საცხოვრებელი და სხვა შენობების არქიტექტურას. ქალაქში საუცხოო არქიტექტურის ბევრი ახალი შენობა გვაქვს. მაგრამ მათთან ერთად აგებულია შენობები, რომელთა არქიტექტურა ყოვლად გაუმართლებელია. ზოგიერთი ჩვენი არქიტექტორი, ჩვენი მომწიფებული ხელოვნების შესაფერი დინჯი ფორმების ნაცვლად გვაწვდის ახუხულავებულ მოცულობებს და უცნაურად ტეხილ, ზოგჯერ კი თითქმის ყრუ მძიმე ფასადებს. ყოველივე ეს, გარდა იმისა, რომ შენობების გარეგნობას ამახინჯებს, იწვევს აგრეთვე სადგომთა არარაციონალურ განლაგებას, მათს ხელოვნურ დაბნელებას და სხვა უხერხულობას.

თბილისში ბევრი ნიჭიერი არქიტექტორი მუშაობს. მთავარი საარქიტექტურო სამმართველო სათავეში უნდა ჩაუდგეს მათს მუშაობას და მიაღწიოს იმას, რომ ახალი ობიექტების დაპროექტება ხდებოდეს საქმის ცოდნით, ლამაზად და მაქსიმალური მოხერხებულობით.

მუშაობა თბილისის საქალაქო მეურნეობის დარგში მომდინარე წლიდანვე მნიშვნელოვნად **ძლიერდება.**

საჭიროა წელს დავამთავროთ დიდი საცხოვრებელი სახლის აგება პლეხანოვის პროსპექტისა და ჟორესის ქუჩის კუთხეში, რაც 4 მილიონ მანეთამდე დაჯდება, უნდა შევცვალოთ წყალსადენის სულ ცოტა 15 კილომეტრი ამორტიზებული განმანაწილებელი ქსელი და ფართოდ გავაჩაღოთ ქუჩებისა და გზების მშენებლობა. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საბინაო ფონდის რემონტს. მთლიანად უნდა ავითვისოთ სახსრები, რომლებიც გათვალისწინებულია საცხოვრებელი სახლების როგორც მიმდინარე, ისე კაპიტალური რემონტისათვის.

მიღებულ უნდა იქნას სერიოზული ღონისძიებანი საქალაქო მეურნეობის მუშახელით უზრუნველყოფისათვის. თბილისის საბჭოს აღმასკომს შესაძლებლობა აქვს უკეთ მოაწყოს მშენებელი მუშების სასურსათო მომარაგება და აანაზღაუროს მათი შრომა გადიდებული განაკვეთების მიხედვით. ამით იქმნება ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ ქალაქის მშენებელ ორგანიზაციებსა და რაისაბჭოების სარემონტო კანტორებში მოვიზიდოთ და შევინარჩუნოთ მუშები. ჩვენ განზრახული გვაქვს მუშების ნაწილი რაიონებიდან ჩამოვიყვანოთ, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ იმ დროს, როდესაც ჩვენი კოლმეურნეობები დატვირთული არიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებით, სოფლიდან მუშახელის დიდი რაოდენობით წამოყვანა მიზანშეუწონელი და შეუძლებელია. ამიტომ საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ სამშენებლო ორგანიზაციებს დახმარება გაუწიონ ქალაქის მოსახლეობიდან მუშახელის შეგროვებაში.

VI

1946 წლის 9 თებერვლის თავის ისტორიულ სიტყვაში ამხანაგმა **სტალინმა** ჩვენი ქვეყნის მეცნიერებს დიდი ამოცანები დაუსახა მეცნიერების განვითარების საქმეში:

„ეჭვი არ მეპარება, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა,—რომ თუ ჯეროვან დახმარებას გავუწევთ ჩვენს მეცნიერებს, ისინი შესძლებენ არა მარტო დაეწიონ, არამედ უახლოეს დროში კიდევაც გადაჭარბონ მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ“.

მალე ამას მოჰყვა საკავშირო მთავრობის დადგენილება მეცნიერ მუშაკთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ამ დადგენილების თვითეული პუნქტი წარმოადგენს საბჭოთა მეცნიერების განვითარებისათვის, საბჭოთა მეცნიერთათვის ამხანაგ **სტალინის** უდიდესი ზრუნვის გამოხატულებას. დადგენილების თანახმად მეცნიერ მუშაკთა ხელფასი ბევრად დიდდება. მეცნიერთათვის დადგენილია სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგების დიდი ნორმები. დიდ ქალაქებში, მათ შორის თბილისშიც მიმდინარე წელს მეცნიერთათვის აგებულ იქნება თითო საცხოვრებელი სახლი, რომლებშიც იქნება 30-40 ხუთოთახიანი ბინა.

პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებულ ზრუნვას საქართველოს მეცნიერებმა უნდა უპასუხონ სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებით. აუცილებელია მეცნიერთა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობა დაექვემდებაროს ახალი, ომისშემდგომი მშენებლობის ამოცანებს, ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი სამეურნეო და კულტურული აყვავების ამოცანებს.

საქართველოს მეცნიერებამ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. ჩვენ გვაქვს მეცნიერული აზრის დიდი ცენტრი რესპუბლიკაში — მეცნიერებათა აკადემია თავისი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებით, ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობს. ჩვენ ნიჭიერ და მაღალგანათლებულ მეცნიერთა მრავალრიცხოვანი კადრები გვყავს.

მაგრამ სამეცნიერო მუშაობის დარგში საქართველოში ჯერ კიდევ არის სერიოზული ხარვეზები. მეცნიერებამ ჩვენში, თუ შეიძლება ასე ითქვას, რამდენადმე ცალმხრივი განვითარება მიიღო. მაშინ, როცა ისტორიამ, ლინგვისტიკამ, ფიზიოლოგიამ, მათემატიკამ, დიდი ნაბიჯი წასდგეს წინ, ისეთი მეცნიერებანი, როგორიც არის ფიზიკა, ქიმია, ძლიერ ჩამორჩნენ. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე რომ ჩვენს ახალგაზრდა მეცნიერებათა აკადემიაში ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილება ჯერ კიდევ სუსტია და შესაფერი ყურადღებითა და დახმარებით ვერ სარგებლობს.

ჩვენ დიდი სიყვარულით ვეპყრობით მეცნიერების ყველა დარგს და ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს მათს შემდგომ განვითარებას. მაგრამ ამავე დროს ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელებს უნდა მოვთხოვოთ სერიოზულად იბრუნონ პირი ტექნიკური მეცნიერებებისაკენ, მატერიალური სახსრები, რომლებსაც სახელმწიფო უხვად გამოჰყოფს მეცნიერებისათვის, მნიშვნელოვანწილად უნდა მოხმარდეს ტექნიკურ მეცნიერებათა გაძლიერებასა და განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეცნიერთა ახალი კადრების აღზრდას ქიმიის, ფიზიკის, ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში. საჭიროა ფართოდ შემოვიღოთ კვალიფიკაციის ასამაღ-

ლებლად ახალგაზრდა მეცნიერთა გაგზავნა მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, დონბასში, ურალის სამრეწველო ცენტრებში. უახლოეს წლებში უნდა აღვზარდოთ მეცნიერთა — მეტალურგთა, ქიმიკოსთა, ფიზიკოსთა, კონსტრუქტორთა მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებმაც წინ უნდა წასწიონ ჩვენი მზარდი მრეწველობა.

ჩვენს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში ჯერ კიდევ არის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემების არჩევისადმი არასახელმწიფოებრივი მიდგომის შემთხვევები. ჯერ კიდევ სათანადო კონტროლი არ ეწევა მეცნიერთა მუშაობას. გეგმით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი თემები ხშირად არ სრულდება და ერთი წლიდან მეორეში გადადის. მაგალითად, მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტი 1943 წლიდან 1945 წლის დამლევამდე ამუშავდება როგორც გარდამავალს, ასეთ, თითქოს მარტივ თემას: „კაკლის ნაჭუჭის საღებავის ქიმიური გამოკვლევა“. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში 1944-დან 1945 წელში გადმოვიდა ხუთი თემა, სულ კი რვა თემა მუშავდებოდა.

შესრულებულ თემებს ყოველთვის როდი უდგენენ ხოლმე ინსტიტუტებს წერილობითი ნაშრომების სახით. უცნაურია, მაგრამ ადმინისტრაცია ასეთ შემთხვევებში კმაყოფილდება იმ მეცნიერი თანამშრომლის განცხადებით, რომელიც თემას ამუშავებდა, ანდა განყოფილების გამგის განცხადებით, თემა ნამდვილად შესრულებულიაო.

სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებათა მუშაობა უნდა გარდაიქმნას ახალი ამოცანების შესაბამისად. საჭიროა უფრო მკაცრად მივუდგეთ ინსტიტუტების სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა თემატიკის შედგენას. ყოველივე ის, რაც ნაძალადევად მოგონილი და ზედმეტია, გეგმებიდან უნდა ამოვიღოთ. ამასთან ბოლო უნდა მოეღოს უზომო შეთავსებებს მეცნიერთა მუშაობაში. საჭიროა აგრეთვე მკაცრად მივუდგეთ სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მინიჭების საკითხებს.

უეჭველია, რომ საქართველოს მეცნიერები თავიანთ მუშაობას აიყვანენ დიადი საბჭოთა სამშობლოს ომისშემდგომი განვითარების ამოცანების დონეზე და გაამრავლებენ თავიანთ მიღწევებს მეცნიერების ყველა დარგში, განსაკუთრებით ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში.

VII

ომისშემდგომი ხუთწლედის გრანდიოზული გეგმების შესრულება პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოებისაგან მოითხოვს კვალიფიციურ ხელმძღვანელობას, უაღრეს სიზუსტესა და ოპერატიულობას მუშაობაში.

საჭიროა ყოველდღიური ზრუნვა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ზოგიერთ პროდუქტზე საბარათო სისტემის მომავალ გაუქმებასთან დაკავშირებით, ვაჭრობის საკითხებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საჭიროა უკეთ დავაყენოთ ფართო მოხმარების საგნების წარმოების სასურსათო და სამრეწველო საქონლის დამატებითი რესურსების გამონახვისა და შექმნის საქმე. საბჭოთა ადამიანს, რომელმაც ომის მძიმე გაჭირვება გადაიტანა, უფლება აქვს მოითხოვოს თავისი კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროების მაქსიმალური დაკმაყოფილება. პარტიულმა ორგანიზაციებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ მშრომელთა ცხოვრების

გაუმჯობესებისათვის მუდმივი ზრუნვა მათი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა მიმდინარე ხუთწლედში.

პარტიული ორგანიზაციები სისტემატურ მუშაობას უნდა ეწეოდნენ, რათა განუმარტონ მშრომელთ ხუთწლიანი გეგმის საფუძვლები და დარაზმონ ისინი მთრიგი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების შესასრულებლად. თავიანთი მასობრივი და ორგანიზატორული მუშაობით ისინი უნდა უზრუნველყოფდნენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის მიმდინარე გეგმების აუცილებლად მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

საქართველოში ყველა პირობა მოგვეპოვება იმისათვის, რომ ღირსეულად, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ ახალი ხუთწლედის დავალებანი. ჩვენმა ხალხმა გაიარა ბრძოლისა და მშენებლობის შესანიშნავი სკოლა სახელოვანი სტალინელის, ბოლშევიკური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** ხელმძღვანელობით. (ტაში).

ჩვენი ხალხი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, დიდი **სტალინის** ყოველდღიური ყურადღებითა და დახმარებით სარგებლობს. ყოველივე ეს იმის მტკიცე რწმენას გვინერგავს, რომ ომისშემდგომი ხუთწლედის განხორციელებისათვის ბრძოლაში საქართველო მუდამ იქნება საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკათა შორის.

ახალი ხუთწლედის ყოველი თვე, ყოველი წელი გაზრდის საბჭოთა ქვეყნის ეკონომიურ და სამხედრო ძლიერებას. ჩვენი ძლევამოსილი სამშობლო მტკიცე რწმენით იცის წინ კომუნიზმისაკენ. ამის საწინდარია დიადი ბოლშევიკური პარტიის — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორის—ბრძნული ხელმძღვანელობა. ამის საწინდარია ჩვენი ხალხის ურყევი ერთიანობა და დარაზმულობა თავისი გენიალური მხედართმთავრისა და შორსმჭვრეტი ბელადის დიდი **სტალინის** გარშემო. (მჭუხარე ტაში).

ს. ჯელიძე

ვიბრძოლოთ მეოთხე ხუთწლედის პირველი წლის უხვი მოსავლისათვის

დიდი სამამულო ომის ძნელ წლებში ქართველი ხალხი, ვერაგ მტერზე—ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების რწმენით აღფრთოვანებული, დაუღალავ ბრძოლას და შრომას ეწეოდა. იგი წარმატებით ასრულებდა ხალხთა ბელადის გენერალისიმუს სტალინის დავალებებს. ომის წლებში საქართველოს კოლმეურნეობებმა შესძლეს საგრძნობლად გაედიდებინათ მარცვლეული და სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი ფართობი და მოსავლიანობა.

საქართველოს კოლმეურნეობები ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ჩაის, ციტრუსების ნაყოფის, ყურძნის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ჩაბარების გეგმებს.

სამამულო ომის გამარჯვებით დამთავრებისთანავე ჩვენი ქვეყანა შეუდგა ომისაგან მოყენებული ჭრილობების მოშუშებას; საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში, რაიონში, ქალაქსა და სოფელში, საწარმოსა და კოლმეურნეობაში გაჩაღდა გეგმიანი მუშაობა. სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დაიწყო ბრძოლა ომამდელი დონის აღდგენისა და შემდგომი წინსვლისათვის. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დიდი სამამულო ომის დამთავრებისთანავე სსრ კავშირმა შესძლო მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმიანად წარმართვა. საბჭოთა კავშირის ხალხების ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა ის გარემოება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა.

ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას. ხუთწლიანი გეგმის კანონის მიღებას ემთხვევა 1946 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანია. ხუთწლიანი გეგმის პირველი წლის დავალებათა შესრულება დიდად არის დამოკიდებული საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებაზე. ეს გარემოება კიდევ უფრო ადიდებს სოფლის მეურნეობის დარგის მუშაკთა პასუხისმგებლობას. სოფლის მეურნეობის მუშაკთა, სპეციალისტთა და კოლმეურნეთა ღირსების საქმეა ხუთწლიანი გეგმის პირველ წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღებისათვის დაუღალავი ბრძოლა და მუშაობა.

საქართველოს კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა თავის დროზე დაამთავრეს საგაზაფხულო თესვისათვის მზადება, იარაღ-მანქანების რემონტი და სათესლე მასალის ჩაყრა-გაწმენდა.

კოლმეურნეობათა დიდ ნაწილში მთელი ზამთრის განმავლობაში თავდადებული შრომა სწარმოებდა. ქართლში მზრალად ღრმად ხნავდნენ და

ნიადაგს ამზადებდნენ შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების უხვი მოსავლის მისაღებად; კახეთში ვენახებს ბარავდნენ და ნიადაგს მზრალად ხნავდნენ ყურძნისა და მარცვლეულის მოსავლის გასადიდებლად; დასავლეთ საქართველოს რაიონებში გულმოდგინედ ამუშავებდნენ ჩაის, ციტრუსების პლანტაციებსა და ბაღ-ვენახებს ხუთწლიანი გეგმის პირველ წელს ამ კულტურების მოსავლის—ჩაის ფოთლის, ციტრუსების ნაყოფის, ყურძნის და მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინის ჩვენი ქვეყნის მშრომელთათვის უხვად მიწოდების მიზნით.

საგაზაფხულო სამუშაოები რესპუბლიკის კოლმეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლით დაიწყო. გასულ წელს მარცვლეულის უხვი მოსავლის მიღებით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა წითელწყაროს რაიონმა წელს საქართველოს ყველა რაიონის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია; ყველა რაიონის კოლმეურნეობები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ყველგან დაიწყო დაძაბული შრომა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

მარცვლეულის, ჭარხლის, თამბაქოსა და სხვა ერთწლიანი კულტურების მაღალი მოსავლის მიღება დიდად არის დამოკიდებული საგაზაფხულო ხვნის თავის დროზე და მაღალხარისხობრივად ჩატარებაზე. წელს ეს მუშაობა თავის დროზე დაიწყო. ბევრი რაიონის კოლმეურნეობებმა, მათ შორის პირველმა წითელწყაროს რაიონმა დროულად დაამთავრეს საგაზაფხულო ხვნა.

დადგა თესვის დამთავრების დღეები. მთელმა რიგმა რაიონებმა უკვე დაამთავრეს თავთავიანი კულტურებისა და მზესუმზირის თესვა. გორის, ხაშურის, კასპისა და ქარელის რაიონებმა შემჭიდროებულ ვადებში და თავის დროზე შეასრულეს შაქრის ჭარხლის თესვის გეგმა; დაიწყო თამბაქოს ჩითილების გადარგვა; ნელი ტემპით მიმდინარეობს კარტოფილის და ბოსტნეულის თესვა.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში მოსავლის გადიდების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თესლბრუნვის შემოღებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი რაიონისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელები არ ითვალისწინებენ ამ გარემოებას, არღვევენ თესლბრუნვის მინდვრების განლაგების გეგმას, სათანადოდ არ აფასებენ ბალახების თესვას. მხოლოდ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბალახების თესვა ჩამორჩება და ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებს „სახჯიშფონდის“ ბაზებიდან დღემდე არ გაუტანიათ მათთვის განკუთვნილი ბალახის თესლიც კი.

მთელ რიგ რაიონებში საგაზაფხულო ხვნა-თესვა ნელი ტემპით მიმდინარეობს; ზოგან შესრულებულ სამუშაოთა ხარისხსაც არ აქცევენ ყურადღებას. ჩამორჩენა ძირითადად გამოწვეულია სატრაქტორო პარკისა და ცოცხალი გამწევი ძალის მუშაობის მოუწესრიგებლობით; ადგილი აქვს ტრაქტორებისა და გუთნეულის მოცდენის ხშირ შემთხვევებს. ქარელის მტს ყოველდღიურად 22 ჰექტარს ხნავს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 54 ჰექტარისა; კასპის მტს-ის ტრაქტორი სოფელ რენეს კოლმეურნეობაში ორ დღეს უქმად იდგა იმის გამო, რომ საწვავი არ მიუტანიათ. რუისის მტს-მა სოფელ ძლევისჯვრის კოლმეურნეობას 3 ჰექტარი სასიმინდე ნაკვეთი 10-12

სანტიმეტრის სიღრმეზე მოუხნა. ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს მთელ რიგ სხვა მტს-ებშიც.

საჭიროა გავაძლიეროთ ხვნა-თესვის ტემპები, არ დავუშვათ ტრაქტორებისა და გუთნეულის მოცდენა და ავამაღლოთ თვითეული ტრაქტორისა და გუთნეულის გამომუშავება. ამასთან ერთად უნდა გავაუმჯობესოთ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი, აღმოვფხვრათ ნიადაგის ზერელე — ხარვეზებით მოხვნისა და ნიადაგში თესლის ჩაუფლელად დატოვების შემთხვევები. საჭიროა ყველა კოლმეურნეობაში მივაღწიოთ იმას, რომ ერთწლიანი კულტურების თესვა დამთავრებულ იქნას აგროწესებით დადგენილ ვადებში.

ჩაის პლანტაციების საგაზაფხულო გადაბარვა რესპუბლიკაში უკვე დამთავრებულია; ბევრგან ეს მუშაობა ვადაზე ადრე და მაღალი ხარისხით ჩატარდა. დასასრულს უახლოვდება ციტრუსების, ბაღ-ვენახების ნიადაგის საგაზაფხულო დამუშავება. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საქმეშიც ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

გეგეჭკორის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჩაის პლანტაციების გადაბარვის ნაცვლად ჩაატარეს რიგებს შორის კავით დაბალხარისხოვანი გამოხვნა. გეგეჭკორისა და აბაშის რაიონების კოლმეურნეობებში ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში პირუტყვი თავისუფლად დაიარება და ნარგავებს აზიანებს.

მარცვლეულისა და სხვა მრავალწლიანი კულტურების მოსავლის გადიდება დიდად არის დამოკიდებული ორგანული და მინერალური სასუქების თავის დროზე გამოყენებაზე. მიუხედავად ამისა წელს სასუქის შეტანა ყველა კულტურის ქვეშ დაუშვებლად ჭიანურდება.

ორგანული სასუქის გატანის გეგმა ჯერ კიდევ შესრულებული არაა. ამ საქმეში ძალზე ჩამორჩნენ ბორჯომის, ყარაიის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანისა და მთელი რიგი სხვა რაიონები.

წელს მინერალური სასუქი დიდი რაოდენობით იქნა შეტანილი ყველა სუბტროპიკულ რაიონში. ფოსფოროვანი სასუქის ჩაის პლანტაციებში შეტანა უკვე დამთავრებულია. ამჟამად სწარმოებს აზოტოვანი სასუქის შეტანა როგორც ჩაის, ისე ციტრუსების პლანტაციებში. მაგრამ ეს მუშაობა საერთოდ ნელი ტემპით მიმდინარეობს. ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში უხეშად არღვევენ სასუქის შეტანის აგროწესებს და ამით ამცირებენ მის ეფექტიანობას.

აბაშის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ფოსფოროვანი და აზოტოვანი სასუქი ჩაის პლანტაციაში შეიტანეს ნიადაგის ზედაპირზე მობნევით, ნიადაგში ჩაუთოხნავად. ასეთსავე ფაქტებს ადგილი აქვს ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებშიც.

მინერალური სასუქის დიდი მნიშვნელობის შეუფასებლობით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ ბაზასა, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ადგილი აქვს სასუქის ღია ცისქვეშ დაყრას, სხვადასხვა სახის სასუქის ერთმანეთში არევას და წვიმისაგან გაფუჭებას. აქვე აღსანიშნავია, რომ დღემდე საარაიონო ბაზებში დარჩენილია სასუქის დიდი რაოდენობა და ის თავის დროზე არ გააქვს ზოგიერთ რაიონსა და კოლმეურნეობას.

პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ, ხვნა-თესვის ტემპების გაძლიერებასთან ერთად, მრავალწლიანი ნარგავების, ჩაის, ციტრუსების პლანტაციებისა და ბაღ-ვენახების

დასამუშავებლად. ყველა კოლმეურნეობასა, საბჭოთა მეურნეობასა და მტს-ში თვითეული კოლმეურნე, მუშა, ტრაქტორი და გუთნეული უნდა მუშაობდეს ყველა სამუშაო დღეს სრული დატვირთვით. ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში კოლმეურნეები, ტრაქტორისტები და მუშები მინდვრად სამუშაოზე გამოდიან დილით გვიან და ადრე ბრუნდებიან სახლებში, სეზონური სამუშაოს ჩატარება კი გვიანდება და ამ გარემოებას ზოგიერთი კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და მტს-ის ხელმძღვანელები გულხელდაკრეფილნი შესცქერიან და ზომებს არ ღებულობენ. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა უნდა შეამოწმონ ჩამორჩენილი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ბის მუშაობა, შეისწავლონ საგაზაფხულო თესვისა და სხვა სას.-სამ. სამუშაოთა ჩამორჩენის მიზეზები და მიიღონ ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

საბოსფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღება დამოკიდებულია აგრეთვე ნათესებისა და მრავალწლიანი კულტურების დამუშავებასა და მოვლა-პატრონობაზე. გასულ წელს ბევრმა რაიონმა საგაზაფხულო სამუშაოების თავის დროზე ჩატარებით და შემდეგ ნათესებისა და მრავალწლიანი კულტურების დროული და კარგი დამუშავების შედეგად მაღალი მოსავალი მიიღეს. ასეთ რაიონებს ეკუთვნიან: წითელწყაროსი, ლაგოდეხისა, ხაშურისა, ბათუმისა, მახარაძისა, ზუგდიდისა, გალისა, ცხაკაიასი, გორისა, კასპისა, ფოთისა, ამბროლაურისა, ონისა, ცაგერისა, ჭვემო სვანეთისა და მთელი რიგი სხვა რაიონები; ხოლო იმ რაიონებში, სადაც ადგილი ჰქონდა საგაზაფხულო სამუშაოების და ნათესებისა და სხვა კულტურების დამუშავების გაჭიანურებას და სამუშაოთა ცუდად შესრულებას,—ძალზე დაბალი მოსავალი მიიღეს.

მარცვლეული კულტურებიდან პირველ რიგში თავთავიანი კულტურების, შემოდგომის ნათესების დამუშავება იწყება. შემოდგომის ნათესების გამარგვლასა და მოვლის გაუმჯობესებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ამჟამად ქართლ-კახეთის რაიონების კოლმეურნეობებში ფართოდ არის გაშლილი მუშაობა და ნათესების გამარგვლა ყველგან მიმდინარეობს, მაგრამ ეს მუშაობა ჯერ კიდევ ჩამორჩება; პურეული ნათესების პირველად გამარგვლა ჯერ კიდევ დამთავრებული არაა, ხოლო ნათესებში სარეველა ბალახები — ნარი და სხვა—ძლიერ წამოსულია.

აგრეთვე ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ნათესების მორწყვას, სუსტად განვითარებული ან ქარებისაგან დაზიანებული ნათესების დამატებითს გამოკვებას ორგანული სასუქის შეტანით; ადგილი აქვს ნათესების პირუტყვისაგან დაზიანების შემთხვევებსაც.

მთელ რიგ კოლმეურნეობათა ნათესებში პირუტყვი თავისუფლად დაიარება, აზიანებს და სთელავს მას, უპასუხისმგებლო მეველეებს კი, რომელთაც დავალებული აქვთ ნათესების დაცვა, შრომადღეები ეწერებათ და მათ პასუხს არავინ არ სთხოვს.

შემოდგომის ნათესების მოვლის საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს და მემინდვრეობის ყველა ბრიგადაში უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნე ქალთა და მოზარდთა მასობრივად გამოყვანა ნათესების გასამარგლავად. ნათესების ორჯერადი გამარგვლა ყველგან უნდა ჩატარდეს თავთავიანთა დამუხლებამდე. განსაკუთრებული ყურად-

ღება უნდა მიექცეს მარგვლის ხარისხს და ამ საქმეში პასუხისმგებლობა დაეკისროთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირებს.

მალე დაიწყება საგაზაფხულო ნათესებისა და მრავალწლიანი კულტურების თოხნა. ადრეულად ნათესი სიმინდის, კარტოფილის, ჭარხლის, მზესუმზირას და სხვა კულტურების მარგვლა-თოხნა თანდათანობით, შერჩევით უნდა მოეწყოს. ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ხვნის დამთავრებას ელოდებიან და არ ფიქრობენ ადრე დათესილი ნაკვეთების დამუშავებაზე. ხშირად ამის გამო ნათესი ჩაბერდება ხოლმე სარეველა ბალახებში და შემდეგ მისი გამოსწორება შეუძლებელი ხდება. წელს ამ მოვლენათა განმეორება თავიდან აცილებულ უნდა იქნას და ნათესების დამუშავება მოეწყოს თანმიმდევრობით, ყანების დამუშავების აგროტექნიკური ვადების დაცვით.

სუბტროპიკული და მებაღეობა-მევენახეობის რაიონების საპატიო საქმეა ჩაის, ციტრუსებისა და ბაღ-ვენახების მალალხარისხოვნად დამუშავება. დადგენილ ვადებში უზრუნველყოფილ უნდა იქნას ჩაის პლანტაციებისა და ციტრუსების ოთხჯერადი გათოხნა, ხოლო ბაღ-ვენახების არა ნაკლებ ორჯერადი გათოხნა. ეს მუშაობა შერჩევით დაპირველ რიგში დასარჭვლიანებულ ნაკვეთებზე უნდა ჩავატაროთ. ამასთან ერთად საჭიროა მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ ჩაის, ციტრუსების პლანტაციებისა და ბაღ-ვენახების შეწამვლა, უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის მავნებლებისაგან ამ კულტურების დაზიანების თავიდან აცილება. საბჭოთა მთავრობა, დიდი სტალინი უდიდეს მზრუნველობას იჩენს და დახმარებას გვიწევს სუბტროპიკული კულტურების, მევენახეობისა და მეხილეობის განვითარების საქმეში. ცნობილია, რომ ერთიორად და ერთისამად გადიდდა ამ კულტურების პროდუქციის დამზადების ფასები. ამ გარემოებამ მილიონობით მანეთი შეჰმატა ჩვენს კოლმეურნეობებს; გარდა ამისა ციტრუსების ნაყოფის, ჩაის ფოთლის, ღვინო-ყურძნის, ხილის, ჭარხლისა და თამბაქოს ჩამბარებელ კოლმეურნეობებს სახელმწიფო ფასებში ყოველწლიურად ეძლევათ მარცვლეული. ამრიგად, ამ ღონისძიებამ ათასობით ტონა სასურსათო მარცვალიც შეჰმატა ჩვენს კოლმეურნეობებს.

დიდი სტალინის ეს მზრუნველობა ბევრ რამეს ავალებს საქართველოს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სოფლის მეურნეობის მუშაკებს, კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს.

ამხანაგ ლ. პ. ბერიამ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო თათბირზე ა. წ. 5 თებერვალს წარმოთქმულ სიტყვაში საბრძოლო ამოცანები დაუსახა საქართველოს პარტორგანიზაციას სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში. ამხანაგმა ბერიამ კერძოდ აღნიშნა, რომ „სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ ფორთოხლისა და ლიმონის საუკეთესო ჯიშების ფართობთა შემდგომი გადიდებისათვის, მათი მოსავლიანობის გადიდებისათვის“. ამხანაგ ბერიას ეს დავალება საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა საბელის საქმეა. ენერგიულად უნდა ვიბრძოლოთ სუბტროპიკული მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, მაღალხარისხოვანი ჯიშის ფორთოხლისა და ლიმონის ნარგავთა განვითარებისათვის და, რაც მთავარია, ამ კულტურების მაღალი მოსავლის მისაღებად. წელს ჩვენი რესპუბ-

ლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე უკვე გაშენებულ იქნა ათასი ჰექტარი ციტრუსების პლანტაცია. ციტრუსების დარგვას წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და ეს მუშაობა უსათუოდ ძირითადად აგროტექნიკური წესების დაცვით ჩატარდა. საჭიროა ახლად გაშენებული პლანტაციების ნარგავთა სანიმუშოდ მოვლა, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი ნორმალური ზრდა-განვითარება.

გასულ წელს რესპუბლიკის მოწინავე რაიონებმა და ბევრმა კოლმეურნეობამ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავალი მიიღეს, რითაც უზრუნველჰყვეს დამზადების სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულება და ამასთანავე კოლმეურნეთა შემოსავლის საგრძნობლად გადიდება.

წითელწყაროს კოლმეურნეობათა უმრავლესობამ პურის დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულების შემდეგ საშუალოდ 5-10 კილოგრამამდე მარცვლეული მისცეს თვითეულ კოლმეურნეს ერთ შრომადღეზე; ამ რაიონის ბევრი კოლმეურნის ბეღელში ჩაიყარა 3-დან 5 ტონამდე და მეტი მარცვლეული. გორის, ხაშურისა და კასპის კოლმეურნეობებმა, მარცვლეულის კარგ მოსავალთან ერთად, ჭარხლის უხვი მოსავალი მიიღეს და სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულებით უზრუნველჰყვეს კოლმეურნეთა მიერ ფუთობით შაქრის მიღება; ასევე საგრძნობლად გაადიდეს კოლმეურნეთა შემოსავალი მთელმა რიგმა სხვა მოწინავე რაიონებმა.

მოწინავე რაიონებისა და კოლმეურნეობათა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მათ ეს მიღწევები მოიპოვეს საკოლმეურნეო მინდვრებზე კოლმეურნეთა თავდადებული შრომით, შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებით, ინდივიდუალური და ვიწრო ჯგუფური სანარდო სისტემის გატარებით, სტახანოვური ნაკვეთების გამოყოფით და ნათესების, მრავალწლიანი ნარგავების სანიმუშო მოვლა-დამუშავებით.

ცალკეულ სას.-სამ. კულტურათა მოვლისადმი ზუსტმოდგინე დამოკიდებულების შესახებ. ამხანაგი ბერია ჯერ კიდევ 1935 წლის 31 მაისს, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მესამე პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნავდა: „რას ნიშნავს ჩაის ბუჩქის შესწავლა, მისი ცოდნა და მოვლა? ეს ნიშნავს, ჯერ ერთი, რომ ბრიგადები, რომლებიც მუშაობენ ჩაის პლანტაციებზე, უნდა იყვნენ მუდმივი და იმგვარად განაწილებული, რომ თვითეულ ბრიგადაზე მიმაგრებულ იქნას ცალკე ნაკვეთი. მეორე—აგრეთვე თვითეული ბრიგადის შიგნით ჯგუფებზე და ცალკე მუშებზე მიმაგრებულ უნდა იქნას ცალკე ნაკვეთები ბუჩქების განსაზღვრული რაოდენობით. ეს ნიშნავს, რომ დამუშავების დროს ჩაის თვითეულ ბუჩქს უნდა მივუდგეთ დიფერენცირებულად.“

სტახანოვური ნაკვეთის გამოყოფისა და ამ ნაკვეთზე უხვი მოსავლის მიღების ინიციატივა ეკუთვნის ჩაის კულტურის მოვლისა და ჩაის კრეფის ოსტატს, ზუგდიდის რაიონის სოფ. ინგირის კოლმეურნეობის კოლმეურნე ქალს ლენინის ორდენოსან ქიონია სარსანიას; ის უკვე ათი წელია სანიმუშოდ უვლის მასზე გაპიროვნებულ 0,8 ჰექტარ ჩაის პლანტაციას. ამხ. სარსანია კარგად იცნობს თვითეულ ჩაის ბუჩქს, თანმიმდევრობით ატარებს ცხოვრებაში ჩაის კულტურის მოვლა-დამუშავების აგროტექნიკით დაწესებულ ღონისძიებებს. მან ამ ფართობზე მიაღწია ყოველწლიურად 16 ათასიდან

28 ათასამდე კილოგრამი ხარისხიანი ჩაის მწვანე ფოთლის მიღებას; ამავე დროს იგი ჩაის ფოთლის კრეფის ყოველდღიურ დავალებას 800-1.000 პროცენტით ასრულებს. მან ერთ სამუშაო დღეში ხუთ ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა. ამხ. სარჯანიამ მიაღწია ჩაის მოსავლიანობისა და ჩაის ფოთლის კრეფის სარეკორდო მაჩვენებლებს. ჩაის ბუჩქის მოვლისა და ჩაის ფოთლის კრეფის ამხ. სარჯანიას მეთოდს ბევრი კოლმეურნე გამოეხმაურა. საჭიროა პარტიული ორგანიზაციები ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ და ყველა კოლმეურნეობაში უზრუნველჰყონ ჩაის, ციტრუსების, ბაღ-ვენახის ოსტატთა გამოვლინება და მათდამი ყოველდღიური დახმარება და მზრუნველობა.

1944-45 წლამდე მეჭარხლეობის რაიონები შაქრის ჭარხლის ძალზე დაბალ მოსავალს ღებულობდნენ, რადგანაც ჭარხლის ნაკვეთები მიმაგრებული იყო გათანაბრებით მემინდვრეობის ყველა ბრიგადაზე, არ იყო გამოყოფილი სპეციალური რგოლები და სტახანოვური ნაკვეთები. 1944 წლის გაზაფხულიდან ჩატარდა განსაკუთრებული მუშაობა, ყველგან შეიქმნა ჭარხლის სპეციალური რგოლები, მოეწყო სტახანოვური ნაკვეთების გამოყოფა და ცალკეულ მოწინავე კოლმეურნეებზე დასამუშავებლად მიმაგრება. შრომის ორგანიზაციის ამ სისტემის გატარების შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდა ჭარხლის ნათესების მოვლა-დამუშავება, ერთიორად გაიზარდა მოსავალი: ბევრმა რგოლმა და კოლმეურნემ სტახანოვურ ნაკვეთებიდან ერთ ჰექტარზე საშუალოდ 500-800 ცენტნერი ჭარხალი მოიყვანა და სარეკორდო მოსავალი მიიღო. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გორის რაიონმა 1945 წელს 182.500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ჩააბარა სახელმწიფოს, ნაცვლად 44.974 ცენტნერისა 1943 წელს, ხოლო ხაშურის რაიონმა—191.000 ცენტნერი, ნაცვლად 53.000 ცენტნერისა, კასპის რაიონმა კი—151.000 ცენტნერი, ნაცვლად 36.500 ცენტნერისა.

ასევე ითქმის ყველა სას.-სამ. კულტურის შესახებ იმ კოლმეურნეობებში, სადაც სწორადაა მოწყობილი ბრიგადები, რგოლები და ცხოვრებაში ატარებენ მუშაობის სანარდო სისტემას; იქ ამ გზით აღწევენ უხვი მოსავლის მიღებას. ხოლო იმ კოლმეურნეობებში, სადაც ნათესები და ნარგავები გაუპიროვნებულია, სადაც ადგილი აქვს გათანაბრებას და სანარდო შრომა ჩაშლილია, სამეურნეო შედეგებიც ძალზე დაბალია.

ბაშის რაიონის მთელ კოლმეურნეობებში მემინდვრეობის ბრიგადებზე მიმაგრებულია ყველა კულტურა: სიმინდი, ჩაი და ციტრუსების პლანტაციები. რგოლები ფორმალურად ქაღალდზეა მოწყობილი, არაა გამოყოფილი სტაწანოვური ნაკვეთები, ადგილი აქვს მუშაობაში გაუპიროვნებასა და გათანაბრებას, ბევრ კოლმეურნეობაში კოლმეურნეთა საგრძნობი ნაწილი ჩარიცხულიც კი არ არის ბრიგადებში და თავისი შეხედულებისამებრ ეწევა შრომას. მაგალითისათვის ავიღოთ სოფ. გეზათის კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობაში შექმნილია ბრიგადები, მათ შორის ოთხი მემინდვრეობისა, ერთი მებოსტნეობისა და ერთი მესაქონლეობისა. ბრიგადებში ჩარიცხულია 148 კოლმეურნე, ხოლო ბრიგადებს გარეთ დარჩენილია 88 კოლმეურნე. კოლმეურნეობის 5 ჰექტარი ციტრუსების პლანტაცია მიმაგრებულია მემინდვრეობის ბრიგადაზე, ხოლო პლანტაციის ქვეშ მიწა მებოსტნეობის ბრიგადაზე. აქედან ნათლად ჩანს, რომ ციტრუსების ნარგავები უპატრონოდაა მიტოვებული, მემინდვრეობის ბრიგადები მას არ ხედავენ, რადგან მათ ძირი-

თად საქმეს მარცვლეულის თესვა შეადგენს, ხოლო მებოსტნეობის ბრიგადა აწარმოებს ციტრუსებში ბოსტნეულის თესვას (ერთ ჰექტარზე უკვე დათესილი აქვთ ხახვი). სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ციტრუსების პლანტაციაში ნარგავები მოუვლელი და პირუტყვისაგან ძალიან დაზიანებულია.

სოფ. მაიდანის ამხ. ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადებში ჩარიცხულია 317 კოლმეურნე, ხოლო ბრიგადებს გარეთ დარჩენილია 225 კოლმეურნე. ამ კოლმეურნეობის № 1 ბრიგადაში ირიცხება 45 კოლმეურნე; მათგან ცხრა კოლმეურნეს არც ერთი შრომადღე არა აქვს გამომუშავებული, მაშინ როდესაც ბრიგადის გარეთ დატოვებულ ბევრ კოლმეურნეს 1945 წლის პირველ კვარტალში 15-დან 50-მდე და მეტი შრომადღე აქვს გამომუშავებული და რატომღაც ისინი ბრიგადაში არ არიან.

ანალოგიურ ფაქტებს სხვა კოლმეურნეობებშიც აქვს ადგილი. სწორედ შრომის საქმეში უწესრიგობისა და მუშაობის გაუპიროვნების შედეგია დასახელებული რაიონის კოლმეურნეობებში ყველა კულტურის დაბალი მოსავლის მიღება.

ანალოგიურ ფაქტებს ადგილი აქვს ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებშიც. საჭიროა ამ სერიოზული ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება. საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა გულდასმით გასინჯონ ბრიგადების, რგოლების მოწყობისა და მათდამი საწარმოო დავალებების დაყვანის მდგომარეობა. საქმე იმაზე უნდა წარიმართოს, რომ ყველა კოლმეურნე, ვისაც შრომა შეუძლია, ჩარიცხულ იქნას ბრიგადაში და რგოლში. ყველა ბრიგადირი და რგოლი კარგად უნდა იცნობდეს თავის საწარმოო დავალებას, მოსავლიანობის მაჩვენებლებს და იმ აგროვალდებულებებს, რომელნიც მათ უნდა შეასრულონ მიმაგრებულ ნაკვეთებზე. ბრიგადებსა და რგოლებში საჭიროა ფართოდ დავნერგოთ ინდივიდუალური და ვიწრო ჯგუფური საწარმო მუშაობა, გამოვყოთ სტახანოვური ნაკვეთები სათოხნი კულტურების ფართობებზე, პირველ რიგში ჭარხლის, თამბაქოს, ბამბის, გერანის, მზესუმზირას და შემდეგ სიმინდის ნათესებში და ისინი დასამუშავებლად გავაპიროვნოთ ცალკეულ კოლმეურნეებზე; მოვაწყოთ შრომის აღრიცხვა კულტურების, ბრიგადებისა და რგოლების მიხედვით; ცალკე აღვრიცხოთ აგრეთვე სტახანოვურ ნაკვეთებზე მიღებული მოსავალი და უზრუნველვყოთ შრომის დამატებითი ანაზღაურება ყველა იმ კოლმეურნისათვის, რომელთაც მაღალი მოსავალი მიიღეს.

სუბტროპიკული რაიონების ღირსების საქმეა წელსვე მიაღწიონ ციტრუსების მაღალ მოსავალს. საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხ. კ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე, შეეხო რა ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციების გაშენება-მოვლის საკითხებს, აღნიშნა, რომ „უკვე მიმდინარე წლიდან ჩვენი ამოცანაა ამ კულტურების მოსავლიანობის გადიდება, კერძოდ ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ 1946 წელს დავამზადოთ ციტრუსთა სულ მცირე 600 მილიონი ცალი ნაყოფი, ნაცვლად 1945 წლის 300 მილიონი ცალისა". ეჭვი არ არის, რომ სუბტროპიკული რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეწარმოქმედო ორგანოები და კოლმეურნეობები დაირაზმებიან ამ დავალების შესასრულებლად.

ციტრუსების მაღალი მოსავალიც პირველ რიგში დამოკიდებულია ნარგავების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებაზე. ამისათვის საჭიროა ამ გაზაფხულიდანვე ყველგან მოწესრიგებულ იქნას ციტრუსების სპეციალური ბრიგადებისა და რგოლების მუშაობა, მიემაგროს მათ ნაკვეთები, ხოლო რგოლის შიგნით თვითეულ კოლმეურნეზე მივამაგროთ ციტრუსების მსხმოიარე ნარგავების განსაზღვრული რაოდენობა, შევადგინოთ ნარგავთა მდგომარეობის აღწერილობა და დავაწესოთ თვითეულ ძირზე მოსავლიანობა. ციტრუსების ბრიგადები, რგოლები და კოლმეურნეები, რომლებზეც მიმაგრებულ იქნება ნარგავები, პირველ რიგში უნდა მოვამარაგოთ როგორც ორგანული, ისე მინერალური სასუქით და უზრუნველვყოთ თვითეულ ძირზე სასუქის სრული ნორმით შეტანა. ანალოგიური მუშაობა უნდა ჩატარდეს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებშიც. ციტრუსების ნარგავთა მოვლის საქმე წელს ისე უნდა დავაყენოთ, რომ აგროტექნიკით გათვალისწინებული ყველა სამუშაო დაწესებულ ვადაში და მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ. ამ ღონისძიებათა შესასრულებლად საჭიროა ციტრუსების ბრიგადებსა და რგოლებში ჩავრიცხოთ გამოცდილი კოლმეურნეები, რომელთაც იციან ციტრუსების მოვლა და უყვართ ეს საქმე.

შესრულებულ სამუშაოთა სწორად აღრიცხვა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საწინდარია. აღრიცხვის გარეშე შეუძლებელია გაიგო, როგორ მიდის მეურნეობაში საქმე, რომელ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, ბრიგადასა და რგოლში ან საწარმოო უბანში ჩამორჩება მუშაობა და რა დარგში. ხშირად ამ საქმეს ყურადღებას არ აქცევენ, თვეობით არ აჯამებენ მუშაობის მსვლელობას, ანდა, შეჯამების შემთხვევაში არ აკეთებენ სათანადო დასკვნებს და აქედან გამომდინარე — თანმიმდევრობით არ ღებულობენ ზომებს ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ.

ზოგ ადგილას დაივიწყეს აგრეთვე შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის შემოწმება და აქტით მიღება, ეს კი გულს უტეხს მოწინავე კოლმეურნეებს, რომელნიც თავდადებულად შრომობენ საკოლმეურნეო მინდვრებზე და იბრძვიან მაღალი მოსავლისათვის, და გასაქანს აძლევს ზარმაცებს და ცუღლუტებს, რომელნიც სისტემატურად უხეშად არღვევენ აგროწესებს, ცუდად ასრულებენ მინდვრის სამუშაოებს, სარგებლობენ კოლმეურნეობათა ბრიგადირებისა და თავმჯდომარეების მიერ ამ საქმის უგულვებელყოფით და სრულიად უვარგისად შესრულებულ სამუშაოებზე იწერენ შრომადღეებს, ზედმეტ ხარჯად აწვებიან კოლმეურნეობასა და დიდ ზარალს აყენებენ მას.

კოლმეურნეობათა გამგეობებმა, პირველადმა პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა დარაზმონ კოლმეურნეთა ფართო აქტივი ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ყველა კოლმეურნეობაში, სას.-სამ. არტელის წესდების შესაბამისად, დაცულ უნდა იქნას შესრულებული სამუშაოს რგოლისა და კოლმეურნისაგან მიღება ბრიგადირის მიერ, ხოლო ბრიგადირისაგან — კოლმეურნეობის თავმჯდომარის მიერ, სათანადო აქტის შედგენით.

ამასთანავე, შესრულებულ სამუშაოთა მიღება უნდა მოეწყოს ცალკეული ნაკვეთების მიხედვით. სამუშაოს ცუდი ხარისხით შესრულების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მოეწყოს ნაკვეთების ხელმეორედ დამუშავება ან დამატებითი საჭირო მუშაობის ჩატარება, განმეორებითი დამუშავებისათვის დახარჯული შრომადღეების დაურიცხავად. შესრულებულ სამუშაოთა ხარის-

ხის გაუმჯობესება დიდად არის დამოკიდებული ხარისხის შემმოწმებლის მუშაობაზე, მათს მუშაობას კი სათანადო ყურადღება არ ექცევა. მთელ რიგ კოლმეურნეობებში არც კი ჰყავთ გამოყოფილი ხარისხის შემმოწმებელი კოლმეურნეები და არ აწარმოებენ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის შემოწმებას. საჭიროა პარტიული ორგანიზაციები დაეხმარონ კოლმეურნეობებს ხარისხის შემმოწმებლების მუშაობის მოწყობის საქმეში. იმ კოლმეურნეობებში, სადაც დღემდე არ ჰყავთ ხარისხის შემმოწმებლები, იპოვნონ უნდა აირჩიონ და ამ საქმეში ფართოდ ჩააბან სოფლის მეურნეობაში გამოცდილი კოლმეურნეები.

წელს ჩვენი რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციებისა და კოლმეურნე გლეხობის ძირითადი ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება. საჭიროა მთელი ძალები დავრაზმოთ ამ ამოცანის შესასრულებლად. 1945 წელს მეხილეობა-მევენახეობის დარგში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენმა რესპუბლიკამ გამარჯვება მოიპოვა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი ჯილდო მიიღო. ეს გარემოება გვავალებს კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ბაღ-ვენახების, ციტრუსების მოვლა, გავადიდოთ ამ კულტურების მოსავლიანობა, რათა 1946 წლის საკავშირო შეჯიბრებაშიც გავიმარჯვოთ და საკავშირო მთავრობის ეს საპატიო ჯილდო — გარდამავალი წითელი დროშა შევინარჩუნოთ.

სარედაქციო კოლეგია:
გ. ალავიძე
კ. ბარიგიანი
ვ. კუპრაძე
ა. ძუთელია
პ. შარია (პ/მგ. რედაქტორი)
ს. ჭელიძე
ს. ჯანაშია

რედაქციის მისამართი: ჟორესის ქ. № 5. ტელ. № 3-73-05.

ტირაჟი 8.000. უე 02012. ანაწყ. ზომა 7×12=56.000.
სასტ. ფორმ. რაოდ. 9. საავტ. ფორმა 11,5. გამომც. № 32. შეკვ. № 484.

ლ. პ ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი". თბილისი. ლენინის, 28

ფასი 6 მან.

8 838
1946

ЖУРНАЛ
„БОЛЬШЕВИКИ“
(на грузинском языке)
Орган ЦК КП (б) Грузии
№ 3-4 март-апрель 1946 г.